

ჯორჯ მარტი

ნოუ იორკ თაიმსის №1 ბესტსელერი ავტორი

გაყიდულია 3 მილიონზე მეტი ასლი!

გონება - ბრძოლის ველი

მოიგე ბრძოლა შენს გონებაში



ჯორის მანიერი

**გონება –
ბრძოლის
ველი**

მოიგე ბრძოლა შენს გონებაში

თბილისი
2011

Originally Publishes in English under the title

Battlefield of the mind

Joyce Meyer

Copyright © 1995,2011 by Joyce Meyer, All rights reserved

„გონება - ბრძოლის ველი“ მინდა მივუძღვნა
ჩემს უფროს ვაჟს, დევიდს.

ვიცი, შენი პიროვნული თვისებები საკმაოდ ჰგავს
ჩემსას, რადგან შენ მოგინია საკუთარი ბრძოლების
გავლა გონებაში. ვხედავ, რომ აგრძელებ ზრდას
და ვიცი, განიცდი გამარჯვებებს,
რომლებიც მოყვება გონების განახლებას.

მიყვარხარ, დევიდ, და ვამაყობ შენით.
ასე ენერგიულად გააგრძელე!

სარჩევი

შესავალი განახლებული ვერსიისთვის.....6

ნაწილი I: გონების მნიშვნელოვნება

შესავალი.....15

1 გონება - ბრძოლის ველი.....19

2 სასიცოცხლო აუცილებლობა.....31

3 არ დანებდე!.....37

4 ნელ-ნელა.....43

5 იყავი პოზიტიური.....49

6 გონების შემოჭველი სულები.....61

7 იფიქრე იმაზე, თუ რაზე ფიქრობ.....67

ნაწილი II: გონების მდგომარეობები

შესავალი.....77

8 როდის არის ჩემი გონება ნორმალურ მდგომარეობაში?.....81

9 ხეტიალი. ცნობისმოყვარე გონება.....89

10 დაბნეული გონება.....97

11 მერყევი და ურწმუნო გონება.....109

12 შენუხებული და დადარდიანებული გონება.....123

13 განმკითხავი, კრიტიკული და ეჭვიანი გონება.....139

14 პასიური გონება.....155

15 ქრისტეს გონება.....167

ნაწილი III: უდაბნოს აზროვნებები

შესავალი.....191

16 „ჩემი მომავალი განისაზღვრება წარსულით და აწმყოთი“197

17 „ვინმემ გააკეთეთ ეს ჩემთვის; არ მსურს პასუხისმგებლობის აღება“.....205

18 „გთხოვთ, ყველაფერი გაამარტივეთ; ვერ ვიტან სირთულეებს!“.....217

| | |
|----|--|
| 19 | „ვერაფერს ვერ გავაკეთებ; მე მიდრეკილება მაქვს ბუზლუნისადმი, შეცდომების ძიებისა და წუნუნისადმი“...225 |
| 20 | „არაფერზე არ მალოდინოთ; ყველაფერს დაუყოვნებლივ ვიმსახურებ“.....235 |
| 21 | „ჩემი საქციელი შეიძლება არასწორი იყოს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის“.....245 |
| 22 | „ჩემი ცხოვრება ძალიან უმნიშვნელოა; მეცოდება საკუთარი თავი, რადგან ჩემი ცხოვრება ძალიან საცოდავია!“.....255 |
| 23 | „არ ვიმსახურებ ღმერთის კურთხევას, რადგან უღირსი ვარ“.....263 |
| 24 | „რატომ არ უნდა ვიეჭვიანო და არ უნდა გავბრაზდე, როცა ყველა ჩემზე უკეთესად არის?“.....273 |
| 25 | „ან ჩემებურად გავაკეთებ ან საერთოდ არ გავაკეთებ“.....283 |
| | ბიბლიოგრაფია.....289 |

შესავალი განახლებული პერსონისთვის

გონება - ბრძოლის ველი თავდაპირველად 1995 წელს დაიბეჭდა. მსიამოვნებს თქვენთვის იმის თქმა, რომ იგი კვლავ ჩემი ბესტსელერი წიგნია, მიუხედავად მრავალი გასული წლისა. წიგნის ინგლისური გამოცემის სამ მილიონზე მეტი ასლი გაიყიდა და გადაითარგმნა 47 ენაზე – და ეს კიდევ მნიშვნელოვნად გრძელდება. მან იმდენად დიდი როლი ითამაშა ადამიანების ცხოვრებაში, რომ ჩვენ ვიგრძენით მონოდება, შეგვექმნა გამოცემები ბავშვებისა და მოზარდებისთვის, ისევე როგორც ყოველდღიური საკითხავი, რომლებიც ეფუძნებიან ამ წიგნის პრინციპებს. ჩვენს მსახურებაში ადამიანთა უთვალავი დამოწმება მოგვისმენია, რომელთაც დადებითი ცვლილებები განიცადეს თავიანთ ცხოვრებაში თქვენს წინ მდებარე წიგნის წაკითხვის და მისი ბიბლიური პრინციპების გამოყენების შედეგად. ადამიანები გათავისუფლებულები იყვნენ ყველა სახის მავნე მიდრეკილებებისაგან: არასწორი კვება, შიში, შფოთი, საკუთარი თავის სიძულვილი და მრავალი სხვა პრობლემა.

მახსენდება ქალი, რომელმაც გვითხრა, რომ ცხოვრებითვის სახიფათო კვების დარღვევის გამო სამკურნალო პროგრამებში წლები ჰქონდა გატარებული. მისმა მშობლებმა ასე ათასზე მეტი დოლარი გადაიხადეს და მისი მდგომარეობა მაინც არ გაუმჯობესდა. იგი თითქმის უიმედოდ იყო, რომ ოდესმე კარგად გახდებოდა, სანამ არ წაიკითხა „გონება - ბრძოლის ველი“. მან თქვა, რომ ზოგჯერ, როდესაც ცდუნება ჰქონდა, ზემდეტი ეჭამა და შემდეგ გათავისუფლებულიყო გულისრევით, იგი საპირფარეოს წინ თავს დახრიდა, რომელიც მას ცხოვრებას ართმევდა, ლოცულობდა და კითხულობდა „გონება - ბრძოლის ველს“ ხმამაღლა, სანამ ცდუნება არ ჩაივლიდა. დღეს იგი სრულიად გათავისუფლებულია დაავადებისგან და სხვებს ეხმარება, რომლებიც იტანჯებიან ისე, როგორც ოდესღაც იგი იტანჯებოდა.

სხვა ამბავი, რომელმაც ძლიერ მაკურთხა, იყო ებრაელ მამაკაცზე, რომელმაც შემთხვევით გადმოაყირავა თარო „ბარნისის და ნობელის“ წიგნის მაღაზიაში. წიგნების დასალაგებლად აღებისას მას ხელში შერჩა „გონება - ბრძოლის ველი“. მან იგი იმ მიზნით გადაშალა, რომ ეპოვა ისეთი რამ, რაზეც იცინებდა, მაგრამ საბოლოოდ წიგნი იყიდა. თავიდან ცოლს დაუშალა, რადგან არ სურდა მეუღლეს გაეგო, რომ ქრისტიანი ავტორის მიერ დაწერილ წიგნს კითხულობდა. იგი დაინტერესდა წაკითხ-

ული პრინციპებით და იყიდა ბიბლია, რომელსაც წიგნთან ერთად უმაღლავდა ცოლს. ბოლოს აღმოაჩინა, რომ მისი ცოლიც საიდუმლოდ კითხულობდა ბიბლიას, რომელსაც მაღლავდა. მათ ორივემ მიიღეს იესო მხსნელად და დაეხმარნენ სხვა ოჯახის წევრებს იესო ქრისტეს მეშვეობით ხსნის მიღებაში.

ცხოვრების გარდამტეხი მომენტია ფაქტი, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ არასწორი აზრები ჩვენი პრობლემების ფესვია და რომ შეგვიძლია ცხოვრების შეცვლა აზროვნების შეცვლით. ღმერთის სიტყვა გვასწავლის გონების განახლების შესახებ, რათა შევძლოთ ვისწავლოთ ღმერთის მსგავსად ფიქრი. როდესაც ამას გავაკეთებთ, შემდეგ შეგვიძლია დავტკბეთ იმ ცხოვრებით, რომელიც ღმერთს უნდა რომ გვქონდეს – თავისუფალი, ნაყოფიერი, მშვიდობიანი და სიხარულით აღსავსე ცხოვრებით.

მთელი ახალი სამყარო იშლება ჩვენს წინ, როცა ვსწავლობთ საკუთარი ფიქრების არჩევას, ნაცვლად იმისა, რომ მივცეთ საშუალება ეშმაკს გაავსოს ჩვენი გონება ისეთი რამეებით, რაც დაგვანგრევს. უნდა ვისწავლოთ ვიყოთ პასუხისმგებელნი საკუთარ ფიქრებსა და სიტყვებზე, რადგან ისინი წარმოშობენ ჩვენს ქმედებებს. შეუძლებელია უკეთ მოვიქცეთ, სანამ უკეთესი ფიქრებით არ ვიფიქრებთ.

ჩვენი ტელევიზიის მაყურებელი თითქმის ყოველთვის ირჩევს იმ პროგრამებს, რომლებიც მათი გონებისა და ფიქრებისათვის საყვარელია. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი გონება უფრო მეტ პრობლემას გვიქმნის, ვიდრე სხვა რამე. ჩვენ გვსურს გონების სიმშვიდე! გვინდა გვქონდეს ჯანსაღი, სიცოცხლის მომცემი აზრები, ნაცვლად ისეთებისა, რომლებიც წარმოქმნიან ყოველგვარ უბედურებას. „გონება - ბრძოლის ველი“ ამის შესწავლაში დაგვეხმარება.

იმისათვის, რომ მოვმზადებულიყავი „გონება - ბრძოლის ველის“ სპეციალური გამოცემისათვის, მთელი წიგნი უნდა წამეკითხა. მართლა მომწონს იგი!!! დანერის შემდეგ აღარ წამეკითხა და როცა გადავიკითხე, გავმხნევედი და აღვშენდი. იგი ადვილად წასაკითხია და შეიცავს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას, რომელიც უნდა გვქონდეს, რათა ხელმისაწვდომი იყოს ქრისტესთან ურთიერთობების მეშვეობით შემოთავაზებული ახალი სიცოცხლე. წინამდებარე გამოცემას დავამატე ახალი მასალა, რომელიც ასახავს შემდგომ სწავლებას და გამჭრიახობას, რომლებსაც ღმერთი ნების განმავლობაში

მისი პირველი გამოცემის შემდეგ მაძლევდა. ასევე შევიტანე განახლებები, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ მოქმედებდა ღმერთი იმ სიტუაციებში, რაზედაც პირველ გამოცემაში ვმსჯელობდი. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ იწყებთ ამ წიგნის კითხვას, რადგან ნამდვილად მჯერა, რომ იგი თქვენთვის ცხოვრების შემცვლელი იქნება.

მჯერა, რომ ეს წიგნი სარგებელს მოგიტანთ ყველას, მიუხედავად იმისა, ახალი მორწმუნე ხართ თუ მრავალი წელი ღმერთთან ერთად გივლიათ. ვლოცულობ, რომ ისიამოვნოთ მისით და იგი თქვენი ცხოვრებისათვის კურთხევად იქცეს.

გონება -
ბრძოლის
ველი

ნანილი |
გონების მნიშვნელოვნება

შესავალი

როგორ შეგვიძლია საკმარისად გამოვხატოთ ჩვენი აზრების მნიშვნელოვნება იმისათვის, რომ იგავები 23:7-ის ნამდვილი მნიშვნელობა გადმოვცეთ: „როგორც ის [პიროვნება] ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი?“

რაც უფრო მეტ ხანს ვემსახურები ღმერთს და ვსწავლობ მის სიტყვას, მით მეტად ვაცნობიერებ ფიქრების და სიტყვების მნიშვნელოვნებას. რეგულარულად აღმოვაჩენ ხოლმე, რომ სულიწმიდა მიმიძღვის სასწავლებლად ამ სფეროებში.

„ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ლეთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხოვთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“.

2 კორინთელთა 10:4,5

მე მითქვამს და მჯერა, რომ ეს სიმართლეა: სანამ ამ დედამინაზე ვიმყოფებით, ჩვენ დაგვჭირდება სწავლა ფიქრების და სიტყვების სფეროებში. მნიშვნელობა არ აქვს თუ რამდენი ვიცი ნებისმიერ სფეროში, ყოველთვის არის ახალი რამ, რისი სწავლაც შეგვიძლია, და ასევე ისეთი რალაცეებიც არის, რაც ადრე გვისწავლია და მათი განახლება გვჭირდება.

რას გულისხმობს სინამდვილეში იგავები 23:7? ბიბლიის ქართული თარგმანი ამბობს: „როგორც ის [ადამიანი] ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი“. სხვა თარგმანი ამბობს: „როგორც ის ფიქრობს თავის გულში, ისეთივე ხდება“.

გონება არის ყოველი ქმედების წინამძღოლი ან წინმსწრები. რომაელთა 8:5 გასაგებად ამბობს: „ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან – სულიერზე“.

ჩვენი ქმედებები ჩვენი ფიქრების პირდაპირი შედეგია. თუ ნეგატიური აზროვნება გვაქვს, ნეგატიური ცხოვრება გვექნება. თუ, მეორეს მხრივ, განვიახლებთ გონებას ღმერთის სიტყვის თანახმად, როგორც ამას რომაელთა 12:2 გვპირდება, გამოცდილებით დავამტკიცებთ, რომ ჩვენი ცხოვრებისთვის „ღვთის ნება არის – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“.

გონება - ბრძოლის ველი

ეს წიგნი დაეყავი სამ ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილი საუბრობს აზრების მნიშვნელოვნებაზე. მინდა სამუდამოდ განმტკიცდეს თქვენს გულში, რომ უნდა დაინწყოთ ფიქრი იმაზე, თუ რაზე ფიქრობთ.

მრავალი ადამიანის პრობლემის მიზეზია აზროვნების სახეობები, რომლებიც ფაქტობრივად წარმოქმნიან იმ პრობლემებს, რომლებსაც ისინი განიცდიან თავიანთ ცხოვრებაში. ეშმაკი ყველას სთავაზობს არასწორ აზროვნებას, მაგრამ ჩვენ არ უნდა მივიღოთ მისი შემოთავაზება. ისწავლეთ, თუ აზროვნების რომელი სახეობებია მისაღები სულიწმიდისთვის და რომელი არა.

მეორე კორინთელთა 10:4,5 ნათლად მიგვითითებს, რომ ჩვენ ღმერთის სიტყვა ისე კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ შევძლოთ იმის შედარება, რაც ჩვენს აზროვნებაშია, იმ აზროვნებასთან, რომელიც ღმერთს გააჩნია; ნებისმიერი აზრი, რომელიც ცდილობს თავის ამაღლებას ღმერთის სიტყვაზე მაღლა, უნდა განვდევნოთ და დავატყვევოთ ქრისტესთვის.

ვლოცულობ, რომ ეს წიგნი ამაში დაგეხმაროთ.

გონება ბრძოლის ველია. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი აზრები მოვიყვანოთ სისწორეში ღმერთის აზრებთან. ეს არის პროცესი, რომელსაც დრო და სწავლა სჭირდება.

არასოდეს დანებდეთ, რადგან თქვენ ნელ-ნელა იცვლებით. რაც უფრო მეტად შეცვლით თქვენს გონებას უკეთესობისაკენ, თქვენი ცხოვრებაც მით მეტად შეიცვლება უკეთესისკენ. როდესაც თქვენს აზროვნებაში ღმერთის კეთილი გეგმის საკუთარი თავისთვის დანახვას იწყებთ, მასში სიარულსაც დაიწყებთ.

თავი

1

გონება - ბრძოლის
ველი

მონება – ბრძოლის ველი

წმიდა წერილის ამ მონაკვეთიდან ვხედავთ, რომ ომში ვიმყოფებით. ამ მუხლის დაკვირვებული შესწავლა გვაჩვენებს, რომ ჩვენი ბრძოლა არ არის სხვა ადამიანების წინააღმდეგ, არამედ ეშმაკის და მისი დემონების წინააღმდეგ. ჩვენი მტერი, ეშმაკი, ცდილობს დაგვამარცხოს სტრატეგიით და ტყუილით, კარგად-დალაგებული გეგმებით და განზრახ სიცრუით.

ეშმაკი მატყუარაა. იესომ თქვა მასზე, რომ „ცრუა იგი და სიცრუის მამა“ (იოანე 8:44). გვატყუებს ყველას. ჩვენზე, სხვა ადამიანებზე და გარემოებებზე ისეთ რამეებს გვეუბნება, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა, იგი ერთ ჯერზე მხოლოდ ცარიელ ტყუილს არ გვეუბნება.

ის იწყებს ჩვენი გონების დაბომბვას გონივრულად შედგენილი სტრატეგიებით, პატარა ბუზღუნა აზრების, ეჭვების, შიშების, გაკვირვებების, არგუმენტაციებისა და თეორიების მეშვეობით. იგი ნელა და ფრთხილად მოქმედებს (ბოლოს და ბოლოს, კარგად შედგენილ გეგმებს დრო სჭირდება). გახსოვდეთ, მას თავისი ბრძოლისთვის სტრატეგია გააჩნია. იგი ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში გვსწავლობდა.

მან იცის თუ რა მოგვწონს და რა არა. იცის ჩვენი დაუცველი ადგილები, სისუსტეები და შიშები. მან იცის, თუ რა გვანუხებს ყველაზე მეტად. მას სურს დახარჯოს ნებისმიერი დრო, რაც კი საჭირო იქნება დასამარცხებლად. ეშმაკის ერთ-ერთი ძლიერი თვისება მოთმინებაა.

სიმაგრეების დამსხვრევა

„ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხოვთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ

„რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ“.

ეფესელთა 6:12

ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“.
2 კორინთელთა 10:4,5

ეშმაკი, ფრთხილი სტრატეგიის და ეშმაკური მზაკვრობის მეშვეობით, ცდილობს „სიმაგრეების“ აღმართვას ჩვენს გონებაში. სიმაგრე ის სფეროა, სადაც ჩვენ გარკვეული აზროვნების გამო, ციხეში ვიმყოფებით.

ამ ნაწყვეტში, მოციქული პავლე გვეუბნება, რომ ჩვენ გაგვაჩნია საჭირო იარაღები ეშმაკის სიმაგრეების დასანგრევად. მოგვიანებით მეტს შევისწავლით ამ იარაღების შესახებ, მაგრამ ახლა, გთხოვთ შეამჩნიოთ, რომ კიდევ ერთხელ ვხედავთ, ჩართულნი ვართ ბრძოლაში, სულიერ ბრძოლაში. მე-5 მუხლი გვაჩვენებს ბრძოლის ადგილმდებარეობას, სადაც იგი მიმდინარეობს.

ამ მუხლის ბიბლიის ინგლისური თარგმანის გაძლიერებული ვერსია ამბობს, რომ ჩვენ უნდა ავიღოთ ეს იარაღები და უკუვაგდოთ არგუმენტები. ეშმაკი გვეკამათება; იგი გვთავაზობს თეორიებს და არგუმენტაციებს. მთელი ეს ქმედებები გონებაში მიმდინარეობს.

გონება ბრძოლის ველია.

მდგომარეობის შეჯამება

ამრიგად, ამ მომენტამდე ჩვენ დავინახეთ, რომ:

1. ჩვენ ჩართულნი ვართ ომში.
2. ჩვენი მტერი ეშმაკია.
3. გონება ბრძოლის ველია.
4. ეშმაკი გულმოდგინედ შრომობს ჩვენს გონებაში სიმაგრეების აღსამართავად.
5. იგი ამას სტრატეგიისა და მოტყუების მეშვეობით აკეთებს (კარგად დაგეგმილი გეგმებითა და განზრახი ტყუილით).
6. მას არ ეჩქარება; იგი არ ჩქარობს თავისი გეგმის განსახორციელებლად.

მოდით, უფრო დეტალურად გამოვიკვლიოთ მისი გეგმა იგავის მეშვეობით.

მერის მხარე

მერი და მისი მეუღლე, ჯონი, არ ხარობენ ბედნიერი ქორწინებით. მათ შორის გამუდმებით უთანხმოებაა. ორივე გაბრაზებულები, გამწარებულები და ნანწყენები არიან. მათ ორი შვილი ჰყავთ, რომლებზეც ოჯახური პრობლემები ზეგავლენას ახდენენ. ოჯახური უთანხმოებები თავს იჩენს სკოლასა და ქცევაში. ერთ-ერთ ბავშვს კუჭის პრობლემები აქვს, რომლებიც გამონეულა ნერვოზით.

მერის პრობლემა ის არის, რომ მან არ იცის როგორ მისცეს საშუალება ჯონს იყოს ოჯახის თავი. თავად უფროსობს – სურს ყველა გადაწყვეტილების მიღება, ფინანსების მართვა და ბავშვების აღზრდა. მას სურს იმუშაოს ისე, რომ ჰქონდეს „საკუთარი“ ფული. იგი დამოუკიდებელი, ხმაურიანი, მომთხოვნი და შარიანია.

ახლა თქვენ შეიძლება ფიქრობდეთ: „მე მაქვს მისთვის პასუხი. მან უნდა გაიცნოს იესო“.

იგი იცნობს მას! მერიმ მიიღო იესო მხსნელად ხუთი წლის წინ – სამი წლის შემდეგ, რაც იგი და ჯონი დაქორწინდნენ.

„თქვენ გულისხმობთ, რომ არ მომხდარა ცვლილება მერიში მას შემდეგ, რაც იესო მხსნელად მიიღო?“

კი, ცვლილება იყო. მას სჯერა, რომ ზეცაშია მისი სახლი, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცუდი საქციელის გამო მუდმივად მსჯავრდადებას გრძნობს. მას ახლა აღარ აქვს იმედი. სანამ იესოს შეხვდებოდა, იგი უბედური და უიმედო იყო; ახლაც ისეთივე უბედურია.

მერიმ იცის, რომ მისი დამოკიდებულება არასწორია და სურს შეცვლა. მან კონსულტაცია გაიარა ორ ადამიანთან. იგი ყოველ შესაძლებლობას იყენებს ლოცვისთვის და ითხოვს გამარჯვებას სიბრაზეზე, ურჩობაზე, უპატიებლობაზე, წყენასა და სიმწარეზე. რატომ ვერ ხედავდა იგი გაუმჯობესებას?

პასუხი მოცემულია რომაელთა 12:2-ში: „ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების გა-

ბონება – ბრძოლის ველი

ნახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“.

მერის სიმაგრეები აქვს აზროვნებაში, რაც წლების მანძილზე იყო. იგი ვერ ხვდება, როგორ აღმოჩნდნენ ისინი იქ. მან იცის, რომ არ უნდა იყოს ურჩი, მბრძანებლობის მოყვარული, მუდამ უკმაყოფილო და ა.შ., მაგრამ არ იცის რა გააკეთოს, რომ ბუნება შეიცვალოს. ისე ჩანს, თითქოს იგი უბრალოდ რეაგირებას ახდენს კონკრეტულ სიტუაციებში შეუფერებლად, რადგან თავის ქმედებებს ვერ აკონტროლებს.

მერი ვერ მართვას თავის მოქმედებებს, რადგან არ აკონტროლებს თავის აზრებს. იგი არ აკონტროლებს თავის აზრებს, რადგან არც კი იცის, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია. მის გონებაში სიმაგრეებია, რომლებიც ეშმაკმა მის ცხოვრებაში ადრე ააშენა.

ეშმაკი იწყებს თავისი კარგად დალაგებული გეგმების განხორციელებას და თესავს თავის წინასწარ განზრახულ ვერაგობას ნებისმიერ ახალგაზრდულ ასაკში. მერის შემთხვევაში, მისი პრობლემები დიდი ხნის წინ, ბავშვობაში დაიწყო.

როგორც ბავშვს, მერის ჰყავდა უკიდურესად მბრძანებლური მამა, რომელიც ხშირად სჯიდა უბრალოდ იმის გამო, რომ უხასიათოდ იყო. თუ მერი ერთ არასწორ მოძრაობას გააკეთებდა, მამა თავის მრისხანებას მასზე აფრქევდა. წლების განმავლობაში, იგი უიმედოდ იტანჯებოდა, რადგან მამა მას და დედას ცუდად ექცეოდა. მამა ცოლისა და ქალიშვილის მიმართ ყოველმხრივ უპატივცემულობას გამოხატავდა. თუმცა, მერის ძმა არ ატარებდა პასუხისმგებლობას. ისე ჩანდა, რომ რადგანაც ბიჭი იყო, თითქოს ამის გამო პრივილეგიები ჰქონდა.

თექვსმეტი წლის ასაკისთვის მერის აზროვნება, წლების განმავლობაში, უკვე დამუშავებული იყო ეშმაკის მიერ, რომელიც მას ნაირ-ნაირ ტყუილებს ეუბნებოდა: „მამაკაცები ფიქრობენ, რომ რამეს წარმოადგენენ. ყველა ერთნაირია; შეუძლებელია მათი ნდობა. ისინი ტკივილს მოგაყენებენ და ისარგებლებენ შენით. თუ მამაკაცი ხარ, გაგიმართლა ცხოვრებაში. შეგიძლია გააკეთო ნემისმიერი რამ, რაც მოგესურვება. შეგიძლია ბრძანებებს გასცემდე შენს ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვის, იყო უფროსი, ისე მოეპყრო ადამიანებს, როგორც მოგესურვება და ვერავინ (განსაკუთრებით ვერც ცოლები და ვერც ქალიშვილები) ვერ შეენინა აღმდეგება ამას“.

ამის შედეგად, მერის გონებაში ჩამოუყალიბდა აზრი: „როდესაც მოვშორდები ამ ადგილს, ველარავინ ვერ მომეპყრობა ცუდად!“

ემმაკი უკვე ანარმოებდა ომს მისი გონების ბრძოლის ველზე. ატრიალეთ ეს აზრები გამუდმებით თქვენს თავში ასი ათასჯერ ან უფრო მეტჯერ ათი წლის განმავლობაში და ნახეთ თუ იქნებით მზად დაოჯახებისთვის და იმისათვის, რომ გახდეთ ტკბილი, მორჩილი, მოსიყვარულე ცოლი. რაიმე სასწაულის მეშვეობითაც რომ გინდოდეთ ეს, არ გეცოდინებათ, როგორ მიაღწიოთ. სწორად ასეთ არეულ-დარეულ მდგომარეობაში ხედავს მერი დღეს საკუთარ თავს. რა შეუძლია მას გააკეთოს? რისი გაკეთება შეგვიძლია ნებისმიერ ჩვენთაგანს ასეთ მდგომარეობაში?

სიტყვის იარაღები

თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“.

იოანე 8:31,32

აქ იესო გვეუბნება, როგორ უნდა გავიმარჯვოთ ემმაკის ტყუილებზე. ჩვენ უნდა შევიცნოთ ღმერთის ჭეშმარიტება, განვიახლოთ გონება მისი სიტყვის მეშვეობით, შემდეგ გამოვიყენოთ 2 კორინთელთა 10:4,5-ში აღწერილი იარაღები სიმაგრეებისა და ყოველი მაღალი და ქედმაღლური ადგილის დასანგრევად, რომელიც აღამაღლებს საკუთარ თავს ღმერთის შემეცნების საწინააღმდეგოდ.

ეს „იარაღებია“ ქადაგებების მეშვეობით მიღებული სიტყვა, სწავლება, წიგნები, CD და DVD დისკები, კონფერენციები და ბიბლიის პირადი შესწავლა. მაგრამ ჩვენ უნდა „ვრჩებოდეთ“ სიტყვაში, სანამ იგი სულიწმიდის შთაგონების მეშვეობით მოცემულ გამოცხადებად არ გადაიქცევა. გაგრძელება მნიშვნელოვანია. მარკოზის 4:24-ში იესო ამბობს: „რომელი სანყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგენწყვებათ და მოგემატებათ“. ვიმეორებ, უნდა გავაგრძელოთ მისი სიტყვის იარაღის გამოყენება.

სხვა ორი სულიერი იარაღი, რომლებიც ჩვენთვის ხელმისაწვდომია, არის ქება და ლოცვა. ქება ამარცხებს ემმაკს უფრო

ბონება - ბრძოლის ველი

სწრაფად, ვიდრე ნებისმიერი სხვა საბრძოლო გეგმა, მაგრამ ეს უნდა იყოს ნამდვილი, გულიდან წამოსული ქება და არა უბრალოდ ბაგეების მსახურება ან მეთოდი, რომელსაც ვცდით, რომ ვნახოთ გამოგვივა თუ არა. ქებაც და ლოცვაც, ორივე შეიცავს სიტყვას. ჩვენ ვაქებთ ღმერთს მისი სიტყვის და სიკეთის თანახმად.

ლოცვა არის ურთიერთობა ღვთაებასთან. ეს არის ღმერთთან მისვლა და დახმარების თხოვნა ან საუბარი მასთან იმაზე, რაც გვანუხებს. ეს მოზიარეობაა მეგობრობა და შესაძლებლობაა მადლიერების გამოსახატავად ყველაფერი იმისათვის, რასაც ღმერთი წარმოადგენს და აკეთებს.

თუ გსურთ გქონდეთ ეფექტური ლოცვითი ცხოვრება, განავითარეთ კარგი პირადი ურთიერთობა მამასთან. იცოდეთ, რომ უყვარხართ მას, რომ იგი წყალობით აღსავსეა, დაგეხმარებათ. გაიცანით იესო. იგი თქვენი მეგობარია. ის მოკვდა თქვენთვის. გაიცანით სულიწმიდა. იგი თქვენთან არის ყოველთვის, როგორც დამხმარე. მიეცით მას საშუალება, დაგეხმაროთ.

ისწავლეთ თქვენი ლოცვების ავსება ღმერთის სიტყვით. ფსალმუნი 9:10 ამბობს, რომ ჩვენ ვეძიებთ ღმერთს მისი სიტყვის ძალაუფლებით და ჩვენი საჭიროების გამო.

ამრიგად, ჩვენი იარაღია სხვადასხვა მხრივ გამოყენებული სიტყვა. ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ სიტყვით, წარმოვთქვათ სიტყვა, ვიმღეროთ სიტყვა და შევისწავლოთ სიტყვა. როგორც მოციქული პავლე გვეუბნება 2 კორინთელთა წერილში, ჩვენი იარაღი არ არის ხორციელი, არამედ სულიერი. ჩვენ გვჭირდება სულიერი იარაღები, რადგან ჩვენ ვებრძვით ჰაერში გაბატონებულ სულებს, დიას, თავად ეშმაკსაც. იესომაც კი უდაბნოში ეშმაკის დასამარცხებლად გამოიყენა სიტყვის იარაღი. (იხ. ლუკა 4:1-13.) ყოველ ჯერზე, როცა ეშმაკი ატყუებდა მას, იესომ უპასუხა სიტყვით: „დანერილია“ და სიტყვის ციტირება მოახდინა.

როგორც კი ისწავლის მერი იარაღების გამოყენებას, იგი დაიწყებს სიმაგრეების დანგრევას, რომლებიც მის გონებაში იქნა აშენებული. იგი შეიცნობს ჭეშმარიტებას, რომელიც გაათავისუფლებს მას. ნახავს, რომ ყველა მამაკაცი არ არის მისი მინიერი მამის მსგავსი. ზოგი ჰგავს, მაგრამ ბევრი – არა. მისი მეუღლე, ჯონი არ არის მისი მსგავსი. ჯონს ძალიან უყვარს მერი.

ჯონის მხარი

ამბის მეორე მხარეს იმყოფება ჯონი. მასაც აქვს პრობლემები, რომლებიც ასევე დამხმარე ფაქტორია მდგომარეობისთვის, რომლის წინაშეც ის და მერი იმყოფებიან თავიანთ ქორწინებაში, სახლსა და ოჯახში.

ჯონს უნდა ეკავოს თავისი პოზიცია – იყოს ოჯახის თავი. ღმერთს სურს, რომ მან სულიერი ხელმძღვანელობა უზრუნველყოს ოჯახში. ჯონიც, ასევე, ხელახლად შობილია და იცის სწორი ოჯახური ცხოვრების წყობა. მან იცის, რომ არ უნდა მისცეს ცოლს უფლება მართოს სახლეულობა, ფინანსები, შვილები და ქმარი. მან იცის ეს ყოველივე, მაგრამ არაფერს აკეთებს ამასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ თავს დამარცხებულად გრძნობს და განმარტოვდება ტელევიზორის და სპორტის მეშვეობით.

ჯონი იმალება თავისი პასუხისმგებლობისგან, რადგან მას სძულს დაპირისპირება. ურჩევნია პასიური დამოკიდებულა აირჩიოს, იფიქროს: „თუ თავს დავანებებ ამ მდგომარეობას, შეიძლება თავად გამოსწორდეს“. ან, თავს იმართლებს რეალურ ქმედებაზე უარის გამო იმით, რომ ამბობს: „ვილოცებ ამაზე“. რა თქმა უნდა, ლოცვა კარგია, მაგრამ არ არის კარგი თუ იგი უბრალოდ პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ხერხია.

ნება მიბოძეთ განვმარტო რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ჯონმა თავის თავზე უნდა აიღოს მისთვის ღმერთის მიერ მიცემული პოზიცია სახლში. მე არ ვგულისხმობ, რომ იგი დაესხას თავს „მისტერ მაჩოს“ მსგავსად, ტრაბახობდეს და ბოდავდეს თავისი ძალაუფლებით. ეფესელთა 5:25 გვასწავლის, რომ მამაკაცს უნდა უყვარდეს თავისი ცოლი ისევე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია. ჯონმა უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა, ხოლო პასუხისმგებლობას მოყვება ძალაუფლება. იგი სიყვარულით ურყევი უნდა იყოს თავის ცოლთან. მან უნდა ეცადოს დაარწმუნოს მერი, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი ბავშვობაში გულდაჭრილი იყო მამის გამო, თუკი დღეს თავის თავს ღმერთს ჩააბარებს, დაარწმუნდება, რომ ყველა მამაკაცი არ ჰგავს მამამისს.

ჯონმა უამრავი რამ უნდა გააკეთოს; მაგრამ, მერის მსგავსად, მასაც აქვს ჩამოყალიბებული „გარკვეული აზროვნება“, რომელიც ეშმაკს უღებს კარს, რათა ტყვეობაში ამყოფებდეს მას. ასევე ჯონის გონებაშიც მიმდინარეობს ბრძოლა, მერის მს-

ბონება - ბრძოლის ველი

გავსად, მასაც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა ბავშვობაში. მის მბრძანებლურ დედას ჰქონდა ბასრი ენა და გამუდმებით ეუბნებოდა მას გულსატკენ სიტყვებს, მაგალითად: „ჯონ, რა უგუნური ხარ; შენ ვერასოდეს ვერ მიაღწევ რაიმეს“.

ჯონი ბევრს ცდილობდა ეამებინა დედამისისთვის, რადგან ეძებდა მისგან აღიარებას (ყველა ბავშვის მსგავსად); მაგრამ, რაც უფრო მეტს ცდილობდა, მეტ შეცდომებს უშვებდა. ჩვევად ჰქონდა მოუქნელობა და ამიტომ დედა გამუდმებით ეუბნებოდა, თუ რა უგუნური იყო იგი. რა თქმა უნდა, მას ხელიდან უვარდებოდა ნივთები, რადგან ისე ძლიერ ცდილობდა ეამებინა, რომ ნერვიულობდა, და ასე მან დაამარცხა თავისი დანიშნულება.

მან ასევე განიცადა გარკვეული უიღბლო უარყოფა ბავშვებისგან, ვისთანაც მეგობრობა სურდა. ასეთი რამ ემართება მრავალ ჩვენთაგანს ჩვენი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, მაგრამ ამან გაანადგურა ჯონი, რადგან იგი უკვე უარყოფილად გრძნობდა თავს დედის მხრიდან.

და იყო ერთი გოგო, რომელიც მას ნამდვილად მოსწონდა სკოლის წლებში. მან სხვა ბიჭი არჩია ჯონს. იმ დროისთვის, როცა ეს ყველაფერი ერთმანეთს მიება ჯონის ცხოვრებაში და ეშმაკი მუშაობდა მასზე, აშენებდა სიმაგრეებს მის გონებაში მრავალი წლის განმავლობაში, ჯონს უბრალოდ აღარ ჰქონდა გამბედაობა რამისათვის, გარდა წყნარად ყოფნისა, გაუბედაობისა და უკან დახევისა.

ჯონი არა-ხმაურიანი ტიპის ადამიანია, რომელსაც უბრალოდ ურჩევნია არ ააღელვოს ტალღები. წლების განმავლობაში მას ჰქონდა შემდეგნაირი აზრები: „აზრი არ აქვს ეუბნებოდე ვინმეს თუ რას ფიქრობ; მაინც არ მოგისმენენ. თუ გინდა რომ ხალხმა მიგიღოს, უბრალოდ უნდა დაეთანხმო მათ იმაში, რაც სურთ. დაანებე ყველაფერს თავი, რაც არ უნდა თქვა, ეს მაინც არ იქონიებს არანაირ გავლენას“.

რამდენჯერმე სცადა თავისის გატანა, მაგრამ ისე ჩანდა, რომ თითქმის ყოველთვის მარცხდებოდა, ამიტომაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, რომ დაპირისპირება ძალისხმევად არ ღირდა.

„მაინც დავმარცხდები ბოლოში,“ ფიქრობდა იგი, „ამიტომ რა აზრი აქვს რაიმეს დანყებას?“

რა არის პასუხი?

„უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხოვრებულთა სახარებად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“.

ლუკა 4:18,19

ჯონის და მერის კონფლიქტური პრობლემებით არ არის იმდენად ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორია მათი ოჯახური ცხოვრება. გახსოვდეთ, მე ვთქვი, რომ ძალიან ბევრი უთანხმოება იყო იქ. უთანხმოება ყოველთვის არ წარმოადგენს ღია ბრძოლას. ხშირად, უთანხმოება წარმოადგენს გაღიზიანებულ ფარულ დინებას სახლში, რომელსაც ყველა ამჩნევს, მაგრამ არავინ ცდილობს მის მოგვარებას. ატმოსფერო მათ სახლში საშინელია – იგი სავსეა დაძაბულობით და ეშმაკს მოსწონს ეს!

რა ელით ჯონს, მერის და მათ შვილებს? მიაღწევნ წარმატებას? ისინი ქრისტიანები არიან – სირცხვილი იქნება იმის დანახვა, თუკი მათი ქორწინება დაინგრევა და ოჯახი განადგურდება. თუმცა, ფაქტობრივად, ეს მათზე დამოკიდებულია. იოანეს 8:31,32 საკვანძო მუხლები იქნება მათ გადანყვეტილებაში. თუ ისინი გააგრძელებენ ღმერთის სიტყვის შესწავლას, შეიცნობენ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტებაში მოქმედება გაათავისუფლებს მათ. მაგრამ, თითოეული მათგანი უნდა დაუპირისპირდეს ჭეშმარიტებას საკუთარ თავთან მიმართებაში და წარსულთან ისე, როგორც ღმერთი განუცხადებს მათ.

ჭეშმარიტება ყოველთვის არის გაცხადებული სიტყვის მეშვეობით; მაგრამ სამწუხაროდ, ხალხი ყოველთვის არ ღებულობს მას. მტკივნეული პროცესია ჩვენს ნაკლებთან დაპირისპირება და მათი დაძლევა. ზოგადად რომ ვთქვათ, ხალხი ამართლებს არასწორ საქციელს. ისინი ნებას რთავენ წარსულს და საკუთარ აღზრდას ნეგატიური გავლენა მოახდინონ მათსავე ცხოვრებაზე.

ჩვენმა წარსულმა შეიძლება ახსნას თუ რატომ ვიტანჯებით, მაგრამ არ უნდა გამოვიყენოთ იგი თავის გამართლებისთვის, რათა შებოჭილები დავრჩეთ.

არავის აქვს თავის მართლების უფლება, რადგან იესო მზად არის აღასრულოს თავისი აღთქმა და გაათავისუფლოს ტყვე-

ბონება - ბრძოლის ველი

ბი. იგი გაგვიყვანს გამარჯვების ფინიშის ხაზამდე ნებისმიერ სფეროში, თუ ჩვენ სურვილი გვექნება, რომ მთელი ეს გზა მასთან ერთად განვვლოთ.

ბამოსავალი

„არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; და სარწმუნო ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ ატანა“.

1 კორინთელთა 10:13

იმედია, რომ ამ ტიპის იგავის მაგალითიდან ხედავთ თუ როგორ იყენებს ეშმაკი ჩვენს გარემოებებს და აშენებს სიმაგრეებს ჩვენს ცხოვრებაში – როგორ აწარმოებს ომს გონების ბრძოლის ველზე. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენ გვაქვს იარაღები სიმაგრეების დასანგრევად. ღმერთი არასოდეს მიგვაგდებს და არ დაგვტოვებს ჩვენ გამარჯვების გარეშე. პირველ კორინთელთა 10:13 გვპირდება, რომ ღმერთი არ დაუშვებს, რომ გამოვიცადოთ იმაზე მეტად, ვიდრე შეგვიძლია გავუძლოთ, მაგრამ ყოველ ცდუნებასთან ერთად იგი ასევე გამოსავალსაც მოგვცემს.

ნებისმიერი ჩვენთაგანი შეიძლება იყოს მერი ან ჯონი. დარწმუნებული ვარ, რომ მრავალი ჩვენთაგანი დაკავშირებულია გარკვეულწილად ამ სცენართან. მათი პრობლემები შინაგანია – მათ აზრებსა და დამოკიდებულებებში. მათი გარეგნული ქმედებები მხოლოდ შედეგია მათი შინაგანი ცხოვრებისა. ეშმაკმა კარგად იცის, რომ თუ იგი შეძლებს ჩვენი აზრების მართვას, შეძლებს ჩვენი მოქმედებების კონტროლსაც.

შეიძლება თქვენ გაქვთ გარკვეული დიდი სიმაგრეები თქვენს ცხოვრებაში, რომლებიც უნდა დაინგრეს. მინდა გაგამხნევოთ შემდეგი სიტყვებით: „ღმერთი თქვენს მხარეზეა“. მიმდინარეობს ომი, ხოლო თქვენი გონება ბრძოლის ველია. მაგრამ კარგი ამბავი ისაა, რომ ღმერთი თქვენს მხარეზე იბრძვის.

თავი

2

სასიცოცხლო აუცილებლობა

სასიცოცხლო აუცილებლობა

ეს ერთი მუხლი გვეხმარება გავიგოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სწორად ვფიქრობდეთ. აზრები ძლიერია, და იგავების ნიგნის ავტორის თქმით, მათ შემოქმედების უნარი აქვთ. თუ ჩვენი აზრები გავლენას ახდენენ ჩვენს ჩამოყალიბებაზე, მაშინ პრიორიტეტად უნდა გვექონდეს, რომ სწორი ფიქრებით ვფიქრობდეთ.

„რადგან როგორც ის ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი“.

იგავები 23:7

მინდა შთაგაგონოთ იმის აუცილებლობა, რომ თქვენი აზროვნება მოიყვანოთ მწყობრში ღმერთის სიტყვის მიხედვით.

ვერ გექნებათ დადებითი ცხოვრება და ნეგატიური აზროვნება.

სორციელი გონება სულიერი გონების წინააღმდეგ

„ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან – სულიერზე“.

რომაელთა 8:5

მეფე იაკობის ვერსიაში რომაელთა მიმართ წერილის მერვე თავი გვასწავლის, რომ თუ ჩვენ ხორციელი „ფიქრები“ გვექნება, მაშინ ხორციში ვივლით; ხოლო, თუ სულიერი „ფიქრები“ გვექნება – სულში ვივლით.

მოდით, სხვანაირად გამოვხატოთ ეს: თუ ხორციელი აზრებით ვიფიქრებთ, არასწორი აზრებით, ნეგატიური აზრებით, ვერ ვივლით სულით. განახლებული ღვთისწიერი აზროვნება სასიცოცხლო აუცილებლობაა წარმატებული ქრისტიანული ცხოვრებისთვის.

ხანდახან არის, რომ ჩვენ ადამიანებს გვეზარება რაიმე, თუ არ გავაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასზე ყუ-

გონება - ბრძოლის ველი

რადღების გამახვილება. მაგრამ, როცა მიხვდებით, რომ ამან შეიძლება დიდი პრობლემები გამოიწვიოს, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ ვინცებთ მოქმედებას.

მაგალითად, ვთქვათ, რომ ბანკი გირეკავთ და გეუბნებათ, რომ თქვენს ანგარიშში გადაჭარბებული გაქვთ კრედიტი რვაას ორმოცდაათი დოლარით. თქვენ მყისვე იწყებთ პრობლემის ძიებას. შეიძლება ძიებაში აღმოაჩინოთ, რომ არ შეიტანეთ დეპოზიტი, რომელიც გეგონათ, რომ შეტანილი გქონდათ. მაშინვე გარბიხართ ბანკში დეპოზიტით, რათა დამატებითი პრობლემები არ შეგექმნათ.

მინდა განიხილოთ გონების განახლების ეს საკითხი იგივენაირად.

თქვენი ცხოვრება შეიძლება ქაოსურ მდგომარეობაში იყოს წლების მანძილზე შექმნილი არასწორი აზროვნების გამო. თუ მართლაც ასეა, მნიშვნელოვანია ჩაეჭიდოთ იმ ფაქტს, რომ თქვენი ცხოვრება ვერ დალაგდება, სანამ არ დალაგდება თქვენი გონება. თქვენ უნდა მიიჩნიოთ ეს სფერო სასიცოცხლო აუცილებლობად. სერიოზულად შეუდექით ეშმაკის სიმაგრეების დანგრევას, რომლებიც მან ააშენა თქვენს გონებაში. გამოიყენეთ თქვენი იარაღები – ღვთის სიტყვა, ქება და ლოცვა.

სულით

„არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულით, - ამბობს ცაბაოთ უფალი“.

ზაქარია 4:6

ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება თავისუფლების მისაღწევად არის ღმერთისგან დახმარების თხოვნა – თანაც ხშირად თხოვნა.

თქვენი ერთ-ერთი იარაღი ლოცვაა. ვერ დაძლევთ თქვენს მდგომარეობას მხოლოდ სიმტკიცით. უნდა იყოთ მტკიცენი, მაგრამ მტკიცენი სულიწმიდაში და არა თქვენი ხორცის მცდელობებით. სულიწმიდა თქვენი დამხმარეა – ეძიეთ მისი დახმარება. დაეყრდენით მას. ვერ შეძლებთ მარტოდ ამის გაკეთებას.

სასიცოცხლო აუცილებლობა

მორწმუნისთვის სწორი აზროვნება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. სასიცოცხლო აუცილებლობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს არ შეუძლია მის გარეშე ცხოვრება – როგორც გულისცემა ან სისხლის წნევა აუცილებელი. ეს ისეთი რაღაცეებია, რის გარეშეც სიცოცხლე არ არსებობს.

უფალმა შთამაგონა ამ ჭეშმარიტებით მრავალი წლის წინ მასთან პირად ურთიერთობასთან დაკავშირებით ლოცვისა და სიტყვის აუცილებლობაში. საშინლად მიჭირდა საკუთარი თავის დისციპლინირება ამ რამეების გასაკეთებლად, სანამ მან არ დამანახა, რომ ისინი სასიცოცხლოდ აუცილებელია. ისევე, როგორც ჩემი ფიზიკური ცხოვრება დამოკიდებული ჩემს სასიცოცხლო ნიშნებზე, ასევე ჩემი სულიერი ცხოვრებაც დამოკიდებულია ღმერთთან ერთად რეგულარული, ჯანსაღი დროის გატარებაზე. როცა ვისწავლე, რომ მასთან მოზიარეობა სასიცოცხლოდ აუცილებელია, მას პრიორიტეტი მივანიჭე ჩემს ცხოვრებაში.

ასევე, როცა მივხვდი, რომ სწორი აზროვნება აუცილებელია გამარჯვებული ცხოვრებისათვის, მეტად სერიოზულად მივუდექი იმაზე ფიქრს, თუ რაზე ვფიქრობ და საკუთარი აზრების ფრთხილად არჩევა დავიწყე.

როგორც აზროვნებით, ისეთივე ხარო

„ან ხეც კარგად სცანით და მისი ნაყოფიც, ან ხეც ცუდად და მისი ნაყოფიც, ვინაიდან ხე ნაყოფით შეიცნობა“.

მათე 12:33

ბიბლია ამბობს, რომ ხე ნაყოფით შეიცნობა.

იგივე ხდება ჩვენს ცხოვრებაშიც. აზრებს მოაქვთ ნაყოფი. იფიქრეთ კეთილი ფიქრებით და თქვენს ცხოვრებაში იქნება კეთილი ნაყოფი. იფიქრეთ ცუდი აზრებით, და თქვენს ცხოვრებაში იქნება ცუდი ნაყოფი.

ფაქტობრივად, შეგიძლიათ შეხედოთ ადამიანის დამოკიდე-

ბონება - ბრძოლის ველი

ბულებას და გაიგოთ თუ როგორი აზროვნება ჭარბობს მის ცხოვრებაში. სათნო, კეთილ ადამიანს არ გააჩნია უპატიოსნო, შურისმგებელი ფიქრები. ასევე, ნამდვილად ბოროტ ადამიანს არ გააჩნია კეთილი აზრები.

გახსოვდეთ იგავების 23:7 და საშუალება მიეცით მას გავლენა მოახდინოს თქვენს ცხოვრებაზე: რადგან როგორც ფიქრობ შენს გულში, ისეთივე ხარ. მე გამუდმებით ვამბობ: „სადაც გონება მიდის, ადამიანიც იქ მიყვება მას“.

თანვი

3

არ დანებდი!

არ დანებდი!

მიუხედავად იმისა, რა მიძიმეც არ უნდა იყოს თქვენი ცხოვრების და გონების მდგომარეობა, არ დანებდეთ! დაიბრუნეთ ის ტერიტორია, რომელიც ეშმაკმა მოგპარათ. თუ საჭირო გახდა ჯერ ნაწილ-ნაწილ დაიბრუნეთ და სასურველი შედეგების მისაღწევად ყოველთვის დაეყრდენით ღმერთის მადლს და არა საკუთარ უნარს.

„სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის დროზე მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით“.

გალატელთა 6:9

გალატელთა 6:9-ში მოციქული პავლე უბრალოდ გვამხნევენს, რათა ვაგრძელებდეთ წინსვლას! ნუ იქნებით საქმის მიმტოვებელი! ნუ გექნებათ ეს ძველი „დანებების“ სული. ღმერთი ეძებს ხალხს, რომლებიც სრულ გზას გაივლიან მასთან ერთად.

ბოლომდე გავლა

„როდესაც გაივლით წყლებში, მე თქვენთანა ვარ, და – მდინარეებში, არ წაგლეკავენ. როდესაც ცეცხლში გაივლით, არ დაიწვებით და ალი არ დაგწვავთ“.

ესაია 43:2

რამიც არ უნდა გადიოდეთ ახლა და რასაც არ უნდა განიცდიდეთ თქვენს ცხოვრებაში, გაგამხნევენ, რომ ბოლომდე გაიაროთ და არ დანებდეთ!

აბაკუმის 3:19 ამბობს, იმისათვის, რომ ირმის ფეხები შევისხათ, უნდა ვიაროთ (არ ვიდგეთ შიშში, არამედ ვიაროთ) და [სულიერ] წარმატებას მივალწიოთ და მაღალ ადგილებზე ზევიდან გადავიაროთ [პრობლემა, ტანჯვა ან პასუხისმგებლობა]!

ღმერთი გვეხმარება სულიერ წინსვლაში იმით, რომ ჩვენთან არის, გვაძლიერებს და გვამხნევენს: „გააგრძელე წინსვლა“ რთულ მომენტებში.

დანებება ადვილია; რწმენაა საჭირო, რომ ბოლომდე მიხვიდე.

არჩევანი თქვენზე!

**„მონმედ მოვუწოდებ დღეს თქვენს წინაშე ცასა და მიწას:
სიცოცხლე და სიკვდილი, კურთხევა და წყევლა დაგიდევთ
წინაშე. ამოირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო შენ და შენმა
შთამომავლობამ“.**

მეორე რჯული 30:19

ჩვენთან ყოველდღიურად ათასობით აზრი მოდის. გონება უნდა განახლდეს, რათა მიყვებოდეს სულს და არა ხორცს. ჩვენმა ხორციელმა (ამქვეყნიურმა, მიწიერმა) გონებამ იმდენი გამოცდილება მიიღო თავისუფლად მოქმედებაში, რომ ნამდვილად აღარ გვჭირდება ძალისხმევა იმისათვის, რომ არასწორი ფიქრებით ვიფიქროთ.

მეორეს მხრივ, ჩვენ განზრახ უნდა ავირჩიოთ სწორი აზროვნება. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გადაწყვეტთ, რომ ღმერთის გონების მსგავსი გონება გვქონდეს, მოგვინევს ავირჩიოთ და გავაგრძელოთ სწორი ფიქრებით ფიქრი.

როდესაც გვეწყება გრძნობა, რომ გონების ბრძოლა ძალიან ძნელია და ვერ შევძლებთ ბრძოლას, უნდა შეგვეძლოს ამგვარი აზროვნების დანგრევა და ავირჩიოთ აზრი, რომ გამოგვივა! ჩვენ არა მარტო უნდა ავირჩიოთ, რომ გამოგვივა, არამედ უნდა გადაწყვიტოთ კიდევაც, რომ არ დავენებდებით. ეჭვებით და შიშებით დაბომბილები უნდა დავდგეთ და ვთქვათ: „არასოდეს დავენებდები! ღმერთი ჩემს მხარეზეა, მას ვუყვარვარ და იგი მეხმარება!“

ჩვენ მრავალი გადაწყვეტილება გვექნება მისაღები მთელი ცხოვრების განმავლობაში. მეორე რჯულის 30:19-ში უფალმა უთხრა თავის ხალხს, რომ მან მათ წინაშე დადო სიცოცხლე და სიკვდილი და მოუწოდებდა, რომ აერჩიათ სიცოცხლე. ასევე იგავები 18:21-ში გვეთქვა: „სიკვდილი და სიცოცხლე ენის ხელშია, და მისი მოყვარულნი იგემებენ მის ნაყოფს“.

ჩვენი ფიქრები გადაიქცევა ჩვენს სიტყვებად. ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სიცოცხლის წარმომქმნელ აზრებს ვირჩევდეთ. როცა ვაკეთებთ ამას, მათ სწორი სიტყვები მოყვება.

არ დანებდით!

როცა ბრძოლა დაუსრულებელი ჩანს და თქვენ ფიქრობთ, რომ ვერასოდეს მიაღწევთ წარმატებას, გახსოვდეთ, რომ თქვენ გადააპროგრამებთ საკმაოდ ხორციელ, ამქვეყნიურ აზროვნებას, რომ იფიქროს ღმერთის მსგავსად.

შეუძლებელია? არა!

რთულია? კი!

მაგრამ, უბრალოდ იფიქრეთ, რომ ღმერთი გყავთ თქვენს გუნდში. მე მჯერა, რომ ის ყველაზე საუკეთესო „კომპიუტერის პროგრამისტია“. (თქვენი გონება ჰგავს კომპიუტერს, რომელშიც მთელი ცხოვრება ნაგავი პროგრამდებოდა.) ღმერთი მუშაობს თქვენზე; ყოველ შემთხვევაში, თუ თქვენ მიიწვიეთ იგი თქვენი აზრების სამართავად. იგი თქვენი გონების ხელახლად დაპროგრამებას ახდენს. უბრალოდ გააგრძელეთ თანამშრომლობა მასთან – და არ დანებდეთ!

ამას ნამდვილად დასჭირდება დრო, და ეს ყველაფერი არ იქნება ადვილი, მაგრამ თქვენ სწორი მიმართულებით იმორავებთ, თუ აირჩევთ ღმერთის აზროვნების გზას. თქვენ დროს საქმის კეთებაში გაატარებთ, რათა ისიც წინ მიიწვედეს და მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრება არ რჩებოდეს იგივე არეულობაში.

შემოგზავნილი და დაუფლავი!

„უფალმა, ღმერთმა ჩვენმა, გვითხრა ხორებში: „გეყოფათ თქვენ ამ მთაზე ცხოვრება; გაბრუნდით და გაემგზავრეთ, მიდით ამორეველთა მთაზე... აჰა, მოგეცით თქვენ ეს ქვეყანა. მიდით და დაიმკვიდრეთ ქვეყანა, რომლის მოცემაც გულით აღუთქვა უფალმა თქვენს მამებს: აბრაამს, ისაკსა და იაკობს, და მათ მოდგმას მათ შემდგომ“. მეორე რჯული 1:6-8

მეორე რჯულის 1:2-ში მოსემ მიუთითა ებრაელებს, რომ ქანაანის (აღთქმული მიწა) საზღვრამდე მხოლოდ თერთმეტი დღის სავალი გზა იყო, თუმცა მათ ორმოცი წელიწადი დასჭირდათ რომ იქამდე მიეღწიათ. შემდეგ მე-6 მუხლში მან უთხრა: „უფალმა, ღმერთმა ჩვენმა, გვითხრა ხორებში: „გეყოფათ თქვენ

ბონება - ბრძოლის ველი

ამ მთაზე ცხოვრება; გაბრუნდით და გაემგზავრეთ, მიდით ამორეველთა მთაზე“.

საკმაოდ დიდ ხანს მკვიდრობდით თქვენც ერთ მთაზე? ორმოცი წელიწადი ხომ არ დაგჭირდათ თერთმეტი დღის სავალი გზის გასავლელად?

ჩემს ცხოვრებაში, ბოლოს და ბოლოს მომიწია გაღვიძება და გაცნობიერება, რომ არსად არ მივდიოდი. მე ვიყავი ქრისტიანი გამარჯვების გარეშე. მერისა და ჯონის მსგავსად, ბევრი არასწორი შეხედულება მქონდა და მრავალი სიმაგრე, რომლებიც წლების განმავლობაში შენდებოდა. ეშმაკი მატყუებდა და მე უუჯერებდი მას. ამიტომაც ვცხოვროდი სიცრუეში.

დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იგივე მთასთან ვიყავი. ორმოცი წელიწადი გავატარე იმის კეთებაში, რაც უფრო ხანმოკლე მოგზაურობა უნდა ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ შევიცნობდი ღმერთის ქეშმარიტებას.

ღმერთმა დამანახა, რომ ისრაელიანელები დარჩნენ უდანოში იმიტომ, რომ „უდაბნოს აზროვნება“ ჰქონდათ – გარკვეული ტიპის მცდარი აზროვნება, რომელიც მათ მონობაში ამყოფებდა. მომავალ თავში ვისაუბრებთ ამ თემაზე, მაგრამ ახლა, მინდა შეგავუღიანოთ, რომ მიიღოთ მყარი გადაწყვეტილება, რომ განიახლებთ აზროვნებას და ისწავლით თქვენი აზრების სიფრთხილით შერჩევას. აღიჭურვეთ აზრით თქვენს გონებაში, რომ არ დანებდებით, სანამ გამარჯვება სრული არ იქნება და არ დაეუფლებით თქვენს კანონიერ მემკვიდრეობას.

თავი

4

ნელ-ნელა

თქვენი გონების განახლება ნელ-ნელა მოხდება, ამიტომ ნუ აგიცრუვდებათ გული თუ წინსვლა ნელა მიმდინარეობს.

ისრაელიანებს, სანამ ისინი აღთქმულ მინაზე შევიდნენ, უფალმა უთხრა, რომ იგი განდევნიდა მათ მტრებს მათგან ნელ-ნელა, რათა მათ შორის მინდვრის ცხოველები არ გამრავლებულიყვნენ.

„განდევნის უფალი, შენი ღმერთი, და აანიოკებს მათ დიდი ანიოკებით, ვიდრე არ განადგურდებიან ისინი“.

მეორე რჯული 7:22

მე მიმაჩნია, რომ სიამაყე „ცხოველია“, რომელიც შთანგვთქავს ჩვენ თუ უცბად ზედმეტ თავისუფლებას მივიღებთ. ფაქტობრივად, უკეთესია სათითაოდ ყოველ სფეროში დამოუკიდებლობის მოპოვება ნელ-ნელა. ასე, ჩვენს თავისუფლებას უფრო მეტად დავაფასებთ; გვეცოდინება, რომ იგი ნამდვილად ღმერთისგან მიღებული საჩუქარია და არა ისეთი რამ, რასაც ჩვენი ძალებით მოვიპოვებდით.

ტანჯვა წინ უსწრავს ბათავის უფლებას

„ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა თავისი სამუდამო დიდებისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და გაგამყარებთ“.

1 პეტრე 5:10

რატომ არის საჭირო, რომ მცირეოდენი დავიტანჯოთ? ვფიქრობ, რომ იმ მომენტიდან, როცა გავაცნობიერებთ, რომ პრობლემა გვაქვს სანამ იესო არ გაგვათავისუფლებს, ტანჯვას ვიტანთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ვხარობთ, როცა თავისუფლება მოდის. როდესაც ვცდილობთ რაიმეს ჩვენი კეთებას, მარცხს განვიცდით და შემდეგ ვხვდებით, რომ მას უნდა დაველოდოთ, ჩვენი გულები ივსება მადლიერებით და ქებით, როცა იგი დგება და აკეთებს იმას, რასაც ჩვენი ვერ გავაკეთებთ.

„ამიტომ ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად“.

რომაელთა 8:1

ნუ მიიღებთ მსჯავრდადებას, როდესაც რეგრესს განიცდით ან ცუდი დღეები გაქვთ. უბრალოდ გაბრაზდით, ჩამოიბერცყეთ მტვერი და ხელახლად დაიწყეთ. როდესაც ბავშვი სიარულს სწავლობს, იგი ძალიან ბევრჯერ ეცემა, სანამ დაჯერებულად გაივლიდეს. თუმცა, ერთი რამ დადებითი თვისება, რაც ბავშვს აქვს არის ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება იტიროს ნაქცევის შემდეგ, იგი ყოველთვის დგება და ხელახლად ცდილობს გაიაროს.

ემმაკი მთელი ძალით შეეცდება თქვენს შეჩერებას გონების განახლების სფეროში. მან იცის, რომ მისი კონტროლი თქვენზე დამთავრდება, როცა ისწავლით სწორი აზრების არჩევას და არასწორის უკუგდებას. იგი შეეცდება თქვენს შეჩერებას იმედგაცრუებისა და მსჯავრდადების მეშვეობით.

როცა მსჯავრდადება მოდის, გამოიყენეთ თქვენი „უფლის სიტყვის იარაღი“. მოახდინეთ რომაელთა 8:1-ის ციტირება, და შეახსენეთ ემმაკს და საკუთარ თავს, რომ თქვენ ხორციით არ დადინართ, არამედ სულით. ხორციით სიარული საკუთარ თავზე დამოკიდებულებას ნიშნავს; სულით სიარული კი ღმერთზე დამოკიდებულებაა.

როდესაც მარცხს განიცდით (რაც იქნება კიდევაც თქვენს ცხოვრებაში), ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარუმატებელი ხართ. ეს უბრალოდ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს სწორად არ აკეთებთ. ყველამ უნდა ვალიართ ფაქტი, რომ ძლიერ თვისებებთან ერთად, ჩვენ სუსტი მხარეებიც გვაქვს. უბრალოდ მიეცით ქრისტეს საშუალება იყოს ძლიერი თქვენს სისუსტეებში; მიეცით მას საშუალება იყოს თქვენი ძალა ყოველდღიურად.

ვიმეორებ: ნუ მიიღებთ მსჯავრდადებას. თქვენი სრული გამარჯვება დადგება, მაგრამ ამას დრო დასჭირდება, რადგან იგი „ნელ-ნელა“ მოვა.

„რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო, და რად დამკვნესი? მიენდე ღმერთს, რადგან კვლავ ვადიდებ მას მისი შველისთვის“.

ფსალმუნი 41:6

იმედგაცრუება ანგრევს იმედს, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეშმაკი ყოველთვის ცდილობს ჩვენს იმედგაცრუებას. იმედის გარეშე ჩვენ ვნებდებით, ეშმაკსაც სწორედ ეს უნდა. ბიბლია გამუდმებით გვეუბნება, რომ არ დავმნუხრდეთ და არ შევემინდეთ. ღმერთმა იცის, რომ ვერ მივალწევთ გამარჯვებას, თუ გული აგვიცრუვდება, ამიტომ იგი ყოველთვის გვამხნევებს, როდესაც შევუდგებით საქმეს და გვეუბნება: „არ დამნუხრდე“. ღმერთს სურს, რომ მხნედ ვიყოთ და არა იმედგაცრუებულები.

როცა იმედგაცრუება ან მსჯავრდადება ცდილობს თქვენს დაპყრობას, გამოიკვლიეთ თქვენი ფიქრები. რა აზრებით ფიქრობდით? ამის მსგავსად ხომ არ უღერდნენ ისინი?

„მე ვერ შევძლებ; ძალიან ძნელია. ყოველთვის ვმარცხდები, ყოველთვის ერთი და იგივე ხდება, არაფერი არ იცვლება. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ადამიანებს ასე არ უჭირთ თავიანთი გონების განახლება. შეიძლება დავნებდე კიდევაც. დავილაღე მცდელობებით. ვლოცულობ, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს ღმერთს არ ესმის, იგი ალბათ არ პასუხობს ჩემს ლოცვებს, რადგან იგი ძალიან იმედგაცრუებულია ჩემი მოქმედებებით“.

თუ ეს მაგალითი თქვენს აზრებს წარმოადგენს, გასაკვირი არაა, რომ იმედგაცრუება მოდის თქვენში ან მსჯავრდადების ქვეშ ექცევით. გახსოვდეთ, თქვენ იმათ იქცევით, რაზეც ფიქრობთ. იფიქრეთ იმედგამაცრუებელი აზრებით და გული აგიცრუვდებათ. იფიქრეთ მსჯავრდადების ფიქრებით და მსჯავრდადების ქვეშ მოექცევით. შეცვალეთ თქვენი აზროვნება და გათავისუფლდით! ნეგატიურად ფიქრის ნაცვლად, ასე იფიქრეთ:

„კი, ბატონო, ყველაფერი ცოტა ნელა მიმდინარეობს, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ცოტათი მივინევ წინ. ნამდვილად კმაყოფილი ვარ, რომ სწორ გზას ვადგავარ, რომელიც თავისუფლებამდე მიმიყვანს. გუშინ მძიმე დღე მქონდა. არასწორ ფიქრებს ვირჩევდი მთელი დღის განმავლობაში. მამა, მაპატიე,

ბონება - ბრძოლის ველი

და დამეხმარე ვაგრძელებდე წინსვლას. შეცდომა დაეუშვი, მაგრამ, სულ მცირე, ამ ერთ შეცდომას მაინც აღარ გავიმეორებ. დღეს ახალი დღეა. შენ გიყვარვარ, უფალო. შენი წყალობა განახლებს ყოველ დღილით“.

„უარს ვამბობ იმედგაცრუებაზე. უარს ვამბობ მსჯავრდადებაზე. მამა, ბიბლია ამბობს, რომ შენ არ მღებ მსჯავრს. უკეთ ვიქნები – დღეს დიდებული დღე იქნება. დამეხმარე დღეს სწორი აზრები ავირჩიო“.

დარწმუნებული ვარ, უკვე შეგიძლიათ იგრძნოთ გამარჯვება ასეთ გამამხნეველ, დადებით, ღვთისმოსავ აზროვნებაში.

ჩვენ ყველაფერი მყისიერი მოგვწონს. შინაგანში გვაქვს მოთმინების სული, მაგრამ იგი გარეგნულს ემსახურება. ხანდახან ღმერთი თავის დროზე გვაძლევს ჩვენს სრულ გათავისუფლებას. იგი იყენებს მოლოდინის რთულ პერიოდს ჩვენი რწმენის გასაძლიერებლად და მოთმინების სრულად გამოსავლენად (იხ. იაკობი 1:4). ღმერთის დროები სრულყოფილია. იგი არასოდეს იგვიანებს.

აი, კიდევ ერთი კარგი ფიქრი, რომლითაც შეგიძლია ვიფიქროთ: „მე მჯერა ღმერთის. მჯერა, რომ იგი ჩემში მოქმედებს, რაც არ უნდა ვიგრძნო ან როგორც არ უნდა გამოიყურებოდეს მდგომარეობა. უფალმა დაიწყო კეთილი საქმე ჩემში და იგი ბოლომდე მიიყვანს მას“ (იხ. ფილიპელთა 2:13; 1:6).

ასე ეფექტურად შეგიძლიათ გამოიყენოთ ღმერთის სიტყვის თქვენი იარაღი სიმაგრეების დასანგრევად. გირჩევთ, არა მხოლოდ გააზრებულად იფიქროთ სწორი ფიქრებით, არამედ, რომ გააგრძელოთ კიდევ სვლა და ხმამაღლა გამოთქვათ ისინი აღიარების სახით.

გახსოვდეთ, ღმერთი გათავისუფლებთ ნელ-ნელა, ამიტომ ნუ აიცრუებთ გულს და ნუ იგრძნობთ მსჯავრდადებას, თუ შეცდომას დაუშვებთ.

იყავით მომთმენი საკუთარ თავთან მიმართებაში!

თავი

5

იყვანვი ჰმზიტიუნი

იყავი პოზიტიური

3 პოზიტიური აზროვნება წარმოქმნის პოზიტიურ ცხოვრებას. ნეგატიური აზროვნება წარმოქმნის ნეგატიურ ცხოვრებას. პოზიტიური აზრები ყოველთვის აღსავსეა რწმენითა და იმედით. ნეგატიური აზრები ყოველთვის სავსეა შიშითა და ეჭვით.

„როგორც ირწმუნე, ისე მოგეგოს“.

მათე 8:13

ზოგ ადამიანს იმედის ეშინია, რადგან ძალიან ბევრი ტკივილი მიაყენეს მათ ცხოვრებაში. მათ ბევრჯერ განიცადეს იმედგაცრუება და ფიქრობენ, რომ კიდევ ერთხელ ვერ შეძლებენ ტკივილის გადატანას. ამრიგად, ისინი უარს ამბობენ იმედზე იმიტომ, რომ არ მიიღონ იმედგაცრუება.

იმედისგან თავის არიდება ერთგვარი დაცვის მექანიზმია, ტკივილის წინააღმდეგ. იმედგაცრუება მტკივნეულია! ამიტომ, ნაცვლად კიდევ ერთი ტკივილის მიღებისა, მრავალი ადამიანი უბრალოდ უარს ამბობს იმედზე ან დაჯერებაზე, რომ რაიმე კარგი მოხდება მათ ცხოვრებაში. ასეთი ქმედება ნეგატიურ ცხოვრებას აყალიბებს. ყველაფერი ნეგატიური ხდება, რადგან აზრებიც ნეგატიურია. გახსოვდეთ იგავები 23:7 „როგორც ის ფიქრობს თავის სულში, ისეთია იგი“.

მრავალი წლის წინ, მე უკიდურესად ნეგატიური ვიყავი. ყოველთვის ვიძახი, რომ თუ მე ორ დადებით ფიქრზე თანმიმდევრულად ვიფიქრებდი, ჩემს გონებას სპაზმები დაენწყებოდა. ჩემი მთელი ფილოსოფია შემდეგნაირი იყო: „თუ თქვენ არ მოელოდებით, რომ რაიმე კარგი მოხდება, მაშინ აღარ იქნებით კიდევ ერთხელ იმედგაცრუებული“.

ძალიან ბევრ იმედგაცრუებას შევხვედრილვარ ცხოვრებაში – იმდენი დამანგრეველი რამ დამემართა – რომ მეშინოდა დაჯერება იმისა, რომ რაიმე კარგი შეიძლება მომხდარიყო. საშინლად ნეგატიური შეხედულება მქონდა ყველაფერზე. რადგანაც ჩემი ფიქრები სრულიად ნეგატიური იყო, ჩემი ბაგეც ასეთი იყო, ასეთი იყო ჩემი ცხოვრებაც.

როდესაც რეალურად დავინწყე უფლის სიტყვის შესწავლა და ღმერთისადმი მინდობა ჩემს აღსადგენად, ერთ-ერთი პირველი რამ, რასაც მივხვდი იყო ის, რომ ნეგატივიზმი უნდა წასულიყო.

ბონება - ბრძოლის ველი

მათეს 8:13-ში იესო გვეუბნება, რომ როგორც ვირწმუნებთ, ისე მოგვეგება. მეფე იაკობის ვერსია ამბობს: „როგორც ირწმუნე, ისე მოგეგოს“. ყველაფრის, რისიც მწამდა იყო ნეგატიური, ამიტომ ბუნებრივია, რომ ნეგატიური რალაცეები ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ და მე ყველაფრის მიღწევა შეგვიძლია უბრალოდ მასზე ფიქრით. ღმერთს სრულყოფილი გეგმა აქვს ყოველი ჩვენთაგანისთვის და ჩვენ ვერ გავაკონტროლობთ მას (ღმერთს) ჩვენი აზრებით და სიტყვებით; მაგრამ, უნდა ვიფიქროთ და ვილაპარაკოთ მისი ნების და გეგმის თანახმად ჩვენდამი.

თუ თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, თუ რა არის ღმერთის ნება თქვენთვის ამ დროისთვის, ფიქრით მაინც დაინყეთ. „კი, არ ვიცი ღმერთის გეგმა, მაგრამ ვიცი – მას ვუყვარვარ. რასაც ის აკეთებს კარგი იქნება, და მე ვიკურთხები“.

დაინყეთ პოზიტიურად ფიქრი თქვენს ცხოვრებაზე.

გააპრაქტიკეთ პოზიტიურად ყოფნა ნებისმიერ წარმოჩენილ სიტუაციაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება ამ მომენტისთვის არ არის კარგი, მოელოდებოდეთ, რომ ღმერთი სასიკეთოდ შემოატრიალებს მას, როგორც იგი დაგვპირდა თავის სიტყვაში.

ყოველივე სასიკეთოდ გვექცევა

„ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მონოდებულებს, ყოველმხრივ ეწევა სასიკეთოდ“.

რომაელთა 8:28

წმიდა წერილის ეს ადგილი არ ამბობს, რომ ყოველივე კარგია, არამედ რომ ყოველივე სასიკეთოდ იქცევა.

დავუშვათ, თქვენ გეგმავთ მაღაზიაში საყიდლებზე წასვლას. ჯდებათ მანქანაში და ის არ იქოქება. ორნაირად შეგიძლიათ შეხედოთ ამ მდგომარეობას. შეგიძლიათ თქვათ: „ეგრეც ვიცოდი! სულ ასე ხდება. ყოველთვის, როცა რაიმეს გაკეთება მინდა, ყველაფერი ირევა. ვიცოდი, რომ ეს საყიდლებზე გასვლა

წარუმატებლობით დასრულდებოდა“. ან შეგიძლიათ თქვათ: „კი მინდოდა საყიდლებზე წასვლა, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს ახლა ვერ შევძლებ ამას. მოგვიანებით წავალ, როცა მანქანა მწყობრში იქნება. ამასობაში, მჯერა, რომ ეს ცვლილება გეგმებში ჩემს სასიკეთოდ იმოქმედებს. ალბათ არის რაღაც მიზეზი, რატომაც სახლში უნდა ვიყო დღეს, ამიტომაც დღეს აქ ყოფნით ვისიამოვნებ“.

რომაელთა 12:16-ში მოციქული პავლე გვეუბნება, რომ ადვილად უნდა შევეწყნოთ ხალხს და გარემოებებს. აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ისეთი ადამიანი უნდა გავხდეთ, რომელიც გეგმავს, მაგრამ თავად არ ინგრევა, თუ მისი გეგმა არ განხორციელდა.

ამას წინათ მშვენიერი შესაძლებლობა მქონდა ამ პრინციპის გამოსაყენებლად. დეივი და მე ვიყავით ლეიქ უორთში ფლორიდაში. სამი დღის მსახურების შემდეგ ვალაგებდით ჩემოდნებს და ვემზადებოდით აეროპორტში წასვლისთვის შინ დასაბრუნებლად. მე ვგეგმავდი ჩამეცვა განიერი შარვალი და ბლუზი ბრტყელძირიანი ფეხსაცმლით, რათა კომფორტულად მეგრძნოთ თავი მგზავრობისას.

დავინწყე ჩაცმა და ვერ ვპოულობდი განიერ შარვალს. ყველგან მოვძებნეთ და ბოლოს აღმოვაჩინე გარდერობის ძირში. ჩამოსრილებულა საკიდიდან და საშინლად დაჭმუჭნული იყო. ჩვენ თან გვქონდა სამგზავრო უთო და შევეცადე დამეუთოებინა. ჩავიცვი სამოსელი, მაგრამ დავინახე, რომ სათანადოდ არ გამოიყურებოდა. ჩემი ერთადერთი ალტერნატივა იყო კაბა და მაღალი ქუსლები.

ვგრძნობდი, როგორ ირღვეოდა ჩემი ემოციები მდგომარეობის გამო. საქმე იმაშია, რომ ყოველთვის, როცა ვერ ვღებულობთ იმას, რაც გვსურს, ჩვენი გრძნობები წამოინევიან და შეეცდებიან საკუთარი თავის შეცოდებასა და ნეგატიურ დამოკიდებულებაში გადაგვადგონ. მყისვე მივხვდი, რომ გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. შემეძლო გავლიზიანებულიყავი იმის გამო, რომ საქმე ისე არ წავიდა, როგორც მე მსურდა, ან შემეძლო მოვრგებულიყავი სიტუაციას, წინ წავსულიყავი და მესიამოვნა მგზავრობით.

იმ პიროვნების ცხოვრებაშიც კი, ვინც რეალურად პოზიტიურია ყოველივე ისე არ ხდება, როგორც იგი მოისურვებდა ყოველთვის. მაგრამ პოზიტიურ პიროვნებას შეუძლია წინ წავიდეს და გადანყვიტოს, ისიამოვნოს მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა

ბონება - ბრძოლის ველი

მოხდეს. ნეგატიურ პიროვნებას არასოდეს შეუძლია ისიამოვნოს რამით.

სასიამოვნო არ არის ყოფნა ნეგატიურ პიროვნებასთან. მას მოლუშული, მოლრუბლული ამინდი შემოაქვს ყოველ საქმეში. ახასიათებს „სიმძიმე“. იგი მოწუნუნეა, ბუზლუნა და შარიანია. მნიშვნელობა არა აქვს თუ რამდენი კარგი რამ ხდება, იგი ყოველთვის ცდილობს ჩირქის მოცხებას ერთ რამეზე, რაც შეიძლება პოტენციური პრობლემა იყოს.

როდესაც ჩემს უკიდურეს ნეგატივიზმში ვცხოვრობდი, შემეძლო შევსულიყავი ვინმესთან სახლში, რომელიც ახალი გარემონტებული იყო და ნაცვლად იმისა, რომ დამენახა და კომენტარი გამეკეთებინა ლამაზ გარემოზე, მოვძებნიდი შპალერის კუთხეს, რომელიც დაუმაგრებელი ან დასვრილი იყო ფანჯარასთან. ძალიან მიხარია, რომ იესომ გამათავისუფლა, რათა დადებითი ვტკბებოდე ცხოვრებაში! მე თავისუფლად მჯერა, რომ მასში რწმენით და იმედით, ცუდი რალაცეებიც კი შეიძლება დადებითად იქცეს.

თუ თქვენ ნეგატიური პიროვნება ხართ, ნუ იგრძნობთ თავს მსჯავრდადებულად! მსჯავრდადება ნეგატიურია. მე ამ ყველაფერს გიზიარებთ იმისათვის, რომ თქვენ დაინახოთ თქვენი ნეგატიურობის პრობლემა და დაიწყოთ მინდობა ღმერთზე, რათა აღგადგინოთ და არა რომ ნეგატიურად განგანყოთ თქვენს ნეგატიურობაზე.

მშვიდობისკენ მიმავალი გზა იწყება, როდესაც ჩვენ პრობლემას თავის მართლების გარეშე ვუპირისპირდებით. დარწმუნებული ვარ, რომ თუ თქვენ ნეგატიური პიროვნება ბრძანდებით, ყოველთვის არსებობს ამის მიზეზიც. მაგრამ გახსოვდეთ, როგორც ქრისტიანი, ბიბლიის თანახმად, თქვენ ახალი პიროვნება ხართ.

ახალი დღე!

„მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა და ახლა ყოველივე ახალია“.

2 კორინთელთა 5:17

როგორც „ახალი ქმნილება“, თქვენ არ უნდა მისცეთ უფლება ძველ რამეებს, რაც თქვენს ცხოვრებაში მოხდა, გავლენას ახდენდეს თქვენს ახალ ცხოვრებაზე ქრისტიეში. თქვენ ახალი ქმნილება ხართ ახალი სიცოცხლით ქრისტიეში. თქვენ შეგიძლიათ განიახლოთ გონება ღმერთის სიტყვის თანახმად, რომ დადებითი რამ გელოდებათ ცხოვრებაში.

გაიხარეთ! ახალი დღეა!

სულიწმიდის საქმიანობა

„მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ. და როცა ის მოვა, ამხილებს სოფელს ცოდვის, სიმართლისა და განკითხვის გამო“.

იოანე 16:7,8

ნეგატივიზმისგან გათავისუფლების ყველაზე რთული ნაწილი ჭეშმარიტების დანახვა და შემდეგ თქმაა: „მე ნეგატიური პიროვნება ვარ და მინდა შეცვლა. არ შემიძლია შევიცვალო ჩემით, მაგრამ მჯერა ღმერთი შემცვლის მე, რადგან ვენდობი მას. ვიცი, ამას დრო დასჭირდება და არ ვაპირებ საკუთარი თავით იმედგაცრუებას. ღმერთმა დაიწყო კეთილი საქმე ჩემში და მას შეუძლია კიდევაც მისი ბოლომდე მიყვანა“ (იხ. ფილიპ. 1:6).

სთხოვეთ სულიწმიდას გამხილოთ ყოველთვის, როდესაც ნეგატიურობაში გადადიხართ. ეს მისი საქმის ნაწილია. იოანეს 16:7,8 გვასწავლის, რომ სულიწმიდა გვამხელს ცოდვისთვის და დაგვარწმუნებს სიმართლეში. როდესაც მხილება მოდის, სთხოვეთ ღმერთს დაგეხმაროთ. ნუ იფიქრებთ, რომ თავად შეგიძლიათ შეცვლა. დაეყრდენით ღმერთს.

მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად ნეგატიური ვიყავი, ღმერთმა მიმახვედრა, რომ თუ მას მივუდობოდი, იგი დამეხმარებოდა საკმაოდ პაზიტიური გავმხდარიყავი. ძალიან მიჭირდა ჩემი გონების პოზიტიურობის შენარჩუნება. ახლა, ველარ ვიტან ნეგატივიზმს. იგი მსგავსია ადამიანის, რომელიც ეწევა. ხშირად, როცა მწვევლი დაანებებდა მოწვევას თავს, ველარ იტანდა სიგარეტს. მეც ასე ვარ. მრავალი წლის განმავლობაში

ბონება - ბრძოლის ველი

ვენეოდი, მაგრამ მას შემდეგ რაც თავი დავანებე, სიგარეტის ბოლის სუნსაც კი ველარ ვიტან.

იგივენაირად ვარ ნეგატიურობის მიმართაც. საკმაოდ ნეგატიური პიროვნება ვიყავი. ახლა, საერთოდ ვერ ვიტან ნეგატივიზმს; იგი ლამის შეურაცხმყოფელია ჩემთვის. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში იმდენი კარგი რამ მინახავს მას შემდეგ, რაც გავთავისუფლდი ნეგატიური აზროვნებისგან, რომ ახლა ვენინააღმდეგები ნებისმიერ ნეგატიურს.

მე თვალს ვუსწორებ რეალობას და მოგიწოდებთ, რომ თქვენც იგივენაირად მოიქცეთ. თუ ავად ხართ, ნუ იტყვი: „არ ვარ ავად,“ რადგან ეს სიმართლე არ არის; არამედ თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „მჯერა, რომ ღმერთი მკურნავს“. არ უნდა თქვათ: „ალბათ უფრო ცუდად გავხდები და საავადმყოფოში აღმოვჩნდები“; ნაცვლად ამისა, შეგიძლიათ თქვათ: „ღმერთის მკურნალი ძალა მოქმედებს ახლა ჩემში; მჯერა, რომ კარგად ვიქნები“.

უგუნურებაა რეალობის დანახვაზე უარის თქმა; თუმცა, თუ ჩვენი რეალობა ნეგატიურია, ჩვენ მაინც შეგვიძლია დადებითი განწყობა ვიქონიოთ მის მიმართ. ყოველთვის იყავით მზად, გონებრივად დაუპირისპირდეთ ნებისმიერ რამეს, რაც არ უნდა მოვიდეს, და გწამდეთ, რომ ღმერთი ყოველივეს სასიკეთოდ აქცევს.

მზადყოფნაში მყოფი ბონება

„ესენი უფრო კეთილშობილები იყვნენ თესალონიკელებზე. მათ მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა, ყოველდღე არჩევდნენ წერილებს, ნამდვილად ასე თუ არისო“.

საქმეები 17:11

ბიბლია ამბობს, რომ ჩვენი გონება მზადყოფნაში უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ გახსნილი გონება უნდა გვქონდეს ჩვენდამი ღმერთის ნების მიმართ, როგორიც არ უნდა იყოს იგი.

მაგალითად, ამას წინათ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელსაც მე ვიცნობ, ნიშნობა დაერღვა. იგი და ახალგაზრდა მამაკაცი ლოცულობდნენ, უფალი გააგრძელებინებდა მათ შეს-

ვედრებს თუ არა, თუმცა, მათ გადანყვეტილი ჰქონდათ, რომ ჯერ არ დაქორწინებულიყვნენ. ახალგაზრდა ქალბატონს სურდა ურთიერთობების გაგრძელება და ფიქრობდა, იმედი ჰქონდა და სჯეროდა, რომ მისი ყოფილი საქმრო დაურეკავდა და იგივეს განიცდიდა.

მე ვურჩიე მას ჰქონოდა „მზადყოფნაში მყოფი გონება“ იმ შემთხვევაში, თუ ისე არ მოხდებოდა, როგორც ის ელოდა. მან თქვა: „განა ეს ნეგატიურობა არაა?“

არა, არ არის!

ნეგატივიზმი იქნებოდა რომ ეფიქრა: „ჩემი ცხოვრება დასრულდა; არავინ აღარ მოისურვებს ჩემთან ყოფნას. მე მარცხი განვიცადე, ახლა სამუდამოდ დამცირებული დავრჩები!“

პოზიტიურად განწყობილი იტყოდა: „მართლა ვწუხვარ, რომ ეს მოხდა, მაგრამ მე მივენდობი ღმერთს. იმედი მაქვს, რომ მე და ჩემი შეყვარებული შევძლებთ ისევე შეხვედრებს. მე ვთხოვ და ვირწმუნებ, რომ ჩვენი ურთიერთობა აღდგება; მაგრამ ყველაზე მეტად, მე მსურს ღმერთის სრულყოფილი ნება აღსრულდეს. თუ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მე მსურს, გადავრჩები, რადგან იესო ცხოვრობს ჩემში. შეიძლება ცოტახანს გამიჭირდეს, მაგრამ მე ვენდობი უფალს. მნამს, რომ საბოლოოდ ყოველივე სასიკეთოდ მენევა“.

ეს არის ფაქტების წინაშე დგომა, მზადყოფნაში მყოფი გონების ქონა და პოზიტიურობის შენარჩუნება.

მიმაჩნია, რომ ეს არის ჯანსაღი, კარგად დაბალანსებული დამოკიდებულება.

იბელის ძალა

„რომელიც (აბრაამი) უსასოებაში ერწმუნა სასოებით, რათა გამხდარიყო მრავალი ხალხის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“.

არ დაუძღურებულა რწმენაში, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო.

მაგრამ იგი არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნოებით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს“.

რომაელთა 4:18-20

ბონება - ბრძოლის ველი

დეივს და მე გვწამს, რომ ჩვენი მსახურება ქრისტეს სხეულში ყოველწლიურად გაიზრდება. ჩვენ ყოველთვის გვსურს მეტადამიანს დავეხმაროთ. მაგრამ ამავედროულად ვაცნობიერებთ იმასაც, რომ თუ ღმერთს განსხვავებული გეგმა ექნება და წლის ბოლოსთვის არ გვექნება ზრდა (ყოველივე ისევე იქნება, როგორც დანყებისას), არ მივცემთ ამ სიტუაციას საშუალებას აკონტროლოს ჩვენი სიხარული.

ჩვენ ბევრი რამის გვწამს, მაგრამ ამ ყველაფერზე მეტად, ჩვენ ერთი ვილაციის გვწამს. ეს იესოა. ჩვენ ყოველთვის არ ვიცით თუ რა მოხდება. მხოლოდ ის ვიცით, რომ ყოველივე სასიკეთოდ გვეწევა!

რაც უფრო მეტად პოზიტიურები გავხდებით თქვენ და მე, მით უფრო მეტად ვიქნებით ღმერთის ნაკადში. ღმერთი უდავოდ პოზიტიურია, და იმისათვის, რომ მასთან ერთად ვიღინოთ, ჩვენც ასევე პოზიტიურები უნდა ვიყოთ.

თქვენ შეიძლება ნამდვილად არახელსაყრელი გარემოებები გქონდეთ. შეიძლება ფიქრობდეთ: „ჯოის, შენ რომ იცოდე ჩემი მდგომარეობა, არც კი გექნებოდა მოლოდინი, რომ პოზიტიური ვყოფილიყავი“. პოზიტიურობა პოზიტიურ ვითარებაში ადვილია. ყველას შეუძლია ეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ პოზიტიურები ვართ ნეგატიურ სიტუაციაში, ეს აჩვენებს ღმერთისადმი ნამდვილ ნდობას და სულიერ მონიჭულობას, რომელიც აამებს და განადიდებს უფალს.

მე მოგიწოდებთ თქვენ ხელახლად წაიკითხოთ რომაელთა 4:18-20, სადაც ნათქვამია, რომ აბრაამი, მას შემდეგ, რაც შეაფასა თავისი მდგომარეობა (მან იგნორირება არ გაუკეთა ფაქტებს), დაინახა (ზედაპირულად იფიქრა) მისი სხეულის სრული უძლურება და სარას მკვდარი საშოს უნაყოფობა. თუმცა ყოველი ადამიანური მიზეზი იმედისათვის გამქრალი იყო, მან რწმენით დადო იმედი.

აბრაამი საკმაოდ პოზიტიური იყო საკმაოდ ნეგატიურ მდგომარეობასთან მიმართებაში!

ებრაელთა 6:19 გვეუბნება, რომ იმედი სულის ღუზაა. იმედი არის ძალა, რომელიც გამძლეობას გვაძლევს განსაცდელის დროს. არასოდეს შეწყვიტოთ იმედი. თუ შეწყვეტთ, მაშინ საცოდავი ცხოვრება გექნებათ. თუ უკვე გაქვთ საცოდავი ცხოვრება, რადგან არ გაქვთ იმედი, დაიწყეთ დაიმედება. ნუ შეგეშინდებათ. ვერ შეგპირდებით, რომ ყოველთვის ყველაფერი

ზუსტად ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ. მე ვერ შეგპირდებით თქვენ, რომ არასოდეს იქნებით იმედგაცრუებული. მაგრამ, იმედგაცრუების დროსაც კი, თუ ის მოვა, შეგიძლიათ იქონიოთ იმედი და იყოთ პოზიტიური. დააყენეთ საკუთარი თავი ღმერთის სასწაულმოქმედ სფეროში.

ელოდეთ სასწაულს თქვენს ცხოვრებაში.

ელოდეთ კარგ რამეებს!

ელოდეთ რომ მიიღოთ! რომ მიიღოთ, ელოდეთ!

„ამიტომ უფალი დროს უცდის, რომ შეგინჯალოთ. ამიტომ მალღდება, რომ შეგიბრალოთ. რადგან სამართლის ღმერთია უფალი, ნეტარია ყველა მისი მოიმედე“.

ესაია 30:18

ეს მონაკვეთი წმიდა წერილის ჩემს ერთ-ერთ საყვარელ ადგილად იქცა. თუ თქვენ ჩაუფიქრდებით მას, იგი დიდ იმედს მოგცემთ. მასში ღმერთი ამბობს, რომ იგი ეძებს ვინმეს, ვის მიმართაც სურს იყოს მონყალე (კეთილი), მაგრამ ეს ვერ იქნება ვინმე, გულფიცხი დამოკიდებულებით და ნეგატიური აზროვნებით. ეს უნდა იყოს ის, ვისაც მოლოდინი აქვს (ეძებს და ილტვის ღმერთისკენ, რომ იგი კეთილი იყოს მისდამი).

ცუდი წინათგრძნობა

რა არის „ცუდი წინათგრძნობა“?

ცოტა ხნის შემდეგ, რაც დავინყე ღმერთის სიტყვის შესწავლა, ერთ დილას აბაზანაში თმებს ვივარცხნიდი, როცა გავაცნობიერე, რომ ჩემს ირგვლივ ატმოსფეროში იყო გაურკვეველი, შემაშინებელი გრძნობა, რომ თითქოს რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო. მე გავაცნობიერე, რომ ეს გრძნობა ფაქტობრივად მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩემთან იყო.

ვკითხე უფალს: „რა გრძნობაა ეს, რომელიც ყოველთვის მაქვს?“

ბონება – ბრძოლის ველი

„ცუდი წინათგრძნობა“ – იყო ის სიტყვები, რომლებიც მან გულში ჩამიდო.

არ ვიცოდი რას ნიშნავდა ეს, და არც მსმენია მანამდე. მალევე, ამის შემდეგ, აღმოვაჩინე ფრაზა იგავები 15:15-ში: „ჩაგრულის ყოველი დღე ცუდია, გულით მხიარულს კი ღვინი აქვს მუდამ“.

იმ დროს მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი გასაცოდავებული იყო ბოროტი აზრებით და ცუდი წინათგრძნობით. დიახ, აღმოვჩენილვარ რთულ მდგომარეობებში, მაგრამ მაშინაც კი, როცა ეს არ ხდებოდა, ჩემი ცხოვრება უბედური იყო, რადგან ჩემი აზრები წამლავდნენ ჩემს შეხედულებებს და მპარავდნენ ცხოვრებით დატკობისა და კარგი დღეების დანახვის უნარს. მაშინაც კი, როცა არაფერი ცუდი არ ხდებოდა, ყოველთვის არაცხადად ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო. ამის გამო არ შემეძლო ცხოვრებით რეალურად დავმტკბარიყავი.

ღაიცავი შენი ენა ბოროტისაგან!

„რადგან, ვისაც სიცოცხლე უყვარს და კეთილი დღეების ხილვა, შეიკავოს ენა ბოროტისაგან და მისი ბაგეები ნუ იტყვიან ზაკვას“.

1 პეტრე 3:10

ეს მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ ცხოვრებით დატკობობა, კეთილი დღეების ხილვა და პოზიტიური აზროვნებისა და ბაგის ქონა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

მნიშვნელობა არა აქვს თუ რამდენად ნეგატიური ხარტან რამდენი ხანი იყავით ასე, ვიცი, რომ შეგიძლიათ შეცვლა, რადგან მეც შევიცვალე. მე დამჭირდა დრო და სულიწმიდის ძლიერი დახმარება, მაგრამ ეს ღირდა ამაღ.

ეს თქვენთვისაც ღირს. რაც არ უნდა მოხდეს, მიენდეთ უფალს – და იყავით პოზიტიური! არასოდეს მისცეთ ცუდ წინათგრძნობებს საშუალება იტრიალონ თქვენს ირგვლივ; ამის ნაცვლად წინ აღუდექით მათ გაბედულად იესო ქრისტეს სახელით.

თავი

6

გონების შემოჭველი სულაბი

გონების შეგოქმედი სული

ერთხელ ჩემს ღმერთთან ერთად სვლაში მივედი ისეთ მომენტამდე, როცა მიჭირდა ისეთი რაღაცეების დაჯერება, რაც ადრე მნამდა. ვერ ვხვდებოდი თუ რა იყო არასწორი ჩემში და შედეგად თავგზა ამებნა. რაც უფრო მეტ ხანს გრძელდებოდა გართულებული მდგომარეობა, მით უფრო თავგზააბნეული ვხდებოდი. ურწმუნოება თითქოს ნახტომებით და სწრაფი ნაბიჯებით იზრდებოდა. მე დავინყე ჩემი მოწოდების ეჭვქვეშ დაყენება; ვიფიქრე, რომ ვკარგავდი ხედვას, რომელიც ღმერთმა მომცა მსახურებისათვის. უიმედო ვიყავი (ურწმუნოება ყოველთვის წარმოქმნის უიმედობას). ჩემი გონება დამძიმდა და ვგრძნობდი, რომ მიუხედავად ჩემი ძალისხმევებისა თითქოს არ შემეძლო მერწმუნა ღმერთის.

„არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მაღლიერებით აუნყეთ თქვენი სურვილი ღმერთს და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“.

ფილიპელთა 4:6,7

ზედიზედ ორი დღის განმავლობაში მესმოდა როგორ ამოდიოდა ეს ფრაზა ჩემი სულიდან: „გონების შემბოჭველი სულები“. პირველ დღეს ბევრი არ მიფიქრია მასზე. მეორე დღეს, როცა დავინყე შუამდგომლობა, კვლავ გავიგონე იგი მეოთხედ თუ მეხუთედ: „გონების შემბოჭველი სულები“. თუმცა ეს ფრაზა არ იყო ჩემთვის ნაცნობი, იგი გასაგები იყო იმის გათვალისწინებით თუ როგორ ვგრძნობდი თავს გონებრივად.

ყველა ხალხისგან, ვისაც კი მოვმსახურებოვარ, ვიცოდი, რომ მორწმუნეების უმრავლესობას პრობლემები აქვს აზროვნებაში. მე ვიფიქრე, რომ სულიწმიდა მიმიძღვოდა წინ რომ მელოცა ქრისტეს სხეულისთვის „გონების შემბოჭველად“ წოდებული სულის წინააღმდეგ. ასე რომ დავინყე ლოცვა და შეწინააღმდეგება გონების შემბოჭველი სულების წინააღმდეგ იესოს სახელით. სულ რამდენიმე წუთის ლოცვის შემდეგ ვიგრძენი, რომ უდიდესი გათავისუფლება მოვიდა ჩემს გონებაში. ეს საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ის აზრი, რომ ბოროტი სულები დაძრწიან ირგვლივ, საკმაოდ არასასიამოვნოა, მაგრამ ისინი არსებობენ. იესო მიმართავდა დემონებს სახელებით და უბრძანებდა წასულიყვნენ.

გონების შიგომოჭველი სულეზისგან გათავისუფლებული

თითქმის ყოველი გათავისუფლება, რომელიც ღმერთმა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში იყო გაძლიერებული და მოდიოდა ღმერთის სიტყვის აღიარების მეშვეობით. იოანე 8:31,32 და ფსალმუნი 106:20 ჩემი დამონებებია. იოანეს 8:31,32-ში იესო ამბობს: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მონაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გათავისუფლებთ თქვენ“. ფსალმუნი 106:20 ამბობს უფალზე: „მოუვლინა სიტყვა თვისი და განკურნა ისინი, და იხსნა საფლავებიდან“.

ამჯერად კი ვიგრძენი და მყისვე მივხვდი, რომ რაღაც მოხდა ჩემს გონებაში. ნუთუმი კვლავ შემეძლო მერწმუნა იმ სფეროებში, რომლებშიც მიჭირდა ამ ლოცვამდე.

მაგალითს მოგიყვანთ. სანამ გონების შემბოჭველი სულები შემომიტევდნენ, მე მწამდა, რომ ღმერთის სიტყვის თანახმად, ფაქტი, რომ მე ვიყავი ქალი ფენტონიდან (მისურის შტატი), რომელსაც არავინ იცნობდა, არანაირ ცვლილებას არ შეიტანდა არც ჩემს ცხოვრებაში და არც მსახურებაში (გალ. 3:28). როცა ღმერთი დაინახავდა ჩემს მზადყოფნას, იგი გახსნიდა იმ კარს, რომელსაც ვერავინ დახურავდა (იხ. გამოცხ. 3:8), და მე ვიქადაგებდი მთელს მსოფლიოში პრაქტიკულ, გამათავისუფლებელ უწყებას, რომელიც მან მომცა.

მე მწამდა, რომ მქონდა პრივილეგია გამეზიარებინა სახარება მთელს ერში რადიოთი და მომავალში ტელევიზიით (არა ჩემს გამო, არამედ ჩემდა მიუხედავად). ვიცოდი, რომ წმიდა წერილების თანახმად, ღმერთი ირჩევს სუსტებს და უგუნურებს, რათა შეარცხვინოს ბრძენნი (იხ. 1 კორ. 1:27). მე მწამდა, რომ უფალი აპირებდა ჩემს გამოყენებას ავადმყოფების განსაკურნებლად. მე მწამდა, რომ ჩვენი შვილები მსახურებაში იქნებოდნენ გამოყენებულნი. მე მწამდა მრავალი მშვენიერი რამის, რომლებიც ღმერთმა ჩემს გულში ჩადო. მათი უმრავლესობა სულელურად გამოიყურებოდა საფიქრალად და გონებრივად, მაგრამ ღმერთმა ჩადო ისინი ჩემს გულში და მომცა ზებუნებრივი რწმენა, რომ ვირწმუნო ის, რაც ბუნებრივად დაუჯერებელი იყო.

თუმცა, როცა ბოროტი სულები მიტევდნენ, თითქოს არ შემეძლო რაიმეს დაჯერება. მე ასეთი ფიქრები მომდიოდა: „ალბათ, ეს ყველაფერი მე თავად გამოვიგონე. იმიტომ მწამდა, რომ მინდოდა, მაგრამ ალბათ არც არაფერი მოხდება“. მაგრამ,

როდესაც სულები გამშორდნენ, რწმენის უნარი სწრაფად დამიბრუნდა. ამ გამოცდილებამ ადრინდელზე უფრო მეტად გამიცხადა თუ რა აგრესიულად უტევს ეშმაკი ჩვენს გონებას. მან იცის, რომ თუ შეძლებს ჩვენი აზრების მართვას, შეძლებს ჩვენი ცხოვრების მართვასაც.

გადაწყვიტე ბნაზღეს

„ასევე სულიც ეხმარება ჩვენს უძლურებას, ვინაიდან არ ვიცით, როგორ უნდა ვილოცოთ, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით“.

რომაელთა 8:26

როგორც ქრისტიანებს, ჩვენ გვჭირდება ვისწავლოთ გადაწყვეტა, რომ გვწამდეს. ღმერთი ხშირად გვაძლევს რწმენას (სულის ნაყოფს) ისეთი რალაცეებისთვის, რასაც თითქოს ჩვენი გონება ყოველთვის არ ეთანხმება. გონებას სურს ესმოდეს ყოველივე – რატომ, როდის და როგორ. ხშირად, როცა ღმერთი არ გვაძლევს ამის ცოდნას, გონება უარს ამბობს დაიჯეროს ის, რაც მას არ ესმის.

ხშირად ხდება, რომ მორწმუნემ იცის რალაც თავის გულში (შინაგან პიროვნებაში), მაგრამ მისი გონება იბრძვის ამის წინააღმდეგ.

დიდი ხნის წინ გადავწყვიტე მერწმუნა ის, რასაც ღვთის სიტყვა ამბობს და მერწმუნა რემა (გაცხადებული სიტყვა), რომელიც ღმერთმა მომცა (რაც მან მითხრა ან რასაც პირადად დამპირდა მე), რომც არ მივმხვდარიყავი რატომ, როდის და როგორ აღსრულდებოდა ეს ჩემს ცხოვრებაში. ერთ-ერთი პრივილეგია, რომელიც გვაქვს როგორც ღვთის შვილებს, არის შეუძლებელის დაჯერება.

ეს რალაცა კი, რასაც მე ვებრძოდი, სრულიად განსხვავებული იყო; იგი გადაწყვეტილებას აღემატებოდა. მე შებოჭილი ვიყავი გონების შემბოჭველი სულებით და არ შემეძლო საკუთარი თავის მიყვანა რწმენამდე.

მადლობა ღმერთს, რომ სულიწმიდის მეშვეობით მან დამანახა როგორ ვილოცო და მისმა ძალამ გაიმარჯვა.

გონება - ბრძოლის ველი

დარწმუნებული ვარ, ამ წიგნს ახლა იმიტომ კითხულობთ, რომ მიყვანილნი იყავით მასთან. შეიძლება თქვენც გქონდეთ პრობლემები ამ სფეროში. თუ ასეა, მოგიწოდებთ, რომ ილოცოთ იესოს სახელით. მისი სისხლის ძალით, წინ აღუდექით ყოველ ბოროტ სულს, რომელიც აბრკოლებს ღვთიურ აზრებს. თუ გრძნობთ, რომ თქვენი გონება დამძიმებულია, გაზარმაცებული და უჭირს რწმენა, მაშინ გამოდით „გონების შემბოჭველი სულების“ წინააღმდეგ. ილოცეთ ასე არა მხოლოდ ერთხელ, არამედ ყოველ ჯერზე, როცა სირთულეს განიცდით ამ სფეროში.

ეშმაკს არასოდეს გამოეღევა ცეცხლოვანი ისრები, რომლებსაც გვესვრის, როდესაც წინ გადაადგილებას ვცდილობთ. აღმართეთ თქვენი რწმენის ფარი და გახსოვდეთ იაკობი 1:2-8, რომელიც გვასწავლის, რომ შეგვიძლია ღმერთს ვთხოვოთ სიბრძნე განსაცდელებში და იგი მოგვცემს მას და დაგვანახებს თუ რა გავაკეთოთ.

მე მქონდა პრობლემა, ცეცხლოვანი ისარი, რომელსაც მანამდე არ შევხვედრილვარ. მაგრამ ღმერთმა დამანახა თუ როგორ მელოცა და მე გავთავისუფლდი.

თქვენც გათავისუფლდებით.

ገጽ 7

7

ገጽ 7 ላይ ያለውን ጽሑፍ ለማሳደግ ይጠቀሙ

იჯიქრა იმაზი, თუ რაზი ფიქროზ

ლვთის სიტყვა გვასწავლის, თუ რაზე ფიქრით უნდა ვატარებდეთ დროს.

**„შენს მცნებებზე ვი-
ფიქრებ და დავუკ-
ვირდები შენს გზებს“.**

მეფსალმუნემ თქვა, რომ იგი ფიქრობდა ანუ უკვირდებოდა ღმერთის მცნებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მრავალი ხნის განმავლობაში უკვირდებოდა და ფიქრობდა ღმერთის გზებზე, მის მითითებებსა და სწავლებებზე. ფსალმუნი 1:3 ამბობს, რომ, ვინც ამას აკეთებს „იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ ჭკნება. და ყოველივეში, რასაც იქმს, წარმატებულია“.

ფსალმუნი 118:15

საკმაოდ სასარგებლოა ღმერთის სიტყვაზე ფიქრი. რაც უფრო მეტ დროს ატარებს ადამიანი ღმერთის სიტყვაზე ფიქრში, მით უფრო მეტს მოიმკის სიტყვისგან.

ფრთხილად იყავი – რაზი ფიქროზ!

„დაუკვირდით, რასაც ისმენთ: რომელი სანყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ და მოგემატებათ“.

მარკოზი 4:24

რა დიდებული მუხლია! იგი გვეუბნება ჩვენ, რომ რაც უფრო მეტ დროს ვატარებთ ღმერთის სიტყვაზე ფიქრში, რომელსაც ვკითხულობთ და ვისმენთ, მით უფრო მეტი ძალა და უნარი გვექნება ამისათვის – მით უფრო მეტი გამოცხადებით მიღებული ცოდნა გვექნება იმაზე, რასაც ვკითხულობთ და ვისმენთ. არსებითად ეს გვეუბნება იმას, რომ ღმერთის სიტყვისგან იმას მივიღებთ, რასაც ჩავდებთ მასში.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ აღთქმას, რომ რაც უფრო მეტ ფიქრს და სწავლას მივუძღვნით ღვთის სიტყვას, განსაზღვრავს სათნოებასა და ცოდნის სიდიდეს, რომელიც დაგვიბრუნდება ჩვენვე.

ვანის „ბიბლიური სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი“

ბონება - ბრძოლის ველი

ამბობს, რომ მეფე იაკობის თარგმანის ზოგ ნაწყვეტში ბერძნული სიტყვა „დუნამის“, რომელიც ნიშნავს „ძალას“ ითარგმნება, როგორც „სათნობა“.¹ „სტრონგის ბიბლიის ახალი ამომწურავი სიმფონიის“ თანახმად „დუნამის“-ის სხვა თარგმანია „უნარი“.² ხალხის უმრავლესობა ძალიან არ უღრმავდება ღვთის სიტყვას. რის შედეგადაც, ისინი შეცბუნებულები არიან, თუ რატომ არ არიან ძლიერი ქრისტიანები, რომლებიც გამარჯვებული ცხოვრებით ცხოვრობენ.

ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ მათი უმრავლესობა დიდ ძალისხმევას არ ატანს ღმერთის სიტყვის შესწავლას. ისინი შეიძლება გავიდნენ და მოუსმინოთ თუ როგორ ასწავლიან და ქადაგებენ ღმერთის სიტყვას სხვები. შეიძლება უსმენდნენ დისკებს ან დრო და დრო კითხულობდნენ ბიბლიას, მაგრამ ისინი არ არიან რეალურად მიძღვნილები, რომ აქციონ სიტყვა მათი ცხოვრების მთავარ ნაწილად, მასზე ფიქრით დროის გატარების ჩათვლით.

ხორცი ძირითადად ზარმაცია და მრავალ ადამიანს სურს რაღაცის მიღება არაფრის ფასად (მათი მხრიდან ძალისხმევის გარეშე); თუმცა, ასე საქმე არ კეთდება. მინდა გავიმეორო, პიროვნება სიტყვისგან იმას მიიღებს, რისი ჩადების სურვილიც ექნება მასში.

ჩაუფიქრდით ღმერთის სიტყვას

„ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას, და ცოდვილთა გზას არ ადგას, არ ზის ავყიათა საკრებულოში;

არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ“.

ფსალმუნი 1:1,2

ვებსტერის თანახმად, სიტყვა „ფიქრი“ ნიშნავს: „1. ჩაკვირება: განსჯა. 2. დაგეგმვა ან განზრახვა გონებაში... გაანალიზება“.³ ვაინის „ბიბლიური სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი“ ამბობს, რომ „ფიქრი“ ნიშნავს „უპირველეს ყოვლისა, „ზრუნვას“, „ყურადღების გამოჩენა, პრაქტიკა“, „გულმოდგინებას“, „პრაქტიკა სიტყვის გავრცელებული მნიშვნელობა“, „ჩაფიქრება, წარმოდგენა“, „წინასწარ განსჯას“.⁴

იგავები 4:20 ამბობს: „შვილო ჩემო, ჩემს სიტყვებს მოუსმინე, ჩემს ნათქვამს ყური მიაპყარი“. თუ დავაყენებთ იგავები 4:20-ს სიტყვა „ფიქრის“ ამ განმარტებებთან ერთად, დავინახავთ, რომ ღმერთის სიტყვისადმი ყურადღებით ვიქნებით მის სიტყვაზე ფიქრით, ყურადღებიანობით სიტყვისადმი, მისი გარჩევით, გამეორებით ან გაპრაქტიკებით ჩვენს აზრებში. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თუ გვსურს იმის კეთება, რასაც ღმერთის სიტყვა ამბობს, დროს უნდა ვატარებდეთ მასზე ფიქრით.

გახსოვთ ძველი გამონათქვამი: „პრაქტიკა – გზაა სრულყოფილებისაკენ“? ჩვენ ნამდვილად არ ველოდებით, რომ ექსპერტები ვიქნებით ცხოვრებაში რამეში ბევრი პრაქტიკის გარეშე, მაშინ რატომ ველოდებით რომ ქრისტიანობაში სხვა-ნაირად იქნება?

ფიქრს მოაქვს წარმატება

„ნუ განეშორება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეებს; მასზე ფიქრობდე დღე და ღამ, რათა დაიცვა აღსასრულებლად ყველაფერი, რაც იქ სწერია, რადგან მაშინ წარგემართება შენ გზები და მოგემართება ხელი“.

იესო ნავეს ძე 1:8

თუ გსურთ წარმატებული იყოთ და თქვენს ყოველ საქმიანობაში წინსვლა განიცადოთ, ბიბლია გეუბნებათ, რომ უნდა ფიქრობდეთ ღმერთის სიტყვაზე დღე და ღამე.

რამდენ დროს ატარებთ ღმერთის სიტყვაზე ფიქრში? თუ თქვენ პრობლემები გაქვთ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, წრფელმა ამ კითხვაზე პასუხმა შეიძლება გამოავლინოს მიზეზი.

ჩემი ცხოვრების მეტი წილი არ მიფიქრია იმაზე, თუ რაზე ვფიქრობდი. უბრალოდ იმაზე ვფიქრობდი ხოლმე, რაც თავში მომივიდოდა. არ მქონდა გამოცხადება, რომ ეშმაკს შეეძლო აზრების ჩანერგვა ჩემს გონებაში. უმრავლესობა იმისა, რაც ჩემს თავში იყო, იყო ან ტყუილები, რომელთაც ეშმაკი მეუბნებოდა ან უბრალო სისულელები – ისეთი რამეები, რისთვისაც ნამდვილად არ ღირდა ჩემი დროის დახარჯვა მათზე ფიქრისთვის. ეშმაკი მართავდა ჩემს ცხოვრებას იმის გამო, რომ მართავდა ჩემს აზრებს.

იფიქრე იმაზე, თუ რაზე ფიქრობ!

„ჩვენც ყველანი მათ შორის ვცხოვრობდით ოდესღაც ჩვენი ხორციელი გულისთქმებით და ვასრულებდით ხორცისა და გონების ნებას, და ბუნებით რისხვის შვილები ვიყავით სხვების მსგავსად“.

ეფესელთა 2:3

პავლე გვაფრთხილებს, რომ არ უნდა ვიყოთ მართულნი ჩვენი ხორციელი ბუნებით და არც ხორცის ნებას არ უნდა ვასრულებდეთ ან ჩვენი ხორციელი გონების აზრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი ვიყავი, მიჭირდა, რადგან არ მქონდა ნასწავლი საკუთარი აზრების მართვა. ისეთ რალაცებებზე ვფიქრობდი, რაც ჩემს გონებას ტვირთავდა, მაგრამ არ იყო ნაყოფიერი პოზიტიური კუთხით.

უნდა შეემეცვალა საკუთარი აზროვნება!

ერთი რამ, რითაც დაელაპარაკა უფალი ჩემს გულს, როცა მან ჩემთვის სწავლება დაიწყო გონების, როგორც ბრძოლის ველის შესახებ, გარდამტეხ წერტილად იქცა ჩემთვის. მან თქვა: „იფიქრე იმაზე, თუ რაზე ფიქრობ“. როცა დავინწყე ამის შესრულება, დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რაც დავინწყე იმის დანახვა, თუ რატომ მქონდა ამდენი გასაჭირი ჩემს ცხოვრებაში.

ჩემი გონება არეულ-დარეული იყო!

მე ვფიქრობდი სრულიად არასწორი ფიქრებით.

წავედი ეკლესიაში, ასე დავდიოდი იქ წლების განმავლობაში, მაგრამ ფაქტობრივად არასოდეს ვფიქრობდი იმაზე, რასაც ვისმენდი. ასე ვთქვათ, ერთ ყურში შემოდებოდა და მეორედან გადიოდა. ყოველდღიურად ვკითხულობდი ბიბლიაში მუხლებს, მაგრამ არასოდეს მიფიქრია იმაზე, რასაც ვკითხულობდი. მე არ ვიყავი ყურადღებიანი სიტყვის მიმართ. არანაირ აზრს და ძალას არ ვატანდი იმას, რასაც ვისმენდი. შესამაბისად, არც სათნოება და არც ცოდნა არ მიბრუნდებოდა.

იფიქრეთ ღმერთის სიტყვაზე

„ვფიქრობდით, ღმერთო, შენს წყალობაზე შენი ტაძრის შუაგულში“.

ფსალმუნი 47:10

მეფსალმუნე დავითი ხშირად ლაპარაკობდა ფიქრზე უფლის ყველა მშვენიერი საქმიანობის შესახებ – ღმერთის დიადი ქმედებების შესახებ. იგი ამბობდა, რომ ფიქრობდა უფლის სახელზე, ღმერთის ნყალობაზე, ღმერთის სიყვარულზე და მრავალ სხვა რამეზე.

როდესაც იგი უიმედოდ გრძნობდა თავს, მან დაწერა ფსალმუნი 142:4,5: „და შენუხდა ჩემზე სული ჩემი, ჩემს შიგნით დანალვლიანდა გული ჩემი. ვიხსენებ ადრინდელ დღეებს, ვფიქრობ ყოველ შენს ნამოქმედარზე, შენი ხელის ნასაქმარზე ვისაუბრებ“.

ამ ნაწყვეტიდან ვხედავთ, რომ დავითის პასუხი თავის დეპრესიულ გრძნობებსა და ნალველზე არ იყო პრობლემაზე ფიქრი. ნაცვლად ამისა, იგი აქტიურად დაუპირისპირდა პრობლემას იმით, რომ აირჩია გაეხსენებინა წარსული დღეების კეთილი დროები – ფიქრობდა ღმერთის საქმეებზე და თავის ხელების ნამოქმედარზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი რაღაც კარგზე ფიქრობდა და ეს მას დეპრესიის დაძლევაში დაეხმარა.

არასოდეს დაგავინყდეთ: თქვენი გონება მნიშვნელოვან როლს თამაშობს თქვენს გამარჯვებაში.

ვიცი, რომ სულიწმიდის ძალას, რომელიც ღმერთის სიტყვის მეშვეობით მოქმედებს, მოაქვს გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ საქმის უმეტესი ნაწილი, რომელიც უნდა შესრულდეს მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მოვმართოთ ჩვენი აზროვნება ღმერთზე და მის სიტყვაზე. თუ უარს ვიტყვით ამაზე ან ავირჩევთ ფიქრს, რომ იგი უმნიშვნელოა, ვერასოდეს განვიცდით გამარჯვებას.

ბარლაამენით ბონების განახლებით

„ნუ მიესადაგებით ამ ნუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“.

რომაელთა 12:2

ამ ნაწყვეტში მოციქული პავლე ამბობს, რომ თუ ჩვენ გვ-

გონება – ბრძოლის ველი

სურს ღმერთის კეთილი და სრულყოფილი ნების ხილვა ჩვენს ცხოვრებაში, შეგვიძლია კიდევ – თუ განვიხილავთ გონებას. განვიხილავთ როგორ? ღმერთის აზროვნების მსგავსად. ახლებურად აზროვნების მსვლელობისას ჩვენ შევიცვლებით ან გარდავიქმნებით იმად, რადაც ღმერთი განიზრახავს რომ ვიყოთ. იესომ შესაძლებელი გახადა ეს გარდაქმნა თავისი სიკვდილით და აღდგომით. ეს ჩვენს ცხოვრებაში გონების განახლების პროცესის მეშვეობით რეალობად იქცევა.

რაიმე გაუგებრობისგან თავის ასარიდებლად მიიწვიოთ, რომ სწორი აზროვნება არ არის კავშირში გადარჩენასთან. გადარჩენა დაფუძნებულია სრულიად იესოს სისხლზე, მის სიკვდილზე, ჯვარსა და აღდგომაზე. ბევრი ადამიანი იქნება ზეცაში იმიტომ, რომ მათ ჭეშმარიტად მიიღეს იესო თავიანთ მხსნელად, მაგრამ ბევრ მათგანს არასოდეს უვლია გამარჯვებაში და არც დამტკბარა ღმერთის კეთილი გეგმით მისი ცხოვრებისთვის, რადგან არ განიხილა გონება ღმერთის სიტყვის თანახმად.

წლების მანძილზე, მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. ხელახლად შობილი ვიყავი. ზეცისკენ მიმავალ გზას ვადექი. დავდიოდი ეკლესიაში და მივყვებოდი რელიგიურ ჩვეულებას, მაგრამ სინამდვილეში არ მქონდა გამარჯვება ცხოვრებაში. ამის მიზეზი ისაა, რომ არასწორ რამეებზე ვფიქრობდი.

ამაზე იფიქროთ

„აბა ასე, ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებაარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ“.

ფილიპელთა 4:8

ბიბლია იძლევა უამრავ დეტალურ მითითებებს თუ რაზე უნდა ვფიქრობდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სხვადასხვა მუხლებიდან შეძლებთ დანახვას, რომ ჩვენ გვეთქვა ვიფიქროთ კარგ რაღაცეებზე, ისეთ რამეებზე, რაც აღგვაშენებს და არ დაგვანგრევს.

ჩვენი აზრები, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენენ ჩვენს დამოკიდებულებებსა და ხასიათზე. ყველაფერი, რასაც უფა-

ლი გვეუბნება, ჩვენს სასიკეთოდ არის. მან იცის რა გავგაბედნიერებს და რა გვაგრძობინებს თავს დამცირებულად. ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვისწავლე, რომ როცა ვინმე თავს დამცირებულად გრძობს, იგი ხშირად სხვების დამცირებასაც ცდილობს.

თქვენ გამუდმებით უნდა აკვირდებოდეთ და ეკითხებოდეთ საკუთარ თავს: „რაზე ვფიქრობდი?“ გარკვეული დრო დაუთმეთ თქვენი ფიქრების შემოწმებას.

ფიქრი იმაზე, თუ რაზე ფიქრობთ საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეშმაკი ხშირად ატყუებს ხალხს აზრით, რომ თითქოს მათი უბედურების წყარო სხვა რამ არის, და არა ის, რაც სინამდვილეშია. მას სურს ისინი თავს უბედურად გრძობდნენ იმის გამო, რაც მათ ირგვლივ ხდება (მათი გარემოებები), მაგრამ უბედურებას სინამდვილეში ის ინვესს, რაც მათშია (მათი ფიქრები).

მრავალი წლის განმავლობაში მე მართლა მწამდა, რომ უბედური ვიყავი, მიუხედავად იმისა, რას აკეთებდნენ სხვები. ჩემს უბედურებას ჩემს ქმარს და შვილებს ვაბრალებდი. ისინი, რომ სხვანაირები ყოფილიყვნენ, მეტად ყურადღებიანნი ჩემი საჭიროებებისადმი, სახლის საქმეში მეტად რომ დამხმარებოდნენ, ვფიქრობდი, რომ მაშინ ბედნიერი ვიქნებოდი. ხან ერთი რამ იყო მიზეზი, ხან მეორე, და ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. საბოლოოდ, პირისპირ დავუდექი ჭეშმარიტებას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ არცერთი ეს მიზეზი არ გამოიწვევდა ჩემს უბედურებას, სწორ დამოკიდებულებას თუ ავირჩევდი. ჩემი უბედურების მიზეზი ჩემი აზრები იყო.

ნება მომეცით კიდევ ერთხელ, საბოლოოდ ვთქვა: იფიქრეთ იმაზე, თუ რაზე ფიქრობთ. თქვენ შეიძლება დაადგინოთ ზოგი თქვენი პრობლემა და საკმაოდ სწრაფად დაადგეთ თავისუფლების გზას.

ნანილი II
გონების მდგომარეობები

შესავალი

რა მდგომარეობაშია თქვენი გონება? „ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი“.

შეამჩნიეთ რომ თქვენი გონების მდგომარეობა იცვლება? ზოგჯერ შეიძლება წყნარად და მშვიდად იყოთ, სხვა დროს კი შეწუხებული და დადარდიანებული. ან შეიძლება გადანყვეტილება მიიღოთ და დარწმუნებული იყოთ მასში, შემდეგ მოგვიანებით აღმოაჩინოთ, რომ თქვენი გონება გაურკვეველ მდგომარეობაშია სწორედ იმასთან დაკავშირებით, რაშიც მანამდე გარკვეული და დარწმუნებული იყავით.

1 კორინთელთა 2:16

ჩემს ცხოვრებაშიც იყო, როცა მსგავს რაღაცეებს განვიცდიდი. იყო მომენტები, როცა თითქოს ყოველგვარი პრობლემის გარეშე შემედლო მერწმუნა ღმერთის, და შემდეგ იყო სხვა მომენტები, როცა ეჭვი და ურწმუნოება ხშირად უმოწყალოდ მეწვეოდა.

რადგან, როგორც ჩანს, გონებას შეუძლია ამდენ სხვადასხვა მდგომარეობაში ყოფნა, დავინტერესდები, ნეტა როდის იყო ჩემი გონება ნორმალურ მდგომარეობაში? მინდოდა გამერკვია თუ რა იყო ნორმალური, რათა შემძლებოდა გამკლავება არანორმალურ აზროვნებასთან მყისვე, მისი გამოჩენისას.

მაგალითად, კრიტიკული, გამსამართლებელი და ეჭვიანი გონება მორწმუნისთვის მიჩნეული უნდა იყოს, როგორც არანორმალური. ჩემი ცხოვრების უმეტესი წილი, ეს ნორმალური იყო ჩემთვის – თუმცა, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. ეს ისეთი რამ იყო, რასაც შეჩვეული ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზროვნება საკმაოდ არასწორი იყო და ბევრ პრობლემას იწვევდა ჩემს ცხოვრებაში, არ ვიცოდი, რომ რაიმე არასწორი იყო ჩემს ფიქრებში.

არ ვიცოდი, რომ ნებისმიერი რამის გაკეთება შემედლო ჩემი ფიქრებით ცხოვრებაში. მორწმუნე ვიყავი, თანაც მრავალი წლის, მაგრამ საერთოდ არ მქონდა სწავლება ჩემს ცხოვრებაზე ან მორწმუნის გონების სწორ მდგომარეობაზე.

ჩვენი გონება არ იშვება ხელახლად ზეციდან შობასთან ერთად – იგი უნდა განახლდეს (იხ. რომ. 12:2). როგორც უკვე ვთქვი რამდენჯერმე, გონების განახლება არის პროცესი, რომელსაც სჭირდება დრო. ნუ იგრძნობთ თავს განადგურებულად, თუნდაც როცა მომდევნო თავს წაიკითხავთ და აღმოაჩინოთ, რომ დროის

ბონება - ბრძოლის ველი

უმეტესი ნაწილი თქვენი გონება არანორმალურ მდგომარეობაშია, ისეთი ადამიანისთვის, რომელიც აცხადებს ქრისტეს მსხენელად. პრობლემის დანახვა პირველი ნაბიჯია აღდგენისკენ.

ჩემს შემთხვევაში, რამდენიმე წლის წინ ჩემს უფალთან ურთიერთობას უფრო მეტად სერიოზულად დავუწყე მიდგომა, და მაშინ იყო, როცა მან დაიწყო ჩემთვის გაცხადება, რომ პრობლემების უმრავლესობა ფესვგადგმული იყო არასწორ აზროვნებაში. ჩემი გონება არეულ-დარეული იყო! ეჭვი მეპარება, რომ ოდესმე ყოფილიყო ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უნდა ყოფილიყო – და რომც ყოფილიყო, დიდი ხანი არ გრძელდებოდა.

თავს გაოგნებულად ვგრძნობდი, როცა დავიწყე დანახვა, თუ რამდენი არასწორი აზროვნებისადმი ვიყავი მიდრეკილი. ვცდილობდი არასწორი აზრების გაგდებას, რომლებიც მოდიოდნენ ჩემს გონებაში და ისინი მაშინვე უკან მიბრუნდებოდნენ. მაგრამ, ნელ-ნელა თავისუფლება და გათავისუფლება მოვიდა.

ემმაკი აგრესიულად შეებრძოლება თქვენი გონების განახლებას, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია, რომ თქვენ დაჟინებული იყოთ და აგრძელებდეთ ლოცვას და სწავლას ამ სფეროში, სანამ საგრძნობ გამარჯვებას არ მიაღწევთ.

როდის არის თქვენი გონება ნორმალურ მდგომარეობაში? ხომ არ დახეტიალობს იგი ადგილ-ადგილ, თუ მის ფოკუსირებას უნდა ახდენდეთ იმაზე, რასაც აკეთებთ? დამწუხრებული და დაბნეული უნდა იყოთ, თუ დამშვიდებული და მნიშვნელოვნად დარწმუნებული იმ მიმართულებაში, რომელიც უნდა აირჩიოთ ცხოვრებაში? თქვენი გონება სავსე უნდა იყოს ეჭვითა და ურწმუნოებით, უნდა წუხდეთ და დარდობდეთ, შიშით დატანჯულები? თუ ღვთის შვილის პრივილეგიაა, რომ მთელს საზრუნავს მას გადასცემდეთ (იხ. 1 პეტრ. 5:7)?

ღვთის სიტყვა გვასწავლის, რომ ჩვენ ქრისტეს გონება გვაქვს. როგორ ფიქრობთ, როგორი იყო მისი გონება, როდესაც იგი დედამიწაზე ცხოვრობდა – არა მხოლოდ როგორც ღვთის ძე, არამედ როგორც კაცის ძეც?

ლოცვით გადადით „გონება - ბრძოლის ველის“ შემდეგ ნაწილზე. მე მჯერა, იგი აგიხელთ თვალებს ნორმალური და არანორმალური პიროვნების აზროვნებაზე, რომელიც იესოს მონაფეა და გადაწყვიტა გამარჯვებაში სიარული.

თავი

8

როდის არის ჩემი გონება
ნორმალურ ედგომარეობაში?

უენიშნეთ, პავლე ლოცულობს, რომ თქვენ და მე შევიძინოთ სიბრძნე „(ჩვენი) გულის თვალების“ განათებით. ზოგიერთ რამეზე დაყრდნობით, რომლებიც შესწავლილი მაქვს, „გულის თვალები“ შემიძლია აღვწერო, როგორც გონება.

რა მდგომარეობაში უნდა იყოს ჩვენი, როგორც ქრისტიანების გონება? სხვა სიტყვებით, როგორია მორწმუნე ადამიანის გონების ნორმალური მდგომარეობა? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე, უნდა შევხედოთ გონებისა და სულის სხვადასხვა ფუნქციებს.

„რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად, და გაანათლოს თქვენი გულის თვალები, რათა იცოდეთ, რა არის მისი მონოდეების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის“.

ეფესელთა 1:17,18

ღმერთის სიტყვის თანახმად, გონება და სული ერთად მოქმედებენ: ამას მე „სულის დამხმარე გონების“ პრინციპს ვუწოდებ.

ამ პრინციპის უკეთ გაგებისთვის, მოდით ვნახოთ, როგორ ხორციელდება იგი მორწმუნის ცხოვრებაში.

გონება - სულის პრინციპი

„ვინაიდან რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისა არავინ არაფერი იცის, გარდა ღვთის სულისა“.

1 კორინთელთა 2:11

როდესაც პიროვნება ქრისტეს პირად მხსნელად ლებულობს, სულიწმიდა ივანებს მასში. ბიბლია გვასწავლის, რომ სულიწმიდამ იცის ღმერთის გონება. ისევე როგორც ადამიანში მყოფი სული ერთადერთია, რომელმაც იცის მისი ფიქრები, ღმერთის სულიც ერთადერთია, რომელმაც იცის ღმერთის გონება.

რადგან სულიწმიდა მკვიდრობს ჩვენში და მან იცის ღმერთის გონება, მისი ერთ-ერთი მიზანია, გაგვიცხადოს ღვთის სიბრძნე და გამოცხადება. ეს სიბრძნე და გამოცხადება გადაეცემა ჩვენს სულს და შემდეგ ჩვენი სული ანათებს ჩვენი გულის თვალებს, რომელიც ჩვენი გონებაა. სულიწმიდა აკეთებს ამას, რათა პრაქტიკულ დონეზე გვესმოდეს, თუ რა გადმოგვეცემა ჩვენ სულიერად.

ნორმალური თუ არანორმალური?

როგორც მორწმუნეები, ჩვენ სულიერები ვართ და ასევე ბუნებრივიც. ბუნებრივი ყოველთვის ვერ გეზულობს სულიერს; შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი გონება განათლდეს იმის შესაბამისად, რაც ჩვენს სულში ხდება. სულიწმიდას სურს მოგვცეს ეს განათლება, მაგრამ გონება ხშირად კარგავს იმას, რის გაცხადებასაც სული ცდილობს, რადგან ძალიან დაკავებულია. გონება, რომელიც ძალიან დაკავებულია – არანორმალურია! გონება ნორმალურია, როდესაც იგი მოსვენებულია – არა ცარიელი, არამედ მოსვენებული.

გონება არ უნდა იყოს ავსებული მსჯელობებით, ნუხილით, შფოთით, შიშით და ან რაიმე მსგავსი საფიქრალით. იგი უნდა იყოს მშვიდი, წყნარი და აუღელვებელი. წიგნის მეორე ნაწილში თქვენ შეამჩნევთ გონების რამდენიმე არანორმალურ მდგომარეობას და შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ ისინი თქვენი გონების ხშირ მდგომარეობას გამოხატავენ.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ გონება უნდა იყოს „ნორმალურ“ მდგომარეობაში, რომელიც აღწერილია ამ თავში.

შეადარეთ იგი ჩვენი გონების ხშირ მდგომარეობას და დაინახავთ თუ რატომ არის, რომ ხშირად სულიწმიდისგან ცოტა გვიცხადდება, და რატომ ვგრძნობთ უფრო ხშირად სიბრძნისა და გამოცხადების ნაკლებობას.

გახსოვდეთ, სულიწმიდა ცდილობს მორწმუნის გონების განათლებას. სულიწმიდა გადასცემს ინფორმაციას ღმერთისგან ადამიანის სულში, და თუ მისი სული და გონება ერთმანეთს ეხმარებიან, მაშინ მას შეუძლია იაროს ღვთაებრივ სიბრძნესა და გამოცხადებაში. მაგრამ, თუ მისი გონება ზედმეტად დაკავებულია, მას გამორჩება ის, რის გაცხადებასაც უფალი ცდილობს მისთვის მისი სულის მეშვეობით.

ოღნავი ჩქამი

**„და უთხრა: „გარეთ გადი და დადექი მთაზე უფლის წინაშე“.
აჰა, ჩაიარა უფალმა. უფლის წინაშე ამოვარდა დიდი და ძლიერი ქარი, მთათა დამაქცეველი და კლდეთა შემმუსვრელი, მაგრამ ქარში არ იყო უფალი. ქარის მერე – მიწისძვრა, არც მიწისძვრაში იყო უფალი. მიწისძვრის მერე – ცეცხლი, არც ცეცხლში იყო უფალი. ცეცხლის მერე – ოღნავი ჩქამი“.**

3 მეფეთა 19:11,12

წლების განმავლობაში ვლოცულობდი გამოცხადებისთვის, ვთხოვდი ღმერთს გაეცხადებინა ჩემთვის რალაცეები ჩემში მცხოვრები სულიწმიდის მეშვეობით. ვიცოდი, რომ ეს თხოვნა წმიდა წერილზე იყო დაფუძნებული. მე მწამდა სიტყვის და დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდა მეთხოვა და მიმელო. თუმცა, დროის უმეტესი ნაწილი თავს ვგრძნობდი „სულიერ უგუნურად“. შემდეგ ვისწავლე, რომ ბევრს არ ვღებულობდი იქიდან, რაც სულიწმიდას სურდა გაეცხადებინა ჩემთვის, უბრალოდ იმიტომ, რომ ჩემი გონება იმდენად გაუკუღმართებული და დაკავებული იყო, რომ იგი ცდებოდა შემოთავაზებულ ინფორმაციას.

წარმოიდგინეთ ოთახში ორი ადამიანი ერთად. ერთ-ერთი ცდილობს ჩაუჩურჩულოს საიდუმლო მეორეს. თუ ოთახში ხმაური არაა, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები გადაიცემა, საიდუმლო ინფორმაციის მომსმენი კარგავს მას უბრალოდ იმის გამო, რომ ოთახი იმდენად ხმაურიანია, რომ მას არ ესმის. ძალიან ყურადღებით თუ არ იქნება, მან შეიძლება ვერც კი გაიგოს, რომ ელაპარაკებიან.

იგივენაირადაა ღვთის სულსა და ჩვენს სულს შორის კომუნიკაციის დროსაც. სულიწმიდის გზები მშვიდია; ხშირ შემთხვევებში იგი გველაპარაკება ჩვენ იგივენაირად, როგორც წინასწარმეტყველს ამ მუხლში: „ოღნავი ჩქამით“. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საკუთარ თავებს ისეთ მდგომარეობაში ვამყოფებდეთ, რომ მოსმენას ხელი შევუწყოთ.

სული და ბონება

**„მაშ, რა ვქნათ? ვილოცებ სულით და გონებითაც ვილოცებ.
ვიგალობებ სულით და გონებითაც ვიგალობებ“.**

1 კორინთელთა 14:15

ბონება - ბრძოლის ველი

შესაძლოა, უკეთესი საშუალება, რომ გავიგოთ ეს „გონების მიერ სულის დახმარების“ პრინციპი, არის ლოცვა. ამ მუხლში მოციქულმა პავლემ თქვა, რომ იგი ლოცულობდა სულითაც და გონებითაც.

მე მესმის რაზეც პავლე ლაპარაკობს, რადგან მეც იგივეს ვაკეთებ. მე ხშირად ვლოცულობ სულით (უცხო ენებით); მას შემდეგ რაც ვილოცე ასე, გარკვეული დროის განმავლობაში, ხშირად რალაც მოდის ჩემს გონებაში, რომ ვილოცო ინგლისურად (ჩემს ნაცნობ ენაზე). მე მჯერა, რომ ასე გონება ეხმარება სულს. ისინი ერთად მოქმედებენ ღმერთის ცოდნის და სიბრძნის მოსაცემად ჩემთვის ისე, რომ შევძლო მისი გაგება.

ეს პირიქითაც მოქმედებს. ხანდახან, როცა მინდა ლოცვა, ვდგები ღმერთის წინაშე ლოცვაში. თუ ჩემს სულში რაიმე კონკრეტული არ არის აღძრული, მე უბრალოდ ვინყებ ჩემი გონებით ლოცვას. მე ვლოცულობ საკითხებსა და სიტუაციებზე, რომლებიც ვიცი. ხანდახან ასეთი ლოცვები ნამდვილად ზედაპირულად გამოიყურება – ჩემი სულიდან არ მოდის შენევნა. თითქოს ვწვალობ, ამიტომ გადავდივარ სხვა რამეზე, რაც უკვე ვიცი.

ამგვარად ვაგრძელებ იქამდე, სანამ ჩემში მყოფი სულიწმიდა არ აღძრავს ჩემში რაიმე საკითხს. მაშინ, როცა ამას აკეთებს, მაშინ ვიცი, რომ მივადექი რალაცას, რაზეც მას სურს ვილოცო, და არა ის, რაზეც მე თავად ვცდილობ ვილოცო. ასე ჩემი გონება და სული ერთად მოქმედებენ, ეხმარებიან ერთმანეთს ღმერთის ნების აღსრულებისთვის.

ენები და განმარტება

„ამიტომ ილოცოს ენით მოლაპარაკემ, რათა განმარტოს კიდევ. ვინაიდან, როცა ენით ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, ჩემი გონება კი უნაყოფოა“.

1 კორინთელთა 14:13,14

სხვა მაგალითი როცა სული და გონება თანამშრომლობენ არის ენების ნიჭი განმარტებით. თუ თქვენ არ იცით სულიწმიდის ნიჭების შესახებ, მოგიწოდებთ შეისწავლოთ ისინი წმიდა წერილში და გახსნილი გონება იქონიოთ ღმერთის მიმართ ამ

სფეროში. ილოცეთ და სთხოვეთ მას, გასწავლოთ სულიწმიდის ყველა ზებუნებრივი ნიჭის შესახებ და წარგიდევით კიდევაც კარგი რესურსებისკენ, რომლებიც დაგეხმარებიან სწავლასა და ცოდნის შექენაში. პირველ კორინთელთა 12, 13 და 14 თავები კარგი ადგილებია დასაწყებად.

როდესაც ენებით ვლაპარაკობ, ჩემი გონება უნაყოფოა, სანამ ღმერთი არ მომცემს მე ან ვინმე სხვას იმის განმარტებას, რასაც მე ვლაპარაკობ; შემდეგ ჩემი გონება ნაყოფიერი ხდება.

გთხოვთ, დაიმახსოვრეთ, რომ ნიჭები არ არის ენები და თარგმანი. თარგმანი ზუსტი სიტყვა-სიტყვით გადმოცემული ღმერთის უწყებაა, როცა განმარტებისას პიროვნება გასაგებს ხდის სხვის ნათქვამს, მაგრამ განმარტებლის სტილის მეშვეობით, რომელიც გამოიხატება მისი კონკრეტული პიროვნულობით.

მოდით, მოვიყვან მაგალითს: და სმიტი შეიძლება წამოდგეს ეკლესიაში და წარმოთქვას უწყება უცხო ენაზე. ეს მოდიოდა მისი სულიდან, და არავინ იცის, არც მან, არც არავინ სხვამ, თუ რა თქვა მან. ღმერთმა შეიძლება აღმძრას, რომ გავიგო უწყების აზრი, მაგრამ შესაძლოა ზოგადად. როცა გადავდგამ ნაბიჯს რწმენით და ვინყებ ნათქვამის განმარტებას, მე უწყებას გასაგებს ვხდი ყველასათვის. მაგრამ ეს ხდება ჩემი მეშვეობით ჩემი გამოხატვის ფორმით.

სულით ლოცვა (უცხო ენაზე), და განმარტება (ამ უცხო ენის) საოცარი საშუალებაა „გონების დამხმარე სულის“ პრინციპის გაგებისთვის. სული ამბობს რაღაცას და გონებას ეძლევა განმარტება.

წარმოიდგინეთ შემდეგი: თუ და სმიტი ლაპარაკობს უცნობ ენაზე და ღმერთი ეძებს ვინმეს განმარტების მოსაცემად, იგი გვერდზე ჩამივლის, თუ ჩემი გონება ძალზედ დაკავებული და ყრუ იქნება მოსასმენად. კიდევაც რომ სცადოს მან ჩემთვის განმარტების მოცემა, არ მივიღებ.

როდესაც ახალგაზრდა ვიყავი უფალში და ვსწავლობდი სულიერ ნიჭებზე, ვლოცულობდი მხოლოდ ენებზე. საკმაო დროის გავლის შემდეგ, მე ნელ-ნელა მწყინდებოდა ჩემი ლოცვითი ცხოვრება. როდესაც დაველაპარაკე ამის შესახებ უფალს, მან გამაგებინა, რომ მომწყინდა იმიტომ, რომ ვერ ვხვდებოდი თუ რაზე ვლოცულობდი. თუმცა, მე ვხვდები, რომ ყოველთვის

ბონება - ბრძოლის ველი

არ უნდა მესმოდეს რას ვამბობ, როდესაც სულით ვლოცულობ, ვისწავლე, რომ ასეთ ლოცვაში დარღვეულია ბალანსი და იგი არ არის ყველაზე ნაყოფიერი, თუ მე არასოდეს შეძლევა განმარტება.

მშვიდი, ფხიზელი ბონება

„სულს, რომელიც შენ გენდობა, იფარავ მშვიდობაში, რადგან შენზეა მონდობილი“.

ესაია 26:3

იმედი მაქვს, თქვენ ამ მაგალითებიდან ადვილად დაინახავთ, რომ თქვენი გონება და სული უდავოდ ერთად მოქმედებენ, და ორივე ახლოს არის დაკავშირებული ერთმანეთთან. შესაბამისად, დიდად მნიშვნელოვანია, რომ თქვენი გონება ინარჩუნებდეს ნორმალურ მდგომარეობას. სხვაგვარად, იგი ვერ შეენწევა თქვენს სულს, რომ დაგეხმაროთ იცხოვროთ სულით აღსავსე ცხოვრებით.

ემშაკმა, რა თქმა უნდა, იცის ამ ფაქტის შესახებ, ამიტომაც უტევს თქვენს გონებას, აწარმოებს ომს თქვენს წინააღმდეგ თქვენი გონების ბრძოლის ველზე. მას სურს თქვენი გონების გადატვირთვა და გადაქანცვა ყოველგვარი არასწორი აზრებით ავსებით, რათა მან ველარ შეძლოს თავისუფლად და გახსნილად ყოფნა სულიწმიდასთან მიმართებაში, რომელიც მოქმედებს თქვენი ადამიანური სულის მეშვეობით.

გონება უნდა რჩებოდეს მშვიდი. როგორც წინასწარმეტყველი ესაია გვეუბნება, როცა გონება სწორადაა მიმართული, იგი დასვენებული იქნება.

თუმცა, ამავდროულად გონება ფხიზელად უნდა იყოს. ეს შეუძლებელი ხდება, როცა იგი გადატვირთულია ისეთი რამეებით, რისი ტარებაც არასოდეს არ ყოფილა მისთვის განზრახული.

იფიქრეთ ამაზე: რა დროის განმავლობაშია თქვენი გონება ნორმალურ მდგომარეობაში?

თავი

9

სეტიალი. ცნობისმოყვარე გონება

ხატიალი. ცნობისმოყვარე გონება

წინა თავში ვთქვით, რომ ზედმეტად დაკავებული გონება არანორმალურია. გონების სხვა მდგომარეობა, რომელიც ასევე არანორმალურია არის, როცა იგი დახეტილობს ყველგან. კონცენტრირების უუნარობა მოასწავებს ეშმაკის გონებრივ შეტევაზე.

„ამიტომ შემოისარტყელეთ თქვენი გონების წელნი“.

1 პეტრე 1:13

მრავალი ადამიანი წლების განმავლობაში გონებას ნებას რთავდა ეხეტილა, რადგან არასოდეს გამოუყენებიათ თავიანთი აზროვნების დისციპლინის პრინციპები.

საკმაოდ ხშირად, ხალხს, რომელიც ვერ ახერხებს ფიქრების კონცენტრირებას, გონებრივი ნაკლოვანება გააჩნიათ. თუმცა, კონცენტრირების უუნარობა შეიძლება იყოს წლების შედეგი გონების ნებაზე მიშვებისა, რომ აკეთოს ის, რაც სურს და როცა სურს. კონცენტრირების ნაკლებობა შეიძლება ასევე იყოს ვიტამინების უკმარისობის შედეგიც. გარკვეული B-ვიტამინი ზრდის კონცენტრირებას. შესაბამისად, თუ თქვენ არ შეგიძლიათ კონცენტრირება, ჰკითხეთ საკუთარ თავს სწორად თუ იკვებებით და საკვებიც თუ არის ჯანსაღი.

ძლიერი დაღლილობაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს კონცენტრირებაზე. აღმოვაჩინე, რომ როდესაც მეტისმეტად დაღლილი ვარ, ეშმაკი ეცდება შემოუტოს ჩემს გონებას, რადგან იცის, რომ უფრო გამიჭირდება ასეთ დროს შენინააღმდეგება. მას სურს, რომ თქვენ და მე ვფიქრობდეთ, რომ ჩვენ გონებრივი ნაკლოვანება გაგვაჩნია, რათა არ ვეცადოთ რაიმეს გაკეთებას მისთვის პრობლემების გამოსაწვევად. მას სურს, რომ პასიურად დავეთანხმოთ ყველა ტყუილს, რომელსაც იგი გვეტყვის.

ჩვენს ერთ-ერთ ქალიშვილს ბავშვობის წლებში კონცენტრირება უჭირდა. მას უძნელდებოდა კითხვა, რადგან კონცენტრირება და გააზრება გვერდიგვერდ დგას. ბევრი ბავშვი და ზრდასრული ადამიანიც კი არ იაზრებს იმას, რასაც კითხულობს. მათი თვალები ათვალეერებენ სიტყვებს წიგნის გვერდზე, მაგრამ მათი გონება რეალურად ვერ ხვდება, რასაც კითხულობენ.

ბონება - ბრძოლის ველი

ხშირად გააზრების ნაკლებობა კონცენტრირების ნაკლებობის შედეგია. რაც შემეხება მე, ვიცი, რომ შემოიძლია წავიკითხოთ თავი ბიბლიაში ან წიგნში და უეცრად მივხვდეთ, რომ საერთოდ არ ვიცი რა წავიკითხე. შეიძლება დავუბრუნდე, ხელახლად წავიკითხო და ყოველივე ახლად მეჩვენება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თვალეები ათვალეიერებდნენ სიტყვებს გვერდზე, ჩემი გონება სადღაც სხვაგან დახეტილობდა. იმის გამო, რომ ფოკუსირებული არ ვიყავი იმაზე, რასაც ვკითხულობდი, ვერ შევძელი იმის გააზრება, რასაც ვკითხულობდი.

ხშირად გააზრების ნაკლებობის პრობლემის უკან იმალება ყურადღების ნაკლებობა, რომელიც გამონეულია მოხეტიალე გონებით. ამას წინათ მე, დეივი და ჩვენი მეგობრები იუტადან ერთად მივდიოდით მანქანით. უეცრად გავიგონეთ, რომ დეივმა თქვა: „ვაკურთხებ ჩემს თავს“. ჩვენ გავიცინეთ, როცა გავაცნობიერეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დეივმა ხმამაღლა დააცემინა, ვერცერთმა ჩვენგანმა გააზრებით ვერ გავიგონეთ მისი, რადგან ჩვენ ყველანი ჩვენს ფიქრებში სხვაგან ვიმყოფებოდით. მე ვთქვი: „უკაცრავად, ვერ გავიგონე; მე ოფისში ვიყავი სენტ ლუისში“. უკანა სკამზე მჯდომმა მამაკაცმა გაიცინა და თქვა: „მე ფლორიდაში ვიყავი და ვაგვარებდი რაღაც ბიზნესს“. მისმა ცოლმაც გაიცინა და დაამატა: „მე დალასში ვიყავი ჩემს ოფისში და მდგომარეობას ვუმკლავდებოდი“.

რამდენიმე ხანში სამივე ჩვენთაგანი გონების სხვა მდგომარეობაში გადავედით. ამან დაგვანახა, თუ რამდენად სწრაფად შეუძლია გონებას გადაუხვიოს იმიდან, რაც სინამდვილეში ხდება იქ, სადაც ვიმყოფებით. ჩვენ ვიცინეთ, რადგან დეივს მოუწია თავისი თავის კურთხევა, იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენთაგანი გონებით იქ არ იმყოფებოდა. სასაცილო იყო, მაგრამ ამან თვალეები აგვიხილა, რომ დაგვენახა, თუ როგორ შეგვიძლია დავკარგოთ სიფხიზლე იმაზე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება იმით, რომ არ ვართ აწმყოზე ფოკუსირებულიები.

მოხეტიალე ბონება

„გაუფრთხილდი შენს ფერხთ [გონება დაატანე იმას, რასაც აკეთებ]“.

ეკლესიასტე 5:1

მე მჯერა, რომ სიტყვები „გაუფრთხილდი შენს ფერხთ“ ნიშნავს „არ დაკარგო ბალანსი ან არ გადაუხვიო გზიდან“. ამ ფრაზის ფართო გაგება გულისხმობს, რომ პიროვნება რჩება გზაზე იმით, რომ თავის გონებას ძალას ატანს, რომ იფიქრო იმაზე რასაც აკეთებს.

მე მოხეტიალე გონება მქონდა და მიწვედა მისი დისციპლინით განვრთხნა. ეს არ იყო ადვილი და ხანდახან ახლაც მაქვს ხოლმე ჩავარდნები. რაიმე პროექტის დასრულების მცდელობისას, უეცრად ვაცნობიერებ, რომ ჩემმა გონებამ გადაუხვია ისეთ რამეზე, რომელიც არანაირ კავშირში არ იყო ჩემს წინაშე მყოფ საქმესთან. მე ჯერ არ მივსულვარ სრულყოფილი კონცენტრაციის მდგომარეობამდე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მესმის, თუ რა მნიშვნელოვანია არ მივცე გონებას უფლება, იფიქროს ისეთ რაღაცეებზე, რასაც მოისურვებს და როდესაც მოისურვებს.

ვებსტერის განმარტებითი ლექსიკონი განსაზღვრავს სიტყვა „ხეტიალს“ როგორც: „1. უაზროდ მოძრაობა: წაწაწა. 2. არაპირდაპირი გზით გადაადგილება ან არ დაგეგმილი სვლით: იორლა. 3. გაგრძელება არარეგულარული გზით ან ქმედებით... 5. ფიქრი ან საკუთარი თავის გამოხატვა გაურკვეველად ან შეუსაბამოდ“.¹

თუ თქვენ მე მგავხართ, შეიძლება იჯდეთ ეკლესიის მსახურებაზე, უსმენდეთ მოლაპარაკეს, რეალურად გსიამოვნებდეთ ან სარგებელს ნახულობდეთ მოსმენილისგან, როცა უეცრად თქვენი გონება იწყებს ხეტიალს. ცოტა ხნის შემდეგ თქვენ „იღვიძებთ“ და აღმოაჩნით, რომ არ გახსოვთ არაფერი, რაც მანამდე ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სხეული ეკლესიაში რჩებოდა, თქვენი გონება იყო შოპინგ ცენტრში, ათვალეიერებდა მაღაზიებს, ან სახლში, სამზარეულოში ვახშამს ამზადებდით.

გახსოვდეთ, სულიერ ბრძოლაში გონება ბრძოლის ველია. ის ადგილია, სადაც მტერი ახორციელებს თავის შეტევას. მან ძალიან კარგად იცის, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება იმყოფება ეკლესიაში, თუ იგი ვერ შეძლებს საკუთარი გონების მომართვას იმისკენ, რაც ისწავლება, აბსოლუტურად ვერაფერს შეიძენს იქ ყოფნით. ეშმაკმა იცის – პიროვნება ვერ შეძლებს საკუთარი თავის მონესრიგებას საქმის შესასრულებლად, თუ ვერ შეძლებს საკუთარი გონების მონესრიგებას და მის მომართვას იმისკენ, რასაც აკეთებს.

გონების ხეტიალის მოვლენა ასევე საუბრის დროსაც ხდება. ხანდახან, როცა ჩემი მეუღლე დეივი მელაპარაკება, მე

ბონება - ბრძოლის ველი

გარკვეული დროის განმავლობაში ვუსმენ; შემდეგ უეცრად ვაცნობიერებ, რომ ვერაფერი გავიგონე იქიდან, რასაც ის მეუბნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ჩემს გონებას მივეცი უფლება ეხეტილა სხვა რამეზე. ჩემი სხეული იქ იდგა მოსასმენად, თუმცა, გონებაში არაფერი მესმოდა.

მრავალი წლის განმავლობაში, როცა ასე ხდებოდა, თავს მოვაჩვენებდი ხოლმე, რომ ზუსტად ვიცოდი, რასაც დეივი მეუბნებოდა. ახლა ვჩერდები და ვეუბნები: „შეგიძლია გაიმეორო? ჩემი გონება სხვაგან დახეტილობდა და არაფერი არ გამიგია, რაც თქვი“.

მე ვგრძნობ, რომ ყოველ შემთხვევაში ვებრძვი პრობლემას. პრობლემებთან დაპირისპირება ერთადერთი საშუალებაა გამარჯვებულ მხარეზე დგომისთვის!

მე გადავწყვიტე, რომ ამგვარად, თუ ეშმაკი მივიდა პრობლემამდე, რომ შემოეცია ჩემთვის მოხეტიალე გონებით, მაშინ შესაძლოა რაღაც ისეთი იყო ნათქვამი, რაც მე უნდა მომესმინა.

ერთ-ერთი გზა მტერთან საბრძოლველად ამ სფეროში არის ჩანერილი ქადაგებების მოსმენის სარგებელი, რომელთაც მრავალი ეკლესია იწერს. თუ ჯერ ვერ გისწავლიათ თქვენი გონების დისციპლინირება, რომ შეძლოთ ნათქვამის მოსმენა ეკლესიაში, მაშინ იყიდეთ ქადაგების ჩანაწერი ყოველკვირეულად და მოუსმინეთ მას იმდენჯერ, რამდენჯერაც დაგჭირდებათ იმისათვის, რომ გაიაზროთ უწყება.

ეშმაკი დანებდება, როცა დაინახავს, რომ თქვენ არ ნებდებით.

გახსოვდეთ, მონინაალმდეგეს სურს გაფიქრებინოთ, რომ გონებრივად ნაკლოვანებას განიცდით – რაღაც პრობლემა გაქვთ. მაგრამ ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ უბრალოდ უნდა დაინყოთ გონების დისციპლინირება. ნუ მისცემთ მას საშუალებას იხეტილოს მთელს ქალაქში, აკეთოს ნებისმიერი რამ, რასაც მოისურვებს. დაიწყეთ დღეს „თქვენი ფეხების გაფრთხილება“, რომ შეინარჩუნოთ გონება იმაზე, რასაც აკეთებთ. გარკვეული დროის განმავლობაში დაგჭირდებათ ვარჯიში. ძველი ჩვევების დანგრევას და ახლების ჩამოყალიბებას ყოველთვის სჭირდება დრო, მაგრამ საბოლოოდ ეს ამაღლირს. ანმყო მომენტი ყველაზე უდიდესი საჩუქარია, რომელიც ღმერთისგან გვაქვს, მაგრამ თუ ჩვენ არ ვიმყოფებით აქ, მაშინ ვერ მივიღებთ მას.

ცნობისმოყვარე ბონება

„ჭეშმარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, და გულში არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას. ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გნამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება“.

მარკოზი 11:23,24

როცა ერთი ან მეორე რამის წინაშე ვდგებოდი, მე ხშირად მესმოდა საკუთარი თავისგან: „ნეტა (მაინტერესებს)“. მაგალითად:

„ნეტა, რა ამინდი იქნება ხვალ“.

„ნეტა, რა ჩავიცვა წვეულებაზე“.

„ნეტა, რა ნიშნები ეყოლება დენის [ჩემი ვაჟი] თავის ჩათვლის წიგნაკში“.

„ნეტა, რამდენი ადამიანი მოვა სემინარზე“.

ლექსიკონი ნაწილობრივ განმარტავს სიტყვა „ინტერესს (ან გაკვირვებას და ა.შ., ინგ. Wonder)“ არსებით სახელში როგორც „დაბნეულობის ან ეჭვის გრძნობას“ და ზმნის ფორმაში როგორც „ცნობისმოყვარეობით ან ეჭვით აღსავსედ ყოფნა“.²

ვისწავლე, რომ მე გაცილებით უკეთესად გამომდის რაიმე პოზიტიურის კეთება, ვიდრე უბრალოდ ცნობისმოყვარეობა, თუ რა ნიშნებს მიიღებს დენი, შემოძლია ვინრამუნო, რომ იგი მიიღებს კარგ ნიშნებს. ნაცვლად იმისა, რომ ვფიქრობდე, თუ რას ჩავიცმევ წვეულებაზე, შემოძლია გადავწყვიტო რა ჩავიცვა. ნაცვლად იმისა, რომ მაინტერესებდეს ამინდი ან რამდენი ადამიანი დაესწრება ჩემს მსახურებებს, უბრალოდ შემოძლია საკითხი უფალს გადავცე, მივენდო მას, რომ ყოველივეს სასიკეთოდ აქცევს, მიუხედავად იმისა, თუ რა ხდება.

ბანახლება: ჩვენს ვაჟს დენის არ მოსწონდა სკოლა და უჭირდა დიდი ხნის განმავლობაში, ამიტომ მე ბევრჯერ ვინტერესდებოდი მისით და მისი მომავლით. ვიფიქრე, რომ გესიამოვნებოდათ იმის მოსმენა, რომ დღეს იგი მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელია „ჯოის მაიერ მინისტრის“-ში.

ბონება - ბრძოლის ველი

მთელი ჩემი ცნობისმოყვარეობა ამაოდ გაიფლანგა. ღმერთმა იცოდა მისი მომავალი და ყოველივეს აკონტროლებდა.

თუმცა, ზოგჯერ რაღაცეებით დაინტერესება ნორმალურია, თუ იგი მეტისმეტია, მან შეიძლება ადამიანი გაურკვეველობაში ამყოფოს, გაურკვეველობა კი ინვეს დაბნეულობას. ინტერესი, გაურკვეველობა და დაბნეულობა ხელს უშლიან მორწმუნეს რწმენით ლოცვაში ან საჭიროებაზე ღმერთისგან პასუხის მიღებაში.

შენიშნეთ, რომ მარკოზი 11:23,24-ში იესოს არ უთქვამს: „რასაც კი ითხოვთ ლოცვაში, გაინტერესებდეთ თუ შეძლებთ მის მიღებას“. ნაცვლად ამისა, მან თქვა: „ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გნამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება“.

როგორც ქრისტიანებს, როგორც მორწმუნეებს, ჩვენ უნდა გვწამდეს – და არა ვეჭვობდეთ!

თავი

10

დაბნეული გონება

დაბნეული გონება

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ცნობის-
მოყვარეობა და დაბნეულობა ნათე-
სავეები არიან. დაინტერესება, ნაცვლად
აზრებში მტკიცედ ყოფნისა, ინვევს
ექვს და არეულობას.

იაკობი 1:5-8 არაჩვეულებრივი მუხ-
ლებია, რომლებიც გვეხმარებიან ცნო-
ბისმოყვარეობის, ეჭვისა და არეულობის
დაძლევაში, რათა მივიღოთ ღმერთისგან
ის, რაც გვჭირდება. ჩემთვის „მერყევი
ადამიანი“ არის არეულობის სურათი,
რადგან იგი გამუდმებით დადის წინ და
უკან და არაფერს წყვეტს. როცა იგი
ფიქრობს, რომ მან გადანყვეტილება მი-
იღო, მოდის ცნობისმოყვარეობა, ეჭვი
და დაბნეულობა იმისათვის, რომ იგი
კვლავ გააოროს აზრებში. იგი მერყევია
თითქმის ყველაფერში.

„თუ რომელიმე თქვენ-
განს აკლია სიბრძნე,
სთხოვოს ღმერთს,
ყველასათვის უხვად
და დაუყვედრებლად
გამცემს, და მიეცემა
რწმენით და ეჭვის გარ-
ეშე სთხოვოს, რადგან
ეჭვიანი ჰგავს ზღვის
ტალღას, ქარისაგან
აღძრულსა და მიმო-
ტაცებულს. ნურც ჰგო-
ნია ასეთ კაცს, რომ
ღვთისაგან მიიღებს
რამეს. ორჭოფი კაცი
მერყევია თავის ყველა
გზაზე“.

იაკობი 1:5-8

მე ცხოვრების დიდი ნაწილი ასე
ვცხოვრობდი, ვერ ვაცნობიერებდი, რომ ეშმაკს ჰქონდა ომი
გამოცხადებული ჩემს წინააღმდეგ და რომ ჩემი გონება იყო ბრ-
ძოლის ველი. მე სრულ გაურკვეველობაში ვიყავი ყველაფერზე
და ვერ ვხვდებოდი რატომ.

მსჯელობას მივყავართ დაბნეულობამდე

„რას ფიქრობთ გულში მცირედ მორწმუნენო?“

მათე 16:8

აქამდე, ჩვენ ვსაუბრობდით ცნობისმოყვარეობაზე და ახლა,
შემდეგ თავში, მეტს ვილაპარაკებთ ეჭვზე. მსურს უფრო დეტა-
ლურად ვისაუბროთ გაურკვეველობის შესახებ.

ბონება - ბრძოლის ველი

ღვთის ხალხის დიდი პროცენტი, საერთო აღიარებით, გაურკვეველობაშია. რატომ? როგორც ვნახეთ, ერთ-ერთი მიზეზი ცნობისმოყვარეობაა. მეორე მიზეზი ეჭვიანობაა. ლექსიკონი ნაწილობრივ განმარტავს სიტყვა „მსჯელობას“ არსებითი სახელის ფორმაში, როგორც „ძირითადი ფაქტი ან მოტივი, რომელიც ანიჭებს ლოგიკურ აზრს ჩანაფიქრს ან მოვლენას“, ხოლო ზმნის ფორმაში: „უნარის ან მსჯელობის გამოყენება: ლოგიკურად აზროვნება“.¹

მარტივი გზა ამის გამოსახატავად ასეთია: ვთქვათ, მსჯელობა ხდება მაშინ, როცა ადამიანი ცდილობს დაადგინოს „რატომ“ რაღაცის მიღმა. მსჯელობა აიძულებს გონებას იტრიალოს და იტრიალოს სიტუაციის, პრობლემის ან მოვლენის ირგვლივ, მცდელობით გაიგოს ყოველი მისი რთული შემადგენელი ნაწილი. ჩვენ ვმსჯელობთ, როცა ვაანალიზებთ სიტყვებს ან სწავლებას, რათა დავინახოთ თუ არის იგი ლოგიკური და წინააღმდეგ შემთხვევაში მას უგულებელვყოფთ.

ემმაკი გამუდმებით იპარავს ღმერთის ნებას მსჯელობის გამო. შეიძლება უფალი მიგვიძლოდეს გარკვეული საქმის შესასრულებლად, მაგრამ თუ ვერ დავინახავთ აზრს – თუ იგი არ იქნება ლოგიკური – ჩვენ შეიძლება ვცდუნდეთ და უყურადღებოდ მოვექცეთ მას. ის, რისკენაც ღმერთი უძღვება პიროვნებას, ყოველთვის არ გამოიყურება ლოგიკურად მისი გონებისთვის. მისმა სულმა შეიძლება დაადასტუროს ეს, მისმა გონებამ კი უარყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს უჩვეულო რამ იქნება, ან იმ შემთხვევაში, თუ იქნება არასასიამოვნო ან მოითხოვს პირად მსხვერპლშენიშვნას ან გვიქმნის დისკომფორტს. ყოველთვის სასიამოვნოა, თუ სული და გონება თანხმდებიან, მაგრამ თუ არა, ჩვენ ყოველთვის უნდა ავირჩიოთ სულის გაყოლა.

ნუ იმსჯელებთ ბონებაში,
უბრალოდ დაემორჩილეთ სულში

„მინიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი“.

1 კორინთელთა 2:14

ქვემოთ მოყვანილია პრაქტიკული მაგალითი, რომელიც იმედია დაგეხმარებათ იმის გაგებაში, თუ როგორ ხდება სულში მორჩილების სანინაალმდეგოდ გონებაში მსჯელობა.

ერთ დილას, როცა ვემზადებოდი ყოველკვირეული მსახურებისთვის, რომელსაც ვატარებდი ჩემი საცხოვრებელი ქალაქის გვერდით, დავინწყე იმ ქალის ერთგულებაზე ფიქრი, რომელიც უძღვებოდა ჩვენს შენევის მსახურებას. ჩემს გულში გაჩნდა სურვილი გამეკეთებინა ისეთი რამე, რომ მეკურთხებინა იგი.

„მამა, რუთ ენი ისეთი კურთხევა იყო ჩვენთვის ამ წლების მანძილზე,“ ვლოცულობდი მე, „რა შემოძლია გავაკეთო, რომ ვაკურთხო იგი?“

მყისვე, თვალი მივაპყარი ახალ წითელ კაბაზე, რომელიც ეკიდა ჩემს გარდერობში და გულში მივხვდი, უფალი მანიშნებდა მიმეცა ეს კაბა რუთ ენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყიდე იგი სამი თვის წინ, არასოდეს მიტარებია. ფაქტობრივად, იგი ჯერ კიდევ პლასტიკურ ჩანთაში ეკიდა, რომლითაც სახლში მოვიტანე. მე მართლა მომწონდა იგი, მაგრამ ყოველთვის, როცა კი გავიფიქრებდი მის ტარებას, რატომღაც, არ მქონდა სურვილი, რომ ჩამეცვა.

გაიხსენეთ, მე ვთქვი, რომ როცა ჩემი თვალები მიიპყრო ამ წითელმა კაბამ, ვიცოდი, რომ იგი რუთ ენისთვის უნდა მიმეცა. თუმცა, სინამდვილეში არ მინდოდა მისი გაცემა და მყისვე დავინწყე მსჯელობა ჩემს გონებაში, რომ ღმერთი ვერ მეტყოდა მეჩუქებინა მისთვის წითელი კაბა, რადგან იგი სულ ახალი იყო, არასოდეს მეცვა, საკმაოდ ძვირადღირებული – და მე მისთვის შესახამებლად წითელი და ვერცხლისფერი საყურეებიც კი შევიძინე!

რომ შემეკავებინა ჩემი ხორციელი გონება მოცემულ სიტუაციაში და სულში მგრძნობიარე ვყოფილიყავი ღმერთისადმი, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, მაგრამ ჩვენ, ადამიანებს, გვაქვს უნარი ვატყუებდეთ საკუთარ თავს მსჯელობით, როცა სინამდვილეში არ გვსურს იმის გაკეთება, რასაც ღმერთი ამბობს. ორიოდ წუთში დამავინწყდა ყველაფერი და გავაგრძელე ჩემი საქმე. ძირითადი მომენტი ამ ყველაფერში ის იყო, რომ არ მსურდა კაბის გაცემა, რადგან იგი ახალი იყო და მომწონდა. ჩემი გონება მსჯელობდა, რომ ეს სურვილი, რომელსაც ვგრძნობდი ვერ იქნებოდა ღმერთისგან, არამედ, ეშმაკი ცდილობდა წაერთმია ჩემთვის ის, რაც მე მსიამოვნებდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, მე ვემზადებოდი სხვა შეხვედრისთვის იგივე ადგილზე, როგორც მანამდე, როდესაც კიდევ ერთხელ ამოტივტივდა რუთ ენის სახელი ჩემს გულში. მე დავინწყე მისთვის ლოცვა. კვლავ გავიმეორე მთელი სცენა და ვამბობდი: „მამა, რუთ ენი ძალიან დიდი კურთხევა იყო ჩვენთვის, რა შემიძლია გავაკეთო, რომ ვაკურთხო იგი?“ მყისვე კვლავ დავინახე წითელი კაბა და სხეულში ჩაძირვის გრძობა დამეუფლა, რადგან ახლა გამახსენდა წინა შემთხვევა (რომელიც სწრაფად და სრულიად დავინწყებული მქონდა).

ამჯერად აღარ მიცდია თავის დაძვრენა; ან უნდა დავმდგარიყავი იმ ფაქტის წინაშე, რომელსაც ღმერთი მანახებდა და უნდა შემესრულებინა, ან უბრალოდ უნდა მეთქვა: „ვიცი რასაც მაჩვენებ, უფალო, მაგრამ არ ვაპირებ ამის გაკეთებას“. ძალიან მიყვარს უფალი, რომ განზრახ, გააზრებულად არ ვეურჩო მას, ამიტომ დავინწყე მასთან საუბარი წითელი კაბის შესახებ.

რამდენიმე წუთში მივხვდი, რომ წინა შემთხვევაში, მე მსჯელობით დავაღწიე თავი ღმერთის ნებას და სულ ცოტა ხანი დამჭირდა ამისათვის. მე მქონდა აზრი, რომ არ შემეძლო უფლისაგან გამეგონა, რადგან კაბა ახალი იყო. თუმცა, ახლა მივხვდი, რომ ბიბლია არაფერს ლაპარაკობს, მხოლოდ ძველი ნივთების გაცემაზე! ეს ჩემთვის უფრო დიდი მსხვერპლი იქნებოდა, რომ გამეცა კაბა იმის გამო რომ ახალი იყო, მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტად იქნებოდა კურთხევა რუთ ენისთვის.

როდესაც ჩემი გული გავუხსენი უფალს, მან დაიწყო ჩემთვის იმის ჩვენება, რომ კაბა თავიდანვე შემიძენია რუთ ენისთვის; სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ვერასოდეს შევძელი მისი ტარება. უფალმა განიზრახა ჩემი გამოყენება თავის წარმომადგენლად, რომ ეკურთხებინა იგი ყოველთვის. მაგრამ მე ჩემი წარმოდგენა მქონდა კაბაზე და სანამ არ ვუარყავი ჩემი აზრები, არ შემეძლო მართული ვყოფილიყავი სულის მიერ.

ამ კონკრეტულმა მაგალითმა ძალიან ბევრი მასწავლა. იმის გაცნობიერებამ, თუ რა ადვილად შეიძლება თავით ვიყოთ მართულნი და მსჯელობას სამუალება მივცეთ გადაგვახვევინოს ღმერთის ნებიდან, გამოიწვია ჩემში მსჯელობისადმი „მოკრძალებული“ შიში.

გაიხსენეთ, 1 კორინთელთა 2:14-ის თანახმად, ბუნებრივი ადამიანი ვერ უგებს სულიერ ადამიანს. ჩემს ხორციელ გონებას (ჩემი ბუნებრივი ადამიანი) არ ესმოდა ახალი კაბის გაცემა,

რომელიც არასოდეს მეტარებინა, მაგრამ ჩემს სულს (ჩემს სულიერ კაცს) ეს კარგად ესმოდა.

იმედია, ეს მაგალითი მეტ ცოდნას მოგცემთ ამ სფეროსთან დაკავშირებით და დაგეხმარებათ უფრო მეტად იაროთ ღვთის ნებაში, ვიდრე მანამდე.

(სხვათა შორის, ვიცი ალბათ გაინტერესებთ, ვაჩუქე თუ არა რუთ ენს წითელი კაბა. კი, ახლა იგი მუშაობს ჩვენს ოფისში სრული დროით და დრო და დრო იმ წითელ კაბას კვლავ ატარებს სამსახურში.)

ბანახლება: მას შემდეგ რაც რუთ ენიმ ატარა ეს კაბა რამდენიმე წლის განმავლობაში, მან დამიბრუნა იგი საჩუქრად. იგი საკმაოდ გადასულია მოდიდან, მაგრამ მე ვინახავ მას, რათა მახსენებდეს იმ დროს, როცა მე ჩემებური მსჯელობით გადავუხვებე ღმერთის ნებიდან იმის გამო, რაც ახლა გაცვეთილი, მოდიდან გადასული წითელი ქსოვილის ნაჭერია, რომელსაც არასოდეს აღარავინ ჩაიცვამს.

იყავი ღმერთის სიტყვის აღმსრულებელი!

„იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“.

იაკობი 1:22

ყოველთვის, როცა ვხედავთ რას ამბობს ღმერთის სიტყვა და უარს ვამბობთ მის შესრულებაზე, მსჯელობა გარკვეულ წილად ჩაერთვება და გვაცდუნებს დაგვაჯეროს სხვა რამ ჭეშმარიტების ნაცვლად. ზედმეტად დროს ნუ დავხარჯავთ იმისათვის, რომ გავიგოთ (გონებრივად) ყველაფერი, რასაც სიტყვა ამბობს. თუ ჩვენ ვატარებთ მოწმობას სულში, შეგვეძლება წინ წასვლა და მისი შესრულება.

მე აღმოვაჩინე, ღმერთს სურს, რომ ვემორჩილებოდე მას, მიუხედავად იმისა, რას ვგრძნობ: მომწონს ეს თუ არა, მიწდა თუ არა, ან ვფიქრობ თუ არა, რომ კარგი აზრია.

როცა ღმერთი ლაპარაკობს, თავისი სიტყვის მეშვეობით ან ჩვენს შინაგან კაცში, ჩვენ არ უნდა ვმსჯელობდეთ, ვთათბი-

ბონება - ბრძოლის ველი

რობდეთ ან საკუთარს ვეკითხებოდეთ, რომ ის, რაც მან თქვა ლოგიკურია თუ არა.

როცა ღმერთი ლაპარაკობს, ჩვენ მობილიზაცია უნდა მოვახდინოთ და არა რაციონალიზაცია.

მიენდეთ ღმერთს და არა ადამიანურ მსჯელობას

„დაენდე უფალს მთელი შენი გულით და შენს გონებას ნუ დაეყრდნობი“.

იგავები 3:5

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნუ დაეყრდნობით მსჯელობას. მსჯელობა კარს უღებს ტყუილს და დიდი არეულობა შემოაქვს.

ერთხელ ვეკითხე უფალს, რატომ არის, რომ ამდენი ადამიანი გაურკვევლობაში იყო და მან მიპასუხა: „უთხარი მათ შენყვიტონ ყველაფრის გარკვევა და აღარ იქნებიან გაურკვევლობაში“. აღმოვაჩინე, რომ ეს აბსოლუტურად ჭეშმარიტია. მსჯელობა და გაურკვევლობა გვერდიგვერდ მიდიან.

თქვენ და მე შეგვიძლია გავიფიქროთ რაიმე გულში, შეგვიძლია დავიკავოთ იგი უფლის წინაშე და დავინახოთ სურს მას თუ არა რომ გვექნდეს მიხვედრის უნარი, მაგრამ იმ მომენტში, როცა გაურკვევლობის შეგრძნება მოდის, ჩვენ უკვე ძალიან შორს გვაქვს გადახვეული.

მსჯელობა სახიფათოა მრავალი მიზეზის გამო, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი შემდეგია: ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ და გავარკვიოთ რამე, რაც გასაგები იქნება ჩვენთვის. მაგრამ ის, რაზეც ვიმსჯელებთ, შევაფასეთ როგორი სწორი, შეიძლება სინამდვილეში იყოს არასწორი.

ადამიანურ გონებას მოსწონს ლოგიკა, წესრიგი და მსჯელობა. მას უყვარს საქმის ქონა იმასთან, რაც ესმის. შესაბამისად, ჩვენ მიდრეკილება გვაქვს, რომ ზოგიერთ რამეს მოწესრიგებულ პატარა ნაგვის ყუთში ვაგდებდეთ ჩვენი გონების განყოფილებებში და ვფიქრობთ: „აღბათ მისი ადგილი აქ არის, რადგან კარგად ეტევა მასში“. ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ისეთი

რამ, რასთანაც ჩვენი გონება თავს კომფორტულად გრძნობს და მაინც სრულიად ვცდებოდეთ.

მოციქულმა პავლემ რომაელთა 9:1-ში თქვა: „ჭეშმარიტად ვლაპარაკობ ქრისტეში, არა ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმონმებს სულიწმიდაში“. პავლემ იცოდა, რომ სწორად იქცეოდა, არა იმიტომ, რომ მისმა გონებამ უთხრა, რომ სწორი იყო, არამედ რადგან მონმობას ატარებდა თავის სულში.

როგორც ვნახეთ, ხანდახან, გონება ეხმარება სულს. გონება და სული თანამშრომლობენ, მაგრამ სული უფრო კეთილშობილია და ყოველთვის უნდა იყოს დაფასებული გონებაზე მეტად.

სულში რომ ვიცოდეთ, რომ რაიმე არ არის სწორი, არ უნდა მივცეთ მსჯელობას საშუალება, რომ დაგვაჯეროს მისი გაკეთება. ასევე, რომ ვიცოდეთ, რომ რაიმე სწორია, არ უნდა მივცეთ საშუალება მსჯელობას, გადაგვაფიქრებინოს მისი გაკეთება.

ღმერთი გვაძლევს შემეცნებას მრავალ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არ არის საჭირო გვესმოდეს ყველაფერი იმისათვის, რომ უფალთან ერთად და მისი ნებისადმი მორჩილებაში დავდიოდეთ. ხანდახან, ღმერთი დიდ კითხვის ნიშნებს ტოვებს, როგორც ინსტრუმენტებს ჩვენს ცხოვრებაში ჩვენი რწმენის გასაფართოებლად. უპასუხო კითხვები ჯვარს აცვამენ ხორციელ ცხოვრებას. ადამიანებისთვის რთულია მსჯელობისათვის თავის დანებება და უბრალოდ ღმერთისადმი მინდობა, მაგრამ როცა პროცესი დასრულდება, გონება შედის მოსვენებაში.

მსჯელობა ერთ-ერთი „დატვირთული ქმედებაა“, რომელშიც გონება ერთვება, რაც ხელს უშლის ამოცნობას და გამოცხადებით მიღებულ ცოდნას. დიდი განსხვავებაა თავში არსებულ ცოდნასა და გამოცხადებით მიღებულ ცოდნას შორის.

არ ვიცი თქვენ როგორ, მაგრამ მე მსურს, რომ ღმერთმა გამიცხადოს რაღაცეები ისე, რათა სულში ვიცოდე, რომ ის, რაც ჩემს გონებას გაუცხადდა, სწორია. მე არ მინდა მსჯელობა, წარმოდგენა, ვიყო ლოგიკური, ვატრიალებდე ჩემს გონებას საკითხის ირგვლივ იქამდე, სანამ არ დავიღლები და გაურკვევლობაში არ ჩავვარდები. მსურს, განვიცდიდე გონების და გულის სიმშვიდეს, რომელიც მოდის ღმერთისადმი ნდობით, და არა ჩემს ადამიანურ შეხედულებებიდან და აზროვნებიდან.

ბონება - ბრძოლის ველი

თქვენ და მე უნდა მივალწიოთ იმ ასაკს, როცა კმაყოფილები ვიქნებით იმის ცნობით, ვინც იცის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეიძლება არ ვიცოდეთ.

ბალანსპირით არაფერი იცოდეთ, გარდა ქრისტესი

„და მეც მოვედი თქვენთან, ძმებო, მოვედი ღვთის მონობის საუნწყებლად, არა ამალღებული სიტყვით ან სიბრძნით, რადგან გადავწყვიტე არაფერი მცოდნოდა თქვენს შორის, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულისა“.

1 კორინთელთა 2:1,2

ეს იყო პავლეს მიდგომა ცოდნისა და მსჯელობისადმი. მე კარგად ვხვდები და მივესალმები მას. დიდი ხანი დამჭირდა, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩემს შემთხვევებში, რაც ნაკლები ვიცი, მით უფრო ბედნიერი ვარ. ხანდახან იმდენ რამეს გავიგებთ, რომ თავს უმნიშვნელოდ ვგრძნობთ.

მე ყოველთვის ვიყავი ცნობისმოყვარე ადამიანი. ყველაფერი გარკვეული უნდა მქონოდა, რათა კმაყოფილი ვყოფილიყავი. ღმერთმა დაიწყო ჩემთვის იმის ჩვენება, რომ ჩემი გამუდმებული მსჯელობა იყო ჩემი გაურკვევლობის საფუძველი, რომელიც ხელს მიშლიდა იმის მიღებაში, რისი მოცემაც მას სურდა ჩემთვის. მან თქვა: „ჯოის, შენ უნდა გადადო ხორციელი აზროვნება, თუ ოდესმე გინდა რომ ამოცნობა შეძლო“.

მივხვდი, რომ თავს მეტად დაცულად ვგრძნობდი, თუ ყველაფერს გავარკვევდი. არ მსურდა ჩემს ცხოვრებაში ყოფილიყო რომელიმე დაუმაგრებელი ნაწილი. მსურდა ყოველივეს მართვა – და როცა რამე არ მესმოდა, მე კონტროლდაკარგულად და შეშინებულად ვგრძნობდი თავს. მაგრამ რაღაც მაკლდა. არ მქონდა გონების მშვიდობა და მსჯელობისგან ფსიქიკურად გამოფიტული ვიყავი.

ასეთი ხანგრძლივი არასწორი გონებრივი ქმედება თქვენს ფიზიკურ სხეულსაც კი გადალლის. ამან შეიძლება გამოგფიტო!

ღმერთმა მომთხოვა დავნებებულიყავი და მე ძლიერ ვურჩევ იგივეს ყველას, ვინც მიდრეკილია მსჯელობისკენ. დაახ, მე

ვთქვი მიდრეკილია მსჯელობისკენ. ჩვენ შეიძლება მიდრეკილნი გავხდეთ არასწორი გონებრივი მოქმედებისადმი ისევე, როგორც ვინმე შეიძლება მიდრეკილი გახდეს ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან ნიკოტინის მიმართ. მე მიდრეკილი ვიყავი მსჯელობისადმი და როცა ამას თავი დავანებე, უკან დახვევის სიმპტომები მქონდა. თავს დაკარგულად და შეშინებულად ვგრძნობდი, რადგან არ ვიცოდი, რა ხდებოდა. თავს მონყენილადაც კი ვგრძნობდი.

იმდენი დრო მქონდა გატარებული მსჯელობაში, რომ როცა მას თავი დავანებე, მე უნდა შევჩვეულიყავი იმას, რომ ჩემი გონება ასე მშვიდად იყო. გარკვეული ხნის მანძილზე ეს მოსაწყენად ჩანდა, მაგრამ ახლა მიყვარს. მაშინ, როცა შეჩვეული ვიყავი გონებაში ყველაფერი გამუდმებით მეტრიალებინა, ახლა მსჯელობის ტკივილს და ტვირთს აღარ ვრთავ ნებას.

მსჯელობა არ არის ნორმალური მდგომარეობა, როცა ღმერთს სამკვიდრებლად ჩვენი გონება სურს.

იფხიზლეთ, რადგან როცა გონება მსჯელობით არის აღვსილი, იგი არ არის ნორმალური; ყოველ შემთხვევაში ქრისტიანისთვის, რომელსაც სურს იყოს გამარჯვებული, მორწმუნისათვის, რომელსაც სურს გაიმარჯვოს ომში, რომელიც გონების ბრძოლის ველზე მიმდინარეობს.

თავი

11

მეჩუივი დო ურნოშო გონიბო

მარკაჲვი და ურნმუნო გონება

რვენ ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე ეჭვისა და ურნმუნოების შესახებ, თითქოს ისინი ერთი და იგივეა. თუმცა, ფაქტობრივად შეიძლება დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან, ეს ორი რამ სრულიად განსხვავებულია.

ძველი და ახალი აღთქმის ვაინის განმარტებითი ლექსიკონი ნაწილობრივ განსაზღვრავს სიტყვა „ეჭვს“ ზმნის ფორმით როგორც „ორ გზაზე დგომა... რასაც ახლავს გაურკვეველობა, თუ რომელი გზა იქნას არჩეული;... ამბობენ მორწმუნეებზე, ვისი რწმენაც მცირეა... შენუხებულს, გონების დაბნეულობით, მერყეობას იმედსა და შიშს შორის“.¹

იგივე ლექსიკონი აღნიშნავს, რომ ორიდან ერთ-ერთი ბერძნული სიტყვა, რომელიც ითარგმნება როგორც „ურნმუნობა“: „ყოველთვის გაიგივებულია „ურჩობასთან“ განახლებულ ვერსიაში“ (იგულისხმება მეფე იაკობის თარგმანის განახლებული ვერსია).²

შესაბამისად, როცა შევხედავთ მტრის ამ ორ ძლიერ იარაღს, დავინახავთ, რომ ეჭვი აიძულებს ადამიანს იმერყეოს ორ შეხედულებას შორის, მაშინ, როცა ურნმუნობას მიყავს ურჩობამდე.

ვფიქრობ, დაგვეხმარებოდა იმის გააზრება, რომ შეგვეძლოს ზუსტად რითი დააპირებს ეშმაკი შემოტევას. ჩვენ ვებრძვით ეჭვს თუ ურნმუნობას?

ექვი

„როდემდის უნდა კოჭლობდეთ ორივე ფეხით?“

3 მეფეთა 18:21

მე მოვისმინე ამბავი, რომელიც სინათლეს მოჰფენს ეჭვს.

ბონება - ბრძოლის ველი

იყო ერთი მამაკაცი, რომელიც ავად იყო და აღიარებდა ღმერთის სიტყვას თავისი სხეულისათვის. ციტირებდა მუხლებს განკურნებაზე და სწამდა, რომ თავისი განკურნება გამოვლინდებოდა. ამასობაში, მას პერიოდულად ეჭვის ფიქრები უტევდნენ.

მას შემდეგ, რაც რთული პერიოდის გავლა მოუწია და იმედგაცრუებაც კარს მოადგა, ღმერთმა აუხილა თვალები სულიერ სამყაროზე. მან შემდეგი რამ იხილა: დემონი, რომელიც ტყუილებს ეუბნებოდა მას, რომ იგი ვერ განიკურნებოდა და სიტყვის აღიარება შედეგს ვერ მოიტანდა. მაგრამ ასევე ისიც დაინახა, რომ ყოველთვის, როცა იგი ღვთის სიტყვას აღიარებდა, სინათლე გამოდიოდა მისი ბაგიდან მახვილივით და ბოროტი სული იკუნტებოდა და უკან იხევდა.

როცა ღმერთმა აჩვენა ამ მამაკაცს ეს ხილვა, იგი მიხვდა, თუ რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი სიტყვის თქმის გაგრძელება. მან დაინახა, რომ ჰქონდა რწმენა და ამიტომაც ბოროტი სული მას ეჭვით უტევდა.

ეჭვი არ არის ისეთი რამ, რასაც ღმერთი ჩვენში დებს. ბიბლია ამბობს, რომ ღმერთი აძლევს ყოველ ადამიანს „რწმენის საზომს“ (რომ. 12:3). ღმერთმა ჩადო რწმენა ჩვენს გულში, მაგრამ ბოროტი ეჭვების შემოტევით ცდილობს უარი გვათქმევინოს რწმენაზე.

ეჭვი მოდის აზრების ფორმით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ღმერთის სიტყვას. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ვიცოდეთ ღმერთის სიტყვა. თუ გვეცოდინება სიტყვა, მაშინ შეგვეძლება გამოცნობა როდის გვატყუებს ეშმაკი. დარწმუნებული იყავით, იგი გვატყუებს, რომ მოგვპაროს ის, რაც იესომ გამოისყიდა ჩვენთვის თავისი სიკვდილისა და აღდგომის მეშვეობით.

ეჭვი და ურწმუნობა

„რომელიც [აბრაამი] უსასოებაში ერწმუნა სასოებით, რათა გამხდარიყო მრავალი ხალხის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“.

არ დაუძლურებულა რწმენაში, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო.

მაგრამ იგი არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნოებით,

**არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს.
და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შეს-
რულებასაც შეძლებდა“.**

რომაელთა 4:18-21

როდესაც ბრძოლაში ვარ, ვიცი რა აღმითქვა ღმერთმა და მაინც მიტევებ ეჭვი და ურწმუნობა, მიყვარს ამ ნაწყვეტის კითხვა და მასზე ფიქრი.

აბრაამს მიეცა აღთქმა ღმერთის მიერ, რომ იგი მას მემკვიდრეს მისცემდა მისი სხეულიდან. მრავალმა წელმა ჩაიარა და კვლავ აბრაამს და სარას შვილი ჯერ არ ჰყავდათ. აბრაამი კვლავ რწმენით იდგა. სწამდა რაც ღმერთმა უთხრა, აღსრულდებოდა. როცა ის იდგა, მას ეჭვის აზრები უტევდნენ და ურწმუნობის სული უბიძგებდა მას ეურჩა ღმერთისთვის.

ასეთ მდგომარეობაში ურჩობა შეიძლება იყოს უბრალოდ დანებება, როცა ღმერთი მოგვინოდებს, რომ ენერგიულად გავაგრძელოთ წინსვლა. ურჩობა არის უფლის ხმის უგულვებლყოფა, ან რასაც ღმერთი გვეუბნება ჩვენ პირადად, და არა მარტო ათი მცნების დარღვევა.

აბრაამმა გააგრძელა მტკიცედ დგომა. იგი აგრძელებდა ღმერთისადმი ქების და დიდების მიძღვნას. ბიბლია აცხადებს, რომ ამგვარად აბრაამი გაძლიერდა რწმენაში.

ნახეთ, როცა ღმერთი გვეუბნება რამეს ან გვთხოვს რამის გაკეთებას, რწმენა მის დასაჯერებლად ან გასაკეთებლად ღმერთის სიტყვას მოყვება. წარმოუდგენელი იქნებოდა, ღმერთს მოლოდინი ჰქონოდა, რომ ჩვენ გავაკეთებდით რამეს და არ მოეცა უნარი დაგვეჯერებინა, რომ შეგვიძლია ამის გაკეთება. ეშმაკმა იცის რა სახიფათოები ვიქნებით რწმენით აღსავსე გულებით, ამიტომაც გვიტევს ეჭვით და ურწმუნობით.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ რწმენა არ გაგვარჩინა, არამედ იმას, რომ ეშმაკი ცდილობს ტყუილებით დაანგრეოს ჩვენი რწმენა.

მინდა მოვიყვანო მაგალითი. იგი ეხება იმ დროს, როცა ჩემთან ზარი შემოვიდა მსახურებაში. ჩვეულებრივი დილა იყო, სხვების მსგავსი, გარდა იმისა, რომ სულიწმიდით ვიყავი აღვსილი სამი კვირის წინ. ახალი დამთავრებული მქონდა ჩემი პირველი ჩანერილი სწავლების მოსმენა. ამ უწყებას ერქვა „გადადი მეო-

რე ნაპირზე“. მე აღელვებული და გაოცებული ვიყავი გულში, რომ ყველას შეეძლო ესწავლებინა ერთი მთლიანი საათის განმავლობაში წმიდა წერილის ერთი მონაკვეთიდან და მთელი მისი სწავლება საინტერესო ყოფილიყო.

როცა ვალაგებდი საწოლს, უეცრად ვიგრძენი როგორ მომანვა ძლიერი სურვილი, რომ მესწავლებინა ღვთის სიტყვა. შემდეგ უფლის სიტყვა მომიახლოვდა ჩემთან სიტყვებით: „შენ ყველგან ნახვალ და ასწავლი ჩემს სიტყვას, და შენ გექნება დიდი სწავლების აუდიო-ვიდეო მსახურება“. მე არ გამიგონია სმენადი ხმა, მაგრამ ეს იყო გულში, რომელიც მეხმარებოდა დამეჯერებინა, რომ შევძლებდი იმის შესრულებას, რასაც ღმერთი მანახებდა.

საერთოდ არანაირი ბუნებრივი მიზეზი არ არსებობდა იმისა მერწმუნა, რომ მართლაც ღმერთი დამელაპარაკა, ან მეფიქრა, რომ მე ოდესმე შევძლებდი იმის გაკეთებას, რაც მაშინ გავიფიქრე. ბევრი პრობლემა მქონდა ჩემში. მე არ გამოვიყურებოდი „მსახურების მასალად“, მაგრამ ღმერთი ირჩევს ამაქვეყნის სუსტს და უგუნურს ბრძენების შესარცხვენად (იხ. 1 კორ. 1:27). იგი უყურებს ადამიანის გულს და არა ხორცს (იხ. 1 მეფ. 16:7). თუ გული სწორ მდგომარეობაშია, ღმერთს შეუძლია ხორცის შეცვლა.

თუმცა, ბუნებრივად არაფერი იყო ისეთი, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ უნდა დამეჯერებინა, როცა სურვილი მოვიდა ჩემთან, ავივსე რწმენით, რომ შევძლებდი იმის შესრულებას, რაც ღმერთს სურდა გამეკეთებინა. როცა ღმერთი მოგვინოდებს, იგი გვაძლევს სურვილს, რწმენასა და უნარს საქმის შესასრულებლად. მაგრამ, ასევე მინდა გითხრათ, რომ იმ წლების განმავლობაში, რომელიც გავატარე მომზადებასა და სწავლაში, ეშმაკი რეგულარულად მიტევდა ეჭვითა და ურწმუნოებით.

ღმერთი დებს ოცნებებს და ხედვებს თავისი ხალხის გულში; ისინი დასაწყისში ისეთივეა როგორც პატარა „თესლები“. ისევე, როგორც ქალი, რომელშიც ითესება თესლი დაფეხმძიმების დროს, ასევე ჩვენც, ასე ვთქვათ, „ფეხმძიმდებით“, იმით, რასაც ღმერთი გვეუბნება და გვპირდება. „ფეხმძიმობის“ განმავლობაში ეშმაკი ბევრს შეეცდება, რომ ჩვენი ოცნებების აბორტი გავაკეთებინოს. ერთ-ერთი იარაღი, რომელსაც ის იყენებს არის ეჭვი; მეორე – ურწმუნობა. ეს ორივე მოქმედებენ გონების საწინააღმდეგოდ.

რწმენა სულის ნაყოფია; იგი სულიერი ძალაა. მტერს არ სურს, რომ თქვენი და ჩემი გონება თანხმობაში მოვიდეს ჩვენს სულთან. მან იცის, რომ თუ ღმერთი ჩადებს ჩვენში რწმენას რამის გასაკეთებლად და პოზიტიურები ვიქნებით, გამუდმებით დავიჯერებთ, რომ მართლა შევძლებთ ამის შესრულებას, მაშინ ჩვენ მნიშვნელოვან ზიანს მივაყენებთ მის სამეფოს.

გაბრძენი წყალზე სიარული!

„ნავი უკვე მრავალ სტადიონზე წასულიყო ხმელეთიდან და ტალღები ეხეთქებოდნენ მას, რადგან პირქარი იყო. ღამის მეოთხე გუშაგობისას მივიდა მათთან იესო პირდაპირ ზღვაზე სვლით. მონათქვამმა ზღვაზე მავალი რომ დაინახეს, შეძრწუნდნენ და თქვეს: ეს მოჩვენებააო, და შიშისგან შეჰყვირეს. მაგრამ იესო მყისვე გამოელაპარაკა მათ და უთხრა: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“ მიუგო მას პეტრემ და უთხრა: „უფალო, თუ შენა ხარ, მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალდანყალ“. უთხრა: „მოდი!“ პეტრე გადმოვიდა ნავიდან და წყალდანყალ ნავიდა, რათა იესოსთან მისულიყო. მაგრამ, ქარი რომ დაინახა, შეეშინდა, ჩაძირვა დაიწყო და იყვირა: „უფალო, მიხსენი მე!“ იესომ იმ წამსვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: „რატომ დაეჭვდი, მცირედმორწმუნევ?“ როცა ისინი ნავში ავიდნენ, ქარი ჩადგა“.

მათე 14:24-32

მე ბოლო მუხლი იმიტომ გამოვეყავი, რომ მინდა თქვენი ყურადღება მივიზიდო გეგმისადმი, რომელიც მტერმა ამ ნაწყვეტში დაისახა. პეტრემ გადმოაბიჯა იესოს სიტყვით ისეთი რალაცის გასაკეთებლად, რაც მანამდე არასოდეს გაუკეთებია. ფაქტობრივად, იესოს გარდა ეს არც არავის გაუკეთებია.

ამას სჭირდებოდა რწმენა!

პეტრემ შეცდომა დაუშვა; მან ძალიან ბევრი დრო დახარჯა ქარიშხალზე ყურებით. მას შეეშინდა. ეჭვმა და ურწმუნობამ შემოაბიჯეს მასში, რის გამოც ჩაძირვა დაიწყო. მან შესძახა იესოს, რომ გადაერჩინა, და იესოც დაეხმარა მას. მაგრამ, შენიშნეთ, ქარიშხალი მაშინვე შეწყდა, როცა პეტრე ნავში ავიდა!

ბონება - ბრძოლის ველი

გახსოვთ, რომაელთა 4:18-21, სადაც აბრაამი არ მერყეობდა, როცა გაიაზრა თავისი შეუძლებელი მდგომარეობა? აბრაამმა იცოდა პირობები, მაგრამ პეტრესგან განსხვავებით, მისმა გარემოებებმა თითქოს არ დააბრკოლეს მისი რწმენა. იგი ალბათ ბევრს არ ფიქრობდა მათზე ან არ ლაპარაკობდა. მას თავისი გონება და საუბარი ღმერთისკენ ჰქონდა მიმართული. მე და თქვენ შეიძლება ვიცოდეთ ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ მაინც შეგვიძლია გააზრებულად მივმართოთ ჩვენი გონება ისეთ რამეზე, რაც აგვაშენებს და გაზრდის ჩვენს რწმენას.

ამიტომაც იყო, რომ აბრაამი აგრძელებდა ღმერთის ქებასა და განდიდებას. ჩვენ ვადიდებთ ღმერთს, როდესაც ვაგრძელებთ იმის კეთებას, რაც ვიცით, რომ სწორია მტრულ გარემოებებშიც კი. ეფესელთა 6:14 გვასწავლის, რომ სულიერი ბრძოლის დროს, უნდა შემოვისარტყლოთ ჭეშმარიტების სარტყელი.

როდესაც თქვენს ცხოვრებაში ქარიშხალი ამოვარდება, გაიმაგრეთ მდგომარეობა, იყავით კაჟივით და მტკიცედ იდექით სულიწმიდაში, რომ იდგეთ ნავის გარეთ! ჩვენ შეიძლება ვთქვათ: „გადადგი ნაბიჯი და გარეთ დარჩი“. ხშირად ქარიშხალი მთავრდება მაშინვე, როცა ნებდებით და უბრუნდებით იმას, რაც თქვენი აზრით უსაფრთხო და დაცული ადგილია.

ემშაკს თქვენს ცხოვრებაში თქვენს დასაშინებლად მოაქვს ქარიშხლები. ქარიშხლის დროს გახსოვდეთ, რომ გონება ბრძოლის ველია. ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს თქვენს ფიქრებზე ან გრძნობებზე დაყრდნობით, არამედ შეამოწმეთ თქვენს სულთან. როცა ასე მოიქცევით, აღმოაჩენთ იგივე ხედვას, რომელიც დასაწყისში მოგეცათ.

მერყეობა დაუშვებელია!

„თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა.

რწმენით და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან ეჭვიანი ჰგავს ზღვის ტალღას, ქარისაგან აღძრულსა და მიმოტაცებულს.

ნურც ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღვთისაგან მიიღებს რამეს“.

იაკობი 1:5-7

მოვისმინე, რომ ერთმა მწყემსმა მოგვითხრო ისტორია იმის შესახებ, თუ რა გაურკვეველობაში ჩავარდა, როდესაც ცდილობდა გადაენციტა, რა გაეკეთებინა ბიბლიური კოლეჯის დასრულების შემდეგ. ღმერთმა ძლიერ ჩადო მის გულში, რომ დაბრუნებულიყო სენტ ლუისში, მისურში, და სწავლის დამთავრების შემდეგ დაენყო ადგილობრივი ეკლესია, რასაც გეგმავდა. თუმცა, როცა დადგა წასვლის დრო, დაახლოებით თხუთმეტი დოლარი ჰქონდა ჯიბეში, ჰყავდა ცოლი, ერთი შვილი და მეორეს ელოდებოდნენ. ცხადია, მისი მდგომარეობა არ იყო ძალიან კარგი.

გადანწყვეტილების მიღების მცდელობების მსვლელობაში, მან მიიღო ორი ძალიან კარგი შემოთავაზება, რომ შეერთებოდა სხვა დიდი, საკმაო საფუძვლიანი მსახურების თანამშრომელთა გუნდს. მსახურების შესაძლებლობები მიმზიდველი იყო და, სხვა რომ არაფერი, უბრალოდ პატივი, რომ ემუშავა ამ ერთ-ერთ მსახურებაში გაამყარებდა მის ეგოს. რაც უფრო მეტ ხანს ფიქრობდა, მით უფრო მეტ გაურკვეველობაში ვარდებოდა. (ისე ჩანს, თითქოს მისტერ ეჭვი ეწვეოდა ხოლმე მას, არა?)

ერთ მომენტში მან ზუსტად იცოდა, რისი გაკეთებაც სურდა, და ახლა იგი მერყეობდა არჩევნებს შორის. რადგან მისი მდგომარეობა არ იყო ხელშემწყობი ფაქტორი სენტ ლუისში დასაბრუნებლად, მაცდური იყო ერთ-ერთი სხვა შემოთავაზების მიღება, მაგრამ ვერც ერთი მათგანის მიღმა მშვიდობას ვერ პოულობდა. ბოლოს მან რჩევა ჰკითხა ერთ-ერთ მწყემსს, ვინც მას სამსახური შესთავაზა და მამაკაცმა გონივრულად უპასუხა: „წადი სადმე, დამშვიდდი და დაწყნარდი, შემდეგ გათიშე თავი. ჩაიხედე შენს გულში, დაინახე რა არის იქ და გააკეთე!“

როცა მან შეასრულა მწყემსის რჩევა, მან სწრაფადვე აღმოაჩინა, რომ გულში სენტ ლუისის ეკლესია ჰქონდა. მან არ იცოდა, როგორ გააკეთებდა ამას იმით, რაც ხელში ჰქონდა, მაგრამ მორჩილად წავიდა წინ და შედეგებიც საოცარი იყო.

დღეს ეს მწყემსი, რიკ შელტონი, არის „სიცოცხლის ქრისტიანული ცენტრის“ დამფუძნებელი და მწყემსი სენტ ლუისში, მისურში. წლების მანძილზე ათასობით ადამიანის ცხოვრება იკურთხა და გარდაიქმნა ამ მსახურების მეშვეობით. მე დამხმარე მწყემსი ვიყავი იქ ხუთი წლის განმავლობაში და ჩემი მსახურება იმ პერიოდში იშვა. იფიქრეთ რამდენს მოიპარავდა ეშმაკი ეჭვისა და ურწმუნოების მეშვეობით, რომ პასტორ შელტონი მართული ყოფილიყო თავისი გონებით და არა გულით.

„განთიადისას, ქალაქში რომ ბრუნდებოდა, მოშივდა. გზაზე ერთი ლელვის ხე დაინახა, მივიდა ახლოს და ვერაფერი იპოვა ზედ, გარდა ფოთლებისა, და უთხრა მას: „ნულარასოდეს გამოგეყოს ნაყოფი უკუნისამდე“ და მყისვე გახმა ლელვი. დაინახეს ეს მონაფეებმა, გაუკვირდათ და თქვეს: „რა უცბად გახმა ეს ლელვი!“ მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით, მარტო იმას კი არ გააკეთებთ, რაც ამ ლელვს დაემართა, არამედ ამ მთასაც რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდით, ასე მოხდება. ყველაფერს, რასაც ლოცვაში რწმენით ითხოვთ, მიიღებთ.“
მათე 21:18-22

როცა მისი მონაფეები გაოცდნენ და ჰკითხეს იესოს, რომ შეძლო ლელვის ხის გახმობა მხოლოდ სიტყვით, მან არსებითად უთხრა: „თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით, თქვენც იგივეს გაკეთება შეგიძლიათ, მარტო იმას კი არ გააკეთებთ, რაც ამ ლელვს დაემართა, არამედ ამაზე უფრო მეტ საქმეებსაც“ (იხ. იოანე 14:12).

ჩვენ უკვე ჩამოვაცალიბეთ, რომ რწმენა არის ღმერთისაგან მოცემული ნიჭი. ამრიგად ვიცით რომ გვაქვს რწმენა (რომ. 12:3), მაგრამ ეჭვი არჩევანია. იგი არის ეშმაკის საბრძოლო ტაქტიკა ჩვენი გონების წინააღმდეგ.

რადგან თქვენ შეგიძლიათ საკუთარი ფიქრების არჩევა, როცა ეჭვი მოვა, უნდა ისწავლოთ მისი ამოცნობა იმით, რაც არის და უთხრათ: „არა, გმადლობთ“ - და გააგრძელოთ რწმენის ქონა!

არჩევანი თქვენზეა!

ურწმუნობა არის ურჩობა

„და როცა ხალხთან მივიდნენ, ერთი კაცი მიუახლოვდა და მუხლი მოიდრიკა მის წინაშე და უთხრა: „უფალო, შეინყალე ჩემი ძე, მთვარეულია და ძლიერ იტანჯება, ვინაიდან წარა-

მარა ცეცხლში და წარამარა კიდევ წყალში ვარდება“.
მიუყვანე იგი შენს მონაფეებს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი განკურნება.
მიუგო იესომ და უთხრა: „ჰოი, ურწმუნო და უკუღმართო მოდგმა! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე მოგიტმენტ თქვენ? აქ მომგვარეთ იგი!“
შერისხა იგი იესომ მოყვანისთანავე და ეშმაკი გამოვიდა მისგან. იმ საათშივე განიკურნა ყმაწვილი. მაშინ განმარტოებით მიუახლოვდნენ მონაფეები იესოს და უთხრეს: „ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?“ მან უთხრა: „თქვენი მცირე რწმენის გამო“.

მათე 17:14-20

გახსოვდეთ, რომ ურწმუნოებას მივყავართ ურჩობამდე.

შეიძლება იესომ მონაფეებს ასწავლა კიდევ რა უნდა გაეკეთებინათ მსგავს შემთხვევაში, მაგრამ მათმა ურწმუნობამ აიძულა ისინი ეურჩათ მისთვის; შესამაბისად, ისინი წარუმატებელნი აღმოჩნდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ურწმუნოება, ეჭვის მსგავსად ხელს შეგვიშლის იმის კეთებაში, რის გასაკეთებლადაც ღმერთმა მოგვინოდა და გვცხო. ეს ასევე ხელს შეგვიშლის განვიცადოთ მშვიდობის გრძობა, რომლითაც მას სურს ვისიამოვნოთ, როდესაც ჩვენი სულებისთვის მოსვენებას ვპოვებთ მასში (იხ. მათ. 11:29).

შაბათის მოსვენება

„მაშ, ვეცადოთ, შევიდეთ იმ სიმშვიდეში, რათა არავინ ჩავარდეს ურჩობაში მათი მაგალითისამებრ“.

ებრაელთა 4:11

თუ სრულად წაიკითხავთ ებრაელთა მიმართ წერილის მეოთხე თავს, აღმოაჩენთ, რომ იგი საუბრობს შაბათის მოსვენებაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ღმერთის ხალხისთვის. ძველ აღთქმაში, შაბათს იცავდნენ როგორც მოსვენების დღეს. ახალ აღთქმაში, შაბათის მოსვენება, რომელზეც მიდის საუბარი არის მოსვენების სულიერი ადგილი, სადაც ყველა მორწმუნეს შეუ-

ბონება - ბრძოლის ველი

ძლია იმყოფებოდეს. ყოველი მორწმუნის პრივილეგიაა უარის თქმა დარდასა და ნუხილზე. როგორც მორწმუნეებს, მე და თქვენ შეგვიძლია შევიდეთ ღმერთის სიმშვიდეში და დავრჩეთ იქ.

ებრაელთა 4:11-ზე კარგად დაკვირვებისას ჩანს, რომ ჩვენ ვერაფრით შევძლებთ ამ სიმშვიდეში შესვლას, გარდა რწმენისა, ხოლო მას დავკარგავთ ურწმუნობითა და ურჩობით. ურწმუნობა გვამყოფებს „უდაბნოს მდგომარეობაში“, მაგრამ იესომ მოგვცა მოსვენების მუდმივი ადგილი, სადაც მხოლოდ რწმენით ცხოვრების მეშვეობით შეიძლება დამკვიდრება.

რწმენიდან რწმენაში ცხოვრება

„მასში ცხადდება ღვთის სიმაართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც სწერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით“.

რომაელთა 1:17

მახსენდება ერთი შემთხვევა, რომელმაც ეს შეხედულება შეიძლება საკმაოდ დამაჯერებლად დაამტკიცოს. ერთ საღამოს მე ჩემს სახლში ვტრიალებდი, ვცდილობდი რა საოჯახო საქმიეების გაკეთებას და საკმაოდ უსუსურად ვგრძნობდი თავს. არ მქონდა არანაირი სიხარული – არ მქონდა მშვიდობა გულში. მე ვეუბნებოდი უფალს: „რა მჭირს?“ ხშირად ვგრძნობდი თავს ამგვარად და გულწრფელად მაინტერესებდა თუ რა პრობლემა მქონდა. მე ვსწავლობდი იესოსთან ერთად სიარულს, მაგრამ ჩანდა, რომ რაღაც მაკლდა.

იმ დროს ტელეფონმა დარეკა და სანამ ვსაუბრობდი, ვათვალიერებდი ბარათების ყუთს ბიბლიური მუხლებით, რომელთაც მიგზავნიდნენ. ახლა მე არცერთ მათგანს არ ვუყურებდი, უბრალოდ სანამ ტელეფონზე ვსაუბრობდი ხელით ვფურცლავდი. როდესაც ყურმილი დავკიდე, გადავწყვიტე ერთ-ერთი ამერიჩია ალაღებდზე და მენახა, თუ მივიღებდი მისგან გამხნევებას.

ამოვიღე რომაელთა 15:13: „ხოლო სასოების ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმიდის ძალით იუხვოთ სასოებაში“.

დავინახე!

მთელი ჩემი პრობლემა იყო ეჭვი და ურწმუნობა. ჩემს თავს ვაუბედურებდი იმიტომ, რომ ეშმაკის ტყუილებს ვუჯერებდი. მე ნეგატიური ვიყავი. არ შემეძლო სიხარული და მშვიდობა მქონოდა, რადგან არ მნამდა. შეუძლებელია გქონდეს სიხარული და მშვიდობა და ცხოვრობდე ურწმუნობაში.

მიიღე გადანყვეტილება ერწმუნო ღმერთს და არა ეშმაკს!

ვისწავლე რწმენიდან რწმენაში ცხოვრება. რომაელთა 1:17-ის თანახმად, ასე ცხადდება ღმერთის სიმართლე. უფალს მოუწია ჩემთვის იმის გაცხადება, რომ ნაცვლად იმისა, რომ რწმენიდან რწმენაში მეცხოვრა, ხშირად რწმენიდან ეჭვში ან ურწმუნობაში ვცხოვრობდი. შემდეგ ცოტა ხნით ისევ დავუბრუნდებოდი რწმენას, და მოგვიანებით, ისევ ეჭვს და ურწმუნობას ვუბრუნდებოდი. და აქეთ იქით, ერთიდან მეორეზე გადავდიოდი. ამიტომაც მქონდა ამდენი პრობლემა და უბედურება ჩემს ცხოვრებაში.

გახსოვდეთ, იაკობის 1:7,8-ის თანახმად, მერყევი ადამიანი არამდგრადია ყოველ მის გზაზე და არასოდეს ღებულობს იმას, რაც სურს უფლისაგან. აღიჭურვეთ გონებაში, რომ არ იქნებით მერყევი; ნუ იცხოვრებთ ეჭვში!

ღმერთს თქვენთვის დიადი ცხოვრებისეული გეგმა აქვს. ნუ მისცემთ ეშმაკს უფლებას მოგპაროთ ის ტყუილების მეშვეობით! ამის ნაცვლად შეასრულეთ შემდეგი: „ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“. (2 კორ. 10:5).

თავი

12

შენსებული და
დადარდინებული გონება

ნუხილი და დარდი – ორივე შემოტე- „ნუ გამძვინვარდები“. ვაა გონებაზე, განზრახული რათა ჩამოგვაშოროს უფლის მსახურებას. მტერიც იყენებს ორივე ამ სატანჯველს ჩვენი რწმენის შესამცირებლად, რათა ვერ შეძლოს წარმოჩენა და ჩვენი დახმარება, რომ ვიცხოვროთ გამარჯვებაში. ფსალმუნი 36:8

ზოგ ადამიანს ისეთი პრობლემა აქვს დარდთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ითქვას კიდევაც, რომ ისინი მიდრეკილები არიან დარდისადმი. თუ მათ არ აქვთ რაიმე მიზეზი, რომ თავისაზე იდარდონ, იდარდებენ ვიღაცა სხვის მდგომარეობაზე. მე მქონდა ასეთი პრობლემა, ამიტომ კარგად შემიძლია ამ მდგომარეობის აღწერა.

იმის გამო, რომ გამუდმებით ვდარდობდი რალაცებზე, ვერასოდეს ვტკებობდი იმ მშვიდობით, რომლისთვისაც იესო მოკვდა, რათა ჩემთვის მოეცა იგი.

აბსოლუტურად შეუძლებელია დარდობდე და მშვიდობაშიც ცხოვრობდე ერთდროულად.

მშვიდობა არ არის ისეთი რამ, რომლითაც შეიძლება შემოსო ადამიანი; იგი სულის ნაყოფია (იხ. გალ. 5:22), და ნაყოფი არის იესოში დარჩენის შედეგი (იხ. იოან. 15:4). დარჩენა უკავშირდება „ღმერთის მშვიდობაში“ შესვლას, რომელზეც მიდის საუბარი ებრაელთა მიმართ წერილის მეოთხე თავში, ისევე, როგორც ღმერთის სიტყვის სხვა ადგილებშიც. იესომ მოგვცა თავისი მშვიდობა (იხ. იოან. 14:27), მაგრამ გვითხრა, რომ საკუთარ თავს არ უნდა მივცეთ უფლება ვიყოთ შეშინებულები, დამფრთხალები და სიმშვიდე დარღვეულები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშვიდობა არის ჩვენში, მაგრამ იგი უნდა იქნას არჩეული ჩვენი ხორციელი ფიქრების ნაცვლად. შეგვიძლია ავირჩიოთ მშვიდად ყოფნა იმაზე ფიქრით, რაც იძლევა მშვიდობას, ნაცვლად იმისა, რაც კარს უღებს დარდს და ნუხილს.

ბიბლიაში რამდენიმე სიტყვაა, რომლებიც დარდზე საუბრობენ, გამომდინარე იქიდან, თუ რომელ თარგმანს კითხულობთ. მეფე იაკობის ვერსია არ იყენებს სიტყვა „დარდს“.

„გამძვინვარება“-სთან ერთად (ფს. 36:8), სხვა სამაგალითო ფრაზები, რომლებიც გამოიყენება დარდის წინააღმდეგ გასაფრთხილებლად არის „ნუ ზრუნავთ“ (მათ. 6:25), „არაფერზე იზრუნოთ“ (ფილ. 4:6) და „თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ“ (1 პეტ. 5:7). მე ძირითადად ვიყენებ „ბიბლიის გაფართოებულ თარგმანს“, რომელიც შეიცავს რამდენიმე სხვადასხვა თარგმანს ამ და სხვა ფრაზების თემასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ გავამარტივოთ სწავლება ამ თავის დარჩენილ ნაწილში, მე აღვწერ ამ მდგომარეობას როგორც „დარდს“.

დარდის განსაზღვრება

ვებსტერი განსაზღვრავს სიტყვა „დარდს“ შემდეგნაირად: „-გარდაუვალი ზმნა. 1. მოუსვენრად და შენუხებულად ყოფნა... -გარდამავალი ზმნა. 1. შფოთის, შენუხებულობის ან უსიამოვნების გამოწვევა... -არსებითი სახელი... 2. უკმაყოფილო დამოკიდებულების წყარო“.¹ მე აგრეთვე მსმენია მისი განსაზღვრება, როგორც საკუთარი თავის ნამება შემანუხებელი ფიქრებით.

როდესაც ვიხილე განმარტება საკუთარი თავის ნამების შესახებ შემანუხებელი ფიქრებით, მაშინვე და იქვე გადავწყვიტე, რომ მათზე გონიერი ვიქნები. და მჯერა, რომ ყველა ქრისტიანი ასეა. ვფიქრობ, მორწმუნეებს უფრო მეტი სიბრძნე აქვთ, ვიდრე უსაქმურად იჯდნენ და საკუთარ თავს აწამებდნენ.

დარდი ნამდვილად არაფერს არ აუმჯობესებს, ამიტომ, რატომ არ დავანებოთ მას თავი?

განმარტების სხვა ნაწილმა „შემთხვევითი სახლის შეუმოკლებელი ლექსიკონი“-დან ასევე გამანათლა: „ყელში მოჭერა კბილებით და შერხევა ან დასახიჩრება ისე, როგორც ერთი ცხოველი მეორეს უკეთებს, ან შენუხება განმეორებითი კბენით ან კბეჩით“.²

ამ განმარტებაზე ფიქრისას, შემდეგი შეფარდება გავაკეთე: ეშმაკი იყენებს დარდს იმისათვის, რომ მოგვექცეს ზუსტად ისე, როგორც ზევით არის აღწერილი. როცა ჩვენ დარდის შემოტევა გვაქვს თუნდაც ერთი საათით, ზუსტად ასე ვგრძნობთ თავს – თითქოს ვიღაცამ ყელში მოგვკიდა და გვაჯანჯლარებს, სანამ სრულიად არ გამოვიფიტებით და დავიქანცებით. აზრების

გამეორება, რომლებიც მოდიან და თავს არ გვანებებენ ჰგავს განმეორებულ კბენა-კბეჩას, რომელიც აღწერილია განმარტებაში.

დარდი ეშმაკისგან გონებაზე ნამდვილად შემოტევაა. არის ზოგი რამ, რაც მორწმუნემ უნდა მოიმოქმედოს გონებასთან მიმართებაში, და მტერს სურს დარწმუნდეს, რომ ეს არასოდეს მოხდება. ამიტომაც, ეშმაკი ცდილობს გონებრივი არენა საკმაოდ გადატვირთული ამყოფოს არასწორი აზროვნებით, რომ გონებამ ვერასოდეს შეძლოს თავის დაღწევა, რათა გამოყენებული იქნას იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც ღმერთმა შექმნა იგი.

ჩვენ მომდევნო თავში განვიხილავთ, თუ როგორ მოვიქცეთ სწორად, მაგრამ ახლა, მოდით გავაგრძელოთ სწავლა დარღვევებზე სანამ სრულ გამოცხადებას არ მივიღებთ, თუ რა უსარგებლოა იგი სინამდვილეში.

მათე 6:25-34 მშვენიერი მუხლებია წასაკითხად, როდესაც ვგრძნობთ „დარდის შემოტევის“ მოახლოვებას. მოდით, განვიხილოთ თითოეული ეს მუხლი ცალ-ცალკე, რათა დავინახოთ, რას გვეუბნება ღმერთი ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

განა სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია

არ არის, ვიდრე სხვა რამ?

„ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ჭამოთ ან რა სვათ, ნურც თქვენი სხეულისათვის, თუ რითი შეიმოსოთ. განა სული საზრდოზე მეტი არ არის და სხეული – სამოსელზე?“

მათე 6:25

სიცოცხლე წესით, ისეთი მაღალი ხარისხის უნდა იყოს, რომ განსაკუთრებულად ვტკბებოდეთ მისით. იოანე 10:10-ში იესომ თქვა: „ქურდი მხოლოდ იმისათვის მოდის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე იმისათვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად ჰქონდეთ“. ეშმაკი ცდილობს მოგვპაროს ეს სიცოცხლე სხვადასხვა გზით – ერთ-ერთი მათგანი დარდია.

ბონება - ბრძოლის ველი

მათე 6:25 ჩვენ გვასწავლის, რომ ცხოვრებაში არაფერზე არ უნდა ვზუნავდეთ – არცერთ მის ასპექტზე. ცხოვრების ხარისხი, რომელიც ღმერთმა უზრუნველყო ჩვენთვის საკმაოდ დიდებულია იმისათვის, რომ უზრუნველგვყოს ყველაფრით, რაც გვჭირდება, მაგრამ თუ ჩვენ ვიდარდებთ ამ რალაცეებზე, მაშინ დავკარგავთ მათ ისევე, როგორც იმ ცხოვრებას, რომელიც ღმერთს სურდა რომ გვექონოდა.

განა თქვენ ჩიტაზეა უფრო ძვირფასნი არ ხართ?

„შეხედეთ ცის ფრინველებს: ისინი არც თესავენ, არც მკიან, არც ბელლებში აგროვებენ, და თქვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ. განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესნი არ ხართ?“

მათე 6:26

კარგი იქნებოდა ყველა ჩვენგანისათვის, გარკვეული დრო გამოგვეყო, ჩიტებს დავკვირვებოდით. ამის გაკეთება ჩვენმა უფალმა დაგვაგალა.

ყოველდღე თუ არა, მაშინ დრო და დრო მაინც უნდა ვპოულობდეთ დროს, რათა დავაკვირდეთ და გავიხსენოთ თუ როგორ კარგად არიან მოვლილნი ჩვენი ფრთიანი მეგობრები. მათ ფაქტობრივად არ იციან, საიდან მოვა მათი შემდეგი საკვები; თუმცა, პირადად მე, არასოდეს მინახავს, რომ ფრინველი იჯდეს ხეზე და ნერვიული მოშლილობა ჰქონდეს დარდის გამო.

მასწავლებლის აზრი აქ საკმაოდ მარტივია: „განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესნი არ ხართ?“

მიუხედავად იმისა, რომ თქვენ შეიძლება ებრძოდეთ ცუდ თვითშეფასებას, შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ ჩიტებზე უფრო ძვირფასნი ხართ, და შეხედოთ, თუ რამდენად კარგად ზრუნავს თქვენი ზეციერი მამა მათზე.

რას შეიძენთ დარდით?

„რომელ თქვენთაგანს შეუძლია ზრუნვით თავის სიმაღლეს ერთი წყრთა შემატოს?“

მათე 6:27

აზრი გასაგებია - დარდი უსარგებლოა. მას არაფერი კარგი არ მოაქვს. თუ ასეა, რატომღა ვიდარდოთ, რატომღა ვწუხდეთ?

რატომ ზრუნავთ?

„სამოსელზე რალაზე ზრუნავთ? შეხედეთ ველის შრომნებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში, არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი. თუკი მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეზე ჩაიყრება, ღმერთი ასე მოსავს, თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო?“

მათე 6:28-30

თავისი ერთ-ერთი ქმნილების ილუსტრაციის გამოყენებით, უფალი ამბობს, რომ თუ ყვავილი, რომელიც არაფერს აკეთებს, ასე კარგად შეიძლება იქნას მოვლილი და კარგად გამოიყურებოდეს, რომ სოლომონზე მეტად ბრწყინავდეს მთელი მისი დიდებით, მაშინ მით უმეტეს ჩვენც შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ჩვენც მოგვივლის უფალი და იზრუნებს.

ამიტომ, ნუ იღარდებთ და ნუ იზრუნებთ!

„ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ? ან: რა ვსვათ? ან: რითი შევიმოსოთ?“

მათე 6:31

მომწონს ამ მუხლის ცოცხალი განვრცობა და კიდევ ერთი კითხვის დამატება: „რა უნდა ვქნათ?“

ვფიქრობ, ეშმაკი აგზავნის თავის დემონებს, რომელთა საქმეც სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ იმეორებდნენ ამ ფრაზას მორწმუნის ყურში მთელი დღის განმავლობაში. ისინი ისვრიან რთულ კითხვებს და მორწმუნე ხარჯავს ძვირფას დროს მცდელობაზე, მოძებნოს ის პასუხები, რომლებიც მას არ აქვს. ეშმაკი გამუდმებით აწარმოებს ომს გონების ბრძოლის ველზე, იმ იმედით, რომ ჩააბას ქრისტიანი ხანგრძლივ, დამღლეულ ბრ-

ბონება - ბრძოლის ველი

ძოლაში. ჩვენი პასუხი ეშმაკის კითხვაზე თუ რის გაკეთებას ვაპირებთ, უნდა იყოს მარტივი: „ჯერ არ ვიცი რას გავაკეთებ ჩემს მდგომარეობაში, მაგრამ ღმერთმა იცის და ეს საკმარისია ჩემთვის. იგი მიმართულებას მომცემს საჭირო დროს“.

შენიშნეთ 31-ე მუხლის ნაწილი, სადაც უფალი გვარიგებს, რომ არ ვდარდობდეთ და არ ვზრუნავდეთ. გახსოვდეთ, რომ გულში მოჭარბებულს ბაგეები ლაპარაკობენ (იხ. მათ. 12:34). მტერმა იცის, თუ მოახერხებს რომ ბევრი არასწორი რამ ტრიალებდეს ჩვენს გონებაში, ეს საბოლოოდ გამოვა ბაგიდან. ჩვენი სიტყვები საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ადასტურებენ ჩვენს რწმენას – ან ზოგ შემთხვევაში ჩვენი რწმენის ნაკლებობას.

იძიეთ ღმერთი და არა საჩუქრები

„ვინაიდან ყოველივე ამას წარმართები ეძებენ. ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს.

თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და მისი სიმაართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ“.

მათე 6:32,33

ნათელია, რომ ღმერთის შვილები არ უნდა იყვნენ ქვეყნიერების მსგავსნი! ქვეყნიერებას სხვა მისწრაფებები გააჩნია, მაგრამ ჩვენ უნდა ვეძებდეთ უფალს. იგი დაგვპირდა, რომ თუ ასე მოვიქცეოდით, იგი ყოველივეს შეგვმატებდა რაც მან იცის, რომ გვჭირდება.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღმერთის სახის ძიება და არა მისი ხელისა!

ჩვენს ზეციერ მამას სიამოვნებს თავისი შვილებისათვის კეთილის მიცემა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ არ ვეძებთ მათ. „ძიება“ ძლიერი სიტყვაა, რომელიც ნიშნავს დევნას, სწრაფვას და მთელი ძალით მცდელობას. დასაშვებია ბევრი რამის ქონის სურვილი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ღმერთს უნდა ვეძებდეთ, რადგან მის გარეშე არაფერს საერთოდ ფასი არ აქვს.

ღმერთმა იცის რა გვჭირდება, სანამ ვითხოვდეთ. თუ

უბრალოდ ჩვენს სურვილებს ვაუწყებთ მას (იხ. ფილ. 4:6), იგი აღასრულებს მათ თავის სასურველ დროზე. ზრუნვა ვერანაირად ვერ დაეხმარება ჩვენს პრობლემას. იგი, სინამდვილეში დააბრკოლებს ჩვენს წინსვლას.

იფიქრეთ მხოლოდ დღევანდელ დღეზე

„ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი“.

მათე 6:34

მე მომწონს დარდის და წუხილის ასე აღწერა: ესაა დღევანდელი დღის გატარება ხვალინდელი დღის გამოსაცნობად. მოდით, ვისწავლოთ ღმერთის მიერ მოცემული დროის გამოყენება, იმისთვის, რაც მას განზრახული აქვს.

სიცოცხლით უნდა ვიცხოვროთ – ახლა და აქ!

სამწუხაროდ, ცოტამ იცის ყოველი დღის სრულყოფილად გატარება. მაგრამ თქვენც შეგიძლიათ ერთ-ერთი მათგანი იყოთ. იესომ თქვა, რომ ეშმაკი, მტერი მოდის, რომ მოიპაროს თქვენი სიცოცხლე. (იხ. იოან. 10:10). ნუ მისცემთ მას უფლებას გააგრძელოს ეს! ნუ გაატარებთ დღევანდელ დღეს ხვალინდელზე წუხილით. დღეს საკმარისი რამ ხდება თქვენს ცხოვრებაში; ისინი მოითხოვენ თქვენს სრულ ყურადღებას. ღმერთის მადლი თქვენზეა, რომ მართოთ ყველაფერი, რაც დაგჭირდებათ დღევანდელი დღისთვის, მაგრამ ხვალინდელი მადლი არ მოვა მანამ, სანამ ხვალინდელი დღე არ დადგება – ამიტომ გაფლანგავთ დღევანდელ დღეს!

არ გაღიზიანდეთ და არ იზრუნოთ

„არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს“.

ფილიპელთა 4:6

ეს კიდევ ერთი კარგი ადგილია წერილიდან, რომ გავითვალისწინოთ „დარდის შემოტევის“ დროს.

ბონება - ბრძოლის ველი

დიდად გირჩევთ ღმერთის სიტყვის გამოთქმას თქვენი ბაგით. იგი ორლესული მახვილია, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მტრის წინააღმდეგ (იხ. ებრ. 4:12; ეფეს. 6:17). ქარქაშში მყოფი მახვილი ვერანაირ სარგებელს ვერ მოიტანს შემოტევის დროს.

ღმერთმა მოგვცა ჩვენ თავისი სიტყვა, გამოიყენეთ იგი! ისწავლეთ ამის მსგავსი მუხლები და როცა მტერი შემოგიტევთ, წინააღმდეგობით მის შეტევას იგივე იარაღით, რომელსაც იესო იყენებდა: სიტყვით!

დაანბრებით ფანტაზიები

„იმით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“.

2 კორინთელთა 10:5

როდესაც ისეთ აზრებს შემოგთავაზებენ, რომლებიც არ ეთანხმება ღვთის სიტყვას, საუკეთესო საშუალება, რომ დაადუმოთ ეშმაკი, არის ის, რომ გამოთქვათ ღმერთის სიტყვა.

სიტყვა, რომელიც გამოდის მორწმუნის ბაგიდან, და მას ახლავს რწმენა, არის ერთადერთი ყველაზე ეფექტური იარაღი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს დარდისა და ნუხილის წინააღმდეგ ბრძოლაში გასამარჯვებლად.

თქვენი საზრუნავი ღმერთს მიანდეთ

„მაშ, დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამალლოთ მან თავის დროზე.“

თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე“.

1 პეტრე 5:6,7

როცა მტერი ცდილობს ჩვენთვის პრობლემის მოცემას, ჩვენ პრივილეგია გვაქვს იგი ღმერთს მივანდოთ. სიტყვა „გადაეცით“ ფაქტობრივად ნიშნავს, გადაგდებას ან სროლას. თქვენ და მე შეგვიძლია ჩვენი პრობლემები ღმერთს გადავუგდოთ და გვჯეროდეს, რომ იგი დაიჭერს მათ. მან იცის რა გაუკეთოს მათ.

ეს მუხლები გვამცნობებს, რომ საკუთარი თავის დამდაბლება ნიშნავს იმას, რომ არ ვიდარდოთ. პიროვნება, რომელიც დარდობს, ის ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ რამენაირად შეძლებს საკუთარი პრობლემის მოგვარებას. დარდი არის გონების სწრაფვა გამოსავლის მოსაძებნად თავის მდგომარეობაში. ამპარტავანი ადამიანი თავისი თავით არის აღსავსე, მაშინ, როცა მორწმუნე ღმერთით არის აღვსილი. ამაყი ადამიანი დარდობს; თავმდაბალი ელოდება.

მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი გათავისუფლება და მას სურს ვიცოდეთ ეს, რათა ყოველ სიტუაციაში ჩვენი პირველი გამოხმაურება იყოს მასზე დაყრდნობა მის სიმშვიდეში შესასვლელად.

ღმერთის სიმშვიდე

„ღმერთო, ჩვენო, განა შენ არ დასდებ მათ მსჯავრს? რადგან უძლურნი ვართ ამ მრავალრიცხოვანი ურდოს წინაშე, ჩვენს წინააღმდეგ რომ არის მოსული, ჩვენ აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, რადგან შენსკენა ჩვენი თვალი მიპყრობილი“.

2 ნეშტთა 20:12

მიყვარს ეს მუხლი! ხალხი იქ მივიდა იმ მდგომარეობამდე, რომ, უდავოდ, გაიაზრეს სამი რამ:

1. მათ არ შესწევდათ ძალა მტრების წინააღმდეგ.
2. მათ არ იცოდნენ რა ექნათ.
3. მათ სჭირდებოდათ, რომ თვალეები მიმართული ჰქონოდათ ღმერთისკენ.

ამ ნაწყევტის 15 და 17 მუხლებში, ჩვენ ვხედავთ თუ რა უთხრა მათ უფალმა, როცა მიხვდნენ ამ ყველაფერს და თავისუფლად აღიარეს ეს მასთან: „ნუ გეშინიათ და ნუ შეძრწუნდებით ამ უზარმაზარი ურდოს წინაშე, რადგან თქვენ კი არ გმართებთ ომი, არამედ ღმერთს... ამჯერად თქვენ არ იბრძოლებთ. გადით და დადექით და უცქირეთ უფლის მიერ თქვენს ხსნას“.

რა არის ჩვენი პოზიცია? იგი ასახავს თავყვანისცემას, იესოში ყოფნას, და ღმერთის სიმშვიდეში შესვლას. იგი არის

ბონება - ბრძოლის ველი

უფლის გამუდმებული მოლოდინი, როცა ჩვენი თვალები მისკენ არის მიმართული, ვაკეთებთ იმას, რასაც იგი გვეუბნება და არა პირიქით - გქონდეს „მონინებითი შიში“ და დავდიოდეთ ხორცში.

ღმერთის სიმშვიდეში შესვლასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა შემდეგი: არ არსებობს „ღმერთის სიმშვიდე“ წინააღმდეგობის გარეშე. ადვილია გქონდეს მშვიდობა, როცა ირგვლივ არაფერია, რასაც შეუძლია შენი დამნაშავეობა. ურწმუნოებსაც აქვთ მშვიდობა მშვიდ ჟამობისას. მაგრამ „ღმერთის სიმშვიდე“ არის საჩუქარი, რომელიც ეხმარება მორწმუნეებს სიმშვიდის შენარჩუნებაში პრობლემების დროს. ეს არის საჩუქარი მისგან თავისი შვილებისათვის.

ილუსტრაციისთვის, მოგიყვებით ერთ ამბავს, რომელიც ერთხელ მოვისმინე მხატვრებთან დაკავშირებით, სადაც მათ სთხოვეს დაეხატათ სიმშვიდის სურათები, ისე როგორც ხედავდნენ მას. ერთმა დახატა მშვიდი, წყნარი ტბა მთებში. მეორემ დახატა გამძვინვარებული, აჩქარებული ჩანჩქერი, რომლიდანაც გადმოდებული იყო არყის ხე, რომლის ტოტებს შორისაც ჩიტი ისვენებდა თავის ბუდეში.

რომელი სურათი წარმოსახავს სიმშვიდეს? მეორე, რადგან არ არსებობს სიმშვიდე წინააღმდეგობის გარეშე. პირველი სურათი ასახავს უმოქმედობას. სცენა, რომელსაც იგი გვიხატავს შეიძლება იყოს წყნარი; ადამიანს შეიძლება მოუნდეს იქ წასვლა ძალ-ღონის აღსადგენად. იგი შეიძლება გვთავაზობდეს ლამაზ სურათს, მაგრამ იგი არ წარმოაჩენს „ღმერთის სიმშვიდეს“.

იესომ თქვა: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. სოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება“. (იოანე 14:27). მისი მშვიდობა სულიერი მშვიდობაა, და მისი მოსვენება არის ის, რომელიც მოქმედებს ქარიშხლის შუაგულში - არა მისი არ ყოფნისას. იესო არ მოვიდა იმისათვის, რომ ყველა წინააღმდეგობა მოეშორებინა ჩვენი ცხოვრებიდან. ჩვენ უნდა ავიღოთ მისი უღელი და ვისწავლოთ მისგან (იხ. მათ. 11:29). ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი გზები, ვუდგებოდეთ ცხოვრებას ისევე, როგორც ის უდგებოდა.

იესო არ დარდობდა, და არც ჩვენ არ უნდა ვდარდობდეთ!

თუ თქვენ ელოდებით როდის აღარ გექნებათ სადარდებელი,

მაშინ გეტყვით, რომ დიდი ხანი მოგინევთ ლოდინი, რადგან ეს დრო შეიძლება არასოდეს დადგეს. მე არ ვარ ნეგატიურად განწყობილი. უბრალოდ წრფელი ვარ! ჩვენ ვცხოვრობთ არეულობით აღსავსე სამყაროში. იგი ჩვენს ირგვლივაა, მაგრამ არ უნდა იყოს ჩვენში.

მათეს 6:34 გვიჩვენებს, რომ არ ვზრუნავდეთ ხვალინდელ დღეზე, რადგან ყოველ დღეს გააჩნია საკმარისი საზრუნავი. თავად იესომ თქვა ეს და ის ნამდვილად არ იყო უარყოფითად განწყობილი. სიმშვიდეში ყოფნა, ღმერთის მშვიდობით სიამოვნების მიღება ქარიშხლის დროს, მეტ დიდებას ანიჭებს უფალს, რადგან ადასტურებს, რომ მისი გზები მართალია.

ღარღი, ღარღი, ღარღი!

მრავალი წელიწადი დაგვარგე ისეთ რამეებზე ნუხილით, სადაც ვერაფერს შევცვლიდი. ნეტა შემეძლოს იმ წლების დაბრუნება და სხვანაირად მიდგომა იმ საკითხებისადმი. თუმცა, თუ გაფლანგე ის დრო, რომელიც ღმერთმა მოგცა, შეუძლებელია მისი დაბრუნება და სხვაგვარად მოქმედება.

ჩემი მეუღლე, მეორეს მხრივ, არასოდეს დარდობდა. იყო დრო, როცა მასზე ვბრაზდებოდი, რადგან იგი არ დარდობდა ჩემთან ერთად და არ მიერთდებოდა საუბარში ყველა დამძიმებულ შესაძლებლობაზე, ღმერთი რომ არ მოსულიყო და არ დაგვხმარებოდა ჩვენს საჭიროებებში. მაგალითად, დაჯვრებოდი სამზარეულოში, და დაძაბული ვუყურებდი ქვითრებს და ჩეკის წიგნაკს. ამტკივდებოდა გული, რადგან გადასახადები უფრო მეტი იყო, ვიდრე ფული. დეივი გვერდზე ოთახში იმყოფებოდა და ბავშვებთან თამაშობდა, უყურებდა ტელევიზორს, როცა ისინი ზურგზე ახტებოდნენ და გორგოლაჭებს თმებში უყრიდნენ.

მახსოვს, რომ ვეუბნებოდი მას უსიამოვნო ტონით: „რატომ არ გამოდიხარ აქ და არ აკეთებ რამეს, ნაცვლად იმისა, რომ თამაშობდე მაშინ, როცა მე ვცდილობ ამ არეულობის მოგვარებას!“ ამასობაში იგი მიპასუხებდა: „რა გინდა რომ გავაკეთო?“ ვერაფერზე ვერ ვფიქრობდი; უბრალოდ ვბრაზდებოდი, რომ ის ბედავდა სიამოვნების მიღებას მაშინ, როცა ასეთ საშინელ ფინანსურ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი.

დეივი დამამშვიდებდა შეხსენებით, რომ ღმერთი ყოველთვის აგვარებდა ჩვენს საჭიროებებს, რომ ჩვენ ვასრულებდით

ჩვენს ნაწილს (რომელიც იყო მეთედი, შესაწირავის გაცემა, ლოცვა და მინდობა), და რომ უფალი გააგრძელებდა თავისი ნაწილის შესრულებას. (უნდა განვმარტო, რომ მაშინ როცა, დეივი ენდობოდა მას, მე ვდარდობდი.) მასთან და ბავშვებთან შევიდოდი ხოლმე ოთახში და სულ მალევე აზრები მიბრუნდებოდა გონებაში: „მაგრამ რა უნდა ქნა? როგორ უნდა გადაიხადო ეს გადასახადები? ვაი და.“..

და შემდეგ ვხედავდი ამ ყველა უბედურებას ჩემი გონების ეკრანზე – გირაოს გამოსყიდვის უფლების დაკარგვა, ბანკისთვის მანქანის გადაცემა, შერცხვენა ნათესავების და მეგობრების წინაშე, თუ მოგვინვედა ფინანსური დახმარების თხოვნა, და ა.შ. ოდესმე ყოფილხართ ამ „ფილმზე“ ან გქონიათ რომ ამგვარი ფიქრები უტევდნენ გამუდმებით თქვენს გონებას? რა თქმა უნდა, კი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, არ წაიკითხავდით ამ წიგნს.

მას შემდეგ, რაც შევექეცი იმ აზრებს, რომელთაც ეშმაკი მთავაზობდა გარკვეული დროის განმავლობაში, კვლავ დავუბრუნდებოდი სამზარეულოს, ავიღებდი ყველა ქვითარს და ჩეკის წიგნაკს და მთელს არეულობას ხელახლა გავივლიდი. ალბათ ვფიქრობდი, თუ საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში დავაკვირდებოდი, შევძლებდი პასუხის მოძებნას, მაგრამ მხოლოდ ღმერთს ჰქონდა პასუხი. რაც უფრო მეტად და მეტად გადავათვალეებდი ქვითრებს, მით მეტად ვწუხდებოდი. შემდეგ მეორდებოდა იგივე სცენა! დავუყვირებდი დეივს და ბავშვებს, რომ კარგ დროს ატარებდნენ მაშინ, როცა მე მთელს „პასუხისმგებლობას“ ვიღებდი!

ფაქტობრივად ის, რასაც განვიცდიდი არ იყო პასუხისგებლობა, არამედ ზრუნვა – ისეთი რამ, რასაც ღმერთი განსაკუთრებით მთხოვდა რომ მისთვის მიმეზარებინა.

ახლა უკან ვიყურები და ვხვდები, რომ მთელს იმ საღამოებს ტყუილად ვფლანგავდი ჩემი ქორწინების ადრეულ წლებში. დრო, რომელსაც იგი გვაძლევს ჩვენ ძვირფასი საჩუქარია. მაგრამ მე მივეცი ის ეშმაკს. თქვენი დრო თქვენ გეკუთვნით. გონივრულად გამოიყენეთ იგი; ველარასოდეს ჩაივლით ამ გზით კიდევ.

ღმერთმა მოაგვარა ყველა ჩვენი საჭიროება, და მან ეს სხვადასხვა გზებით მოახერხა. იგი არასოდეს გვღალატობდა – არც ერთხელ. ღმერთი ერთგულია!

ნუ იღარღებთ – მიენდეთ ღმერთს!

„თქვენი გზა იყოს ვერცხლმოყვარეობის გარეშე და იმას დასჯერდით, რაცა გაქვთ, ვინაიდან თქვა: „არ მიგაგდებ და არ მიგატოვებ“.

ებრაელთა 13:5

ეს ბრწყინვალე მუხლია იმისათვის, რომ გამოიყენოთ საკუთარი თავის გასამხნეველად, როცა ზრუნავთ რამეზე, ღმერთი მოვა და მოაგვარებს თქვენს საჭიროებებს.

ამ მუხლში, უფალი გვეუბნება, რომ არ გვჭირდება ჩვენი გონება ფულისკენ იყოს მიმართული, ეძებდეს როგორ შეგვიძლია საკუთარ თავზე ვიზრუნოთ, რადგან იგი მოაგვარებს ამ ყოველივეს ჩვენთვის. იგი დაგვპირდა, რომ არასოდეს მიგვატოვებდა და არ მიგვაგდებდა.

აკეთეთ თქვენი საქმე, მაგრამ ნუ შეეცდებით ღმერთის საქმის კეთებას. ტვირთი ძალიან მძიმეა სატარებლად – და თუ არ იქნებით ფრთხილად, მისი სიმძიმის ქვეშ გატყდებით.

ნუ იღარღებთ. „მიენდე უფალს და ქმენ კეთილი; დაემკვიდრე ქვეყანაზე და მწყემსე სიმართლე“. (ფს. 36:3)

ეს არის აღთქმა!

თავი

13

განმკითხავი, კრიტიკული და
ეჭვიანი გონება

მრავალი ტანჯვა მოდის ხალხის „ნუ განიკითხავთ, რათა ცხოვრებაში განმკითხავი დამოკიდებულეების, კრიტიკისა და ეჭვის გამო. მრავალი ურთიერთობა ინგრევა ამ მტრების მიერ. კიდევ ერთხელ, გონება ბრძოლის ველია.“

მათე 7:1

ფიქრები – მხოლოდ „ვფიქრობ“ - შეიძლება იყოს იარაღი, რომელსაც ეშმაკი იყენებს, რათა ადამიანი მარტოდ ამყოფოს. ხალხს არ სიამოვნებს იმასთან ყოფნა, ვინც ყველაფერზე გამოთქვამს თავის შეხედულებას. ხანდახან ჩვენ უფრო მეტად გვანტერესებს ვეუბნებოდეთ მათ, რასაც ვფიქრობთ, ვიდრე მოსმენა, სწავლა და კარგი ურთიერთობების აშენება.

ილუსტრაციისათვის, ერთხელ ვიცნობდი ერთ ქალს, რომლის ქმარიც იყო ძალიან მდიდარი ბიზნესმენი. იგი ძირითადად საკმაოდ წყნარი იყო და ცოლს სურდა, რომ ქმარს მეტად ელაპარაკა. მან ძალიან ბევრი რამ იცოდა სხვადასხვა სფეროებში. ცოლი ბრაზდებოდა მასზე, როდესაც ხალხთა ჯგუფში იყვნენ და ვინმე დაიწყებდა საუბარს ისეთ თემაზე, რომელზეც მის მეუღლეს შეეძლო თავისი ცოდნით დიდი წვლილი შეეტანა. მას შეეძლო მათთვის მოეყოლა ყველაფერი, რაც იცოდა, მაგრამ არ აკეთებდა ამას.

ერთ საღამოს, როცა იგი და თავისი მეუღლე დაბრუნდნენ სახლში წვეულებიდან, ცოლმა საყვედური უთხრა: „რატომ არ დაიწყე ლაპარაკი და არ უთხარი იმ ხალხს რაც იცოდი იმაზე, რაზეც საუბრობდნენ? უბრალოდ იჯექი იქ და ისე იქცეოდი, თითქოს საერთოდ არაფერი იცოდი!“

„მე უკვე ვიცი ის, რაც ვიცი,“ - უპასუხა მან. „ვცდილობ გავჩუმდე და მოვუსმინო, რათა გავიგო, რას ფიქრობენ სხვები“.

წარმომიდგენია, რომ სწორედ ეს იყო მისი სიმდიდრის მიზეზი. იგი ასევე ბრძენიც იყო! ცოტა ადამიანი იხვეჭს სიმდიდრეს სიბრძნის გარეშე. მრავალ ადამიანს ჰყავს მეგობრები, რომლებიც არ იყენებენ სიბრძნეს საუბარში.

განკითხვა, თავდაჯერებულობა და კრიტიკა სამი უტყუარი

გზაა ურთიერთობების მოსაშლელად. ეშმაკს, რა თქმა უნდა, სურს, რომ თქვენ და მე ვიყოთ მარტონი და უარყოფილები, რათა უტევდეს ჩვენს გონებას ამ სფეროებში. ეს თავი, იმედია, დაგეხმარებათ მცდარი აზრების ამოცნობაში ისევე, როგორც ეჭვთან ბრძოლისთვის სწავლაში.

ბანკოთხვის განსაზღვრება

„ძველი და ახალი აღთქმის სიტყვების ვაინის განმარტებით ლექსიკონში“ ერთ-ერთი ბერძნული სიტყვა, რომელიც ითარგმნება როგორც „განკითხვა“ განიმარტება, როგორც „გადანყვეტილება გამოტანილი სხვების შეცდომებზე“ და დაკავშირებულია სიტყვა „მსჯავრდადებასთან“.¹ იგივე ნყაროს თანახმად, ერთ-ერთი ბერძნული სიტყვა, რომელიც ითარგმნება როგორც „განსჯა“ ნაწილობრივ განიმარტება, როგორც „აზრის შექმნა“ და დაკავშირებულია სიტყვა „განაჩენთან“.²

ღმერთი ერთადერთია, ვისაც აქვს განკითხვის ან განაჩენის გამოტანის უფლება, შესაბამისად, როდესაც სხვას განვიკითხავთ, ჩვენ გარკვეული გაგებით, საკუთარ თავს ღმერთის ადგილზე ვაყენებთ ამ ადამიანის ცხოვრებაში.

არ ვიცი თქვენ როგორ, მაგრამ ამას ცოტაოდენ „ღვთიური შიში“ შემოაქვს ჩემში. მე ბევრი სანერვიულო მაქვს, მაგრამ არ ვარ დაინტერესებული იმით, რომ ვეცადო ღმერთად ყოფნა! ოდესღაც ეს სფეროები ძირითად პრობლემას წარმოადგენდნენ ჩემს ხასიათში და მჯერა, რომ შევძლებ ზოგი რამის გაზიარებას, რომლებიც ღმერთმა მასწავლა და ვფიქრობ თქვენც დაგეხმარებათ.

კრიტიკა, თავდაჯერებულობა და განკითხვა თითქოსდა ნათესავები არიან, ამიტომ ჩვენ ერთად განვიხილავთ მათ, როგორც ერთ დიდ პრობლემას.

მე კრიტიკული ვიყავი იმიტომ, რომ თითქოს ყოველთვის არასწორს ვხედავდი სწორის ნაცვლად. ზოგი პიროვნება უფრო მეტად არის მიდრეკილი ამ პრობლემისადმი, ვიდრე სხვები. ზოგიერთ მეტად მხიარულ ადამიანს არ სურთ სხვა არაფრის დანახვა „ბედნიერი ან გასართობი“-ს გარდა ცხოვრებაში, ამიტომ ბევრ ყურადღებას არ აქცევენ ისეთ რამს, რაც ხელს შეუშლიდა მათი სიამოვნების განცდას. უფრო მელანქოლიური ადამიანი

ან მაკონტროლებელი ადამიანი ხშირად ჯერ იმას ხედავს, რაც არასწორია; ძირითადად, ხალხი ასეთი ხასიათით გულუხვია თავისი ნეგატიური აზრის და შეხედულებების გასაზიარებლად სხვებისთვის.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველა ერთი და იგივე რამეს, ჩვენებურად ვუყურებთ. გვიყვარს ხალხისთვის თქმა, თუ რას ვფიქრობთ, და ეს არის მთავარი – რასაც მე ვფიქრობ, შეიძლება სწორი იყოს ჩემთვის, მაგრამ აუცილებელი არაა, რომ თქვენთვისაც ეს იყოს სწორი, და პირიქით. ჩვენ ყველამ ვიცით, რა თქმა უნდა, რომ „არ მოიპარო“ სწორია ყველასათვის, მაგრამ მე აქ ათასობით რამეზე ვლაპარაკობ, რომლებსაც ყოველდღიურად ვხვდებით, რაც აუცილებელი არაა ან სწორი იყოს ან არასწორი, მაგრამ უბრალოდ პირადი არჩევნებია. უნდა დავამატო, რომ ეს ის არჩევნებია, რომლის გაკეთების უფლებაც ადამიანებს აქვთ თავისით, სხვების ჩარევის გარეშე.

მე და ჩემი მეუღლე უკიდურესად განსხვავებულები ვიყავით ჩვენს მიდგომაში სხვადასხვა რამეებთან. ერთ-ერთი მათგანია სახლის გალამაზება. ეს არ ნიშნავს, რომ არაფერი მოგვწონს, რასაც მეორე ირჩევს, მაგრამ თუ გავალთ სახლისთვის საყიდლებზე ერთად, ისე ჩანს თითქოს დეივს ერთი რამ მოსწონს, მე მეორე. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენ ორი განსხვავებული ადამიანი ვართ. მისი შეხედულება ისევე კარგია, როგორც ჩემი, და ჩემიც ისევე კარგია, როგორც მისი; უბრალოდ, ისინი განსხვავდებიან.

წლები დამჭირდა იმის გასაგებად, რომ დეივს არაფერი პრობლემა არ ჰქონდა იმის გამო, რომ არ მეთანხმებოდა. და რა თქმა უნდა, სანამ უკეთ ვისწავლიდი, მე ვეუბნებოდი მას, რომ მას რაღაც პრობლემა ჰქონდა, რადგან იზიარებდა ჩემს აზრს. ცხადია, ჩემმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მრავალი უთანხმოება ჩვენს ურთიერთობებში.

სიამაყე: „მე“-ს პრობლემა

„ჩემთვის მოცემული მადლით ვეუბნები ყოველ თქვენგანს: თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა ფიქრობდეთ, არამედ იფიქრეთ სალად, იმ რწმენის კვალობაზე, რაც ღმერთმა გინილადათ თითოეულს“.

რომაელთა 12:3

ბონება - ბრძოლის ველი

განკითხვა და კრიტიკა უფრო ღრმა პრობლემის სიამაყის ნაყოფებია. როდესაც „მე“ ჩვენში უფრო დიდია ვიდრე უნდა იყოს, იგი ყოველთვის გამოიწვევს ასეთ პრობლემებს, რომელთაც განვიხილავთ. ბიბლია რამდენჯერმე გვაფრთხილებს სიამაყის შესახებ.

როცა გამოვიჩვენებთ რომელიმე სფეროში, ეს მხოლოდ ღმერთის დამსახურებაა, რადგან მადლის ნიჭი მოგვცა ამისათვის. თუ ჩვენ გაამაყებულები ვიქნებით ან მეტისმეტი შეხედულება გვექნება საკუთარ თავზე, მაშინ იგი გვაიძულებს ზვიდან ვუყუროთ სხვებს და მივიჩნიოთ ისინი ჩვენზე „ნაკლებად“. ამგვარი დამოკიდებულება ან აზროვნება უკიდურესად საძულველია უფლისათვის და სიამაყე მრავალ კარს უღებს მტერს ჩვენს ცხოვრებაში.

ნმიდა შიში

„ძმებო! თუ კაცი რაიმე შეცოდებაში ჩავარდება, თქვენ, სულიერებმა, გამოასწორეთ იგი თავმდაბლობის სულით და გაფრთხილდით, რომ შენც არ ჩავარდეთ განსაცდელში. ატარეთ ერთმანეთის ტვირთი და ამით აღასრულებთ ქრისტეს რჯულს. ვინაიდან, ვისაც თავისი თავი რაიმე ჰგონია და არაფერიც არ არის, ის თავის თავს ატყუებს“.

გალატელთა 6:1-3

ამ ნაწყვეტის დაკვირვებით შესწავლა სწრაფად გვიცხადებს თუ როგორ გამოვეხმაურებით სისუსტეებს, რომელთაც სხვებში ვხედავთ. იგი გონებრივ დამოკიდებულებას აყალიბებს, რომელსაც უნდა ვმართავდეთ ჩვენში. ჩვენ უნდა გვქონდეს სიამაყის „ნმიდა შიში“ და ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ სხვების განკითხვასთან ან კრიტიკასთან დაკავშირებით.

ვინ ვართ ჩვენ, რომ განვიკითხავდეთ?

„ვინ ხარ შენ, სხვისი მონის განმკითხველო? თავისი უფლის წინაშე იგი დგას ან ეცემა, მაგრამ წამოყენებული იქნება, ვინაიდან ღმერთს ძალუძს მისი წამოყენება“.

რომაელთა 14:4

წარმოიდგინეთ შემდეგი: დავუშვათ მეზობელი მოვიდა თქვენს კარებთან და დაიწყო თქვენი დარიგება თუ რა უნდა ეცვათ თქვენს შვილებს სკოლაში და რა საგნებს უნდა სწავლოდნენ. რა რეაქცია გექნებოდათ? ან, დავუშვათ მეზობელმა შემოიხედა რათა ეთქვა თქვენთვის, რომ არ მოსწონს ის, თუ როგორ ალაგებთ თქვენ სახლს. რას ეტყოდით თქვენს მეზობელს? რა თქმა უნდა, ეტყოდით, რომ მიეხედა თავისი საქმისთვის.

ზუსტად ამაზე ამახვილებს ყურადღებას წმიდა წერილი. თითოეული ჩვენთაგანი ვეკუთვნით ღმერთს, და მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს სისუსტეები, მას შეუძლია დაგვაყენოს და გაგვამართლოს. ჩვენ პასუხს ვაგებთ ღმერთთან და არა ერთმანეთთან; შესაბამისად, ჩვენ არ უნდა განვიკითხავდეთ ერთმანეთს კრიტიკულად.

ეშმაკი საკმაოდ დაკავებულია დემონების დანიშვნით, რომ განკითხვის, კრიტიკულ აზრებს დებდნენ ხალხის გონებაში. შემოიძლია გავიხსენო როდესაც ვერთობოდი, როდესაც ვიჯექი პარკში ან სავაჭრო ცენტრში და უბრალოდ ვუყურებდი როგორ სეირნობდა ხალხი, და მე წარმოდგენას ვიქმნიდი თითოეულ მათგანზე: მათ ჩაცმულობაზე, ვარცხნილობაზე, თანამგზავრებზე და ა.შ. ჩვენ ყოველთვის ვერ შევძლებთ თავიდან ავიცილოთ შეხედულების ქონა, მაგრამ არ ვართ ვალდებული გამოვხატოთ ისინი. მე მჯერა, რომ შეგვიძლია გავიზარდოთ კიდევაც იქამდე, სანამ არ გვექნება ასე ბევრი, მოსაზრება, და რაც გვექნება, არ იქნება კრიტიკული.

გამუდმებით ვეუბნები საკუთარ თავს: „ჯოის, ეს არ არის შენი საქმე“. ძირითადი პრობლემა მნიფდება თქვენს გონებაში, როცა მსჯელობთ თქვენს შეხედულებაზე იქამდე, სანამ იგი არ გადაიქცევა განკითხვად. პრობლემა მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტს ფიქრობთ მასზე, სანამ არ დაიწყებთ მის სხვებისადმი გამოხატვას, ან თუნდაც მათთან, ვისაც განიკითხავთ. შემდეგ იგი ფეთქებადი ხდება და გააჩნია პოტენციალი, რომ უდიდესი ზიანი მოგაყენოთ ურთიერთობების სფეროში ისევე, როგორც სულიერშიც. შეიძლება საკუთარი თავის გადარჩენა შეძლოთ მომავალი პრობლემებისგან უბრალოდ იმის თქმით: „ეს არ არის ჩემი საქმე“.

განკითხვა და კრიტიკა მძვინვარებდა ჩემს ოჯახში, ასე ვთქვათ, „მათთან ერთად გავიზარდე“. როცა ასე ხდება – რაც

ბონება – ბრძოლის ველი

შეიძლება თქვენს შემთხვევაშიც მომხდარა – ეს ჰგავს ბურთის თამაშს მოტეხილი ფეხით. ვცდილობდი „ბურთის თამაშს“ ღმერთთან; მინდოდა რომ მისი ნებისამებრ გამეკეთებინა ყველაფერი, მეფიქრა და მემოქმედა მისი ნებისამებრ, მაგრამ არ შემეძლო. მრავალი წელი გავატარე წვალებაში, სანამ ვისწავლე სიმაგრეების შესახებ ჩემს გონებაში, რომლებიც უნდა მომეგვარებინა იმისათვის, რომ ჩემი ქცევა შეცვლილიყო.

გახსოვდეთ, თქვენი ქცევა არ შეიცვლება იქამდე, სანამ არ შეიცვლება გონება.

მათეს 7:1-6 არის ერთ-ერთი კლასიკური მუხლები განკითხვისა და კრიტიკის თემასთან დაკავშირებით. როდესაც გიჭირთ გონების ამ სფეროში, წაიკითხეთ ეს და სხვა მუხლები. წაიკითხეთ ისინი, შემდეგ წაიკითხეთ ისინი ხმამაღლა, და გამოიყენეთ იარაღად ეშმაკის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს სიმაგრის აშენებას თქვენს გონებაში. იგი შეიძლება მოქმედებდეს სიმაგრიდან, რომელიც უკვე იქ იყო წლების განმავლობაში.

მოდით, შევხედოთ ამ ნაწყვეტს და მსვლელობისას თითოეულ მონაკვეთზე კომენტარს გავაკეთებ.

ბანკითხვის თესვა და მკა

„წუ განკითხავთ, რათა არ განკითხოთ. ვინაიდან რომელი განკითხვითაც განკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგენწყვებათ თქვენ“.

მათე 7:1,2

ეს მუხლები ნათლად გვეუბნება, რომ რასაც ვთესავთ იმას მოვიმკით (იხ. გალ. 6:7). თესვა და მკა არ ეხება მხოლოდ სოფლის მეურნეობის და ფინანსურ სფეროებს, იგი აგრეთვე ეხება სულიერ სამყაროსაც. ჩვენ შეგვიძლია ვთესოთ და მოვიმკათ დამოკიდებულება ისევე, როგორც ხორბლის მოსავალი ან ინვესტიცია.

ერთი მწყემსი, რომელსაც ვიცნობ, ამბობს, როდესაც ეს-მის რომ ვინმე მასზე არასასიამოვნო ან განკითხვის კუთხით ლაპარაკობს, იგი საკუთარ თავს კითხვას უსვამს: „ისინი თესავენ, თუ მე ვიმკი?“ ხშირად ჩვენ ვიმკით ჩვენს ცხოვრებაში იმას, რაც მანამდე სხვა ადამიანის ცხოვრებაში დაგვითესია.

ექიმო, განაწურნე საკუთარი თავი!

„რად უყურებ წველს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ამჩნევ? ანდა როგორ ეტყვი შენს ძმას: მიმიშვი, ამოგილო თვალიდან წველიო, და აჰა, შენს თვალში კი დირეა! თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან დირე ამოილე და მერე დაინახავ, როგორ ამოილო წველი შენი ძმის თვალიდან“.

მათე 7:3-5

ემშაკს მოსწონს, როდესაც გვაიძულებს დაკავებულები ვიყოთ სხვისი შეცდომების განკითხვით. ასე, ჩვენ ვერასოდეს დაინახავთ და ვერ მოვაგვარებთ იმას, რაც არასწორია ჩვენში!

ჩვენ არ შეგვიძლია სხვების შეცვლა; ეს მხოლოდ ღმერთს შეუძლია. არც საკუთარი თავების შეცვლა შეგვიძლია, მაგრამ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ სულიწმიდასთან და მივცეთ მას საშუალება საქმე შეასრულოს. თუმცა, ნაბიჯი პირველი ნებისმიერი თავისუფლებისათვის, არის იმ ქვეშარიტების დანახვა, რომლის ჩვენებასაც უფალი ცდილობს ჩვენთვის.

როდესაც ჩვენი ფიქრები და საუბარი მიმართულია იმაზე, თუ რა არის არასწორი სხვის ცხოვრებაში, ჩვენ ხშირად უკვე მოტყუებულები ვართ ჩვენს ქცევასთან დაკავშირებით. ამიტომ, იესომ გვიბრძანა, რომ არ ვზრუნავდეთ იმასთან დაკავშირებით, თუ რაში ცდებიან სხვები, როცა თავად გაგვაჩნია უამრავი შეცდომა. მიეცით ღმერთს საშუალება ჯერ თქვენ მოგიგვაროთ მდგომარეობა და შემდეგ ისწავლით ძმის დახმარების ბიბლიურ ხერხს, რათა გაიზარდოს იგი თავის ქრისტიანულ სვლაში.

ბიჰვარდეთი ერთმანეთი

„ნუ მისცემთ წმიდას ძალეებს და ნურც თქვენ მარგალიტებს დაუყრით შინ ღორებს, რათა ფეხებით და გათელონ და შემობრუნებისას თქვენც არ დაგგლიჯონ“.

მათე 7:6

მჯერა, რომ ეს მუხლი ეხება ჩვენს ღვთის მიერ მოცემულ უნარს რომ გვიყვარდეს ერთმანეთი.

თუ თქვენ და მე გვაქვს შესაძლებლობა ღმერთისგან მიღე-

ბონება - ბრძოლის ველი

ბული მცნება, რომ გვიყვარდეს სხვები, მაგრამ ამის ნაცვლად, მათ განვიკითხავთ და ვაკრიტიკებთ, ჩვენ წმიდა (სიყვარული) ავიღეთ და ძაღლებს და ლორებს (დემონური სულები) გადავუგდეთ. ჩვენ გავხსენით კარი მათთვის, რომ გაეთელათ წმიდა და შემობრუნებულიყვნენ, რათა ნაკუნებად დავეგლიჯეთ.

უნდა დავინახოთ, რომ „სიყვარულში სიარული“ ჩვენთვის ბოროტის შემოტყვევის წინააღმდეგ დაცვაა. მე არ მჯერა, რომ ეშმაკს შეუძლია დიდი ზიანის მიყენება მისთვის, ვინც სიყვარულში დადის.

როდესაც მეოთხე შვილზე დავორსულდი, ქრისტიანი ვიყავი, სულიწმიდით აღვსილი, მონოდებული მსახურებაში და ბიბლიის ბეჯითი მონაფე. მე ნასწავლი მქონდა რწმენის გამოვლინებაზე განკურნებასთან დაკავშირებით, მაგრამ, ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში ძალიან, ძალიან ავად ვიყავი. დაკარგული მქონდა ნონა და ენერჯია. დროის უმეტეს ნაწილს ტახტზე დანოლილი ვატარებდი, გულისრევის შეგრძნებით და დაღლილი, ძლივს ვმოძრაობდი.

ეს მდგომარეობა ნამდვილად დამაბნეველი იყო ჩემთვის, რადგან მშვენივრად ვგრძნობდი თავს წინა სამი ორსულობის პერიოდში. მაშინ ბევრი არ ვიცოდი ღმერთის სიტყვის შესახებ, თუმცა ეკლესიაში ვიყავი და აქტიურად არაფრისთვის არ ვიყენებდი ჩემს რწმენას. საკმაოდ კარგად ვიცოდი ღმერთის ალტემები, თუმცა მაინც ავად ვიყავი – და ვერც ვერანაირი ლოცვის ხანგრძლივობა და ვერც ეშმაკის მიმართ წინაღდგომა ვერ მაშორებდა პრობლემას!

ერთ დღეს საწოლში ვინეკი და ვუსმენდი ჩემს ქმარს და შვილებს როგორ ერთობოდნენ სახლის უკანა ეზოში, მე აგრესიულად ვკითხე ღმერთს: „მე საერთოდ რა მჭირს? რატომ ვარ ცუდად? რატომ ვერ ვხდები კარგად?“

სულიწმიდამ აღმძრა, რომ წამეკითხა მათეს მე-7 თავი. მე ვკითხე უფალს, რა კავშირი ჰქონდა ამ მუხლებს ჩემთან და ჩემს ჯანმრთელობასთან. კვლავ იყო ჩემში გრძნობა, რომ უნდა მეკითხა და მეკითხა იგი. ბოლოს, ღმერთმა შემახსენა მოვლენა, რომელიც ორიოდე წლის წინ მოხდა.

მე ვუძღვებოდი და ვასწავლიდი საოჯახო ბიბლიურ სწავლებას, სადაც ახალგაზრდა ქალბატონი მოვიდა, რომელსაც ჯეინს დავარქმევ. ჯეინი ერთგულად ესწრებოდა კურსს, სანამ

არ დაორსულდა, მაგრამ შემდეგ მას გაუჭირდა რეგულარულად მოსვლა, რადგან ყოველთვის იღლებოდა და ცუდად გრძნობდა თავს.

როცა ვინეჯი ლოგინში იმ დღეს მე გამახსენდა, რომ სხვა „ქრისტიანი და“ და მე ვსაუბრობდით ერთმანეთთან, განვიკითხავდით და ვაკრიტიკებდით ჯეინს, რადგან „მან თავისი არ გაიტანა“ თავის გარემოებაში, რომ ბეჯითად გაეგრძელებინა ბიბლიურ სწავლებაზე სიარული. ჩვენ არასოდეს შეგვითავაზებია მისთვის დახმარება. ჩვენ უბრალოდ შევიქმენით წარმოდგენა, რომ იგი სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და თავის ორსულობას იყენებდა თავის მართლებისთვის, რომ ეზარმაცა და საკუთარი სურვილები აესრულებინა.

ახლა, მე იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომელშიც ჯეინი იყო ორი წლის წინ. ღმერთმა დამანახა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელად ვიყავი ჩემი პირველი სამი ორსულობისას, დიდი კარი გამიღია ეშმაკისთვის ჩემი განკითხვითა და კრიტიკით. მე ჩემი მარგალიტები ავიღე, წმიდა (ჩემი სიყვარულის უნარი ჯეინის მიმართ) და დავუყარე იგი ძაღლებს და ღორებს, და ახლა ისინი შემომიტრიალდნენ და მგლეჯდნენ ნაწილებად. შემიძლია გითხრათ, სწრაფადვე მოვინანიე. ჩემი ჯანმრთელობა მაშინვე აღდგა და მე კარგად ვგრძნობდი თავს ორსულობის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

ამ შემთხვევიდან ვისწავლე მნიშვნელოვანი გაკვეთილი სხვების განკითხვისა და კრიტიკის საფრთხესთან დაკავშირებით. მინდა შემეძლოს იმის თქმა, რომ ამ შემთხვევის შემდეგ აღარასოდეს დამიშვია მსგავსი შეცდომა, მაგრამ ვწუხვარ, რადგან უნდა ვთქვა, რომ ბევრი ასეთი შეცდომა დავუშვი ამის შემდეგ. ყოველთვის, ღმერთს უწევდა ჩემი განსწავლა, რისთვისაც მადლიერი ვარ.

ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს. ჩვენ ყველას გაგვაჩნია სისუსტეები. ბიბლია ამბობს, რომ არ უნდა გვქონდეს გულქვა, კრიტიკული სული ერთმანეთის მიმართ, არამედ უნდა ვპატიობდეთ ერთმანეთს და ვავლენდეთ ნყალობას ერთმანეთის მიმართ ისევე, როგორც ღმერთმა ქრისტეში გააკეთა ჩვენთვის (იხ. ეფ. 4:32).

ბანკითხვას მოსლევს მსჯავრდალება

„ამიტომ თავს ვერ გაიმართლებ შენ, ადამიანო, ყოვლის განმკითხველო, რადგან რის გამოც სხვას განიკითხავ, შენს თავს სდებ მსჯავრს, ვინაიდან სხვისი განმკითხველი იმასვე სჩადიხარ“.

რომაელთა 2:1

სხვა სიტყვებით, იგივეს, რისთვისაც სხვებს განვიკითხავთ, თავადვე ჩავდივართ.

ერთხელ უფალმა მომცა ძალიან კარგი მაგალითი, ამ პრინციპის გაგებაში დასახმარებლად. მე ვფიქრობდი, რატომ არის, რომ თავად ვაკეთებთ რაღაცას და ვფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ განვიკითხავთ სხვას, ვინც იგივეს აკეთებს. მან მითხრა: „ჯოის, თქვენ საკუთარ თავს უყურებთ ვარდისფერი სათვალეებით, სხვებს კი გამადიდებელი შუშით უყურებთ“.

ჩვენ თავს ვიმართლებთ ხოლმე საკუთარი არასწორი საქციელის გამო, მაგრამ როცა სხვა აკეთებს იგივეს, ჩვენ ხშირად უმონყალონი ვხდებით. სხვებისადმი მოქცევა ისე, როგორც გვინდა რომ ჩვენ მოგვექცნენ (იხ. მათ. 7:12) კარგი ცხოვრებისეული პრინციპია, რომელიც თავიდან აგვარიდებდა ბევრ განკითხვას და კრიტიკას, თუ დავიცავდით მას.

განმკითხველი გონება ნეგატიური აზროვნების ნაყოფია – რომელიც ფიქრობს, თუ რა აქვს ცუდი პიროვნებას, ნაცვლად იმისა, რომ იფიქროს, თუ რა აქვს მას კარგი.

იყავი პოზიტიური და არა ნეგატიური!

სხვები ნახავენ სარგებელს, მაგრამ შენ სხვებზე მეტად ისარგებლებ ამით.

ღაიცავი შენი გული

„ყველაზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან არის სიცოცხლის წყაროები“.

იგავები 4:23

თუ გსურთ სიცოცხლემ იდინოს თქვენსკენ და თქვენგან, დაიცავით თქვენი გული.

გარკვეული კატეგორიის აზრები „წარმოუდგენელია“ მორწმუნისათვის – განკითხვა და კრიტიკა მათ შორისაა. ყველაფერი, რის სწავლებასაც ღმერთი ცდილობს ჩვენთვის არის ჩვენი სიკეთისა და ბედნიერებისათვის. მისი გზის მიყოლას მოაქვს ნაყოფიერება; ეშმაკის გზის მიყოლას მოაქვს უზნეობა.

ეჭვის თვალთ შინადათ ეჭვს

„(სიყვარული) ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს“.

1 კორინთელთა 13:7

შემიძლია წრფელად ვთქვა, რომ ამ მუხლში აღწერილის მორჩილება ყოველთვის მიჭირდა. მე გავიზარდე ეჭვიანობაში. ფაქტობრივად, მასწავლეს, არავისი ნდობა არ მქონოდა, განსაკუთრებით თუ მათ თავი მოჰქონდათ, რომ თავაზიანები იყვნენ, რადგან მათ რაღაცა უნდა ნდომებოდათ.

გარდა იმისა, რომ მასწავლეს სხვების და მათი მოტივების მიმართ ეჭვის თვალთ რომ მეყურებინა, მე რამდენიმე ძალიან იმედის გამაცრუებელი გამოცდილება მქონდა ხალხთან, არა მარტო სანამ ქრისტიანი გავხდებოდი, არამედ მას შემდეგაც. ფიქრი სიყვარულის შემადგენელ ნაწილებზე და იმის გაცნობიერება, რომ სიყვარულს ყოველთვის სჯერავს უკეთესის, ძლიერ დამეხმარა მე ახალი აზროვნების ჩამოყალიბებაში.

როცა თქვენი გონება მოწამლული იქნა, ან როცა ეშმაკმა დაიპყრო სიმაგრეები თქვენს გონებაში, იგი უნდა განახლდეს ღმერთის სიტყვის თანახმად. ეს ხდება სიტყვის შესწავლით და მასზე ფიქრით (ჩაფიქრება, ჩუმად წარმოთქმა საკუთარი თავისთვის, გააზრება).

ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი სულიწმიდა ჩვენში, რომელიც გვახსენებდეს თუ როდის მიემართება ჩვენი აზრები არასწორი მიმართულებით. ღმერთი აკეთებს ამას ჩემთვის, როცა საეჭვო აზრები მაქვს სიყვარულის მქონე ფიქრების ნაცვლად. ჩვეულებრივი ადამიანი ფიქრობს: „თუ მე მივენდობი ხალხს, ამით ისარგებლებენ“. შეიძლება, მაგრამ სარგებელი გაცილებით დიდი იქნება ნეგატიურ განცდებზე.

ბონება - ბრძოლის ველი

ნდობასა და რწმენას მოაქვთ სიხარული ცხოვრებაში და ეხმარებიან ურთიერთობების ზრდას მათი პოტენციალის მაქსიმუმამდე.

ექვიანობა აზიანებს სრულ ურთიერთობას და ხშირად ანგრევს მას.

მთავარი ასპექტი შემდეგში მდგომარეობს – ღმერთის გზები სწორია, ადამიანის გზები – არა. ღმერთი მსჯავრს სდებს განკითხვას, კრიტიკასა და ეჭვიანობას. ჩვენც ასევე უნდა ვიქცეოდეთ. გიყვარდეთ ის, რაც ღმერთს უყვარს და გძულდეთ ის, რაც ღმერთს სძულს. ნება მიეცით იმას, რასაც იგი რთავს, და უფლება არ მისცეთ იმას, რასაც იგი კრძალავს.

დაბალანსებული დამოკიდებულება ყოველთვის საუკეთესო პოლიტიკაა. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვიყენებდეთ სიბრძნეს და ამოცნობას სხვებთან ურთიერთობებში. ჩვენ არ უნდა გადავუგდოთ ღიად ჩვენი ცხოვრება ნებისმიერს, ვისაც ვხვდებით, არ უნდა მივცეთ ყოველ შემხვედრს უფლება, რომ დაგვანგრიოს. მეორეს მხრივ, არ უნდა ვუყურებდეთ ყველას ნეგატიური, ეჭვის თვალით, და ყოველთვის არ უნდა მოველოდებოდეთ, რომ ისინი ჩვენით ისარგებლებენ.

სრულიად ენდოგოდეთ ღმერთს, ხოლო ადამიანს ფრთხილად

„ხოლო, როცა იერუსალიმში პასეჟის დღესასწაულზე იყო, ბევრმა ნახა მის მიერ მოხდენილი სასწაულები და იწამა მისი სახელი.

თვითონ იესო არ ენდობოდა მათ, ვინაიდან ყველას იცნობდა.

არც სჭირდებოდა, რომ ვინმეს დაემონებინა კაცის შესახებ, რადგან იცოდა, რა იყო კაცში“.

იოანე 2:23-25

ერთხელ, როდესაც აღმოვჩნდი ეკლესიის სამწუხარო მოვლენაში, ღმერთმა მიიზიდა ჩემი ყურადღება იოანეს 2:23-25-ის მიმართ.

ეს ნაწყვეტი საუბრობს იესოს დამოკიდებულებას თავის მოწაფეებთან. იგი ნათლად ამბობს, რომ თავის თავს არ ან-

დობდა მათ. აქ არ ნერია, რომ იგი ეჭვის თვალთ უყურებდა მათ, ან რომ არ ენდობოდა; აქ მხოლოდ განმარტებულია, რომ იმის გამო, რომ მას ესმის ადამიანის ბუნება (რომელიც ჩვენ ყველას გაგვაჩნია), არ ანდობდა საკუთარ თავს მათ არანაირ დაუბალანსებელ შემთხვევაში.

მე კარგი გაკვეთილი ვისწავლე. ერთხელ ძლიერი ტკივილი მომაცენეს ეკლესიაში, რადგან ზედმეტად ვიყავი ჩართული ქალთა ჯგუფთან და ამოვვარდი ბალანსიდან. ყოველთვის, როცა ამოვვარდებით ბალანსიდან, კარს ვუღებთ ემშაკს.

პირველი პეტრეს 5:8 ამბობს: „მღვიძარენი იყავით, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მონინააღმდეგე ეშმაკი დაძრნის, როგორც მბრღვევინავი ლომი, და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს“.

მე მივხვდი, რომ ქალებს ვეყრდნობოდი ჯგუფში და იმ ნდობას ვამყარებდი მათზე, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ადამიანებთან ურთიერთობებში მხოლოდ აქამდე შეგვიძლია მისვლა. თუ ჩვენ გავცდებით სიბრძნეს, პრობლემა წარმოიქმნება და ტკივილს მოგვაყენებს.

თქვენი მაქსიმალური ნდობა მხოლოდ ღმერთზე დადეთ. ასე თქვენ კარს გაუხსნით სულიწმიდას, რომ გაგაგებინოთ თუ როდის გადაკვეთთ ბალანსის ხაზს.

ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ ამოცნობა შეუძლიათ მაშინ, როცა მხოლოდ და მხოლოდ ეჭვიანები არიან. არსებობს სულის ჭეშმარიტი ნიჭი, რომელსაც სულების გარჩევა ეწოდება (იხ. 1 კორ. 12:10). იგი განარჩევს კარგს და ცუდს, და არა მხოლოდ ცუდს. ეჭვიანობა მოდის განუახლებელი გონებიდან; გარჩევა მოდის განახლებული სულიდან.

ილოცეთ, რომ გქონდეთ ჭეშმარიტი ნიჭები – და არა ხორცი, რომელიც ინიღბება როგორც სულის ნიჭები. რეალური სულების გარჩევა იწვევს ლოცვას და არა ჭორაობას. თუ ნამდვილი პრობლემა ამოცნობილი იქნა ნამდვილი ნიჭით, იგი მიყვება ბიბლიურ ნიმუშს მის მოგვარებასთან დაკავშირებით და არა ხორციელი გზებით, რომლებიც მხოლოდ ავრცელებენ და ართულებენ პრობლემას.

სასიამოვნო სიტყვები ტკბილი და მარბეპელია

„ბრძენის გული გონიერს ხდის მის ენას და მის ბაგეზე წარუმატებს სწავლებას. სასიამოვნო ნათქვამი გოლეული თაფლივითაა, სულისათვის ტკბილია და ხორცისათვის კურნება“.

იგავები 16:23,24

სიტყვები და ფიქრები ჰგავს ძვლებს და ძვლის ტვინს – იმდენად ახლოს იმყოფებიან ერთმანეთთან, რომ ძნელია მათი განცალკევება (იხ. ებრ. 4:12).

ჩვენი ფიქრები ჩუმი სიტყვებია, რომლის მოსმენაც მხოლოდ ჩვენ და უფალს შეგვიძლია, მაგრამ ეს ფიქრები გავლენას ახდენენ ჩვენს შინაგან კაცზე, ჩვენს ჯანმრთელობაზე, ჩვენს სიხარულზე, ჩვენს დამოკიდებულებაზე. სამწუხაროდ, ზოგჯერ მათ გამო უგუნურად გამოვიყურებით. განკითხვას, კრიტიკასა და ეჭვიანობას არასოდეს მოაქვთ სიხარული.

იესომ თქვა, რომ იგი მოვიდა იმისათვის, რომ დაემტკვაროყავით სიცოცხლით (იხ. იოან. 10:10). დაიწყეთ ქრისტეს აზრით მოქმედება და თქვენ შეაბიჯებთ სიცოცხლის სრულიად ახალ სამყაროში.

თავი

14

პანკოვი გონივრად

ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, ჭეშ-
მარიტია პასიურობის საკითხთან
მიმართებაში. ქრისტიანების უმრავლესობამ არც ამ ტერმინის მნიშვნელობა იციან, და არც ის, თუ როგორ ამოიცნონ მისი სიმპტომები.

„ილუპება ჩემი ერი
უმეცრების გამო“.

ოსია 4:6

პასიურობა აქტიურობის სანინააღმდეგოა. იგი სახიფათო პრობლემაა, რადგან ღმერთის სიტყვა ნათლად გვასწავლის, რომ ფხიზლად, ფრთხილად და აქტიურად უნდა ვიყოთ (იხ. 1 პეტრ. 5:8) – რათა გავაჩალოთ ცეცხლი და გავალვივოთ ჩვენში მყოფი ნიჭი (იხ. 2 ტიმ. 1:6).

სიტყვა „პასიურობის“ სხვადასხვა განმარტებები წამიკითხავს და აღვწერ მას, როგორც გრძნობის, ან სურვილის ნაკლებობას, ზოგად გულგრილობას, ნელ-თბილობასა და სიზარმაცეს. ბოროტი სულები იმალებიან პასიურობის უკან. ეშმაკმა იცის, რომ უმოქმედობა, ნების გაუფარჯიშებლობა, გამოიწვევს მორწმუნის საბოლოო მარცხს. თუ პიროვნება თავისი ნების გამოყენებით ეშმაკის წინააღმდეგ მოქმედებს, რომ წინ აღუდგეს მას, მტერი ვერ გაიმარჯვებს ომში. თუმცა, თუ იგი შეაბიჯებს პასიურობის მდგომარეობაში, სერიოზულ პრობლემაში აღმოჩნდება.

იმდენი მორწმუნეა ემოციებით მართული, რომ გრძნობების უქონლობა საკმარისია მათ შესაჩერებლად, რომ არ გააკეთონ ის, რაც ესწავლათ. ისინი აქებენ მაშინ, როცა გრძნობენ რომ მოსწონთ ეს, გასცემენ მაშინ, როცა მოსწონთ ეს, ასრულებენ თავიანთ სიტყვას თუ მოსწონთ ეს – და თუ არა - არ აქებენ, არ გასცემენ და არ ასრულებენ დანაპირებს.

ცარიელი ადგილი – ადგილია!

„ადგილი არ მისცეთ ეშმაკს“.

ეფესელთა 4:27

ადგილი, რომელსაც ეშმაკს ვაძლევთ ხშირად ცარიელია.

ბონება - ბრძოლის ველი

ცარიელი, პასიური გონება ადვილად შეიძლება შეივსოს ყოველგვარი არასწორი ფიქრით.

მორწმუნე, რომელსაც პასიური გონება აქვს და არ ეწინააღმდეგება ამ არასწორ ფიქრებს, ხშირად ლებულობს მათ, როგორც საკუთარ ფიქრებს. იგი ვერ ხვდება, რომ ბოროტმა სულმა ჩანერგა ისინი მის გონებაში, რადგან იქ შესავსები იყო ცარიელი ადგილი.

ერთი გზა არასწორი ფიქრების შესაჩერებლად არის, რომ გონება სავსე გქონდეთ სწორი ფიქრებით. ეშმაკი შეიძლება განდევნილი იყოს, მაგრამ იგი დროის განმავლობაში დადის და დაეხეტება უდაბნოებში. როდესაც იგი უბრუნდება თავის ძველ სახლს და პოულობს მას დაცარიელებულს, ბიბლია ამბობს ლუკას 11:24-26-ში, რომ იგი ბრუნდება, მოჰყავს თან სხვებიც, და ამ პიროვნების უკანასკნელი მდგომარეობა პირვანდელზე უარესია.

მე არ ვამბობ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ბოროტი აზრი მოსდის, ბოროტი სული ჰყავს, მაგრამ ბოროტი სულ ხშირად ბოროტი აზრების უკან დგას. პიროვნებას შეუძლია წარმოსახვები მყისვე დაანგრეოს, მაგრამ ისინი ყოველთვის მობრუნდებიან, სანამ იგი არ ისწავლის ცარიელი ადგილის სწორი ფიქრებით შევსებას და შემდეგ, როცა მტერი ბრუნდება, ვერ იპოვის ადგილს იმ პიროვნებაში.

არსებობს აქტიური ცოდვები, ანუ ჩადენილი ცოდვები და არსებობს პასიური ცოდვები, ანუ უმოქმედობის ცოდვები. სხვა სიტყვებით, არის არასწორი რაღაცეები, რასაც ვაკეთებთ და სწორი რაღაცეები, რასაც არ ვაკეთებთ. მაგალითად, ურთიერთობა შეიძლება დანგრეული იქნას გაუაზრებელი სიტყვების თქმით, მაგრამ იგი ასევე შეიძლება დაინგრეს დაფასების კეთილი სიტყვების უთქმელობით, რომლებიც უნდა წარმოთქმულიყო, მაგრამ ეს არ ვაკეთდა.

პასიური პიროვნება ფიქრობს, რომ არაფერს ცუდს არ აკეთებს, რადგან საერთოდ არაფერს აკეთებს. როცა ამხელენ შეცდომის შესახებ, ის იტყვის: „არაფერი არ გამიკეთებია!“ მისი ანალიზი სწორია, მაგრამ საქციელი არა. პრობლემა სწორედ იმიტომ წარმოიშვა, რომ მან არაფერი არ გააკეთა.

პასიურობის დაძლევა

ჩემს მეუღლეს დეივს წლების წინ პასიურობასთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემა ჰქონდა. იყო ზოგი რამ, რამაც აქტიური იყო. იგი ყოველდღიურად დადიოდა სამუშაოზე, თამაშობდა გოლფს შაბათობით, და უყურებდა ფეხბურთს კვირადღეს. გარდა ამისა, ძალიან ძნელი იყო მისი მოტივირება სხვა რამის გასაკეთებლად. თუ მე მინდოდა სურათის ჩამოკიდება კედელზე, მას სამი ან ოთხი კვირა დასჭირდებოდა ამის გასაკეთებლად. ამან ჩვენს შორის დიდი უთანხმოება გამოიწვია. მეჩვენებოდა, რომ იგი მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც თვითონ სურდა, და ამის მიღმა აღარაფერს არ აკეთებდა.

დეივს უყვარდა უფალი და როცა ეძებდა მას ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ღმერთმა მიუთითა პასიურობასა და მის საშიშროების შესახებ. მან აღმოაჩინა, რომ ბოროტი სულები იმალებოდნენ მისი უმოქმედობის უკან. იყო გარკვეული სფეროები, სადაც მას არ ჰქონდა პრობლემები, რადგან მართავენ და თავის ნებას იმ სფეროებში, მაგრამ სხვა სფეროებში მან ძირითადად, უმოქმედობის გამო, თავისი ნება მტერს გადასცა. იგი შენუხებული იყო და მივიდა იქამდე, რომ აღარ ჰქონდა სურვილი, აღარ გრძნობდა თავს ვალდებულად, საერთოდ არ ჰქონდა მოტივაცია, რომელიც დაეხმარებოდა გარკვეული მიზნების მიღწევაში.

ღმერთის სიტყვის შესწავლა და ლოცვა წარმოადგენდა ორ სხვადასხვა სფეროს, სადაც იგი პასიური იყო. რადგან მე ვიცოდი, რომ იგი არ ეძებდა ღმერთს მიმართულებისთვის, მიჭირდა მისი მოსმენა. ასე თუ ისე, ურჩობასთან მქონდა პრობლემა და შეგიძლიათ დაინახოთ თუ როგორ იყენებდა ეშმაკი ჩვენს სისუსტეებს ერთმანეთის წინააღმდეგ. ბევრი ადამიანი მხოლოდ ასეთი პრობლემების გამო ეყრება. ისინი სინამდვილეში ვერ ხვდებიან რა არის არასწორი.

მე, ფაქტობრივად, ზედმეტად აგრესიული ვიყავი. ყოველთვის წინ ვუსწრებდი ღმერთს, ხორცში, „ჩემსას ვაკეთებდი“ და ველოდებოდი, რომ უფალი აკურთხებდა მას. დეივი ბევრს არაფერს აკეთებდა გარდა ღმერთის დალოდებისა, რაც სასტიკად მალიზიანებდა. ახლა ვიცინით, როცა ვფიქრობთ თუ როგორები ვიყავით ორივენი, მაგრამ არ იყო სასაცილო მაშინ და ღმერთს რომ არ მიეპყრო ჩვენი ყურადღება, ჩვენ შეიძლება გაყრილ წყვილთა სტატისტიკაში ერთ-ერთი ვყოფილიყავით.

ბონება - ბრძოლის ველი

დეივი მეუბნებოდა, რომ ყოველთვის ვასწრებდი ღმერთს, მე კი ვპასუხობდი და ვეუბნებოდი, რომ იგი ათი მილით ჩამორჩებოდა ღმერთს. მე ძალიან აგრესიული ვიყავი და დეივი ძალიან პასიური.

როცა მორწმუნე უმოქმედოა ნებისმიერ სფეროში, რომელშიც მას უნარი ან ნიჭი გააჩნია, ეს კონკრეტული სფერო იწყებს გამოფიტვას ან შეშდება. რაც უფრო მეტ ხანს არ აკეთებს არაფერს, მით ნაკლებად სურს რაიმეს კეთება. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ფიზიკური ვარჯიშია.

ამჟამად მე კარგი სავარჯიშო პროგრამა მაქვს, და რაც უფრო მეტად ვვარჯიშობ, მით მეტად მიადვილდება. როცა პირველად დავინწყე, ძალიან მიჭირდა. ყოველ ჯერზე მტკიოდა, როცა პროგრამას მივყვებოდი, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ვარჯიშებთან მიმართებაში უმოქმედო და პასიური ვიყავი. რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში არ ვაკეთებდი არაფერს, მით უარესდებოდა ჩემი ფიზიკური მდგომარეობა. მე მეტად და მეტად ვსუსტდებოდი ჩემი კუნთების უმოქმედობის გამო.

დეივმა დაიწყო თავისი პრობლემის დანახვა! იგი ებრძოდა ბოროტ სულებს, რომლებიც ანუხებდნენ მას დიდი ხნის უმოქმედობის გამო. როცა სულიწმიდამ გაუცხადა მას ეს ქეშმარიტება, დეივმა გადაწყვიტა, რომ იგი კიდევ ერთხელ გააქტიურდებოდა და გახდებოდა შემტევი, იმის ნაცვლად, რომ ყოფილიყო ზარმაცი და საქმის გადამდები.

ამ გადაწყვეტილების მიღება შედარებით ადვილი იყო; ხოლო მისი განხორციელება – ძნელი. ძნელი იყო იმიტომ, რომ ყოველ იმ სფეროში, სადაც იგი პასიური იყო, მას უნდა „ევარჯიშა“, სანამ არ გაძლიერდებოდა.

მან დაიწყო დილის 5 საათზე ადგომა ღვთის სიტყვის წასაკითხად და ლოცვა მანამდე, სანამ სამსახურში წავიდოდა. ბრძოლა გაჩაღდა! ეშმაკს არ სურს იმ პოზიციების დაკარგვა, რომელიც მოპოვებული ჰქონდა და არ დანებდებოდა ბრძოლის გარეშე. დეივი გაიღვიძებდა, რომ დრო გაეტარებინა ღმერთთან ლოცვაში და ჩაეძინებოდა ტახტზე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე დაეძინა, მას მაინც ჰქონდა წინსვლა, უბრალოდ იმიტომ, რომ დგებოდა სანოლიდან და ცდილობდა ლოცვითი ცხოვრების აშენებას.

იყო მომენტები, როცა მობეზრებული ჰქონდა ეს ყოველივე. იყო დღეები, როცა გრძნობდა, რომ წინსვლას ვერ განიცდიდა, რადგან მაინც ვერ გებულობდა იმას, რასაც კითხულობდა, ან რომ მისი ლოცვები არ იყო გამრღვევი. მაგრამ იგი დაჟინებული იყო სულიწმიდის გამოცხადების გამო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც „პასიურობა“ ეწოდება.

შევამჩნიე, რომ როცა მჭირდებოდა დეივი, სურათი ჩამოეკიდა ან რაიმე შეეკეთებინა სახლში, იგი მყისვე რეაგირებდა. კვლავ იწყებდა თავისით აზროვნებას და საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებას. ხშირად მას არ მოსწონდა რაიმეს გაკეთება ან საერთოდ არ უნდოდა ბუნებრივად. მაგრამ იგი გადააბიჯებდა თავის გრძნობებსა და ხორციელ სურვილებს. რაც უფრო მეტად იწყებდა მოქმედებას იმაზე დაყრდნობით, რაც იცოდა რომ სწორია, მით უფრო მეტ თავისუფლებას განიცდიდა.

წრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ მისთვის ეს ადვილი არ იყო. იგი არ გათავისუფლებულა არც რამდენიმე დღეში და არც რამდენიმე კვირაში. პასიურობა ერთ-ერთი რთულად დასაძლევია მდგომარეობაა, რადგან, როგორც უკვე ვახსენე, მას არ მოყვება გრძნობები, რომლებიც მხარდაჭერას გამოგიცხადებდნენ.

დეივი ღმერთის შეწევნით დაჟინებული იყო და ახლა იგი საერთოდ აღარ არის პასიური. იგი არის ჩვენი მსახურების ადმინისტრატორი, ზედამხედველობს მთელს ჩვენს რადიო და ტელე პროგრამებს და პასუხისმგებელია მსახურების ყველა ფინანსურ საკითხზე. იგი მოგზაურობს სრული დროით ჩემთან ერთად და გადაწყვეტილებებს ღებულობს ჩვენს სამგზავრო განრიგთან დაკავშირებით. იგი ამავდროულად არაჩვეულებრივი ოჯახის კაცია. იგი ლოცულობს და რეგულარულად ატარებს დროს ღმერთის სიტყვაში. მოკლედ, პატივისცემი და დასაფასებელი კაცია.

იგი კვლავ თამაშობს გოლფს და უყურებს სპორტს, მაგრამ ასევე სხვა რალაცეებსაც აკეთებს, რასაც წესით უნდა აკეთებდეს. რომ იცნობდეთ მას ახლა და ხედავდეთ ყველაფერს, რასაც იგი ასრულებს, ვერასოდეს წარმოიდგენდით, რომ ოდესღაც პასიური იყო.

პასიურობის მდგომარეობა შეიძლება დაძლეული იქნას. მაგრამ მოქმედებებში პასიურობის დაძლევის პირველი ნაბიჯი არის პასიურობის გონებაში დაძლევა. დეივი ვერ განიცდიდა წინსვლას, სანამ არ მიიღო გადაწყვეტილება და არ შეცვალა თავისი აზროვნება.

სწორი ქმედება მოყვება სწორ აზროვნებას

„ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“.

რომაელთა 12:2

მთელს ღმერთის სიტყვაში ნაჩვენებია დინამიური პრინციპი და ვერცერთი ადამიანი ვერ ივლის გამარჯვებაში, თუ ვერ გაიგებს მას და არ დაინწყებს მასში მოქმედებას: *სწორი ქმედება სწორ აზროვნებას მოყვება.*

მოდით, სხვანაირად გამოვხატოთ: თქვენ ვერ შეცვლით თქვენს საქციელს იქამდე, სანამ თქვენი აზრები არ შეიცვლება.

ღმერთის თანმიმდევრობის წესრიგში, სწორი აზროვნება პირველია, ხოლო სწორი ქმედებები მას მოჰყვება. მჯერა, რომ დადებითი მოქმედება ან სწორი საქციელი სწორი აზროვნების „ნაყოფია“. ბევრი მორწმუნე იბრძვის სწორად კეთების მცდელობისას, მაგრამ ნაყოფი არ არის ბრძოლის შედეგი. ნაყოფი მოდის ვაზზე დარჩენის შედეგად (იხ. იოანე 15:4). და ვაზზე დარჩენა შეიცავს მორჩილებას (იხ. იოანე 15:10).

როცა ამ პრინციპის შესახებ ვასწავლი, მე ყოველთვის ვიყენებ ეფესელთა 4:22-24. მუხლი 22 ამბობს: „მიტოვებული გაქვთ წინანდელი ცხოვრება ძველი კაცისა, მაცდური გულისთქმებით გახრწნილი“.

მუხლი 24 აგრძელებს აზრს: „და შეგიმოსიათ ახალი კაცი, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, სიმართლითა და ჭეშმარიტების სინმიდით“.

ასე რომ, ჩვენ ვხედავთ, რომ 22-ე მუხლი ძირითადად გვეუბნება, რომ შევწყვიტოთ არასწორად მოქმედება და მუხლი 24 გვეუბნება, რომ დავინყოთ სწორად მოქმედება. (მთარგმნ. შენიშვნა: ბიბლიის მოცემულ ინგლისურ თარგმანში ეს მუხლები ანმყო დროშია გადმოცემული, ანუ: „მიატოვეთ... და შეიმოსეთ...“).

მუხლი 23 კი არის ის, რასაც მე „მუხლების ხიდს“ ვუწოდებ. იგი გვეუბნება, თუ როგორ გადავიდეთ 22 მუხლიდან (არასწორი ქმედებიდან) 24 მუხლამდე (სწორ ქმედებამდე): „და განახლე-

ბული ხართ თქვენი გონების სულით“. (მთარგმნ. შენიშვნა: ბიბლიის ინგლისურ თარგმანში: „და გამუდმებით განახლდით..“.)

შეუძლებელია არასწორი ქმედებიდან სწორ ქმედებამდე მისვლა, თუ ჯერ აზრები არ შეგვეცვლება. პასიურ პიროვნებას შეიძლება სურდეს სწორი რამის გაკეთება, მაგრამ ვერასოდეს გააკეთებს ამას, თუ გამიზნულად არ აამოქმედებს გონებას და არ შეუსაბამებს ღმერთის სიტყვას და ნებას.

მაგალითი, რომელიც ახლა მახსენდება არის ერთ მამაკაცზე, მან ჩემს ერთ-ერთ სემინარზე ლოცვა ითხოვა, გულისთქმებთან დაკავშირებული პრობლემისათვის. მას მართლაც უყვარდა თავისი ცოლი და არ უნდოდა, რომ მათი ქორწინება დანგრეულიყო, მაგრამ თუკი მისი პრობლემა არ გადაიჭრებოდა, დანგრევა გარდაუვალი იყო.

„ჯოის, მე პრობლემა მაქვს გულისთქმებთან,“ - თქვა მან. „თითქმის არ შემიძლია თავის შორს დაჭერა სხვა ქალებისაგან. ილოცებ ჩემი გათავისუფლებისთვის? მე ბევრჯერ მილოცია, მაგრამ არანაირი წინსვლა არ მქონია“.

სულიწმიდამ მიმანიშნა რომ მისთვის შემდეგი რამ მეთქვა: „კი, ვილოცებ შენთვის, მაგრამ შენ ანგარიშვალდებული იქნები იმაში, თუ რას მისცემ ჩვენების უფლებას შენი გონების ეკრანზე. შენ ვერ შეძლებ პორნოგრაფიული სურათების წარმოსახვას შენს ფირებში, ან საკუთარი თავის წარმოდგენას სხვა ქალებთან, თუ ოდესმე მოგინდება თავისუფლებით დატკობა“.

ამ მამაკაცის მსგავსად, სხვებიც მიხვდნენ, იქ, თუ რატომ არ განიცდიან გარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ მათ სურთ იყვნენ თავისუფლები: *მათ სურთ თავიანთი საქციელის შეცვლა – მაგრამ არა აზროვნების.*

გონება ხშირად არის სფერო, სადაც ხალხი „ეთამაშება ცოდვას“. იესომ თქვა მათეს 5:27,28-ში: „გსმენიათ, რომ თქმულა: „არ იმრუშო“. მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“. ცოდვილ ქმედებას გზას უკაფავს ცოდვილი ფიქრები.

ქალი, რომელიც ესწრებოდა ჩემს პირველ საშინაო ბიბლიურ სწავლებას, მიუძღვნა თავი უფალს და სურდა, რომ მისი ოჯახი და ქორწინება გამართული ყოფილიყო. ყველაფერი მის ცხოვრებაში არეული იყო – სახლი, შვილები, ქორწინება, ფი-

ნანსები, ფიზიკური მდგომარეობა და ა.შ. მან ღიად თქვა, რომ არ უყვარდა თავისი ქმარი; მეტიც, ფაქტობრივად ეზიზღებოდა იგი. იცოდა რა, რომ მისი ქმედება არ იყო ღვთიური, მას სურდა ყვარებოდა ქმარი, მაგრამ თითქოს ვერ იტანდა მასთან ერთად ყოფნას.

ჩვენ ვილოცეთ, მან ილოცა, ყველამ ილოცა! ჩვენ ადგილები გავუზიარეთ მას წმიდა წერილიდან და ჩანერილი სწავლებებიც მივეცით მოსასმენად. გავაკეთეთ ყველაფერი, რაც ვიცოდით და მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქოს მიყვებოდა ჩვენს რჩევას, წინსვლა არ ჰქონია. რა იყო არასწორი? საკონსულტაციო შეხვედრის დროს, გაცხადდა, რომ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე მეოცნებე იყო. იგი გამუდმებით წარმოიდგენდა ხოლმე ზღაპარს რეალობად, სადაც იგი პრინცესა იყო და მომხიბლავი პრინცი დაბრუნდა სახლში სამსახურიდან ყვავილებით და ტკბილეულობით და მოხიბლა იგი თავისი ერთგულებით.

იგი დღეებს ატარებდა ასეთ ფიქრებში და როცა მისი დაღლილი, დამძიმებული, ოფლიანი, დასაბანი ქმარი (რომელსაც ერთი კბილი აკლდა), მთელი დღის მძიმე სამუშაოს შემდეგ სახლში დაბრუნდებოდა იგი ვერ იტანდა მას.

დაუფიქრდით ამ მდგომარეობას ცოტა ხნით. ქალი ხელახლად შობილი იყო და მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება არეული იყო. მას უნდოდა ღმერთის მორჩილი ყოფილიყო და ეცხოვრა მისთვის, მას ასევე სურდა, რომ ყვარებოდა ქმარი, რადგან იცოდა, რომ ეს ღმერთის ნება იყო. სურდა გამარჯვება თავის ცხოვრებაში და ქორწინებაში, მაგრამ მისი გონება ამარცხებდა მას. არ არსებობდა გზა, რომლითაც იგი დაძლევა ზიზღს ქმრის მიმართ, სანამ არ დაიწყო მოქმედება „ჯანსაღი გონებიდან“.

იგი აზრობრივად ცხოვრობდა სამყაროში, რომელიც არ არსებობდა და არც არასოდეს იარსებებს. შედეგად, იგი სრულიად მოუშზადებელი იყო რეალობასთან გასამკლავებლად. მას პასიური გონება ჰქონდა და რადგან იგი თავად არ ირჩევდა ფიქრებს ღმერთის სიტყვის თანახმად, ბოროტი სულები დებდნენ ფიქრებს მის გონებაში.

მას შემდეგ, რაც მან იფიქრა, რომ ეს მისი პირადი აზრები იყო და ტკბებოდა მათით, იგი ველარ განიცდიდა გამარჯვებას. მან შეცვალა თავისი აზროვნება და მისმა ცხოვრებამაც დაიწყო შეცვლა. მან შეცვალა თავისი გონებრივი დამოკიდებულება

მეუღლის მიმართ და ქმარმა დაიწყო თავისი გარეგნობის და ქცევის შეცვლა ცოლის მიმართ.

ზეციერზე იზიქრამი

„ამგვარად, თუ თქვენ აღდექით ქრისტესთან ერთად, ეძიეთ მალლა, სადაც ქრისტე ზის ღვთის მარჯვნივ. ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე“.

კოლასელთა 3:1,2

კიდევ ერთხელ ვხედავთ იგივე პრინციპს: თუ გინდა იცხოვროთ აღდგომის სიცოცხლით, რომელიც იესომ თქვენთვის უზრუნველყო, მაშინ ეძიეთ ეს ახალი, ძლიერი სიცოცხლე თქვენი გონების მომართვით ზეციერზე, და არა მიწიერზე.

მოციქული პავლე უბრალოდ ამბობს, რომ თუ მე და თქვენ გვსურს კარგი ცხოვრება, მაშინ ჩვენი გონება კარგზე უნდა იყოს მომართული.

მრავალ მორწმუნეს სურს კარგი ცხოვრება, მაგრამ ისინი პასიურად ზიან უსაქმურად და სურთ, რომ რაიმე კარგი მოხდეს მათ ცხოვრებაში. ხშირად, მათ შურთ სხვების, რომლებიც გამარჯვებაში ცხოვრობენ და წყინთ, რომ მათი ცხოვრება ასე რთულია.

თუ თქვენ გსურთ გამარჯვება პრობლემებზე, თუ თქვენ მართლა გინდათ იცხოვროთ აღდგომის სიცოცხლით, უნდა გქონდეთ საქმეები და არა მხოლოდ ოცნებები! თქვენ უნდა იყოთ აქტიური – და არა პასიური. სწორი ქმედება იწყება სწორი აზროვნებით. ნუ იქნებით პასიური თქვენს გონებაში. დაინწყეთ დღესვე სწორი ფიქრების არჩევით.

თავი

15

ქრისტეს გონება

მჯერა, რომ თქვენ ახლა მყარი გადაწყვეტილება მიიღეთ, რომ აგერჩიათ სწორი ფიქრები ამიტომ, მოდით, განვიხილოთ ისეთი სახის ფიქრები, რომლებიც სწორად იქნებოდა მიჩნეული უფალთან მიმართებაში. რა საკვირველია, არსებობს მრავალი კატეგორიის ფიქრი, რომლებიც წარმოუდგენლად იქნებოდა მიჩნეული იესოსთვის, როცა იგი დედამიწაზე იმყოფებოდა. თუ ჩვენ გვსურს მივყავოდეთ მის ნაკვალევს, მაშინ ჩვენ მის მსგავსად უნდა დავინყოთ ფიქრი.

„რადგან ვინ შეიცნო უფლის აზრი? რათა ასწავლოს მას? ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი (გონება, ინგლ. თარგმან.)“.

1 კორინთელთა 2:16

ახლა თქვენ შეიძლება ფიქრობთ: „შეუძლებელია, ჯოის. იესო სრულყოფილი იყო. შეიძლება გავაუმჯობესო ჩემი აზროვნება, მაგრამ მის მსგავსად ფიქრს ვერასოდეს შევძლებ“.

კი ბატონო, მაგრამ ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ ქრისტეს გონება გვაქვს, ახალი გული და სული.

ახალი გული და სული

„და მოგცემთ თქვენ ახალ გულს და ახალ სულს ჩავდებ თქვენში, ამოგარიდებთ ქვის გულს თქვენი ხორციდან და მოგცემთ ხორცის გულს. ჩემს სულს ჩავდებ თქვენში და გავაკეთე ისე, რომ ჩემი წესებით ივლით და ჩემს სამართალს დაიცავთ და შეასრულებთ“.

ეზეკიელი 36:26,27

როგორც ქრისტიანებს, თქვენ და მე გვაქვს ახალი ბუნება, რომელიც ფაქტობრივად ღმერთის ბუნებაა, ის იდება ჩვენში ხელახლად შობის დროს.

წმიდა წერილიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ღმერთმა იცოდა, თუ ჩვენ ყურადღებიანი ვიქნებოდით მისი დადგენილებებისადმი და ვივლიდით მისი წესების მიხედვით, იგი მოგცემ-

გონება – ბრძოლის ველი

და სულიწმიდას და ახალ გულს (და გონებას). რომაელთა 8:6 საუბრობს ხორციელ გონებაზე და გვეუბნება, რომ სიკვდილი არის ხორციელი გონების მიყოლის შედეგი და სიცოცხლე არის სულის გონების მიყოლის შედეგი.

ჩვენ უზარმაზარ პროგრესს მივალწევთ, უბრალოდ სიცოცხლისა და სიკვდილის გარჩევა რომ ვისწავლოთ.

თუ რაიმე სიკვდილს ემსახურება, ნულარ გააკეთებთ იგივეს. როცა გაკვეული აზრების გარკვეული რიგი გავსებთ თქვენ სიკვდილით (ნებისმიერი სახის უბედურებით), მაშინვე მიხვდებით, რომ ეს არ არის სულიერი ფიქრები.

მაგალითისთვის, ვთქვათ, მე ვფიქრობ, რომ სხვა ადამიანი უსამართლოდ მომექცა და ვბრაზდები. ვინცებ ფიქრს, თუ როგორ არ მომწონს ის პიროვნება. თუ შემიძლია ამოცნობა, შევამჩნევ, რომ ვივსები სიკვდილით. მე ვმწუხრდები, ვიძაბები, ვიქანცები – შეიძლება ფიზიკურ მოუსვენრობასაც განვიცდიდე. თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი ან შეუსაბამო დაღლილობა შეიძლება იყოს არასწორი აზროვნების შედეგი. მეორეს მხრივ, თუ მე ვფიქრობ, თუ რა კურთხეული ვარ და რა კეთილი იყო ღმერთი ჩემს მიმართ, ასევე მივხვდები, რომ სიცოცხლით ვივსები.

ძალიან ეხმარება მორწმუნეს თავისში სიცოცხლის და სიკვდილის გარჩევის სწავლა. იმით, რომ თავისი გონება ჩადო ჩვენში. იესომ მოაწყო ყველაფერი, რათა სიცოცხლით ვიყოთ აღვსილნი ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ ქრისტეს გონებით სიარული.

ნაბიჯი 1. იფიქრეთ პოზიტიური ფიქრებით.

„აბა, თუ ივლიან ორნი ერთად, თუ ერთმანეთში არ შეთანხმდებიან?“

ამოსი 3:3

თუ ადამიანი ფიქრობს ქრისტეს გონების თანახმად, როგორი იქნება მისი ფიქრები? აუცილებლად პოზიტიური. წინა თავში, ჩვენ უკვე განვიხილეთ პოზიტიური აზროვნების აბსოლუტური აუცილებლობა. შეიძლება მოგინდეთ კიდევ, რომ მე-5 თავს დაუბრუნდეთ ამ მომენტისთვის პოზიტიურობის მნიშვნელოვნების გასახსენებლად. მე ახლა დავბრუნდი და ნავიკითხე ხელახლა და ვიკურთხე, მიუხედავად იმისა, რომ თავად დავწერე.

საკმარისის თქმა პოზიტიურობაზე შეუძლებელია. ღმერთი პოზიტიურია, და თუ თქვენ და მე გვსურს მივყვებოდეთ მას, იგივე ტალღაზე უნდა გადავიდეთ და დავიწყოთ პოზიტიურად აზროვნება. მე არ ვსაუბრობ გონების კონტროლზე, არამედ უბრალოდ მრავალმხრივ, პოზიტიურ ადამიანად ყოფნაზე.

იქონიეთ დადებითი შეხედულებები და დამოკიდებულებანი. იქონიეთ პოზიტიური ფიქრები და მოლოდინი. ჩაებით პოზიტიურ საუბარში.

იესო ნამდვილად ავლენდა დადებით შეხედულებას და დამოკიდებულებას. მან დაითმინა მრავალი სირთულე პირადი შემოტევების ჩათვლით - მას ატყუებდნენ, მიატოვეს მისმა მონაფეებმა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ისინი, დასცინოდნენ, მარტო იყო, ვერ უგებდნენ და უამრავი სხვა სამწუხარო რამ. თუმცა, მიუხედავად ამ ყველა ნეგატიურ რალაცეებს შორის იგი პოზიტიური რჩებოდა. მას ყოველთვის ჰქონდა ამამალლებელი კომენტარი, გამამხნევებელი სიტყვა; იგი ყოველთვის აძლევდა იმედს ყველას, ვის გვერდითაც გაუვლია.

ქრისტეს გონება ჩვენში პოზიტიურია; შესაბამისად, ყოველთვის, როცა ნეგატიურები ვხდებით, ჩვენ არ ვმოქმედებთ ქრისტეს გონებით. მილიონობით ადამიანი იტანჯება იმით, რასაც მე „დაღმართებს“ ვუნოდებ ცხოვრებაში: იმედგაცრუება, დეპრესია და სასონარკვეთილება, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ცუდ განწყობაზე ყოფნა ნეგატიურად ყოფნის გარეშე - თუ, რა თქმა უნდა, სამედიცინო მიზეზი არ არის. ამ შემთხვევაშიც კი, ნეგატიურობა მხოლოდ გაზრდის პრობლემას და მის სიმპტომებს. როცა პიროვნება ცუდ განწყობაზეა, ყველაფერი მის ირგვლივ ცუდად გამოიყურება. მისი თავი დაბლა ვარდება, მისი ბაგეების კუთხეები დაბლა იწევს, თვალები უვარდება, მხრები უვარდება დაბლა და მას სურს დაჯდომა ან დაწოლა.

ფსალმუნი 3:4-ის თანახმად, ღმერთი ჩვენი დიდებაა და ჩვენი თავის ამმალლებელი. მას სურს ყოველივეს ამალლება: ჩვენი იმედების, ჩვენი დამოკიდებულებების, ჩვენი ხასიათის, ჩვენი თავის, ხელების, გულის - მთელი ჩვენი ცხოვრების. იგი არის ჩვენი უზენაესი ამმალლებელი!

ღმერთს სურს ჩვენი ამალლება, ხოლო ეშმაკს ჩვენი გაჭყლეტა. ეშმაკი იყენებს ჩვენი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს და მდგომარეობებს ჩვენს დასაჩაგრავად. ლექსიკონის განმარტება

ბონება - ბრძოლის ველი

სიტყვა „დაჩაგვრა“-ს აღნიშნავს „სულის მოღუშვას: დაღონებას“.¹ ვებსტერის ლექსიკონის თანახმად რაიმე, რაც „დეპრესირებული“ არის „ირგვლივ მყოფი ადგილის დაბლა ჩავარდნილი: ფუყე“.² დეპრესია ნიშნავს ჩაძირვას, ზემოდან დანოლას ან მიწის ნიშნულის დაბლა ყოფნას. ჩვენ რეგულარულად გვაქვს შესაძლებლობა ვიფიქროთ ნეგატიური ფიქრებით, მაგრამ ისინი მხოლოდ უფრო მეტად დაგვაჭერენ ზემოდან. ნეგატიურობა ვერ მოგვიგვარებს პრობლემებს; იგი მხოლოდ გაგვიმრავლებს მათ.

დეპრესიის დაძლევა

ფსალმუნი 142:3-10 გვაძლევს დეპრესიის განმარტებას და როგორ დავძლიოთ იგი. მოდით დეტალურად განვიხილოთ ეს ნაწყვეტი, რათა დავინახოთ თუ რა ნაბიჯები შეგვიძლია გადავდგათ მტრის შემოტევების დასაძლევად:

1. დაადგინე შენი პრობლემის ბუნება და მიზეზი.

„რადგან დევნა მტერმა ჩემი სული, მიწაზე დაანარცხა ჩემი სიცოცხლე, დამსვა ბნელეთში, დიდი ხნის მკვდრების მსგავსად“.

ფსალმუნი 142:3

„დამსვა ბნელეთში, დიდი ხნის მკვდრების მსგავსად“ ნამდვილად ჟღერს ჩემთვის, როგორც ადამიანის აღწერილობა, რომელიც იმდენად გულდამძიმებულია, რამდენადაც შესაძლებელია.

შენიშნეთ, რომ ამ დეპრესიის მიზეზი, სულზე შემტევი, არის ეშმაკი.

2. გააცნობიერეთ, რომ დეპრესია იპარავს სიცოცხლეს და სინათლეს.

„და შენუხდა ჩემზე სული ჩემი, ჩემს შიგნით დანალვლიანდა სული ჩემი“.

ფსალმუნი 142:4

დეპრესია ავიწროებს პიროვნების სულიერ თავისუფლებასა და ძალას.

ჩვენი სული (ღმერთის სულის მიერ გაძლიერებული და გამხნეებული) ძლიერი და თავისუფალია. ამიტომაც, ეშმაკი ცდილობს შეავიწროვოს მისი ძალა და თავისუფლება ჩვენი გონების სიბნელითა და წყვედიანთ ავსებით. გთხოვთ, გაიაზრეთ, რომ არსებითად მნიშვნელოვანია წინაღუდგეთ გრძნობას სახელით „დეპრესია“ მისი მოსვლისთანავე. რაც უფრო მეტ ხანს მისცემთ მას უფლებას რომ დარჩეს, მით უფრო რთული ხდება მისთვის წინააღმდეგობის განევა.

3. გაიხსენე კეთილი დღეები.

„ვიხსენებ ადრინდელ დღეებს, ვფიქრობ ყოველ შენს ნამოქმედარზე, შენი ხელის ნასაქმარზე ვისაუბრებ“.

ფსალმუნი 142:5

ამ მუხლში ვხედავთ მეფსალმუნის პასუხს თავის მდგომარეობაზე. გახსენება, ფიქრი და საუბარი თოთოეული გონების ფუნქციაა. მან აშკარად იცის, რომ მისი ფიქრები გავლენას ახდენენ გრძნობებზე, ამიტომ ისეთ რამეზე ფიქრობს, რაც დაეხმარება მას მის გონებაზე შეტევის დასაძლევად.

4. ადიდეთ უფალი პრობლემის შუაგულში.

„ვინვდი ხელებს შენსკენ. ჩემს სულს, ვითარცა მიწას გამოფიტულს, მოსწყურდი შენ“.

ფსალმუნი 142:6

მეფსალმუნემ იცის ქების მნიშვნელოვნება; იგი ალაპყრობს ხელებს თაყვანისცემაში. იგი აცხადებს, რომ მისი ნამდვილი საჭიროება არის – ღმერთი. მხოლოდ უფალს შეუძლია მას დაკმაყოფილებულად აგრძნობინოს თავი. ძალიან ხშირად, როცა ხალხი დეპრესიაში ვარდება, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ სჭირდებათ რაღაც, რასაც არასწორ ადგილზე ეძებენ, ეს კი მათ პრობლემებს ამრავლებს.

იერემიას 2:13-ში უფალმა თქვა: „რადგამ ორი სიბოროტე ჩაიდინა ჩემმა ერმა: მე ცოცხალი წყლის წყარო, დამტოვეს, რათა თავიანთთვის ამოეკვეთათ ჭები, დაბზარული ჭები, რომლებიც ვერ დააკავებენ წყალს“.

ბონება - ბრძოლის ველი

მწყურვალე სულის დანყურება მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ნუ მოტყუვდებით აზრით, რომ თითქოს სხვა რამესაც შეუძლია თქვენი სრულად და ბოლომდე დაკმაყოფილება. მცდარი რამის გამოკიდება ყოველთვის იმედგაცრუებაში გამოყოფთ, ხოლო იმედგაცრუება კარს უღებს დეპრესიას.

5. ითხოვეთ ღმერთისგან დახმარება.

„სწრაფად მიპასუხე, უფალო, სული ჩემი გაილია. ნუ დაფარავ შენს სახეს ჩემგან, თორემ დავემგვანები საფლავში ჩასულებს“.

ფსალმუნი 142:7

მეფსალმუნე ითხოვს დახმარებას. იგი ძირითადად ამბობს: „იჩქარე ღმერთო, რადგან ველარ გავუძლებ მეტ ხანს უშენოდ“.

6. მოუსმინეთ უფალს.

„მომასმენინე დილდილობით შენი წყალობა, რადგანაც შენით ვიმედოვნებ. მაუწყე, რომელი გზით ვიარო, რადგან შენსკენ აღვაპყარ სული ჩემი“.

ფსალმუნი 142:8

მეფსალმუნემ იცის, რომ მას სჭირდება ღმერთისგან მოსმენა. სურს რომ დარწმუნებული იყოს ღმერთის სიყვარულსა და სიკეთეში. მას სჭირდება ღმერთის ყურადღება და მიმართულება.

7. ილოცეთ გათავისუფლებისთვის.

„გადამარჩინე მტერთა ჩემთაგან, უფალო; შენთან ვაფარებ თავს“.

ფსალმუნი 142:9

მეფსალმუნე კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია მისი დახმარება.

გთხოვთ შენიშნეთ, რომ ამ მსჯელობების განმავლობაში მას თავისი გონება მიმართული აქვს ღმერთზე და არა პრობლემაზე.

8. ეძიეთ ღვთის სიბრძნე, ცოდნა და მმართველობა.

„მასწავლე შესრულება შენი ნებისა, რადგან შენ ჩემი ღმერთი ხარ. შენი კეთილი სული წამიძღვეს სიმართლის ქვეყანაში“.

ფსალმუნი 142:10

შესაძლოა მეფსალმუნე აღნიშნავს, რომ მან გადაუხვია ღმერთის ნებიდან და ამით გაალო კარი თავის სულზე შეტევებისთვის. მას სურს ღმერთის ნებაში ყოფნა, რადგან ახლა იგი ხვდება, რომ იგი ერთადერთი დაცული ადგილია.

შემდეგ იგი სთხოვს ღმერთს დაეხმაროს, რომ მტკიცე იყოს. მჯერა, რომ ფრაზა: „შენი კეთილი სული წამიძღვეს სიმართლის (განონასწორებულ, ინგ. თარგმ.) ქვეყანაში,“ გვაჩვენებს მის მოუგვარებელ ემოციებს. მას სურს განონასწორებული იყოს – და არა მალლა ან დაბლა.

გამოიყენეთ თქვენი იარაღი

„ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხოვთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“.

2 კორინთელთა 10:4,5

ემმაკი იყენებს დეპრესიას და ყველა სხვა „დამგდებს“ ცხოვრებაში მილიონების სიბნელისა და უიმედობის ორმოში ჩასათრევად. თვითმკვლელობა ხშირად დეპრესიის შედეგია. ადამიანი, რომელსაც თვითმკვლელობის აზრები აწუხებს ხშირად ის არის, ვინც იმდენად ნეგატიური გახდა, რომ აბოსლუტურად ვერანაირ იმედს ვეღარ ხედავს მომავლისათვის.

გახსოვდეთ: ნეგატიური გრძნობა მოაქვს ნეგატიურ აზრებს.

გონება ბრძოლის ველია. ადგილი, სადაც ბრძოლას იგებენ ან აგებენ. აირჩიეთ დღეს, რომ იყოთ პოზიტიური – დაანგრით ყოველი ნეგატიური წარმოდგენა და მოიყვანეთ თქვენი ფიქრე-

ბი იესო ქრისტეს მორჩილებაში (იხ. 2 კორ. 10:5).

ნაბიჯი 2. იყავით ღმერთის აზროვნების მქონე.

„სულს, რომელიც შენ გენდობა, იფარავ მშვიდობაში, რადგან შენზეა მინდობილი“.

ესაის 26:3

იესოს ჰქონდა უწყვეტი მოზიარეობა თავის ზეციერ მამასთან. შეუძლებელია ვინმესთან სრული მოზიარეობის ქონა, თუკი გონება მთლიანად მისკენ არ იქნება მიმართული. თუ მე და ჩემი ქმარი ერთად ვართ მანქანაში და ის მელაპარაკება, მაგრამ ჩემი გონება სხვა რამეზეა მომართული, ჩვენ სინამდვილეში მოზიარეობა არ გვაქვს, რადგან მე ჩემს სრულ ყურადღებას მას არ ვუთმობ. ამიტომ, მჯერა, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ადამიანის ფიქრები, რომელიც ქრისტეს გონებით მოქმედებს, იქნება ღმერთზე და ყველა მის ღიღებულ საქმეზე.

იფიქრეთ ღმერთზე და მის საქმეებზე

„ცხიმითა და სიმსუქნით დამსუყდება სული ჩემი, და მგალობელი ბაგეებით გაქებს პირი ჩემი.“

როცა გიხსენებ ჩემს სარეცელზე, მთელ ღამეებს ვიფიქრებ შენზე“.

ფსალმუნი 62:6,7

„ჩაფუკვირდები ყველა შენს ნამოქმედარს და შენს საქმეებზე ვისაუბრებ“.

ფსალმუნი 76:13

„შენს მცნებებზე ვიფიქრებ და დაფუკვირდები შენს გზებს“.

ფსალმუნი 118:15

„ვიხსენებ ადრინდელ დღეებს, ვფიქრობ ყოველ შენს ნამოქმედარზე, შენი ხელის ნასაქმარზე ვისაუბრებ“.

ფსალმუნი 142:5

მეფსალმუნე დავითი ხშირად ლაპარაკობდა ღმერთის შესახებ ფიქრზე, მის სიკეთეზე, მის საქმეებსა და გზებზე, მის

უსასრულო შემოქმედებითობაზე, და როგორ ეკავა ყველაფერი თავისი ძალის ძლიერებით (იხ. ებრ. 1:3).

თუ გსურთ რომ გამარჯვება განიცადოთ, ღმერთის სიტყვაზე და მის საქმეებზე ფიქრი თქვენი ცხოვრების რეგულარულ ნაწილად უნდა იქცეს.

ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუხლი წმიდა წერილიდან არის ფსალმუნი 16:15, სადაც მეფსალმუნე დავითი ამბობს უფლის შესახებ: „გავძლები გამოღვიძებისას შენი სახების მზერით“.

ბევრი უსიამოვნო დღე გამიტარებია, როცა გაღვიძებისთანავე, დილით ცუდი აზრებით ვინყებდი ფიქრს. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ უფრო მეტად ვარ კმაყოფილი, რადგან სულიწმიდა დამეხმარა, მემოქმედა ქრისტეს გონებით (სულის გონებით), რომელიც ჩემშია. ღმერთთან მოზიარეობა დილით ადრე ერთ-ერთი სანდო გზა არის ყოველი დღის დასაწყებად და ვისურვებ, ამ სასიამოვნო ცხოვრების გზას შევუდგეთ.

უფალთან მოზიარეობა

„თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ“.

იოანე 16:7

ეს სიტყვები იესომ იქამდე თქვა, სანამ ზეცად ამაღლდებოდა, სადაც იგი მამის მარჯვნივ ზის დიდებაში. ამ მუხლიდან აშკარად ჩანს, რომ ღმერთის ნებაა რომ მასთან ახლო მოზიარეობა გვქონდეს.

არაფერი არის ჩვენთან ისე ახლოს, ვიდრე ჩვენი საკუთარი ფიქრები. შესაბამისად, თუ ჩვენ ავავსებთ ჩვენს გონებას უფლით, ის ჩვენს ცნობიერებაში შემოვა და დავინყებთ სიამოვნების მიღებას მასთან ურთიერთობით, რომელიც მოიტანს სიხარულს, მშვიდობასა და გამარჯვებას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იგი ყოველთვის ჩვენთან არის, როგორც დავგვირდა კიდევ (იხ. მათ. 28:20; ებრ. 13:5). მაგრამ ჩვენ ვერ შევიგრძნობთ მის თანდასწრებას, თუ არ დავინყებთ მასზე ფიქრს. შეიძლება

ბონება - ბრძოლის ველი

ოთახში ვიყო ვინმესთან და თუ ჩემი გონება მრავალ სხვა რამეზეა მიმართული, ისე წამოვიდე ვერც კი მივხვდე, რომ ის ადამიანი იქ იყო. იგივენაირადაა ჩვენი ურთიერთობა უფალთან. იგი ყოველთვის ჩვენთან არის, მაგრამ ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ მასზე და თვალთახედვიდან არ ვკარგავდეთ მის თანდასწრებას.

ნაბიჯი 3. იქონიეთ განწყობა: „ღმერთს ვუყვარვარ მე“

„ჩვენ ვცანით და ვინამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში“.

1 იოანე 4:16

ვისწავლე, რომ იგივე, რაც სიმართლეა ღმერთის სიყვარულთან მიმართებაში, სიმართლეა მის თანდასწრებასთან მიმართებაშიც. თუ ჩვენ არასოდეს ჩავუფიქრდებით მის სიყვარულს, ვერც ვერასოდეს განვიცდით მას.

მოციქულმა პავლემ ილოცა ეფესელთა მე-3 თავში, რომ ხალხს განეცადა ღმერთის სიყვარული მათდამი. ბიბლია ამბობს, რომ მას ვუყვარვართ. მაგრამ რამდენ ღმერთის შვილს ჯერ კიდევ აკლია გამოცხადება ღმერთის სიყვარულთან დაკავშირებით?

მახსოვს, როდესაც დავინწყე მსახურება. პირველ კვირაში, როცა შეკრება უნდა მომენყო, ვკითხე უფალს, რა უნდოდა რომ მესწავლებინა და მან მიპასუხა: „უთხარი ჩემს ხალხს, რომ მიყვარს ისინი“.

„მათ იცინან ეს,“ - მივუგე მე. „მე მინდა ვასწავლო მათ რამე ნამდვილად ძლიერი და არა საკვირაო სკოლის გაკვეთილი იოანეს 3:16-დან“.

უფალმა მითხრა: „ჩემი ხალხიდან ძალიან ცოტამ იცის რეალურად, თუ რამდენად მიყვარს ისინი. რომ სცოდნოდათ, სხვანაირად მოიქცეოდნენ“.

როცა დავინწყე ღმერთის სიყვარულის მიღების თემის შესწავლა, გავაცნობიერე, რომ ეს თავად მჭირდებოდა ძალიან. ჩემი სწავლებისას უფალმა მიმიყვანა 1 იოანეს 4:16-თან, რომელიც

აცხადებს, რომ ჩვენ უნდა შევიცნოთ ღმერთის სიყვარული. რაც იმას ნიშნავს, რომ მის შესახებ უნდა ვიცოდეთ.

მე მქონდა გაუაზრებელი, ბუნდოვანი ცოდნა, რომ ღმერთს ვუყვარვარ, მაგრამ ღმერთის სიყვარული ნიშნავს ძლიერ ძალას ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ყველაზე რთული განსაცდელიდან გამარჯვებაში გადაგვიყვანს.

რომაელთა 8:35-ში მოციქული პავლე შეგვაგონებს: „ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ქირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშველე თუ საფრთხე, ანდა მახვილი?“ შემდეგ 37-ე მუხლში იგი აგრძელებს: „მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით“.

მე ვსწავლობდი ამ საკითხს დიდი ხნის განმავლობაში. ღმერთის სიყვარული ჩემდამი მის სიყვარულზე ფიქრისა და მისი ხმამალა აღიარების მეშვეობით გავაცნობიერე და დავინახე. ვისწავლე მუხლები სიყვარულის შესახებ, ვფიქრობდი მათზე და ვაღიარებდი ჩემი ბაგით. ამას თვეების განმავლობაში ვაკეთებდი და ყოველ ჯერზე მისი ჩემდამი უპირობო სიყვარულის გამოცხადება უფრო მეტად და მეტად რეალური ხდებოდა.

ახლა, მისი სიყვარული იმდენად რეალურია ჩემდამი, რომ ძნელუაძობასაც კი, მე ნუგეშცემული ვარ „გააზრებული ცოდნით“, რომ მას ვუყვარვარ და ჩემი ცხოვრება აღარ არის შიშში.

ნუ გეშინიათ

„სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს“.

1 იოანე 4:18

ღმერთს სრულიად ვუყვარვართ ისეთები, როგორებიც ვართ. რომაელთა 5:8 გვეუბნება, რომ „ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით“.

მორწმუნეები, რომლებიც ქრისტეს გონებით მოქმედებენ, არ დაინებენ ფიქრს, თუ რა საშინელნი არიან. მათ ექნებათ სიმართლეზე დაფუძნებული ფიქრები. თქვენ უნდა გქონდეთ

ბონება - ბრძოლის ველი

სიმართლის ცნობიერება, რეგულარულად ფიქრობდეთ, თუ ვინ ხართ „ქრისტიეში“. ჩვენ ღმერთის წინაშე სწორად იმის გამო კი არ ვდგავართ, რომ ყველაფერს სწორად ვაკეთებთ, არამედ იმიტომ, რომ იგი გვაძლევს სწორ მდგომარეობას, როგორც თავისი მადლის საჩუქარს. რწმენით მიღებული სიმართლის საჩუქარი გამოიწვევს უფრო მეტ და მეტ სწორ საქციელს.

იყავი სიმართლის და არა ცოდვის გამააზრებელი

„ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახდა ცოდვად ჩვენს გამო, რათა გავხდეთ ღვთის სამართლიანობა მასში“.

2 კორინთელთა 5:21

ბევრი ქრისტიანი საკუთარ თავზე ნეგატიური აზრების და იმის შესახებ ფიქრებით იტანჯება, თუ რამდენად უკმაყოფილოა ღმერთი მათი სისუსტეებისა და შეცდომების გამო.

რამდენ დროს ფლანგავთ მსჯავრდადების და დანაშაულის შეგრძნების ქვეშ ცხოვრებით? შეამჩნიეთ, მე ვთქვი, რამდენ დროს ფლანგავთ, რადგან სწორედ ამას ნიშნავს ამგვარი აზროვნების ქონა, დროის ფლანგვას!

ნუ ფიქრობთ, თუ რა საშინელი იყავით, სანამ ქრისტიეში მოხვიდოდით. არამედ იფიქრეთ, თუ როგორ იქეცით ღვთის სიმართლედ მასში. გახსოვდეთ: ფიქრები გადაიქცევა მოქმედებად. თუ გასურთ უკეთესად იქცეოდეთ, ჯერ უნდა შეცვალოთ თქვენი აზროვნება. გააგრძელეთ იმაზე ფიქრი, თუ რა საშინელი ხართ და უფრო უარესად მოიქცევით. ყოველთვის, როცა ნეგატიური, მსჯავრდამდები აზრი მოდის თქვენს გონებაში, შეახსენეთ საკუთარ თავს, რომ ღმერთს უყვარხართ, რომ ღმერთის სიმართლედ შეიქმენით ქრისტიეში.

თქვენ უკეთესობისაკენ იცვლებით ყოველთვის. ყოველდღიურად თქვენ იზრდებით სულიერად. ღმერთს დიდებული გეგმა აქვს თქვენი ცხოვრებისათვის. ეს ის ჭეშმარიტებებია, რომლებზეც უნდა ფიქრობდეთ.

ნესით ასე უნდა ექცეოდეთ თქვენს გონებას!

განზრახ იფიქრეთ ღმერთის სიტყვის თანახმად; ნუ იფ-

იქრებთ იმაზე, რაც თქვენს გონებაში მოვარდება, თითქოსდა თქვენი აზრი ყოფილიყოს.

ნაბიჯი 4. იქონიეთ გამამხნეველი გონება.

„თუ გამამხნეველია – გამხნეებაში“.

რომაელთა 12:8

ქრისტეს გონებით პიროვნება სხვა ადამიანებზე ისევე ფიქრობს დადებითი, ამაღლებული, აღმშენებელი ფიქრებით, როგორც საკუთარ თავზე და გარემოებებზე.

შემგონებლური მსახურება დიდად საჭიროა ქვეყნიერებაზე დღეს. ვერ შეძლებთ ვერავის გამხნეებას თქვენი სიტყვებით, თუ თქვენ ჯერ იმ ინდივიდის მიმართ კარგი ფიქრები არ გექნებათ. გახსოვდეთ, რომ ის რაც თქვენს გულშია, გამოვა თქვენი ბაგიდან. „იფიქრეთ სიყვარულზე“ გამიზნულად.

გაუგზავნეთ სიყვარულის ფიქრები სხვა ხალხს. უთხარით მათ გამამხნეველი სიტყვები.

„ძველი და ახალი აღთქმის სიტყვების ვაინის განმარტებითი ლექსიკონი“ განსაზღვრავს ბერძნულ სიტყვას „პარაკალეო“, რომელიც, როგორც გამხნეება, ითარგმნება შემდეგნაირად: „უპირველეს ყოვლისა, ვინმეს დაძახება („პარა“ - გვერდით, „კალეო“ - დაძახება)... შეგონება, გამხნეება, ვინმეს შეგულიანება მისდოს მოქმედების გარკვეულ დინებას“.³ მე განვმარტავ ამ განსაზღვრებას, როგორც ადამიანის გვერდით სიარული და მისი შეგულიანება წინ იაროს და მისდოს მოქმედების დინებას. გამხნეების მსახურების ნიჭი, რომელზეც საუბარი მიდის რომაელთა 12:8-ში შეიძლება ადვილად იყოს დანახული მათში, ვისაც აქვს იგი. ისინი ყოველთვის ყველას ეუბნებიან რამე გამამხნეველს ან ამამაღლებელს – რამეს, რაც სხვებს თავს უკეთ აგრძნობინებს და მოუწოდებს გააგრძელონ სვლა.

ჩვენ შეიძლება ყველას არ გვექონდეს გამხნეების მსახურების ნიჭი, მაგრამ ყველას შეუძლია ისწავლოს რომ იყოს გამამხნეველი. მარტივი წესია: თუ რაიმე კარგი არ არის, მაშინ ნუ იფიქრებ მასზე და ნურც იტყვი.

ყველას ისედაც უკვე აქვს საკმარისი პრობლემა; ჩვენ არ უნდა დავუმატოთ მათ სირთულეები დასანგრევად. ჩვენ უნდა

ბონება - ბრძოლის ველი

აღვაშენოთ ერთმანეთი სიყვარულში (იხ. ეფეს. 4:29). არ დაგავიწყდეთ: სიყვარულს ყოველთვის სწამს ყველა ადამიანის საუკეთესოსი (1 კორ. 13:7).

როცა იწყებთ სასიამოვნო ფიქრებით ფიქრს ხალხის შესახებ, აღმოაჩენთ, რომ ისინი უფრო სასიამოვნოდ მოიქცევიან. ფიქრები და სიტყვები კონტინენტები ან იარაღებია, რომლებიც შემოქმედებით ან დამანგრეველ ძალას ატარებენ. ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს ეშმაკის და მისი საქმეების წინააღმდეგ ან შეიძლება დაეხმარონ კიდევაც მას თავის დამანგრეველ გეგმაში.

დავუშვათ, თქვენ გყავთ შვილი, რომელსაც პრობლემები აქვს ქცევასთან და აუცილებლად საჭიროებს შეცვლას. თქვენ ლოცულობთ მისთვის და სთხოვთ ღმერთს, იმოქმედოს მის ცხოვრებაში, მოახდინოს საჭირო ცვლილებები. მაგრამ, რას უშვებით თქვენს ფიქრებს და სიტყვებს მასთან მიმართებაში დარჩენილ დროში? ბევრი ადამიანი ვერასოდეს ღებულობს პასუხს თავის ლოცვაზე, იმიტომ, რომ უარყვეს ის, რასაც ითხოვდნენ თავიანთი ფიქრებითა და სიტყვებით, სანამ ღმერთს მიეცემოდა შესაძლებლობა, ემოქმედა მათ სასარგებლოდ.

ლოცულობთ თქვენი შვილისთვის, რომ შეიცვალოს და შემდეგ ერთობით ყოველგვარი ნეგატიური აზრით მასთან მიმართებაში? ან, იქნებ ლოცულობთ ცვლილებისთვის და შემდეგ ფიქრობთ და სხვებსაც კი ეუბნებით: „ეს ბავშვი არასოდეს შეიცვლება!“ იმისათვის, რომ გამარჯვებაში იცხოვროთ, თქვენ უნდა დაიწყოთ თქვენი აზრების დალაგება ღმერთის სიტყვის სისწორეზე.

ჩვენ არ დავდივართ სიტყვაში, თუ ჩვენი ფიქრები ეწინააღმდეგება იმას, რასაც ის ამბობს. ჩვენ არ დავდივართ სიტყვაში, თუ არ ვფიქრობთ სიტყვის თანახმად.

როდესაც ლოცულობთ ვინმესთვის, შეუსაბამეთ თქვენი აზრები და სიტყვები იმას, რაზეც ილოცეთ და დაიწყებთ გარღვევის დანახვას.

მე არ გთავაზობთ, რომ ბალანსი დაარღვიოთ და უარი თქვათ პრობლემის არსებობის აღიარებაზე. თუ თქვენს შვილს სკოლაში აქვს პრობლემა ქცევასთან დაკავშირებით და მეგობარი გკითხავთ, როგორ არის იგი, როგორ მოიქცევოდით, თუკი სინამდვილეში არანაირი ცვლილება არ გამოვლინდა? შეგიძლიათ თქ-

ვათ: „იცი, ჩვენ ჯერ არ გვინახავს გარღვევა, მაგრამ მე მჯერა ღმერთი მოქმედებს და მალე ვიხილავთ ცვლილებას“.

ნაბიჯი 5. იქონიეთ მადლიერი გონება.

„შედით მის კარიბჭეებში ხოტბის შესხმით, მის ეზოებში – ქება-დიდებათ; მადლობა შესწირეთ მას, ადიდეთ სახელი მისი!“

ფსალმუნი 99:4

პიროვნება, რომელიც მიყვება ქრისტეს გონებას, აღმოაჩენს, რომ მისი ფიქრები სავსეა ქებით და მადლიერებით.

მრავალი კარი იღება მტრის წინაშე წუნუნით. ზოგი ადამიანი ფიზიკურად ავად არის და ცხოვრობენ სუსტი, უძლური ცხოვრებით ამ დაავადების გამო, რომელსაც ჰქვია წუნუნი, რომელიც უტევს ხალხის ფიქრებს და საუბრებს.

ძლიერი ცხოვრების გატარება მადლიერების გარეშე შეუძლებელია. ბიბლია კვლავ და კვლავ გვარიგებს მადლიერების პრინციპის შესახებ. წუნუნი ფიქრში ან სიტყვაში სასიკვდილო პრინციპია, მაგრამ მადლიერება და მისი გამოსატყვანა სიცოცხლის პრინციპია.

თუ პიროვნებას არ გააჩნია მადლიერი გული (გონება), მადლიერება არ გამოვა მისი ბაგიდან. როცა მადლიერნი ვართ, ვიტყვით კიდევაც.

ყოველთვის იყავით მადლიერნი

„მისი საშუალებით მუდამ ვწირავდეთ ღმერთს ქების მსხვერპლს, ესე იგი, მისი სახელის აღმსარებელ ბაგეთა ნაყოფს“.

ებრაელთა 13:15

როდის უნდა ვწირავდეთ მადლიერების მსხვერპლს? ყოველთვის – ნებისმიერ სიტუაციაში, ყველაფერში – და ასე ჩვენ შევალთ გამარჯვებულ ცხოვრებაში, სადაც ეშმაკს არ შეუძლია ჩვენი გაკონტროლება.

როგორ შეუძლია გაგვაკონტროლოს თუ ჩვენ მდგომარე-

ბონება - ბრძოლის ველი

ობისდა მიუხედავად მხიარულები და მადლიერნი ვიქნებით? როგორც წესი, ასეთი ცხოვრების სტილი ხანდახან მოითხოვს ქების მსხვერპლს, მაგრამ მირჩევნია ჩემი მადლიერება ღმერთს შევნირო, ვიდრე ჩემი სიხარული ეშმაკს. ვისწავლე (მტკიცუნეულად), რომ თუ გავღიზიანდები და უარს ვიტყვი მადლიერებაზე, მაშინ დავკარგავ ჩემს სიხარულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე წავაგებ მას წუნუნის სულთან.

ფსალმუნში 33:2 მეფსალმუნე ამბობს: „განვადიდებ უფალს ყოველჟამს, მარადისია მისი ქება ჩემს ბაგეებზე“. როგორ შეგვიძლია კურთხევა ვიყოთ უფლისთვის? იმით, რომ მისი ქება გამუდმებით იყოს ჩვენს ფიქრებში და ბაგეზე.

იყავი მადლიერი ადამიანი – ის, ვინც სავსეა მადლიერებით არა მხოლოდ ღმერთის მიმართ, არამედ ხალხთან მიმართებაშიც. როცა ვინმე რაიმე კარგს აკეთებს თქვენთვის, გააგებინეთ, რომ აფასებთ მის საქციელს.

გამოხატეთ დაფასება თქვენს ოჯახში სხვადასხვა წევრების მიმართ. ძალიან ხშირად, ჩვენ ვეჩვენებთ იმას, რითაც ღმერთმა გვაკურთხა. რეალური გზა რაიმეს დასაკარგავად არის მისი დაუფასებლობა.

მე ვაფასებ ჩემს მეუღლეს; დიდი ხანია რაც დავქორწინდით, მაგრამ მე კვლავ ვეუბნები, რომ ვაფასებ მას. იგი ძალიან მომთმენი კაცია მრავალმხრივ და გააჩნია უამრავი სხვა კარგი თვისება. ვიცი, რომ კარგი ურთიერთობების აღშენებაში და მართვაში გვეხმარება ის, რომ ვეუბნებოდეთ ხალს, როგორ ვაფასებთ მათ, ვახსენებდეთ კიდევაც იმას, რისთვისაც ვართ მადლიერნი.

ბევრ ადამიანს ვხვდები და გამუდმებით ვოცდები, თუ ზოგიერთი მათგანი როგორი მადლიერია ყოველი წვრილმანისთვის, რომელიც მათთვის გააკეთეს. მაშინ, როცა სხვები არასოდეს არიან კმაყოფილები, რამდენიც არ უნდა იქნას გაკეთებული მათ სასარგებლოდ. მე მიმაჩნია, რომ სიამაყეს გარკვეული კავშირი აქვს ამ პრობლემასთან. ზოგი ადამიანი იმდენად არის სავსე საკუთარი თავით, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რაც არ უნდა გააკეთონ სხვებმა მისთვის, ისინი ფიქრობენ, რომ არა მხოლოდ ამას იმსახურებენ, არამედ მეტსაც! ისინი იშვიათად გამოხატავენ მადლიერებას.

მადლიერების გამოხატვა მხოლოდ სხვა ადამიანისთვის კი

არ არის კარგი, არამედ ჩვენთვისაც, რადგან იგი ათავისუფლებს სიხარულს.

იფიქრეთ ყოველდღიურად იმის შესახებ, რისთვისაც მადლიერი უნდა იყოთ. მოუყევით უფალს ლოცვაში და ამის მერე აღმოაჩინეთ, რომ თქვენი გული ივსება სიცოცხლით და სინათლით.

ყოველთვის სწორად იმეორებთ მადლობას ყველაფრისათვის

„ნუ დაითვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსებით სულიწმიდით.

ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნებით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულგებულად.

მადლობდეთ ყოველთვის ყველაფრისათვის ღმერთს და მამას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით“. ეფესელთა 5:18-20

რა დიდებული მუხლებია!

როგორ შეგვიძლია მე და თქვენ დავრჩეთ სულიწმიდით აღვსილნი? ველაპარაკოთ საკუთარ თავებს (ფიქრებით) ან სხვებს (სიტყვებით) ფსალმუნებით, სიმღერებით და სულიერი საგალობლებით. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, უბრალოდ, მუხლების ციტირება უნდა მოვიყვანოთ და ვუმღეროთ საგალობლები ერთმანეთს, არამედ ეს ნიშნავს, რომ ჩვენი აზრები და სიტყვები მომართული უნდა გვქონდეს და სავსენი უნდა ვიყოთ ღმერთის სიტყვით, იმით, რომ ვმადლობდეთ ყოველთვის ყველაფრისათვის.

ნაბიჯი 6. თქვენი გონება მომართული იყოს სიტყვისკენ

„მისი სიტყვა არ გაქვთ შეწყნარებული, რადგან არა გნამთ მისი, რომელიც მან მოავლინა“.

იოანე 5:38

ღმერთის სიტყვა არის მისი ფიქრები დაწერილი ფურცელზე ჩვენს სასწავლებლად და განსახილველად. მისი სიტყვა არის ის, თუ რას ფიქრობს იგი ყოველ მდგომარეობასა და საგანზე.

იოანეს 5:38-ში იესო საყვედურობდა ზოგ ურწმუნოს. ამ

ბონება - ბრძოლის ველი

მუხლიდან ვხედავთ, რომ ღმერთის სიტყვა არის მისი აზრების წერილობითი ფორმა და ხალხმა, ვისაც სურს ირწმუნოს და განიცადოს რწმენის ყოველი კეთილი შედეგი, უნდა მისცეს მის სიტყვას საშუალება, რომ იყოს ცოცხალი უწყება მათ გულელებში. ეს მიიღწევა მის სიტყვაზე ფიქრით. ასე შეიძლება მისი ფიქრები ჩვენს ფიქრებად იქცეს – ერთადერთი გზა ქრისტეს გონების ჩამოყალიბებისთვის ჩვენში.

ბიბლია, იოანეს 1:14-ში ამბობს, რომ იესო იყო სიტყვა, რომელმაც შეისხა ხორცი. ეს შეუძლებელი იქნებოდა მისი გონება რომ არ ყოფილიყო გამუდმებით ღმერთის სიტყვით სავსე.

ღმერთის სიტყვაზე ფიქრი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც შეგვიძლია ვისწავლოთ. „ძველი და ახალი აღთქმის სიტყვების ვანის განმარტებითი ლექსიკონი“ ორ ბერძნულ სიტყვას, რომლებიც ითარგმნება როგორც „ფიქრი“, შემდეგნაირად განმარტავს: „ზრუნვა“, „ყურადღებით ყოფნა, წვრთნა“, „სიბეჯითე“, „ვარჯიში სიტყვის ფართოდ გავრცელებული აზრით“, „ჩაფიქრება“, „წარმოდგენა“, „გააზრება“.⁴ სხვა წყარო ასეთ განმარტებებს ამატებს: „ჩურჩული“, ან „ბუტბუტი“.

არ შემიძლია ამ პრინციპის მნიშვნელოვნების ბოლომდე გამოხატვა. მას მე ცხოვრების პრინციპს ვუნოდებ, რადგან ღმერთის სიტყვაზე ფიქრი მოგიტანთ სიცოცხლეს თქვენც და საბოლოო ჯამში, თქვენს გარშემომყოფებსაც.

ბევრ ქრისტიანს ეშინია სიტყვა „მედიტაციის“ (ფიქრი) წარმართული და ოკულტური რელიგიების მედიტაციის პრაქტიკის გამო. მაგრამ მე მოგიწოდებთ გახსოვდეთ, რომ ეშმაკს არასოდეს ჰქონია ორიგინალი იდეა. იგი იღებს იმას, რაც სინათლის სამეფოს ეკუთვნის და აუკუღმართებს მას სიბნელის სამეფოსთვის. ჩვენ საკმაოდ გონივრულები უნდა ვიყოთ, რათა მივხვდეთ, რომ თუ მედიტაცია წარმოქმნის ასეთ ძალას ბოროტისთვის, მაშინ იგი ძალას სიკეთისთვისაც წარმოქმნის. მედიტაციის პრინციპი მოდის ღმერთის სიტყვიდან; მოდით, ვნახოთ რას ამბობს ბიბლია ამასთან დაკავშირებით.

იფიქრეთ და განიცადეთ წარმატება

„ნუ განშორდება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეებს; მასზე იფიქრე დღე და ღამ, რათა დაიცვა აღსასრულებლად ყველაფერი, რაც იქ სწერია, რადგან მაშინ წარგემართება

შენ გზები და მოგემართება ხელი“.

იესო ნავეს ძე 1:8

ამ მუხლში უფალი პირდაპირ გვეუბნება, რომ ვერასოდეს გავაპრაქტიკებთ ღმერთის სიტყვას საქმეში, თუ მასზე ჯერ გონებაში არ ვიფიქრებთ.

ფსალმუნი 1:2,3 ლაპარაკობს ღვთისმოსავ ადამიანზე და ამბობს: „არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ. და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ ქვდება. და ყოველივეს, რასაც იქმს, წარმატებულია“.

იფიქრეთ და განიკურნეთ

„შვილო, ჩემო, ჩემს სიტყვებს მოუსმინე, ჩემს ნათქვამს ყური მიაპყარი, არ მოშორდნენ ისინი შენს თვალებს, შეინახე შენი გულის წიაღში. რადგან ისინი სიცოცხლეა მათი მპოვნელისათვის და კურნებაა მთელი მისი ხორცისათვის“.

იგავები 4:20-22

გაიხსენეთ, რომ სიტყვა „მედიტაციის“ ერთ-ერთი განსაზღვრება არის „მოსმენა,“ განიხილეთ წმიდა წერილის ეს ნაწყევტი, რომელიც იძახის, რომ უფლის სიტყვები კურნების წყაროა ხორცისათვის.

მედიტაცია (გააზრება, ფიქრი) ღმერთის სიტყვაზე ჩვენს გონებაში ფაქტობრივად გავლენას მოახდენს ჩვენს ფიზიკურ სხეულზე. როცა იესოსთან მქონდა ურთიერთობა ჩემი გარეგნობა წლების მანძილზე იცვლებოდა. მე უკეთ გამოვიყურები იმიტომ, რომ არ ვდარდობ, არ ვმწუხრდები და დატანჯულად არ ვგრძნობ თავს. ჩვენს სახეებზე აისახება ტანჯვაც და სიხარულიც. რაც უფრო ბედნიერები ვართ, მით უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურებით. ასე, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლები მემატება, შინაგანად მე ვნახლდები ყოველდღიურად და ეს გარეგნულადაც აისახება.

მოსმენა და მოსაპალი

**„უთხრა მათ: „დაუკვირდით, რასაც ისმენთ: რომელი სანყ-
აოთიცი მიუწყავთ, იმავეთი მოგენყევებთ და მოგემატებთ“.**
მარკ 4:24

ეს ჰგავს თესვის და მკის პრინციპს. რაც უფრო მეტს ვთე-
სავთ, მკის ჟამს მით მეტს მოვიმკით. უფალი ამბობს მარკოზის
4:24-ში, რომ რაც უფრო მეტ დროს გავატარებთ თქვენ და მე
ლმერთის სიტყვის შესწავლასა და ფიქრში, რომელსაც ვისმენთ,
მით უფრო მეტს მივიღებთ მისგან.

კითხვა და მკა

**„არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და არც რამ
დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“.**
მაკოზი 4:22

ერთად ეს ორი მუხლი უთუოდ გვეუბნებიან, რომ სიტყვა-
ში დაფარულია განუზომელი საგანძური, ძლიერი სიცოცხლის
მიმცემი საიდუმლოებები, რომლის გაცხადებაც ღმერთს სურს
ჩვენთვის. ისინი მჟღავნდება მათთვის, ვინც ღმერთის სიტყვაზე
ფიქრობს, იაზრებს, სწავლობს, უკვირდება, გონებაში აპრაქ-
ტიკებს და ლაპარაკობს.

როგორც ღმერთის სიტყვის მასწავლებელმა, ამ პრინციპის
ჭემმარიტება, პირადად ვიცი. თითქოს ბოლო არ გააჩნია იმას,
რისი ჩვენებაც ღმერთს შეუძლია ჩემთვის წმიდა წერილის ერთი
მუხლიდან. ერთხელ რომ ვსწავლობ მას, ერთ რამეს ვღებუ-
ლობ, და შემდეგ ჯერზე რაღაც ახალს ვხედავ, რომელიც მა-
ნამდე შემჩნეულიც კი არ მქონდა.

უფალი უცხადებს თავისი საიდუმლოებებს მათ, ვინც გულ-
მოდგინეა ღმერთის სიტყვის მიმართ. როგორც უკვე ვთქვი, ეს
ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, რისი გაკეთების
სწავლაც შეგვიძლია მე და თქვენ. მთელი დღის განმავლობა-
ში, ყოველდღიური საქმეების კეთებისას, სთხოვეთ სულიწმი-
დას შეგახსენოთ გარკვეული მუხლი, რომ იფიქროთ მასზე.
გაოცდებით იმით, თუ რამდენი ძალა გამოთავისუფლდება

თქვენს ცხოვრებაში ასეთი მოქმედებით. რაც უფრო მეტად დაუფიქრდებით ღვთის სიტყვას, მით უფრო მეტად, იქნებით მზად მიყვებით მის ძალას გაჭირვების ჟამს. გახსოვდეთ: სიტყვის აღსრულების ძალა მოდის მასზე ფიქრის ვარჯიშით.

მიიღეთ და მიესალმეთ სიტყვას

„ამიტომ, მოიშორეთ ყოველგვარი სიბინძურე და ბოროტების ნატამალი და მშვიდად მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების ხსნა შეუძლია“.

იაკობი 1:21

წმიდა წერილიდან ვხედავთ, რომ სიტყვას გააჩნია ძალა, გადაგვარჩინოს ცოდვილი ცხოვრებიდან, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიღებული იქნება, გულითადად შევხვდებით, დაინერგება და ფესვებს გაიდგამს ჩვენს გულში (გონებაში). ეს ჩანერგვა და ფესვების გადგმა სრულდება ღმერთის სიტყვის მოსმენით – რომ ჩვენს გონებაში ყველაზე მაღლა იდგეს.

თუ მე და თქვენ გამუდმებით ვიფიქრებთ ჩვენს პრობლემებზე, უფრო მეტად მათში გავიდგამთ ფესვებს. თუ ვიფიქრებთ იმაზე, თუ რა არის არასწორი ჩვენს ან სხვა ადამიანების ცხოვრებაში, უფრო მეტად დავფიქრებთ პრობლემაში და ვერასოდეს ვნახავთ გამოსავალს. ეს ისე გამოიყურება, თითქოს სიცოცხლით აღსავსე ოკეანე არის გამზადებული ჩვენთვის და იარაღი, რომლითაც შეგვიძლია იქიდან ამოღება, არის ღმერთის სიტყვის გულითადი შესწავლა და მასზე ფიქრი.

ჩვენს მსახურებას ეწოდება „ყოველდღიური ცხოვრებით დატკბობა“, და შემოიძლია გამოცდილებით ვთქვა, რომ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია სრულად ვისიამოვნოთ ცხოვრებით ღმერთის სიტყვის მიმართ სიყვარულის და მორჩილების მეშვეობით.

აირჩიეთ სიცოცხლე!

„რადგან ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა“.

რომაელთა 8:6

გონება - ბრძოლის ველი

თქვენი ყურადღების ხელახლად მიპყრობა ფილიპელთა 4:8-სადმი კარგი საშუალებაა ნიგნის ამ განყოფილების დასრულებისთვის: „აბა ასე, ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც ნმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ“.

მდგომარეობა, რომელშიც თქვენი გონება უნდა იყოს, აღწერილია ამ მუხლში. თქვენ გაქვთ ქრისტეს გონება, დაიწყეთ მისი გამოყენება. თუ რაიმეზე იგი არ იფიქრებდა, თქვენც არ უნდა იფიქროთ მასზე.

სწორედ თქვენი ფიქრების ამ გამუდმებული „დარაჯობით“ იწყებთ ყოველი ფიქრის დატყვევებას ქრისტეს დასამორჩილებლად (იხ. 2 კორ. 10:5).

სულიწმიდა სწრაფად შეგახსენებთ, თუ თქვენი გონება არასწორი მიმართულებით დაიწყებს გადახვევას, შემდეგ გადანყვეტილება თქვენზეა. ხორციელ გონებას გინდათ მიყვეთ თუ სულის გონებას? ერთს მიყავს სიკვდილისკენ, მეორეს სიცოცხლისკენ. არჩევანი თქვენზეა.

აირჩიეთ სიცოცხლე!

ნანილი III:
უღაბნოს აზროვნებები

შესავალი

ისრაელის ერის ხალხი დადიოდა უდაბნოში ორმოცი წლის განმავლობაში, რაც ფაქტობრივად თერთმეტი დღის სავალი გზა იყო. რატომ? მათმა მტრებმა, გარემოებებმა, განსაცდელებმა გზაში, თუ რაიმე სრულიად სხვამ შეუშალა მათ ხელი დანიშნულების ადგილამდე დროულად მისვლაში?

„რომელიც თერთმეტი დღის სავალ გზაზეა ხორებიდან, სეყირის მთაზე გავლით, ვიდრე კადეშ-ბარნეაყამდე“.

მეორე რჯული 1:2

როცა ვუკვირდებოდი ამ სიტუაციას, ღმერთმა მომცა ძლიერი გამოცხადება, რომელიც მე პირადად ისევე დამეხმარა, როგორც ათასობით სხვას. უფალმა მითხრა: „ისრაელის შვილებმა გაატარეს ორმოცი წელიწადი უდაბნოში თერთმეტ დღიანი სავალი გზის გასავლელად, იმიტომ, რომ მათ „უდაბნოს აზროვნება ჰქონდათ“.

თქვენ ამ დიდი ხნით ღარჩით

„უფალმა, ღმერთმა ჩვენმა, გვითხრა ხორებში: „გეყოთ თქვენ ამ მთაზე ცხოვრება“.

მეორე რჯული 1:6

ჩვენ სინამდვილეში არ უნდა ვუყურებდეთ ისრაელიანლებს გაოცებით, რადგან მრავალი ჩვენთაგანი იგივეს ვაკეთებთ, რასაც ისინი აკეთებდნენ. ჩვენ ერთი და იგივე მთების ირგვლივ ვტრიალებთ, ნაცვლად პროგრესისა. შედეგად, გვჭირდება წლები იმაზე გასამარჯვებლად, რისი მოგვარებაც სწრაფადვე შეიძლებოდა და უნდა მოგვეგვარებინა კიდევ.

მე ვფიქრობ, უფალი იგივე რამეს გეუბნებათ თქვენ და მე დღეს, რაც მან ისრაელის ძეთ უთხრა: „გეყოთ თქვენ ამ მთაზე ცხოვრება; გაბრუნდით და გაემგზავრეთ“.

მომართეთ თქვენი გონება და აგყოფით იგი მომართული

„ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე“.

კოლასელთა 3:2

ბონება - ბრძოლის ველი

ღმერთმა მაჩვენა ათი „უდაბნოს აზროვნება“, რომლებიც ისრაელიანელებს რომ ჰქონდათ და რის გამოც უდაბნოში რჩებოდნენ.

ჩვენ შეიძლება გვეკოდეს სწორი ან არასწორი აზროვნება. სწორს სარგებელი მოაქვს ჩვენთვის, ხოლო არასწორი ზიანს გვაყენებს და აფერხებს ჩვენს წინსვლას. კოლასელთა 3:2 გვასწავლის, რომ მოვმართოთ ჩვენი გონება და მომართული ვამყოფოთ. ჩვენ გვჭირდება, რომ გონება სწორი მიმართულებისკენ იყოს მომართული. არასწორი აზროვნება უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჩვენს გარემოებებზე, არამედ ჩვენს შინაგან ცხოვრებაზეც.

ზოგ ადამიანებს გააჩნიათ უდაბნოს მაგვარი ცხოვრება, რადგან თავად არიან გაუდაბურებულები.

იყო დრო, როცა ჩემი გარემოებები იმდენად ცუდი არ იყო, მაგრამ არაფრით არ შემეძლო ცხოვრებაში სიამოვნების მიღება, რადგან შიგნით მქონდა „უდაბნო“. მე და დეივს გვექონდა კარგი სახლი, გვყავდა ოთხი საყვარელი შვილი, კარგი სამსახურები და საკმარისი ფული, რომ კომფორტულად გვეცხოვრა. მე არ შემეძლო ჩვენი კურთხევებით სიამოვნება მიმელო, რადგან რამდენიმე სახის უდაბნოს აზროვნება მქონდა. ჩემი ცხოვრება უდაბნოდ მეჩვენებოდა, რადგან ყოველივეს ასეთი თვალთ ვუყურებდი.

ზოგი ადამიანი ყველაფერს ნეგატიურად უყურებს იმიტომ, რომ უსიამოვნო გარემოებებში უწევდათ გავლა მთელი ცხოვრების მანძილზე და არ შეუძლიათ წარმოდგენა, რომ რაიმე შეიძლება უკეთესისკენ შეიცვალოს. ასევე არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ნეგატიურად და ცუდად უყურებენ, რადგან შინაგანადაც ასეთები არიან. რაც არ უნდა იყოს ამის მიზეზი, ნეგატიური შეხედულება ადამიანს უსუსურად აქცევს და ნაკლებად სავარაუდოს ხდის რაიმე პროგრესის მისაღწევად ალტერნატიული მინისაკენ მიმავალ გზაზე.

ღმერთმა მოუწოდა ისრაელის ძეთ ეგვიპტის მონობიდან, რომ წასულიყვნენ მინაზე, რომელიც მან აღუთქვა მათ მუდმივ სამკვიდრებლად – მინა, სადაც რძე და თაფლი მოედინებოდა და ყოველი მარგებელი რამ, რაც მათ შეეძლოთ წარმოედგინათ. მინა, სადაც არ იქნებოდა არაფრის უკმარისობა, რაც დასჭირდებოდათ, ეს იქნებოდა სიუხვის მინა მათი არსებობის ყოველ სფეროში.

თაობის უმრავლესობა, რომელსაც ღმერთმა მოუწოდა ეგვიპტიდან, ვერ შევიდა აღთქმულ მიწაზე; ისინი გარდაიცვალნენ უდაბნოში. ჩემთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო რამაა, რაც შეიძლება მოუვიდეს ღმერთის შვილს – ამდენი რამ იყოს გამზადებული და ვერასოდეს შეძლოს ამ ყველაფრით ტკბობა.

მეც ერთ-ერთი ასეთი ადამიანი ვიყავი ჩემი ქრისტიანული ცხოვრების მრავალი წლის მანძილზე. ზეცისკენ მიმავალ გზას ვადექი, მაგრამ ვერ ვღებულობდი სიამოვნებას მოგზაურობიდან. უდაბნოში მყოფი საცოდავი ადამიანი ვიყავი. მაგრამ, ღმერთის დახმარებით, თავისი მადლით სინათლემ გამოანათა ჩემი ცხოვრების სიბნელეში და მან გამომიყვანა.

ვლოცულობ, რომ წიგნის ეს ნაწილი იყოს სინათლე თქვენთვის და მოგამზადოთ უდაბნოდან ღმერთის საოცარი სამეფოს დიდებულ სინათლეზე გამოსასვლელად.

თავი

16

**„ჩემი მომავალი განისაზღვრება ჩემი
წარსულით და ჩემი აწმყოთი“**

უდაბნოს აზროვნება №1

ოსრაელიანელებს არ ჰქონდათ პოზიტიური ხედვები თავიანთ ცხოვრებასთან დაკავშირებით – არ ჰქონდათ ოცნებები. მათ იცოდნენ, საიდან მოდიოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ სად მიდიოდნენ. ყველაფერი დაფუძნებული იყო იმაზე, თუ რა ჰქონდათ ნანახი და რას ხედავდნენ. მათ არ იცოდნენ როგორ დაენახათ „რწმენის თვალებით“.

„ხილვათა გარეშე თავს აიშვებს ხალხი, ხოლო რჯულის დამცველი ნეტარია“.

იგავები 29:18

ცხეპული ხსნის მოსატანად

„უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად. უფლის მონყალების წლის გამოსაცხადებლად“.

ლუკა 4:18,19

ჩემი წარსული შეიცავს შეურაცხყოფებს; მე გავიზარდე ფუნქციამორღვეულ ოჯახში. ჩემი ბავშვობა აღვსილი იყო შიშით და ნამებით. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბავშვის პიროვნება ყალიბდება მისი ცხოვრების პირველი ხუთი წლის განმავლობაში. ჩემი პიროვნება არეულ-დარეული იყო! მე ვცხოვრობდი თვალთმაქცობაში დაცვის კედლების უკან, რომლებიც ავიშენე, რომ ხალხს ჩემთვის ტკივილი არ მოეყენებინათ. სხვებს კარს ვუკეტავდი, მაგრამ მეც ჩაკეტილი ვიყავი შეგნით. მე ვიყავი მმართველი, იმდენად ვიყავი შიშით აღვსილი, რომ ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ცხოვრებას გავმკლავებოდი იყო, რომ მეკონტროლებინა ყველაფერი და ამის შემდეგ აღარავინ მომაცენებდა ტკივილს.

როგორც მონიფული ახალგაზრდა, რომელიც ცდილობს იცხოვროს ქრისტესთვის და მიყვებოდეს ქრისტიანულ ცხოვრებას, ვიცოდი, საიდან მოვდიოდი, მაგრამ არ ვიცოდი სად მივ-

ბონება - ბრძოლის ველი

დიოდი. ვგრძნობი, რომ ჩემი მომავალი ყოველთვის იქნებოდა დამახინჯებული ჩემი წარსულით. ვფიქრობდი: „როგორ შეიძლება ვინმე, ჩემი წარსულის მსგავსის მქონე ოდესმე იყოს კარგად? შეუძლებელია!“ თუმცა, იესომ თქვა, რომ იგი მოვიდა იმისათვის, რომ კარგად გაეხადა ავადმყოფები, გულგატეხილები, დაჭრილები, ნაცემები და უბედურებით დანგრეულები.

იესო მოვიდა ციხის კარის გასაღებად და ტყვეების გასათავისუფლებლად. ვერ მვალნევ პროგრესს, სანამ არ ვირწმუნებ, რომ შეიძლება გავთავისუფლებული ვიყო. მე დადებითი შეხედულება უნდა მქონოდა ჩემს ცხოვრებაზე; უნდა მერწმუნა, რომ ჩემი მომავალი არ განისაზღვრებოდა ჩემი წარსულით ან თუნდაც აწმყოთი.

თქვენ შეიძლება ცუდი წარსული გქონდათ, ან შეიძლება აწმყო გარემოებაც ნეგატიური და დეპრესიული გაქვთ. თქვენ შეიძლება ისეთ სიტუაციებში გინევდეთ გავლა, რომლებიც იმდენად ცუდია, რომ ჩანს თითქოს რეალური მიზეზი არ გაქვთ იმედისათვის. მაგრამ მე გაბედულად გეუბნებით, თქვენი მომავალი არ განისაზღვრება თქვენი წარსულით ან აწმყოთი!

შეიძინეთ ახალი აზროვნება. ირწმუნეთ, რომ ღმერთთან ერთად ყველაფერია შესაძლებელი (იხ. ლუკა 18:27); ადამიანებთან ერთად ზოგი რამ შეიძლება შესაძლებელი იყოს, მაგრამ ჩვენ ვემსახურებით ღმერთს, რომელმაც არაფრისგან შექმნა ყველაფერი, რასაც ვხედავთ (იხ. ებრ. 11:3). გადაეცით მას თქვენი არარაობა და დააკვირდით, როგორ შეუდგება საქმეს. ერთადერთი, რაც მას სჭირდება არის თქვენი მისდამი რწმენა. მას სურს, რომ ირწმუნოთ, დანარჩენს თავად გააკეთებს.

თველები დასანახად, ყურივი სსამენად

„და გამოვა ყლორტი იესეს კუნძიდან და ნორჩი ნერგი მისი ფესვებიდან ნაყოფს გამოიღებს.

და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა.

უფლის მოშიშებაშია მისი განცხრომა და თავისი თვალთახედვით არ გაასამართლებს, და თავისი ყურთასმენით არ ამხილებს“.

ესაია 11:1-3

ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ბუნებრივი თვალებით ზუსტად განვსჯიდეთ ყველაფერს. უნდა გვქონდეს სულიერი „თვალები დასანახად“ და „ყურები სასმენად“. უნდა მოვისმინოთ რას ამბობს სული, და არა ქვეყნიერება. დაე, ღმერთი გელაპარაკოთ თქვენი მომავლის შესახებ და არა ყველა.

ისრაელიანელები გამუდმებით უყურებდნენ და ლაპარაკობდნენ საქმის ვითარებებზე. ღმერთმა გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან მოსეს ხელით, მისი მეშვეობით ესაუბრებოდა მათ ალთქმული მინის შესახებ. მას სურდა, რომ მათი თვალები მიმართული ყოფილიყო იმისკენ, სადაც მიდიოდნენ – და შორს იმისგან, სადაც იყვნენ. მოდით, განვიხილოთ რამდენიმე მუხლი, რომლებიც ნათლად აღწერს მათ არასწორ დამოკიდებულებას.

რაში მდგომარეობს პრობლემა?

„და დრტვინავდა ყოველი ისრაელის ძე მოსეზე და აარონზე, და უთხრა მათ მთელმა თემმა: „ნეტავ დავხოცილიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, ან ნეტავი ამ უდაბნოში დავხოცილიყავით!“

რად შეჰყავს ჩვენი თავი უფალს ამ ქვეყანაში, მახვილით რომ დავეცეთ? ჩვენი ცოლები და ჩვენი ბავშვები ნადავლად იქცევიან. განა უკეთესი არ იქნება ჩვენთვის ეგვიპტეში დაბრუნება?“

რიცხვთა 14:2,3

მოგინოდებთ ყურადღებით გადახედოთ ამ მუხლებს. ნახეთ, რა ნეგატიური იყო ეს ხალხი – ნუნუნებდნენ, მზად იყვნენ ადვილად დანებებოდნენ, ერჩივნათ დაბრუნებოდნენ მონობას, ვიდრე თავი გაეტანათ ბოლომდე და უდაბნოდან ალთქმულ მინაზე შესულიყვნენ.

სინადვილეში, მათ არ ჰქონდათ პრობლემა, ისინი თავად იყვნენ პრობლემა!

ცუდი ფიქრები წარმოშობენ ცუდ დამოკიდებულებას

„და არ ჰქონდა თემს წყალი, და შეიკრიბნენ მოსესა და აარონის წინააღმდეგ.

და დრტვინავდა ხალხი მოსეს მიმართ, და ამბობდა ასე: „ნე-

**ტავ ჩვენც მაშინ დავხოცილიყავით, როცა ჩვენი ძმები იხო-
ცებოდნენ უფლის წინაშე.
რად მოიყვანეთ უფლის კრებული ამ უდაბნოში, რომ დავიხ-
ოცოთ აქ ჩვენ და ჩვენი საქონელი?”**

რიცხვთა 20:2-4

მათი სიტყვებიდან ადვილია იმის დანახვა, რომ ისრაე-
ლიანელები საერთოდ არ ენდობოდნენ ღმერთს. მათ ჰქონ-
დათ ნეგატიური, მცდარი დამოკიდებულება. მათ იქამდე
გადანყვიტეს, რომ დამარცხდებოდნენ, სანამ დაიწყებდნენ,
უბრალოდ იმიტომ, რომ ყველა მდგომარეობა სრულყოფილი არ
იყო. მათ გამოავლინეს დამოკიდებულება, რომელიც არასწორი
აზროვნებიდან გამომდინარეობდა.

ცუდი დამოკიდებულება ცუდი ფიქრების შედეგია.

მაღლიერი დამოკიდებულების ნაკლებობა

**„და დაიძრნენ ჰორის მთიდან მენამული ზღვისაკენ მიმა-
ვალი გზით, რათა გვერდი აევლოთ ედომის ქვეყნისთვის. და
ხალხმა გამოავლინა სულმოკლეობა გზაზე.**

ლაპარაკობდა ხალხი ღმერთისა და მოსეს წინააღმდეგ:

**„რად გამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან, რომ დავიხოცოთ უდ-
აბნოში? რადგან არაა პური და არც წყალი, და ჩვენს სულს
შესძაგდა უვარგისი საქმელი“.**

რიცხვთა 21:4,5

სხვა ცუდ დამოკიდებულებებთან ერთად, რომლებიც ჩვენ
ვიხილეთ წინა მუხლებში, ამ ნაწყვეტში ვხედავთ ისრაელიანე-
ლებში მაღლიერების უდიდეს ნაკლებობას. ისრაელის ძენი
უბრალოდ ვერ წყვეტდნენ ფიქრს იმ ადგილების შესახებ, საი-
დანაც გამოვიდნენ და სადაც დიდ ხანს იმყოფებოდნენ, რათა
მისულიყვნენ იქ, სადაც მიდიოდნენ.

მათ დაეხმარებოდათ, რომ გაეხსენებინათ მათი წინაპარი
აბრაამი. მას მოუწია რამდენიმე იმედგამაცრუებელი მდგო-
მარეობის გადატანა თავის ცხოვრებაში, მაგრამ უფლებას არ
აძლევდა მათ, რომ ნეგატიური გავლენა მოეხდინათ მის მომა-
ვალზე.

ცხოვრება კამათის გარეშე

„და ატყდა დავა აბრაამისა და ლოტის მწყემსთა შორის. იმ დროს ქანაანელები და ფერიზელები ცხოვროდნენ იმ ქვეყანაში.

და უთხრა აბრაამმა ლოტს: „ნუ იქნება ჩემსა და შენს შორის, ჩემს და შენს მწყემსებს შორის დავა, რადგან ჩვენ ძმები ვართ.

განა მთელი ქვეყანა შენს წინ არ არის? გავიყაროთ და, თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ; თუ შენ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ.

და აღაპყრო ლოტმა თვალები და იხილა იორდანეს მთელი ხეობა, რომელიც მთლიანად სარწყავი იყო ცოყარის მისადგომებამდე; ვიდრე უფალი მოსპობდა სოდომსა და გომორას, იგი იყო როგორც სამოთხე უფლისა, როგორც ქვეყანა ეგვიპტისა.

და ამოირჩია ლოტმა თავისთვის იორდანეს მთელი ხეობა, და წავიდა ლოტი აღმოსავლეთისკენ, და განცალკევდა კაცი თავისი ძმისაგან“. დაბადება 13:7-11

აბრაამმა იცოდა კამათში ცხოვრების საფრთხის შესახებ; ამიტომ, მან უთხრა ლოტს, რომ ისინი უნდა განცალკევებულიყვნენ. იმისათვის, რომ სიყვარულში ევლო და დასარწმუნებლად, რომ მათ შორის არ იქნებოდა კამათი მომავალში, აბრაამმა მისცა თავის ძმისშვილს უფლება პირველს აერჩია ის ხეობა, რომელიც უნდოდა. ლოტმა აირჩია საუკეთესო – იორდანის ხეობა – და ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ლოტს არაფერი ჰქონდა, სანამ აბრაამი აკურთხებდა მას. იფიქრეთ იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც შეიძლება აბრაამს ჰქონოდა, მაგრამ უარი თქვა მასზე! მან იცოდა, რომ თუ სათანადოდ მოიქცეოდა, ღმერთი იზრუნებდა მასზე.

აღაპყარი თვალები და დაინახე

„და უთხრა უფალმა აბრაამს ლოტთან მისი განცალკევების შემდეგ: „აღაპყრე თვალები, და გაიხედე იმ ადგილიდან, სადაც ცხოვრობ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. რადგან მთელ ქვეყანას, რომელსაც ხედავ, შენ მოგცემ და შენს თესლს უკუნისამდე“.

დაბადება 13:14,15

ბონება - ბრძოლის ველი

ეს ნაწყვეტი ნათლად გვიჩვენებს, რომ თუმცა აბრაამი ნაკლებად სასურველ გარემოში აღმოჩნდა თავის ძმიშვილთან გაყოფის შემდეგ, ღმერთს სურდა, რომ მას „აღეპურო თვალები“ ადგილიდან, სადაც იდგა იმ ადგილისკენ, რომლის მიცემაც ღმერთს სურდა მისთვის.

აბრაამს ჰქონდა კარგი დამოკიდებულება თავისი მდგომარეობის მიმართ, და როგორც შედეგი, ეშმაკი ვერ შეაჩერებდა ღმერთის კურთხევებს მისთვის. ღმერთმა მისცა მას უფრო მეტი სამფლობელო, ვიდრე განცალკევებამდე ჰქონდა და აკურთხებდა მას ყოველდღე ძლიერ.

მოგინოდებთ, რომ პოზიტიურად შეხედოთ მომავლის შესაძლებლობებს და დაინცოთ შემდეგის შესრულება: „არყოფილს ყოფად მოუნოდებს“ (რომ. 4:17). იფიქრეთ და ილაპარაკეთ თქვენი მომავლის შესახებ პოზიტიური კუთხით, იმის მიხედვით, რაც ღმერთმა ჩადო თქვენს გულში და არა იმის მიხედვით, რაც გინახავთ წარსულში ან შეიძლება ახლაც ხედავთ აწმყოში.

თავი

17

**„ვინმემ გააკეთეთ ეს ჩემთვის;
არ მსურს პასუხისმგებლობის აღება“**

უღახნოს აზროვნება №2

სასუხისმგებლობა ხშირად განიმარტება როგორც ჩვენი გამოხმაურება ღმერთის შესაძლებლობაზე. იყო პასუხისმგებელი, ნიშნავს გამოეხმაურო იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ღმერთმა დადო ჩვენს წინაშე.

ღმერთმა აბრაამის მამას მისცა პასუხისმგებლობა, შანსი გამოეხმაურებოდა მის (ღმერთის) შესაძლებლობებს. მან დადო მის წინაშე შესაძლებლობა წასულიყო ქანაანში. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მთელი გზა უფალთან გაევიწყო, მან აირჩია გაჩერება და ხარანში დამკვიდრება.

„და წაიყვანა თერახმა აბრაამი – თავისი ძე, და ლოტი – ხორანის ძე, თავისი შვილიშვილი და სარაი – თავისი რძალი, აბრაამის, თავისი ძის ცოლი, და მათთან ერთად გავიდა ქალდეველთა ურიდან, რომ წასულიყო ქანაანის ქვეყანაში, და მივიდნენ ხარანამდე, და იქ დამკვიდრდნენ“.

დაბადება 11:31

სრულიად ადვილია აღვფრთოვანდეთ, როცა ღმერთი გველაპარაკება და გვაძლევს შესაძლებლობას რაღაც გავაკეთოთ. მაგრამ, თერახის მსგავსად, ხშირად ჩვენ ვერ ვამთავრებთ რაც დავინწყეთ, რადგან შეეუდგებით რა საქმეს, ვხვდებით, რომ ამისათვის უფრო მეტია საჭირო, ვიდრე ურუანტელი და აღტაცება.

ახალი სარისკო წამოწყებების უმრავლესობა აღმაფრთოვანებელია უბრალოდ იმიტომ, რომ ახალია. აღფრთოვანება პიროვნებას გარკვეულ მანძილს გაატარებს, მაგრამ ვერ გადააღახვინებს ფინიშის ხაზს.

ბევრი მორწმუნე ასრულებს იმას, რასაც ბიბლია ლაპარაკობს თერახის შესახებ. ისინი იწყებენ სვლას კონკრეტულ ადგილზე მისასვლელად და გზაზე სულ სხვაგან ჩერდებიან. ისინი იღლებიან ან იქანცებიან; მათ სურთ გეზის დასრულება, მაგრამ სინამდვილეში არ უნდათ ყველა იმ პასუხისმგებლობის აღება, რაც მას მოყვება. თუ ვინმე სხვა გააკეთებდა ამას მათთვის, ისინი გაიხარებდნენ სარგებლის მომკით, მაგრამ ასე არ ხდება.

პირადი პასუხისმგებლობა დელიბირებული ვერ იძნება

„და მეორე დღეს უთხრა მოსემ ხალხს: „დიდი ცოდვა ჩაიდინეთ და ახლა ავალ უფალთან, ეგების გამოვისყიდო თქვენი ცოდვა“. და აბრუნდა მოსე უფალთან, და თქვა: „ცოდვა დიდი ჩაიდინა ამ ხალხმა: გაიკეთეს ოქროს ღმერთი. და ახლა, თუ შეუნდობ მათ ცოდვას, შეუნდე, და თუ არა, ამომშალე მეც შენი წიგნიდან, შენ რომ დანერე“.

გამოსვლა 32:30-32

კითხვისა და სწავლისას შევამჩნიე, რომ ისრაელიანელებს არაფერზე არ სურდათ პასუხისმგებლობის აღება. მოსე ასრულებდა მათ ლოცვას; იგი ეძებდა ღმერთს მათ მაგივრად, მათ მაგივრადაც კი ინანიებდა, როცა პრობლემაში აღმოჩნდებოდნენ. (იხ. გამ. 32:1-14.)

ბავშვს საერთოდ არ გააჩნია პასუხისმგებლობა. მშობლის ერთ-ერთი მთავარი როლი არის, ასწავლოს შვილებს პასუხისმგებლობის აღება. ღმერთს სურს იგივე ასწავლოს თავის ხალხს.

უფალმა მომცა შესაძლებლობა ვყოფილიყავი სრული დროით მსახურებაში – მესწავლებინა მისი სიტყვა საერთაშორისო რადიოთი და ტელევიზიით – მექადაგა სახარება მთელს შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში. მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ მოწოდებას გააჩნია მეორე მხარეც – პასუხისმგებლობა, რომლის შესახებაც ბევრმა არ იცის. მრავალი ადამიანი გაიძახის, რომ სურთ იყვნენ მსახურებაში, რადგან ფიქრობენ, რომ იგი ხანგრძლივი სულიერი მოვლენაა.

ხშირად ჩვენს მსახურებაში ხალხი სამსახურის მისაღებად მოდის და ფიქრობენ, რომ უდიდესი რამ, რაც კი შეიძლება მოხდეს მათთვის არის, რომ გახდნენ ქრისტიანული მსახურების ნაწილი. მოგვიანებით, აღმოაჩენენ, რომ მათ იქ იგივენაირი მუშაობა უწევთ, როგორც ნებისმიერ სხვა ადგილზე; უნდა ადგნენ და დროულად მივიდნენ იქ, ძალაუფლების ქვეშ იყოფებოდნენ, მიყვებოდნენ ყოველდღიურ რუტინას და ა.შ. როცა ხალხი ამბობს, რომ მათ სურთ მოვიდნენ და იმუშაონ ჩვენთან, ჩვენ ვეუბნებით, რომ არ დავნავარდობთ მთელი დღის განმავლობაში ღრუბლებში „ალელუია“-ს გალობით – ჩვენ მძიმედ ვმუშაობთ; დავდივართ პატიოსნებაში და რასაც ვაკეთებთ, ვაკეთებთ საუკეთესოდ.

რა თქმა უნდა, პრივილეგიაა მსახურებაში მუშაობა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ გავაგებინოთ ახალ კანდიდატებს, რომ როცა ჟრუანტელი და აღფრთოვანება დაცხრება, ისინი აღმოაჩენენ, რომ ჩვენ მათგან პასუხისმგებლობის მაღალ დონეს ვითხოვთ.

ნალი ჭინჭველასთან!

„ნალი ჭინჭველასთან, ზარმაცო, ნახე მისი გზები და დაბრძენდი. არა ჰყავს მას არც უფროსი, არც ზედამხედველი და არც ბატონი. იმზადებს ზაფხულში თავის პურს, აგროვებს მკის დროს თავის საზრდოს. როდემდე იწვები, ზარმაცო, როდის ადგები შენი ძილიდან? ცოტა ძილი, ცოტა თვლემა, ცოტა გულხელდაკრეფა დასანოლად, და მოვა, როგორც მგზავრი, შენი სილატაკე და გაჭირვება, როგორც ჯარისკაცი“.
იგავები 6:6-11

ზარმაცის ეს აზროვნება, რომელიც ისრაელიანელებს ჰქონდათ იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც დატოვა ისინი უდაბნოში ორმოცი წლის განმავლობაში თერთმეტი დღის სავალი გზის გასავლელად.

მიყვარს იგავების ამ ნაწყვეტის კითხვა, სადაც ჩვენი ყურადღება ჭინჭველისკენ არის მიპყრობილი, რომელიც ყოველგვარი ზედამხედველის ან უფროსის გარეშე იმარაგებს საზრდოს საკუთარი თავისთვის და ოჯახისთვის.

ხალხი, რომელთაც გამუდმებით სჭირდებათ ვინმე, რომ ხელს კრავდეთ მათ, სინამდვილეში ვერასოდეს გააკეთებენ რაიმე დიდებულს. ისინიც, ვინც სწორს მხოლოდ მაშინ აკეთებენ, როცა ვინმე უყურებს, ასევე ვერ ნაწვენ ძალიან შორს. ჩვენ მოტივირებულები უნდა ვიყოთ შიგნიდან და არა გარედან. ჩვენს ცხოვრებას ღმერთის წინაშე უნდა ვატარებდეთ, ვიცოდეთ რა, რომ იგი ყოველივეს ხედავს და ჩვენი საზღაური მისგან მოვა, თუ შეუპოვრები ვიქნებით იმის კეთებაში, რაც მან გვთხოვა.

მონოღებული ბევერია, რჩეული კი - ცოტა

„წვეული ბევერია, რჩეული კი - ცოტა“.

მათე 20:16

ბონება - ბრძოლის ველი

ერთხელ მოვუსმინე ერთ ბიბლიის მასწავლებელს, რომელიც ამ მუხლს ასე განიხილავდა: მრავალი არის მონოდებული ან მიეცათ შესაძლებლობა რამის გასაკეთებლად უფლისთვის, მაგრამ ძალიან ცოტას სურს პასუხისმგებლობის აღება, რომ გამოეხმაუროს ამ მონოდებას.

როგორც წინა თავში ვახსენე, ძალიან ბევრ ადამიანს აქვთ სურვილები და არა საქმეები. ხალხს „უდაბნოს აზროვნებით“ სურთ ჰქონდეთ ყველაფერი და არაფერს აკეთებენ.

აღეძი და ნადი!

„მოსეს, უფლის მსახურის, სიკვდილის შემდეგ უთხრა უფალმა იესო ნავეს ძეს, მოსეს მსახურს: „მოსე, ჩემი მსახური, მოკვდა. ახლა აღეძი და გადალახე იორდანე მთელ ხალხთან ერთად იმ ქვეყნისკენ, რომელსაც მე ვაძლევ მათ, ისრაელის ძეთ. ყოველი ადგილი, რომელზეც თქვენი ფეხის ტერფი დაიდგმება, თქვენთვის მომიცია, როგორც ვუთხარი მოსეს“.

იესო ნავეს ძე 1:1-3

როცა ღმერთმა უთხრა იესო ნავეს ძეს, რომ მოსე მოკვდა და იგი უნდა გაძლოლოდა ხალხს მდინარე იორდანის გაღმა ალტემულ მინაზე, ეს იესოსთვის უამრავ ახალ პასუხისმგებლობას გულისხმობდა.

იგივე მართებულია ჩვენთვისაც, როცა წინ მივდივართ ჩვენი სულიერი მემკვიდრეობის დასამკვიდრებლად. მე და თქვენ არასოდეს გვექნება პრივილეგია გამოყენებული ვიყოთ ღმერთის მიერ, თუ არ გვენდომება პასუხისმგებლობის სერიოზულად აღება.

აჰ, ახლანა ხელსაყრელი ჟამი!

„ქარის მომზირალი ვერ დათესავს და ღრუბლების დამკვირვებელი ვერ მოიმკის“.

ეკლესიასტე 11:4

1993 წელს, როცა ღმერთმა გვანახა მე და დეივს, რომ ტელევიზიაში გადავსულიყავით, მან თქვა: „მე თქვენ გაძლევთ შესაძლებლობას წახვიდეთ ტელევიზიაში; მაგრამ თუ არ აიღებთ პასუხისმგებლობას ახლა, იგი აღარასოდეს ჩაგივლით თქვენ“. შესაძლოა, ღმერთს რომ არ გაეგებინებინა ჩვენთვის, რომ მყისვე უნდა გამოვხმაურებოდით, გადავდებდით საქმეს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვქონდა ისეთი მსახურება, სადაც თავი შეგვეძლო კომფორტულად გვეგრძნო. თუ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში დავაყოვნებთ, ღმერთს მოუწევს ვინმე სხვა ადამიანის მოძებნა, ვინც მის მონოდებას მყისვე გამოვხმაურება.

ცხრა წლის განმავლობაში, ჩვენ გავდიოდით მსახურების „შობის“ პროცესს. ახლა, უეცრად ღმერთი გვაძლევდა შესაძლებლობას, მივწვდომოდით უფრო მეტ ხალხს, რისი გაკეთებაც მთელი გულით გვინდოდა. თუმცა, ამისათვის უნდა დაგვეტოვებინა კომფორტის ადგილი და აგველო ახალი პასუხისმგებლობა.

როცა უფალი სთხოვს თავის ხალხს გააკეთონ რაღაც, არის „შესაბამისი დროის“ დალოდების ცდუნება (საქმეები 24:25). ყოველთვის არის თავშეკავების ტენდენცია იქამდე, სანამ ფასის გადახდა აღარ გახდება საჭირო ან არ იქნება ძნელი.

მე მოგინოდებთ თქვენ, რომ იყოთ პიროვნება, რომელსაც არ ეშინია პასუხისმგებლობის. წინააღმდეგობასთან შეხვედრით გაზრდით საკუთარ ძალას. თუ მხოლოდ იმას გააკეთებთ, რაც ადვილია, ყოველთვის სუსტი დარჩებით.

ღმერთი მოელის თქვენგან და ჩემგან, რომ ვიყოთ პასუხისმგებლები და ვიზრუნოთ ყოველივეზე, რასაც იგი გვაძლევს ჩვენ – ისეთი რამ გავაკეთოთ, რაც ნაყოფს გამოიღებს. თუ ჩვენ არ ვიყენებთ ნიჭებს და უნარებს, რომლებიც მან მოგვცა, მაშინ არ ვართ პასუხისმგებელნი იმაზე, რაც მან მოგვანდო.

იყავი მზალ!

„იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე“.

მათე 25:13

გონება - ბრძოლის ველი

მათეს 25 არის ბიბლიის თავი, რომელიც გვასწავლის თუ რას უნდა ვაკეთებდეთ, სანამ ბატონის დაბრუნებას ველოდებით.

პირველი თორმეტი მუხლი გვიყვება თორმეტი ქალწულის შესახებ, რომელთაგანაც ხუთი უგუნური იყო და დანარჩენი ხუთი – გონიერი. უგუნურებს რაიმე დამატებითი კეთება არ სურდათ, რათა დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ მზად იყვნენ მის შესახვედრად, როცა ის დაბრუნდებოდა. მათ გააკეთეს მინიმუმი, რითაც თავს გაიტანდნენ; არ სურდათ დამატებითი მილის გავლა, ამიტომ მხოლოდ იმ რაოდენობის ზეთი აიღეს, რომელიც მათ ლამპრებს სჭირდებოდა. ამასობაში, გონიერმა ქალწულებმა, უფრო მეტი გააკეთეს, ვიდრე უნდა გაეკეთებინათ. მათ წაიღეს დამატებითი ზეთი, რათა დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ ხანგრძლივი ლოდინისთვის მომზადებულები იყვნენ.

როცა ნეფე მოვიდა, უგუნურებმა აღმოაჩინეს, რომ მათი ლამპრები ქრებოდა და, რა თქმა უნდა, მათ სურდათ, რომ გონიერებს თავიანთი ზეთი მიეცათ. ასე ხშირად ხდება. ხალხი, რომლებიც ზარმაცები არიან და საქმის გადადება უყვართ, ყოველთვის სურთ, რომ მათ, ვინც ბევრს შრომობს და პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე, მათ მაგივრადაც გააკეთონ საქმე.

გამოიყენეთ ის, რაც მოგცეს

„ბოროტო და ზარმაცო მონავ!“.

მათე 25:26

შემდეგ მათეს 25 თავში მოცემულია იგავი, რომელიც იესომ მოგვითხრო სამი მონისა და იმ ტალანტების შესახებ, რომლებიც მათ ბატონს ეკუთვნოდა. შემდეგ ბატონი წავიდა შორეულ ქვეყანაში, და ელოდებოდა, რომ სანამ იგი წასული იყო, მისი მონები კარგად იზრუნებდნენ მის ქონებაზე.

ათი ტალანტის მიმღებმა გამოიყენა ისინი. მან დააბანდა და მოიგო კიდევ ხუთი. ორი ტალანტის მიმღებიც იგივენაირად მოიქცა. მაგრამ იმ კაცმა, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო, დამარხა იგი მიწაში, რადგან შიშით იყო აღსავსე. მას ეშინოდა

ნაბიჯის გადადგმა და რაიმეს გაკეთება. ეშინოდა პასუხისმგებლობის.

როცა ბატონი დაბრუნდა, მან შეაქო ორი მონა, რომელთაც აიღეს ის, რაც მან მისცა და გამოიყენეს იგი. მაგრამ იმ კაცს, რომელმაც თავისი ტალანტი მიწაში დამარხა და არ გამოიყენა, უთხრა: „ბოროტო და ზარმაცო მონავ!“ შემდეგ მან გასცა ბრძანება, რომ ერთი ტალანტი წაერთვათ მისთვის და მიეცათ ათი ტალანტის მქონესთვის, ხოლო ზარმაცი, უსაქმური მონა მკაცრად დაესაჯათ.

მოგინოდებთ გამოეხმაუროთ იმ უნარს, რომელიც ღმერთმა ჩადო თქვენში და გამოიყენოთ იგი ყველაფერში, რაშიც შეძლებთ, რათა როცა ბატონი დაბრუნდება, თქვენ არა მხოლოდ ის მისცეთ, რაც მან მოგცათ, არამედ მეტი.

ბიბლია ნათლად გვაჩვენებს, რომ ღმერთის ნებაა, კეთილი ნაყოფი მოგვექონდეს (იხ. იოანე 15:16).

გადაეცით საზრუნავი და არა პასუხისმგებლობა

„დამდაბლდით ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე. თქვენი ყველა საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე“.

1 პეტრე 5:6,7

ნუ შეუშინდებით პასუხისმგებლობას. ისწავლეთ თქვენი საზრუნავის გადაცემა, მაგრამ არა პასუხისმგებლობისა. ზოგი ადამიანი სწავლობს არაფერზე არ იღარდოს; ხდება ექსპერტი „საკუთარი საზრუნავის გადაცემაში“, ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს, რომ თავიანთ პასუხისმგებლობასაც გადასცემენ.

მომართეთ თქვენი გონება იმის გასაკეთებლად, რაც თქვენს წინაშეა და არ გაექცეთ არაფერს იმის გამო, რომ რთულად გამოიყურება.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თუ ღმერთი გაძლევთ, რასაც მას სთხოვთ, ამ კურთხევას პასუხისმგებლობა მოყვება. თუ თქვენ გაგაჩნიათ სახლი ან მანქანა, ღმერთი მოელის თქვენ-

გან, რომ იზრუნოთ მათზე. შეიძლება სიზარმაცემ შემოუტიოს თქვენს გონებას და გრძნობებს, მაგრამ თქვენ ქრისტეს გონება გაქვთ. ნამდვილად შეგიძლიათ ეშმაკის ტყუილის ამოცნობა, გასცდეთ გრძნობებს და გააკეთოთ ის, რაც იცით, რომ სწორია. თხოვნა ადვილია... მისთვის პასუხისმგებლობის აღება არის ის, რაც აყალიბებს ხასიათს.

მახსენდება დრო, როცა გამუდმებით ველაპარაკებოდი ჩემს ქმარს ტბის სახლის ყიდვის შესახებ – ადგილი, სადაც შევძლებდით დასვენებას, ლოცვას და სწავლას. ადგილი, რომ „ყველაფერს გავცილებოდით“. მე ვუთხარი მას, თუ რა მშვენიერი იქნებოდა, როგორ ისიამოვნებდნენ იქ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, და ჩვენ ასევე შევძლებდით ჩვენი ლიდერების წაყვანას და გვექნებოდა ბიზნეს შეხვედრები და დიდებულად გავატარებდით დროს ერთობლივ ლოცვებში.

ეს ყველაფერი ლამაზად ჩანდა და კარგ ემოციებსაც აღძრავდა ჩემში, მაგრამ დეივი გამუდმებით მეუბნებოდა იმ ყველაფრის შესახებ, რაც დაგვჭირდებოდა მის მოსაველეად. მან შემახსენა თუ რამდენად დაკავებულები ვიყავით უკვე და რომ არ გვექონდა დრო, პასუხისმგებელნი ვყოფილიყავით კიდევ ერთი სახლისთვის. იგი მეუბნებოდა ბალახის მოვლაზე, შეკეთებაზე, გადასახადებზე და ა.შ. მან მითხრა, რომ უკეთესი იქნებოდა ადგილის ქირაობა საჭიროების შემთხვევაში, რომ არ აგველო ყიდვის პასუხისმგებლობა.

მე ვუყურებდი საკითხის ემოციურ მხარეს, ხოლო იგი – პრაქტიკულს. ყოველთვის, როცა გადანყვეტილებას ვლებულობთ, ორივე მხარეს უნდა შევხედოთ – არა მხოლოდ იმას, რაც გვსიამოვნებს, არამედ პასუხისმგებლობასაც, რომელიც მას მოყვება. ტბის გვერდით მყოფი სახლი ძალიან კარგია მათთვის, ვისაც დრო აქვს და გაატარებენ მას იქ, რაც სინამდვილეში ჩვენ არ გვექონდა. გულის სიღრმეში ვიცოდი ეს, მაგრამ წლის განმავლობაში დრო და დრო ვცდილობდი დეივის დათანხმებას სახლის საყიდლად.

მიხარია, რომ ის უდრეკი დარჩა. რომ არ დარჩენილიყო, დარწმუნებული ვარ სახლს ვიყიდდით, გარკვეული დროის განმავლობაში შევინახავდით, შემდეგ ვინუნუნებდით იმაზე, თუ რამდენია საჭირო მისი მოვლისთვის, და ალბათ ბოლოს გაყიდდით, რადგან ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ჩვენმა მეგობრებმა შეიძინეს სახლი ტბის პირას და

მოგვცეს უფლება, რომ გამოგვეყენებინა იგი იმდენად, რამდენადაც ჩვენი და მათი განრიგი გვაძლევდა ამის საშუალებას. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ მივედით იმ მდგომარეობამდე, რომ ჩვენი საკუთარი სახლი გვექონოდა და ეს იყო სწორი დრო წინსვლისთვის. მაგრამ, როცა თავდაპირველად მინდოდა სახლი ტბასთან, არასწორი დრო იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში მის საყიდლად. რალაცის მონდომება არ არის საკმარისი – ჩვენ ასევე სრულიად მომზადებულები უნდა ვიყოთ მასზე პასუხისმგებლობის ასაღებადაც.

თუ თქვენ გამოიყენებთ სიბრძნეს, აღმოაჩენთ, რომ ღმერთი დააკმაყოფილებს თქვენს საჭიროებებს. ვინც კი მოქმედებს ქრისტეს გონებით, ივლის სიბრძნეში – და არა ემოციებით.

იყავით პასუხისმგებელნი!

თავი

18

„ბთხოვთ, ყველაფერი გაამარტივეთ;

ვერ ვიტან სირთულეებს!“

უღბნოს აზროვნება №3

ეს არასწორი აზროვნება მსგავსია იმისა, რომელიც ახლა განვიხილეთ, მაგრამ იგი იმდენად პრობლემურია ღმერთის ხალხს შორის, რომ ვფიქრობ ღირს მისთვის ამ წიგნში ერთი თავის გამოყოფა.

„რადგან ეს მცნება, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს, არ არის შენთვის საძნელო და მიუწვდომელი“.

მეორე რჯული 30:11

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოხატული თავის მართლება, რომელიც მესმის იმ ხალხისგან, ვინც ითხოვს ლოცვას. ძალიან ხშირად, მოვა ვინმე ჩემთან რჩევისა და ლოცვისათვის და როცა ვეუბნები მათ, თუ რას ამბობს ღმერთის სიტყვა, ან როგორ ვფიქრობ, თუ რას ამბობს სულიწმიდა, მათი პასუხია: „ვიცი, რომ სწორია; ღმერთი მეც იგივეს მანახებდა, მაგრამ ეს ძალიან ძნელია, ჯოის“.

ღმერთმა დამანახა, რომ მტერი ცდილობს ამ ფრაზის ჩანერგვას ხალხის გონებაში, რათა ისინი დანებდნენ. რამდენიმე წლის წინ, როცა ღმერთმა გამიცხადა ეს ჭეშმარიტება, მან დამარიგა, რომ შემენყვიტა თქმა, თუ რა ძნელი იყო ყველაფერი, და მარწმუნებდა, რომ თუ დავეუფერებდი მას, გამიადვილდებოდა.

მაშინაც კი, როცა გადაწყვეტილი გვაქვს თავის გატანა და რამის გაკეთება, იმდენ დროს ვხარჯავთ ფიქრზე და საუბარზე თუ „რა ძნელია“, რომ გამოდის, უფრო რთულია საქმე, ვიდრე მაშინ იქნებოდა, თუ პოზიტიურები ვიქნებოდით და არა ნეგატიურები.

დასაწყისში, როცა დავინყე ღმერთის სიტყვიდან დანახვა, თუ როგორი წესით უნდა მეცხოვრა და მოვქცეულიყავი, და შევადარე ჩემს იმჟამინდელ მდგომარეობას, ყოველთვის ვამბობდი: „მინდა ყველაფერს შენი ნებისამებრ ვაკეთებდე, ღმერთო, მაგრამ ძალიან ძნელია“. უფალმა მიმიყვანა მეორე რჯულის 30:11-თან, სადაც იგი ამბობს, რომ მისი მცნებები არ არის რთული ან მიუწვდომელი. მიზეზი, თუ რატომ არ არის ჩვენი უფლის მცნებები რთული, არის ის, რომ იგი გვაძლევს თავის სულს, რომ ჩვენში ძლიერად იშრომოს და დაგვეხმაროს ყველაფრის შესრულებაში, რაც მან გვთხოვა.

ღამხმარე

**„მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივ-
ლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ“.**

იოანე 14:16

ყოველივე ძნელდება, როცა საქმის კეთებას დამოუკიდებლად, ღმერთის მადლზე დაყრდნობისა და მინდობის გარეშე ვცდილობთ. ცხოვრებაში ყველაფერი ადვილი რომ იყოს, მაშინ სულიწმიდის ძალა ჩვენს დასახმარებლად არც კი დაგვეჭირდებოდა. ბიბლია მიმართავს მას, როგორც „ღამხმარეს“. იგი ჩვენში არის და ჩვენთანაა ყოველთვის, რათა დაგვეხმაროს და შეგვაძლებინოს იმის გაკეთება, რაც ჩვენით არ შეგვიძლია. აქვე უნდა დავამატო, რომ ადვილად გავაკეთოთ ის, რაც მის გარეშე ძნელი იქნებოდა.

ადვილი გზა და რთული გზა

„და როცა ფარაონმა გაუშვა ხალხი, ღმერთმა არ წაიყვანა ისინი ფილისტიმელთა ქვეყნის გზით, რადგან ახლოს იყო იგი, რადგან თქვა ღმერთმა: „რათა არ გადაიფიქროს ხალხმა ბრძოლის დანახვაზე და არ დაბრუნდეს ეგვიპტეში“.

გამოსვლა 13:17

შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ სადაც არ უნდა გიძღვებოდეთ ღმერთი, მას შეუძლია თქვენი დაცვაც. იგი არასოდეს დაუშვებს იმაზე მეტს ჩვენზე, ვიდრე შეგვეძლება რომ ავიტანოთ (იხ. 1 კორ. 10:13). რასაც იგი დაუკვეთავს, იმისთვის იხდის კიდევ. ჩვენ არ უნდა ვცხოვრობდეთ გამუდმებულ ბრძოლაში, თუ ვისწავლით იმ ძალისათვის, რომელიც გვეჭირდება, მასზე გამუდმებით მინდობას.

თუ იცით, რომ ღმერთმა გთხოვათ რამის შესრულება, ნუ დაიხევთ უკან იმის გამო, რომ გაძნელდება. როცა ყველაფერი რთულდება, მეტი დრო გაატარეთ მასთან, მიენდეთ მეტად და მიიღეთ მეტი მადლი მისგან (იხ. ებრ. 4:16).

მადლი არის ღმერთის ძალა, რომელიც მოდის თქვენთვის უფასოდ, რათა თქვენი მეშვეობით გააკეთოს ის, რისი გაკეთე-

ბაც თქვენით არ შეგიძლიათ. უფროხილდით ფიქრებს, რომლებიც გაიძახიან: „ვერ გავაკეთებ ამას; ძალიან ძნელია“.

ხანდახან ღმერთს ადვილი გზის ნაცვლად, ძნელი გზით მივყავართ, რადგან იგი ასრულებს საქმეს ჩვენში. როგორ ვისწავლით ოდესმე მასზე მინდობას, თუ ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში იმდენად ადვილია, რომ საქმის გაკეთება ჩვენი შეგვიძლია?

ღმერთმა წაიყვანა ისრაელის ძენი გრძელი და რთული გზით, რადგან ისინი ჯერ კიდევ მშიშრები იყვნენ მას უნდა შეესრულებინა საქმე მათში, რათა მოემზადებინა ისინი იმ ბრძოლებისთვის, რომლებშიც ალთქმულ მინაზე მოუწევდათ გავლა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი რთული გზით წაიყვანა, მათთვის ძალიან ძნელი არ იყო. ღმერთი არასოდეს გვაძლევს იმაზე მეტს, ვიდრე გავუძლებდით. ჩვენი ცხოვრებისეული გზა მხოლოდ მაშინ მძიმდება, თუ ჩვენ თავად ვფიქრობთ, რომ იგი ძნელია.

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ალთქმულ მინაზე შესვლა ნიშნავს, რომ ბრძოლები აღარ იქნება, მაგრამ ეს არასწორია. თუ წაიკითხავთ ანგარიშებს რა მოხდა მას შემდეგ, რაც ისრაელიანელებმა გადალახეს იორდანე და შევიდნენ ალთქმულ მინაზე სამკვიდრებლად, დაინახავთ, რომ მათ ერთი მეორეს მიყოლებით ბრძოლები უწევდათ. მაგრამ ყველა იმ ბრძოლაში გაიმარჯვეს, რომელშიც ღმერთის ძალით და მისი ხელმძღვანელობით იბრძოდნენ.

ღმერთმა გაიყვანა ისინი უდაბნოში გრძელი, რთული გზით, მიუხედავად იმისა, რომ იყო მოკლე, ადვილი გზა. ღმერთმა იცოდა, რომ ისინი არ იყვნენ მზად იმ ბრძოლებისთვის, რომლებიც სამკვიდრებელ მინაზე მოუწევდათ. იგი ფიქრობდა იმაზე, რომ როცა ისინი მტერს დაინახავდნენ, შეიძლება გაქცეულიყვნენ უკან - ეგვიპტეში, ამიტომ, წაიყვანა ისინი რთული გზით, რომ ესწავლებინა მათთვის, თუ ვინ იყო იგი და არ ყოფილიყვნენ დაყრდნობილი საკუთარ თავზე.

როდესაც ადამიანი გადის რთულ პერიოდში, მის გონებას სურს დანებება. ეშმაკმა იცის, რომ თუ იგი შეძლებს ჩვენს დამარცხებას გონებაში, იგი შეძლებს ჩვენს დამარცხებას ცხოვრებაშიც. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სულით არ დავეცეთ, არ დავიქანცოთ და არ დავსუსტდეთ.

„სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის დროზე მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით“.

გალატელთა 6:9

სულით დაცემა და დასუსტება უკავშირდება დანებებას გონებაში. სულიწმიდა გვეუბნება, რომ არ დავნებდეთ ჩვენს გონებაში, რადგან თუ ჩავეჭიდებით, საბოლოოდ მოვიმკით.

იფიქრეთ იესოზე. მყისვე, ნათლობისა და სულიწმიდით აღვსების შემდეგ, იგი წაყვანილი იქნა სულით უდაბნოში გამოსაცდელად და ეშმაკის მიერ შესამონმებლად. მან არ ინუნუნა და არ დადარდიანდა. არ დაინყო ნეგატიურად ფიქრი ან ლაპარაკი. არც თავგზა აებნა იმის დადგენაში, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ეს! მან ყოველი გამოცდა წარმატებულად გაიარა.

განსაცდელსა და გამოცდას შორის, ჩვენი უფალი არ დახეტილობდა უდაბნოში ორმოც დღეს და ღამეს იმაზე ლაპარაკით, თუ რა ძნელი იყო. მან მიიღო ძალა თავისი ზეციერი მამისგან და გამოვიდა გამარჯვებული. (იხ. ლუკა 4:1-13).

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ იესო, რომელიც მოგზაურობს ქვეყანაში თავის მოწაფეებთან ერთად და ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა მძიმე იყო ყველაფერი? შეგიძლიათ დაინახოთ იგი მსჯელობისას, თუ რა ძნელი იქნებოდა ჯვარზე ასვლა... ან როგორ ეშინოდა მას წინასწარ... ან რა გამაღიზიანებელი იყო მათ ყოველდღიურ პირობებში ცხოვრება: დადიოდნენ რა სოფლებსა და ქალაქებში და არ ჰქონდათ ადგილი, რომელსაც სახლს დაარქმევდნენ, არც სახურავი თავზე, არც საწოლი ღამე დასაძინებლად.

პირადად ჩემს მდგომარეობაში, როცა მე ვმოგზაურობ ადგილიდან ადგილზე ყველგან სიტყვის ქადაგებით, მომიწია სწავლა, რომ არ მელაპარაკა სიძნელებზე, რომელიც შედიოდა ჩემს მოძრავე მსახურებაში. მომიწია სწავლა, რომ არ მენუნუნა იმაზე, თუ რა ძნელია უცნაურ სასტუმროში დარჩენა ყოველ ჯერზე, გამუდმებით სახლს გარეთ კვება, ყოველ შაბათ-კვირას სხვადასხვა საწოლში დაძინება, სახლიდან შორს ყოფნა, ახალი ადამიანების გაცნობა და მათთან შეჩვევა მაშინ, როცა უკვე სხვაგან წასვლის დრო დადგა. თუ მე მსურს იმის კეთების პრივილეგია, რასაც ვაკეთებ, მაშინ უხერხულობანი, რომლებიც მას

ახლავს უნდა მივიღო კარგი განწყობით.

თქვენ და მე გვაქვს ქრისტეს გონება, და ჩვენ შეგვიძლია ისე მოპყრობა, როგორც ის იქცეოდა: ვიყოთ გონებრივად მზად „გამარჯვებული აზროვნებით“ - არა „დანებების აზროვნებით“.

წარმატება მოყვება ტანჯვას

„რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც აღიჭურვით იმავე აზრით, ვინაიდან, ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა. რათა ხორცში დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღვთის ნებით“.

1 პეტრეს 4:1,2

ეს ნაწყვეტი გვასწავლის საიდუმლოს იმასთან დაკავშირებით, როგორ გავძლოთ რთულ მდგომარეობასა და პერიოდებში. ეს არის ამ ორი მუხლის ჩემებული გადმოცემა:

იფიქრეთ ყველაფერზე, რაშიც გაიარა იესომ და როგორ დაითმინა მან ტანჯვა ხორცში. ეს დაგეხმარებათ თქვენ სიძნელეების გადატანაში. აღიჭურვით ბრძოლისთვის; მოემზადეთ გამარჯვებისთვის ისე ფიქრით, როგორც იესო ფიქრობდა: „მე მოთმინებით დავითმენ, ვიდრე მარცხი განვიცადო და ღმერთს ვერ ვაამო“. რადგან თუ თქვენ იტანჯებით და გაქვთ ამასობაში ქრისტეს გონება, თქვენ აღარ იცხოვრებთ მხოლოდ საკუთარი თავის საამებლად, იმის კეთებაში რაც ადვილია და იმისგან გაქცევით, რაც ძნელია. არამედ, თქვენ შეძლებთ იცხოვროთ იმისთვის, რაც ღმერთს ნებას და არა თქვენი გრძნობებისა და ხორციელი ფიქრების მიხედვით.

ჩვენ მოგვინევს „ხორციელი“ ტანჯვის დათმენა იმისათვის, რომ აღვასრულოთ ღმერთის ნება.

ჩემი ხორცი ყოველთვის არ გრძნობს თავს კომფორტულად მოგზაურობის ტიპის მსახურებრივი ცხოვრებით, მაგრამ ღმერთის ნებაა, რომ ვიყო იქ. შედეგად, მე უნდა აღვიჭურვო სწორი აზროვნებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, დავმარცხდები ჯერ კიდევ მაშინ, სანამ დავინწყებ.

ბონება - ბრძოლის ველი

შეიძლება თქვენს ცხოვრებაში იყოს პიროვნება, რომელთან ერთადაც ყოფნა ძალიან ძნელია, მაგრამ იცით, რომ ღმერთს სურს მიენებოთ ასეთ ადამიანს ურთიერთობაში და არ გაიქცეთ მისგან. თქვენი ხორცი იტანჯება, ამგვარად, არ არის ადვილი იმ პიროვნებასთან ყოფნა, მაგრამ შეგიძლიათ მოამზადოთ საკუთარი თავი სწორად აზროვნებით მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ღმერთის ნებაში ყოფნისა, ხანდახან მას ახლავს გარკვეული სიძნელები, მაგრამ მის ნების გარეთ ყოფნა გაცილებით უფრო ძნელია.

კვაყოფილება ქრისტის საკმარისობით

„ვიცი ხელმოკლეობაში ცხოვრება და ვიცი სიუხვეში ცხოვრებაც, მიჩვეული ვარ ყველაფერს და ყოველივეს: გაძლომა და შიმშილს, სიუხვესა და ხელმოკლეობას. ყოველივე ძალმიძს ჩემს განმამტკიცებელში, ქრისტეში“.

ფილიპელთა 4:12,13

სწორი აზროვნება „აღგვჭურვავს“ ჩვენ ბრძოლისათვის. არასწორი აზროვნებით ბრძოლაში გასვლა ჰგავს ომში წინა ხაზზე სვლას იარაღის გარეშე. თუ ასე მოვიქცევით, დიდ ხანს ვერ გავუძლებთ.

ისრაელიანელები „მონუნუნები“ იყვნენ, რომელიც ერთ-ერთი მიზეზი იყო, რატომაც დახეტილობდნენ ერთ ადგილზე ორმოცი წელი თერთმეტი დღის მანძილზე სავალი გზის გასავლელად. ისინი ნუნუნებდნენ ყოველ სირთულეზე და დრტვინავდნენ ყოველ ახალ გამონვევაზე – ყოველთვის ლაპარაკობდნენ თუ რა ძნელი იყო. მათი აზროვნება იყო: „თუ შეიძლება, ყველაფერი გაამარტივეთ; ვერ ვიტან სირთულეებს!“

მრავალი მორწმუნე კვირის მეტროლია და ორშაბათის მონუნუნე. ისინი კარგად ლაპარაკობენ კვირას – ეკლესიაში მეგობრებთან – მაგრამ ორშაბათს, როცა დგება „სიტყვა-საქმის“ დრო და არავინ არის მათ გარშემო შთაგონებისთვის, ისინი ანუნუნდებიან ყველაზე უმნიშვნელო განსაცდელშიც კი.

თუ თქვენ მონუნუნე და მდრტვინველი ხართ, შეიძინეთ ახალი აზროვნება, რომელიც ამბობს: „ყოველივე ძალმიძს ჩემს განმამტკიცებელში, ქრისტეში“ (ფილიპ. 4:13).

თავი

19

„ვერაფერს გავაკეთებ; მე მიღრეკილება
მაქვს გუგუნისადმი, შეცდომების
ქიპისა და წუნუნისადმი“.

უღახნოს აზროვნება №4

სანამ არ ვისწავლით სირთულეების დროს ღმერთის განდიდებას ჩვენი დამოკიდებულებით, ვერ მივიღებთ დახსნას. ტანჯვა კი არ ადიდება ღმერთს, არამედ ტანჯვაში ღვთისმოსავი საქციელი აამებს მას და მოაქვს მისთვის დიდება.

თუ მე და თქვენ მივიღებთ ამ მუხლებისგან იმას, რაც ღმერთს სურს რომ გვექონდეს, ჩვენ ნელ-ნელა უნდა ვიკითხოთ ისინი და საფუძვლიანად ავითვისოთ ყოველი ფრაზა და წინადადება. ვალიარებ, რომ მათ წლების განმავლობაში ვსწავლობდი და ვცდილობდი გამეგო, რატომ სიამოვნებდა ასე ღმერთს, რომ ენახა ჩემი ტანჯვა, როცა ბიბლია პირდაპირ ამბობს, რომ იესომ აიღო ჩემი ტანჯვა და დასჯის ტკივილი (ეს. 53:3-6).

მრავალი წელი გავიდა, სანამ მივხვდი, რომ 1 პეტრეს ამ მუხლების ფოკუსის წერტილი არ იყო ტანჯვა, არამედ დამოკიდებულება, რომელიც ადამიანს უნდა ჰქონდეს ტანჯვის დროს.

შემამჩნიეთ სიტყვა „მოთმინებით“, გამოყენებული ამ ნაწყვეტში, რომელიც ამბობს რომ, თუ ვინმე არასწორად გვექცევა და ჩვენ მოთმინებით ვივლით, ღმერთს ვაამებთ. მას აამებს ჩვენი სულგრძელი დამოკიდებულება – და არა ჩვენი ტანჯვა. იმისათვის, რომ გავმხნევდეთ ჩვენს ტანჯვაში, გვიჩვენებენ შევხედოთ როგორ იქცეოდა იესო უსამართლო შემოტევებზე მის მიმართ.

„რადგან მადლი ის არის, თუ ვინმე სინდისის გამო უსამართლოდ იტანჯება და ღვთის გულისათვის იტანს გასაჭირს.“

რადგან, თუ დანაშაულისათვის გცემენ და ითმენთ, რა საქებარია? ხოლო თუ კეთილისმოქმედნი იტანჯებით და ითმენთ, ეს მადლია ღვთის წინაშე“.

1 პეტრე 2:19,20

იესო, როგორც ჩვენი მაგალითი

„ამისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ იტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მი-

ჰყვეთ; რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგეს; რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მინდო სიმათლით განმკითხველს“.

1 პეტრე 2:21-23

იესო დიდებულად იტანჯა! ჩუმად, ნუნუნის გარეშე, ღმერთზე მინდობილი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოიყურებოდა ყველაფერი, იგი ყოველ სიტუაციაში იგივე რჩებოდა. არ იქცეოდა მოთმინებით მხოლოდ მაშინ, როცა ადვილი იყო და მოუთმენლად სიძნელეების ან უსამართლობის ყამს.

ზემთ მოყვანილი მუხლები გვიჩვენებს, რომ იესო ჩვენი მაგალითია და რომ იგი მოვიდა რათა ეჩვენებინა როგორ უნდა ვცხოვრობდეთ. ჩვენს ბავშვებს მაგალითებით უფრო მეტს ვასწავლით, ვიდრე სიტყვებით. ჩვენ უნდა ვიყოთ ცოცხალი წერილები, რომელსაც ყველა ადამიანი კითხულობს (იხ. 2 კორ. 3:2,3) – სინათლე, რომელიც კაშკაშად ანათებს ბნელ სამყაროში (იხ. ფილიპ. 2:15).

მონოდეულნი თავმდაბლობისკენ,

თავდაჭრილობასა და მოთმინებისკენ

„ამიტომ შეგაგონებთ, მე, პატიმარი უფალში, მოიქეცით იმ მონოდების ღირსად, რომელშიც მონოდებულნი ხართ, მთელი თავმდაბლობით, სიმშვიდითა და სულგრძელებით შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში“.

ეფესელთა 4:1,2

რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში იყო სიტუაცია, რომელიც მშვენიერი მაგალითია თავმდაბლობასა, თავდაჭერილობასა და მოთმინებაზე.

ჩვენი შვილი, დანიელი, ახალი დაბრუნებული იყო დომინიკის რესპუბლიკიდან, მისიონერული მოგზაურობიდან. იგი ჩამოვიდა ძლიერი გამონაყარით და რამდენიმე ღია ქრილობით ხელებზე. მას უთხრეს, რომ ეს იყო დომინიკის რესპუბლიკის მომწამლავი სუროს სახეობა. ისე ცუდად გამოიყურებოდა, რომ ვიფიქრეთ

დაგვეზუსტებინა, თუ რა იყო ეს. იმ დღეს ჩვენი ოჯახის ექიმს დასვენება ჰქონდა და შეხვედრა დავნიშნეთ იმ ექიმთან, რომელიც მის ზარებს პასუხობდა.

ჩვენმა ქალიშვილმა, სანდრამ დარეკა და დანიშნა შეხვედრა, უთხრა მათ რამდენი წლის იყო დანიელი, და რომ იგი მისი და იყო და მიყვებოდა მას. ჩვენ ყველანი სანდრას ჩათვლით, იმ დღეს ძალიან დაკავებული ვიყავით. ორმოცდახუთ წუთიანი მანქანის ტარების შემდეგ იგი მივიდა ექიმთან ოფისში მხოლოდ იმისათვის, რომ მოესმინა: „უკაცრავად, მაგრამ ჩვენს წესდებაში არის, რომ არ ვუმკურნალოთ პატარებს, რომლებსაც მშობელი არ ახლავს“.

სანდრამ აუხსნა, რომ როცა დარეკა, მან სპეციალურად უთხრა, რომ იგი თავის ძმას მოიყვანდა – მას ჩვენი მოგზაურობების გამო ხშირად დაჰყავდა იგი ექიმთან ჩვენს მაგივრად. მედდა ურყევად იდგა, რომ მას მშობელიც უნდა ჰყოლოდა თან.

სანდრას ჰქონდა შესაძლებლობა დამნუხრებულებიყო. მან ძალა დაატანა თავს, რომ დაემატებინა ეს საქმეც თავისი ისედაც გადატვირთული განრიგისთვის მხოლოდ იმიტომ, რათა გაეგო, რომ მისი გეგმები და მცდელობა ამაო იყო. მას ელოდებოდა კიდევ ორმოცდახუთი წუთი სახლამდე მისასვლელად, და ყველაფერი დიდ დროის ფლანგვად გამოიყურებოდა.

ღმერთი დაეხმარა მას მშვიდად და მოსიყვარულედ დარჩენილიყო. მან დაურეკა მამამისს, რომელიც დედამისს სტუმრობდა. მამამ უთხრა, რომ მივიდოდა და მოაგვარებდა სიტუაციას. დეივმა იმ დილით იგრძნო, რომ უნდა გაეცლო ჩვენს ოფისებში და აელო ზოგი ჩემი წიგნი და აუდიო ჩანაწერი. სინამდვილეში არ იცოდა, რა უნდა ექნა მათთვის. უბრალოდ გრძნობდა, რომ უნდა აელო ისინი.

როცა იგი ექიმის შენობასთან მივიდა, რეგისტრატურაში მყოფმა ქალმა ჰკითხა დეივს, მსახური ხომ არ იყო და ჯოის მაიერის მეუღლე. როცა მან უპასუხა, ქალმა უთხრა, რომ მიყურებდა ტელევიზორით და საკმარისად სმენია ჩემი ოჯახის წევრების სახელების შესახებ. დეივი გაესაუბრა მას გარკვეული დროის განმავლობაში და მისცა ჩემი ერთ-ერთი წიგნი ემოციურ განკურნებაზე.

ამ ამბის მოყოლის მიზანი არის შემდეგი: რა მოხდებოდა სანდრას ხასიათი რომ არეოდა და მოუთმენელი ყოფილიყო?

ბონება - ბრძოლის ველი

მისი მოწმობა დაზიანდებოდა, თუ არ დაინგრეოდა. ფაქტობრივად, მას შეეძლო სულიერი ზიანის მიყენება ქალისთვის, რომელიც ტელევიზიით მიყურებს და შემდეგ ხედავს, რომ ჩემი ოჯახის წევრები ცუდად იქცევიან.

მრავალი ადამიანი ქვეყანაზე ცდილობს ღმერთის პოვნას, და რასაც ჩვენ მათ ვაჩვენებთ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც ვეუბნებით. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სახარების სიტყვიერად გაზიარება, მაგრამ მარტო ამას ვაკეთებდეთ და უარყოფდეთ ნათქვამს ჩვენი ქცევით უფრო უარესია, ვიდრე არაფრის თქმა.

სანდრამ ამ შემთხვევაში თავისი განსაცდელი მოთმინებით გადაიტანა. ღმერთის სიტყვა ამბობს, რომ ჩვენ ამგვარი სახის ქცევისა და დამოკიდებულებისკენ ვართ მოწოდებულები.

იოსაბის მოთმინებით გავლილი ტანჯვა

„გაგზავნა მათ წინ კაცი, მონად გაიყიდა იოსები. გატანჯეს ბორკილებით ფერხნი მისნი, რკინა მისწვდა მის სულს. ვიდრე აღსრულდებოდა ნათქვამი მისი, უფლის სიტყვამ გამობრძმედა იგი“.

ფლასმუნი 104:17-19

როგორც ძველი აღთქმის მაგალითზე, იფიქრეთ იოსებზე, რომელსაც უსამართლოდ მოექცნენ მისი ძმები. მათ გაყიდეს იგი მონობაში და უთხრეს მამას, რომ იგი მოკლული იქნა ველური ცხოველის მიერ. ამასობაში, იგი იყიდა მდიდარმა კაცმა სახელად ფოტიფარმა, რომელმაც სახლში მონად წაიყვანა. ღმერთი აძლევდა იოსებს კეთილგანწყობას ყველგან სადაც მიდიოდა, და მალე ახალი ბატონისგანაც კეთილგანწყობა მიიღო.

იოსების დანინაურება გრძელდებოდა, მაგრამ სხვა უსამართლო რამ შეემთხვა მას. ფოტიფარის ცოლმა სცადა შეეცდინა იგი სექსუალური კავშირისთვის, მაგრამ რადგანაც იოსები პატიოსანი ადამიანი იყო, არაფერი ესაქმებოდა მასთან. ქმრის მოსატყუებლად მან თქვა, რომ იოსები დაესხა თავს, რის შედეგადაც იგი დააპატიმრეს იმის გამო, რაც არ ჩაუდენია!

იოსები მთელი დროის განმავლობაში რაც ციხეში იმყოფე-

ბოდა ცდილობდა სხვებს დახმარებოდა. არასოდეს უწუნუნია, და რადგანაც სწორი დამოკიდებულება ჰქონდა განსაცდელე-ში, ღმერთმა ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლა იგი და დაანინ-აურა. მას საბოლოოდ იმდენი ძალაუფლება ჰქონდა ეგვიპტეში, რომ მთელს მინაზე, ფარაონის გარდა მასზე ზევით არავინ იყო.

ღმერთმა ასევე გაამართლა იოსები სიტუაციაში მის ძმებთან დაკავშირებით, როცა მათ მოუწიათ იოსებთან მისვლა პურისთ-ვის მაშინ, როდესაც მთელი დედამინა შიმშილობდა. იოსებმა აქაც ღვთისმოსავი დამოკიდებულება გამოავლინა იმით, რომ არ მოექცა მათ ცუდად, მიუხედავად იმისა, რომ იმსახურებდნენ. მან უთხრა მათ, რომ რაც მის საზიანოდ ჩაიფიქრეს, ღმერთმა სასიკეთოდ აქცია – რომ ისინი ღმერთის ხელებში იყვნენ და მას არ ჰქონდა უფლება გაეკეთებინა რამე გარდა იმისა, რომ ეკურთხებინა ისინი. (იხ. დაბ. 39-50).

დრტვინვის საფრთხე

„ნურც გამოვცდით უფალს, როგორც ზოგიერთმა მათგანმა გამოსცადა და ისინი გველებისგან დაიღუპნენ. არც იდრტ-ვინოთ, როგორც ზოგიერთი მათგანი დრტვინავდა და დაიღ-უპნენ შემშუსვრელისაგან. ყოველივე ეს მათ დაემართათ სამაგალითოდ და აღწერილია ჩვენს დასარიგებლად, რომ-ლებმაც მივალნიეთ სოფლის აღსასრულს“.

1 კორინთელთა 10:9-11

ამ ნაწყვეტიდან, ჩვენ შეგვიძლია სწრაფად დავინახოთ გან-სხვავება იოსებსა და ისრაელიანელებს შორის. მას საერთოდ არ უდრტვინვია, და ისინი კი ყოველ წვრილმანზე, რაც მათი შეხედულებისამებრ არ ხდებოდა მხოლოდ დრტვინავდნენ. ბიბ-ლია საკმაოდ ნათლად საუბრობს ბუზლუნის, შეცდომების დან-ახვის და წუნუნის საფრთხეებზე.

უნყება საკმაოდ გასაგებია. ისრაელიანელების დრტვინვამ კარი გაუხსნა მტერს, რომელიც შემოვიდა და დაანგრია ისინი. მათ უნდა დაეფასებინათ ღმერთის სიკეთე – მაგრამ არ გაა-კეთეს ეს – ამიტომაც მოუწიათ ფასის გადახდა.

ჩვენ გვეთქვა, რომ მათი ტანჯვის და სიკვდილის ამბავი დაინერა იმისათვის, რომ დაგვენახა, რა მოხდება, თუ ჩვენც მათ მსგავსად მოვიქცევით.

ბონება - ბრძოლის ველი

მე და თქვენ არ ვწუნუნებთ ბაგეებით, თუ ჯერ აზრებში არ გვექნება წაწუნუნები. წუნუნნი და დრტვინვა აშკარად უდაბნოს აზროვნებას, რომელიც ხელს შეგვიშლის აღთქმულ მინაზე შესასვლელად.

იესო ჩვენი მაგალითია, და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც იგი აკეთებდა.

ისრაელიანელები დრტვინავდნენ და დარჩნენ უდაბნოში.

იესო ადიდებდა ღმერთს და აღდგენილი იქნა მკვდრეთით.

ამის საპირისპიროდ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ქების და მადლიერების ძალა და ასევე დრტვინვის ძალაც. დიახ, დრტვინვას, ბუზლუნს, შეცდომების დანახვას და წუნუნს აქვს ძალა. ნებისმიერ დროს, როცა ჩვენს გონებას და ბაგეს გადავცემთ ნებისმიერ მათგანს, ეშმაკს ვაძლევთ ძალაუფლებას ჩვენზე, რისი უფლებაც ღმერთს არ მიუცია მისთვის.

წუ იზუზღუნებთ, წუ მოძახნით შეცდომებს და წუ იწუნუნებთ

„ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ, რათა იყოთ უმნიკვლონი და უბრალონი, ღვთის უმანკო შვილები მრუდ და უკულმართ თაობაში, რომელშიც ანათებთ, როგორც მნათობნი სამყაროში“.

ფილიპელთა 2:14,15

ხანდახან ისე ჩანს, თითქოს მთელი მსოფლიო დრტვინავს. ძალიან ბევრი წუნუნია, ბუზლუნი და ძალიან ცოტა მადლიერება და დაფასება. ხალხი წუნუნებს თავიანთ სამსახურზე და უფროსზე, როცა მადლიერნი უნდა იყვნენ, რომ რეგულარული სამსახური აქვთ და დააფასონ ფაქტი, რომ უსახლ-კაროთა თავშესაფარში ცხოვრება ან სუპისთვის რიგში დგომა არ უწევთ.

ბევრ ამ ღარიბ ადამიანს გაუხარდებოდა სამსახური რომ ჰქონოდა, მიუხედავად მისი არასრულყოფილებებისა. ისინი თანახმანი იქნებოდნენ, თავი შეეფარებინათ არასრულყოფილ უფროსთან, რათა ჰქონოდათ რეგულარული შემოსავალი, ეცხოვრათ მშობლიურ ქალაქში და თავად მოეზადებინათ საკვები საკუთარი თავისთვის.

შესაძლოა, თქვენ უკეთესი ანაზღაურების მქონე სამსახური გჭირდებათ ან შეიძლება ისეთი უფროსი გყავთ, რომელიც უსამართლოდ გექცევათ. ეს ყველაფერი სამწუხაროა, მაგრამ გამოსავალი ნუნუნის გზით არ არის.

**ნუ გაღიზიანდებით და ნუ იღარდებით – ილოცით
და იყავით მაღლიერნი!**

**„არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში
აუნყეთ თქვენი სურვილი ღმერთს“.**

ფილიპელთა 4:6

ამ მუხლში მოციქული პავლე გვასწავლის, თუ როგორ გადავჭრათ პრობლემა. იგი გვარიგებს, რომ მაღლიერებით ვლოცულობდეთ ნებისმიერ გარემოებაში.

უფალმა იგივე პრინციპი შემდეგნაირად მასწავლა: „ჯოის, რატომ უნდა მოგცე კიდევ რამე, თუ შენ არ ხარ მაღლიერი იმაზე, რაც უკვე გაქვს? რატომ უნდა მოგცე დამატებითი რამ, რაზეც უნდა იწუნუნო?“

თუ ჩვენ არ შეგვიძლია მაღლიერებით ვწირავდეთ ლოცვას, ვერ მივიღებთ კეთილგანწყობილ პასუხს. სიტყვა არ ამბობს, რომ ვილოცოთ ნუნუნით, არამედ გვეუბნება, რომ ვლოცულობდეთ მაღლიერებით.

დრტვინვა, ბუზღუნა, შეცდომების ძიება და ნუნუნა მაშინ ხდება, როცა რაიმე ან ვინმე იმ გზით არ წავიდა, რომლითაც ჩვენ გვინდოდა, ან როცა რაიმეს დალოდება გვინწევს უფრო მეტ ხანს, ვიდრე ველოდით. ღმერთის სიტყვა გვასწავლის, რომ ასეთ დროს ვიყოთ მომთმენნი.

აღმოვაჩინე, რომ მოთმინება დალოდების უნარი კი არ არის, არამედ სწორი დამოკიდებულების შენარჩუნებაა ლოდინის დროს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნუნუნს და მასთან დაკავშირებულ ყველა ნეგატიურ აზროვნებას და საუბარს საკმაოდ სერიოზულად მივუდგეთ. მე გულწრფელად მჯერა, რომ ღმერთმა მომცა ცოდნა იმის შესახებ, თუ რა სახიფათოა ჩვენი გონების და ბაგის მათთვის გადაცემა.

ბონება - ბრძოლის ველი

ღმერთმა უთხრა ისრაელიანელებს მეორე რჯულის 1:6: „გეყოფათ თქვენ ამ მთაზე ცხოვრება“. შეიძლება უკვე დიდი ხანია, რაც ერთი და იგივე მთას წრეს ურტყამდით და ახლა მზად ხართ წინსვლისთვის. თუ ასეა, კარგი იქნება დაიმახსოვროთ, რომ წინ საერთოდ ვერ შეძლებთ წასვლას, თუ თქვენი ფიქრები და საუბარი წუნუნით იქნება სავსე.

არ მითქვამს, ადვილია, რომ არ დრტვინავდეთ, მაგრამ, თქვენ ქრისტეს გონება გაქვთ. რატომ არ უნდა გამოიყენოთ ის სრულიად?

თავი

20

**„არაფერზე არ მალოდინოთ; ყველაფერს
დაუყოვნებლივ ვიმსახურებ“**

უდაბნოს აზროვნება №5

მოუთმენლობა არის სიამაყის ნაყოფი. ამპარტავან ადამიანს არ შეუძლია არაფრის დალოდება სწორი დამოკიდებულებით. როგორც უკვე წინა თავში განვიხილეთ, მოთმინება არ არის დალოდების უნარი, არამედ ლოდინის დროს სწორი დამოკიდებულების შენარჩუნება.

ამიტომ, ძმებო, სულგრძელნი იყავით უფლის მოსვლამდე. აჰა მიწის მუშაკი ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, სულგრძელად ელის ადრეული და გვიანი წვიმის მოსვლას.“

წმიდა წერილი არ ამბობს: „იყავით სულგრძელნი, თუ ლოდინი გინევთ,“ იგი ამბობს: „იყავით სულგრძელნი ლოდინის დროს“. ლოდინი ცხოვრების ნაწილია. მრავალი ადამიანი ვერ „ელოდება კარგად“, და ფაქტობრივად, ჩვენი ცხოვრების მეტ ნაწილს ლოდინში ვატარებთ, ვიდრე მიღებაში.

იაკობი 5:7

მე ვგულისხმობ შემდეგს: ვთხოვთ ღმერთს რალაცას ლოცვაში, გვნამს, და შემდეგ ველოდებით და ველოდებით აღსრულებას. როცა იგი მოდის, ვხარობთ, რადგან საბოლოოდ მივიღეთ ის, რასაც ველოდებოდით.

თუმცა, რადგან მიზანზე ორიენტირებული ხალხი ვართ, ვისაც ყოველთვის უნდა გვექონდეს რამე, რისკენაც ვისწრაფვით – რამე, რასაც მოველით – ჩვენ ვბრუნდებით ღმერთისადმი თხოვნის და რწმენის პროცესში, კიდევ რალაცის მისაღებად, და კიდევ დალოდება და დალოდება, სანამ შემდეგი გარღვევა მოვიდოდეს.

ამ სიტუაციაზე ფიქრისას მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ლოდინში ვატარებ, ვიდრე მიღებაში. ამიტომ გადავწყვიტე მესწავლა სიამოვნების მიღება ლოდინის დროს, და არა მხოლოდ მიღებისას.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ სიამოვნების მიღება იქ, სადაც ვიმყოფებით, გზაზე ვადგავართ, მიზნისკენ რომ მიდის!

სიამაყე ხელს უშლის სულგრძელებით ლოდინს

„ჩემთვის მოცემული მადლით ვეუბნები ყოველ თქვენგანს: თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა ფიქრობდეთ, არამედ იფიქრეთ სალად, იმ რწმენის კვალობაზე, რაც ღმერთმა გინილდათ თითოეულს“.

რომაელთა 12:3

შეუძლებელია ლოდინით ისიამოვნო, თუ არ იცი როგორ დაელოდო სულგრძელობით. სიამაყე ხელს უშლის სულგრძელობით ლოდინს, რადგან ამპარტავანი ადამიანი ისე გადაჭარბებულად ფიქრობს საკუთარ თავზე, რომ მიაჩნია, იგი არასოდეს ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში.

თუმცა, ჩვენ ცუდად არ უნდა ვფიქრობდეთ საკუთარ თავზე. სახიფათოა საკუთარი თავის ამალგება ისეთ მაღალ წერტილამდე, რომ შედეგად ზევიდან ვუყურებდეთ სხვებს. თუ ისინი ისე არ აკეთებენ რაღაცეებს, როგორც გვსურს, ან ისე სწრაფად, როგორც ვფიქრობთ რომ უნდა აკეთებდნენ, ჩვენ მოუთმენლად ვიქცევით.

თავმდაბალი პიროვნება არ გამოავლენს მოუთმენელ დამოკიდებულებას ღმერთისა და ადამიანის მიმართ.

იყავით რეალისტი!

„ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. სოფელში გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლივ სოფელს“.

იოანე 16:33

სხვა გზა, რომლითაც ეშმაკი იყენებს ჩვენს გონებას, რომ შეგვიძღვეს მოუთმენელ ქმედებაში არის ფიქრით, რომელიც იდეალისტურია და არა რეალისტური.

თუ ჩვენ ისეთი წარმოდგენა გვექნება, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ გვიკავშირდება, ჩვენს გარემოებებს და ურთიერთობებს, უნდა იყოს სრულყოფილი – არ უნდა იყოს უხერხულობა, არც დაბრკოლება, არც არამიმზიდველი ადამიანები, რომელთანაც საქმე გვექნება – მაშინ საკუთარ თავს დაცემისთვის ვამზადებთ. ან, ფაქტობრივად, უნდა ვთქვა, რომ ეშმაკი, არასწორი აზროვნების მეშვეობით, ჩვენ დაცემისთვის გვამზადებს.

მე არ ვამბობ, რომ ნეგატიურები ვართ; მე მტკიცედ მჯერა პოზიტიური დამოკიდებულებებისა და ფიქრების. მაგრამ, იმას ვამბობ, რომ საკმაოდ რეალისტები უნდა ვიყოთ, რათა ნაადრევად მივხვდეთ, რომ ძალიან რეალურ ცხოვრებაში ცოტა რამეა სრულყოფილი.

ჩვენი მსახურების ადრეულ წლებში, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მე და ჩემი მეუღლე სხვადასხვა ქალაქებში ვმოგზაურობდით სემინარების ჩასატარებლად. ხშირად ვქირაობდით სასტუმროების საბანკეტო დარბაზებს და სამოქალაქო ან საკონვენციო ცენტრებს. დასაწყისში, ყოველთვის სულნასული და იმედგაცრუებული ვხდებოდი, როცა არასწორად ნავიდოდა ერთ-ერთ ადგილზე – მაგალითად კონდიციონერს რომ ვერ ემუშავა კარგად (ან შეიძლება საერთოდ არ ემუშავა), არასაკმარისი განათება საკონფერენციო ოთახში, დალაქავებული და დახეული სკამები და შიგნიდან ყველაფერი გადმოვარდნილი ჰქონდათ გარეთ, ან წინა ლამის ქორწილის ნამცხვრის ნარჩენები იატაკზე ეყარა.

ვგრძნობდი, რომ საკმაოდ დიდი ფული გადავიხადეთ ოთახების დასაქირავებლად და თან გვეჯეროდა, რომ მათ კარგად გამართულებს ვქირაობდით, ამიტომაც ვლიზიანდებოდი, როცა ასე არ ხდებოდა. ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ჩვენს მიერ დაქირავებული ადგილები იყო სუფთა და კომფორტული, და მაინც, ამ ყველაფერში დაახლოებით 75 პროცენტი არ ემთხვეოდა ჩვენს მოლოდინს.

იყო დრო, როცა ჩვენს სამგზავრო გუნდს პირდებოდნენ ადრეულ რეგისტრაციას; და მაინც, როცა ჩავიდოდით, გვეუბნებოდნენ, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ოთახები არ იქნებოდა. სასტუმროს თანამშრომლები ხშირად არასწორ ინფორმაციას იძლეოდნენ ჩვენი შეხვედრის დროსთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მათ რამდენჯერმე ვუთხარით, დაბეჭდილი მასალებიც კი გავუგზავნეთ ზუსტი თარიღით და დროით. ხშირად, სასტუმროს და საბანკეტო დარბაზის თანამშრომლები უხეშები და ზარმაცები იყვნენ. ხშირად სემინარებზე შემოთავაზებული კვება არ იყოს ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო.

მახსოვს ერთხელ, კერძოდ, როცა დესერტი მიართვეს ჩვენს ქრისტიან ქალბატონებს (დაახლოებით რვაასს) შეზავებული იყო სპირტიანი სასმელით. სამზარეულოში ჩვენი თეფშები აერიათ

ბონება - ბრძოლის ველი

ქორწილის სუფრის თევშებთან. არ არის საჭირო იმის თქმა, რომ ცოტა შეგვრცხვა, როცა ქალები გვეუბნებოდნენ, რომ დესერტს ისეთი გემო ჰქონდა, თითქოს ლიქიორი ერია მასში.

შემიძლია კიდევ გავაგრძელო და გავაგრძელო, მაგრამ აზრი შემდეგში მდგომარეობს: ხანდახან, მაგრამ ძალიან იშვიათად, ჩვენ აღმოვჩნდებით სრულყოფილ ადგილზე, სრულყოფილი ხალხით და სრულყოფილი სემინარით.

საბოლოოდ მივხვდი, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მაკარგვინებდა ეს სიტუაციები მოუთმენლობას და ცუდად მიწევდა მოქცევა, იყო ის, რომ მე იდეალისტი ვიყავი და არა რეალისტი.

მე არ ვგეგმავ დამარცხებისთვის, მაგრამ მახსოვს, იესომ თქვა, რომ ამ ქვეყანაზე ჩვენ მოგვინვეს გასაჭირის, განსაცდელის, დარდისა და იმედგაცრუების დათმენა. ესენი ცხოვრების ნაწილია დედამიწაზე – როგორც მორწმუნისთვის, ისე ურწმუნოსთვის. მაგრამ ვერანაირი მარცხი ამ ქვეყანაზე ვერ გვავენებს, თუ სულის ნაყოფის გამოვლენით ღმერთის სიყვარულში დავრჩებით.

ბანახლება: ჩვენ კვლავ ბევრს ვმოგზაურობთ, და მსახურებაში მოგზაურობის ოცდახუთი წლის შემდეგ ისევ გვაქვს უხერხულობები და წარუმატებლობები მრავალ ადგილზე. ბოლო ორი კონფერენციის განმავლობაში, როცა საღამოს სესიის შემდეგ ოთახში დაბრუნებისას, ჩვენი გასაღები ვერ აღებდა კარებს. ვერ გამიგია, რატომ ცვლის სასტუმროს კომპიუტერული სისტემა გასაღებს, როცა კლიენტი ჯერ კიდევ ოთახშია, მაგრამ ეს ხშირად ხდება. ჩვენ ველოდებით დერეფანში, როცა ვილაც მიდის მისაღებთან ახალი გასაღების ასაღებად და, რა თქმა უნდა, ისინი ყოველთვის ბოდიშებს იხდიან.

ახლა იშვიათად გვწყდება გული ჩვენი მოგზაურობების არასრულყოფილების გამო, რადგან ვიცით, რომ ეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ჩვენი საქმე არ არის მდგომარეობის გაკონტროლება, არამედ მათდამი ღვთისმოსავი გზით გამოხმაურება.

სულბრძელობა: მოთმენის ძალა

„ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე“.

კოლასელთა 3:12

მე ხშირად მივმართავ ამ მუხლს, რათა გავისხენო თუ როგორი საქციელს უნდა ვავლენდე ნებისმიერ სიტუაციაში. საკუთარ თავს ვახსენებ, რომ მოთმინება არ არის ჩემი დალოდების უნარი, არამედ ჩემი უნარი სწორი დამოკიდებულება მიქონდეს ლოდინის დროს.

მოთმინება მოღის განსაცდელის ეფექტებით

„ყოველივე სიხარულად ჩათვალეთ, ჩემო ძმებო, როდესაც მრავალნაირ განსაცდელში ცვივდებით. რაკი იცით, რომ თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას შობს. მოთმინებას კი ჰქონდეს სრულყოფილი მოქმედება, რათა იყოთ სრულქმნილნი, ნუნდაუდებელნი და ყოველმხრივ უნაკლონი“.

იაკობი 1:2-4

მოთმინება სულის ნაყოფია (იხ. გალ. 5:22) და ჩადებულია ყოველი ხელახლად შობილი ადამიანის სულში. მოთმინების გამოვლენა მისი ხალხის მიერ უფლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. მას სურს, რომ სხვა ადამიანებმა მისი ხასიათი დაინახოთ მისი შვილების მეშვეობით.

იაკობის წიგნის პირველი თავი გვასწავლის, რომ როცა სრულყოფილები გავხდებით, არანაირი ნაკლი აღარ გვექნება. ეშმაკს არ შეუძლია სულგრძელი ადამიანის გაკონტროლება.

იაკობის 1 ასევე გვასწავლის, რომ უნდა ვხარობდეთ, როცა სხვადასხვაგვარ განსაცდელში აღმოვჩნდებით, და ვიცოდეთ, რომ მეთოდი, რომელსაც ღმერთი იყენებს ჩვენი მოთმინების წარმოსაქმნელად, არის „სხვადასხვა განსაცდელი“.

ჩემს ცხოვრებაში აღმოვაჩინე, რომ „სხვადასხვა განსაცდელებმა“ მართლაც მოიტანა ჩემში მოთმინება, მაგრამ თავიდან ისინი წარმოქმნიდნენ ბევრ ისეთ რამეს, რომლებიც არ იყო ღვთისმოსავი თვისებები. ისე ჩანს, რომ ეს სხვა მდგომარეობები უნდა გავიაროთ და დავუპირისპირდეთ მათ, სანამ მოთმინება გამოჩნდება.

ბანსაცდელეპი თუ არახელსაყრელი მდგომარეობა?

„და დაიდრნენ ჰორის მთიდან მენამული ზღვისაკენ მიმავალი გზით, რათა გვერდი აევლოთ ედომის ქვეყნისთვის. და ხალხმა გამოავლინა სულმოკლეობა გზაზე“.

რიცხვთა 21:4

თუ გახსოვთ, უდაბნოს ერთ-ერთი აზროვნება იყო სულსწრაფი დამოკიდებულება, რომლის გამოც ისრაელიანელები ორმოცი წლის განმავლობაში დაეხეტებოდნენ უდაბნოში. მათი განსაცდელეები მართლა საშინელი იყო, თუ უბრალოდ არახელსაყრელი მდგომარეობები? დარწმუნებული ვარ ზოგი სხვებზე უარესი იყო, მაგრამ საკმაოდ ხშირად ჩვენ ვწუნუნებით ისეთ რამეებზე, რასაც მოწიფული ადამიანი ყურადღებასაც კი არ მიაქცევდა.

როგორ შეეძლოთ ამ ადამიანებს ყოფილიყვნენ მზად ალთქმულ მინაზე შესასვლელად და გაეძევებინათ იქიდან ყველა მცხოვრები, რომ დაუფლებოდნენ მინას, თუ ისინი მოთმინებას და სიმტკიცეს ვერ იწარჩუნებდნენ მცირე მოუხერხებლობის დროს კი?

მე ნამდვილად მოგიწოდებთ თქვენ, რომ ითანამშრომლოთ სულიწმიდასთან, სანამ იგი აყალიბებს თქვენში მოთმინების ნაყოფს. რაც უფრო მეტს შეუძლით მას ხელს, მით მეტ ხანს გასტანს პროცესი. ისწავლეთ მოთმინების გამოვლინება ყოველგვარ განსაცდელში და ისეთ ცხოვრებას აღმოაჩენთ, რომელშიც არა მარტო დაგჭირდებათ მოთმინება, არამედ მისით სრულად ისიამოვნებთ კიდევაც.

მოთმინებისა და სიმტკიცის მნიშვნელოვნება

„მოთმინება გმართებთ თქვენ, რათა აღასრულოთ ღვთის ნება და მიიღოთ ალთქმული“.

ებრაელთა 10:36

წმიდა წერილი გვასწავლის, რომ მოთმინებისა და სიმტკიცის გარეშე ვერ მივიღებთ ღმერთის ალთქმებს. ებრაელთა 6:12 გვეუბნება, რომ მხოლოდ რწმენითა და მოთმინებით შეგვიძლია ალთქმების დამკვიდრება.

ამპარტავანი ადამიანი მოქმედებს თავისი ხორცის ძალაზე დაყრდნობით და ცდილობს რომ ყველაფერი თავისთვის სასურველ დროს დაამთხვიოს. სიამაყე ამბობს: „მზად ვარ ახლა!“

თავმდაბლობა ამბობს: „ღმერთმა უკეთ იცის და იგი არ დააგვიანებს!“

თავმდაბალი ადამიანი სულგრძელობით იცდის; მას ფაქტობრივად გააჩნია თავისი ხორცის ძალით მოქმედების „მონინებითი შიში“. მაგრამ ამაყი ადამიანი ცდის ერთ რამეს მეორეზე, ყოველგვარი სარგებლის გარეშე.

სწორი ხაზი ყოველთვის არ არის უმოკლესი გზა მიზნისაკენ

„არის გზა, რომელიც სწორი ჩანს კაცის წინაშე, მისი ბოლო კი სიკვდილის გზებია“.

იგავები 16:25

ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ სულიერ სამყაროში ხანდახან სწორი ხაზი არ არის უმოკლესი გზა ჩვენსა და იმ ადგილს შორის, სადაც გვინდა რომ ვიყოთ. ის შეიძლება ყველაზე უმოკლესი გზა აღმოჩნდეს დანგრევამდე!

უნდა ვისწავლოთ სულგრძელება და უფლის დალოდება, თუნდაც ისე ჩანდეს, თითქოს მას შემოსასვლელი გზით მივყავართ ჩვენს სასურველ დანიშნულებამდე მისასვლელად.

უამრავი უბედური, განუხორციელებელი ქრისტიანია ქვეყანაზე მხოლოდ იმიტომ, რომ დაკავებულები არიან მცდელობებით მოახდინონ რამე, ნაცვლად უფლის მოთმინებით დალოდებისა, რომ მან აღასრულოს ყოველივე თავის დროზე და თავისი გზებით.

როდესაც ცდილობთ ღმერთის დალოდებას, ეშმაკი შეუტევს თქვენს გონებას გამუდმებული მოთხოვნებით, რომ „მოიმოქმედოთ რამე“. მას სურს ხორციელი მცდელობებით და მოქმედებით იაროთ, რადგან იცის, რომ ხორცი ვერ ისარგებლებს (იხ. იოანე 6:63; რომაელთა 13:14).

როგორც უკვე ვნახეთ, მოუთმენლობა სიამაყის ნიშანია და ერთადერთი პასუხი სიამაყისთვის არის თავმდაბლობა

დამდაბლდით და დაელოდეთ უფალს

„მაშ, დამდაბლდით [თქვენს წარმოდგენებში] ღვთის ძლიერი ხელის ქვეშ, რათა აგამაღლოთ მან თავის დროზე“.

1 პეტრე 5:6

ეს ფრაზა „დამდაბლდით თქვენს წარმოდგენებში“ არ ნიშნავს, რომ ცუდად იფიქროთ საკუთარ თავზე. იგი უბრალოდ ნიშნავს: „ნუ იფიქრებთ, რომ შეძლებთ ყველა პრობლემის თქვენით მოგვარებას“.

ნაცვლად იმისა, რომ სიამაყით ავიღოთ სადავეები საკუთარ ხელში, ჩვენ უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის დამდაბლება ღმერთის ძლიერი ხელის ქვეშ. როცა იგი გადანყვეტს, რომ დრო დადგა, იგი აგვამაღლებს და წამოგვწევს.

როდესაც ჩვენ ველოდებით უფალს და უარს ვაცხადებთ ხორციელი სწრაფვით სიარულზე, „ვუკვდებით საკუთარ თავს“. ვუკვდებით ჩვენს საკუთარ გზებს და ჩვენს დროს და ვცოცხლდებით ღმერთის ნებისთვის და გზისთვის, რომლებიც მას ჩვენთვის აქვს.

ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ სწრაფი მორჩილებაში, გავაკეთოთ ნებისმიერი რამ, რასაც ღმერთი გვეტყვის, მაგრამ ასევე უნდა ვუფრთხოდეთ ხორციელ სიამაყეს. გახსოვდეთ: მოუთმენლობის ფესვი სიამაყეა. ამაყი ადამიანი ამბობს: „თუ შეიძლება არაფერზე მალოდინოთ; ყველაფერს დაუყონებლივ ვიმსახურებ“.

როდესაც თქვენთან ცდუნება მოდის, რომ იმეგვაცრუებული ან მოუთმენელი იყოთ, გირჩევთ დაიწყოთ შემდეგის თქმა: „უფალო, მინდა შენი ნება აღსრულდეს შენს დროს. არ მინდა გასწრებდე ან ჩამოგრჩებოდე. დამეხმარე, მამა, რომ მოთმინებით გელოდებოდე შენი!“

თავი

21

„ჩემი საქციელი შეიძლება არასწორი
იყოს, მაგრამ ეს ჩემი პრაღი არ არის“
უღაბნოს აზროვნება №6

პასუხისმგებლობის ალების სურვილის არ ქონა საკუთარი ქმედებებისათვის, ყველაფერი არასწორის სხვებზე დაბრალება უდაბნოში ცხოვრების ძირითადი გამომწვევი მიზეზია.

ჩვენ ვხედავთ პრობლემას, რომელიც დასაწყისიდანვე ვლინდებოდა. ადამმა და ევამ, როდესაც მხილებულნი იყვნენ ცოდვაში, ერთმანეთი, ღმერთი და ეშმაკი დაადანაშაულეს, ამგვარად, თავიანთი ქმედებების გამო პასუხისმგებლობას თავიდან ირიდებდნენ.

„და უთხრა ადამმა: „დედაკაცმა, რომელიც შენ მომეცი, მომცა ხიდან და შევჭამე.“ და უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: „ეს რა გააკეთე?“ და უთხრა დედაკაცმა: „გველმა მაცდუნა და შევჭამე.“

დაბადება 3:12,13

ყველაფერი შენი ბრალია!

„დასაწყისში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა. და მიწა იყო უსახურ უდაბური, და იყო ბნელი უფსკრულის პირზე. და სული ღვთისა იძვროდა წყლის პირზე. და თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგი იყო, და გაჰყო ნათელი ბნელისაგან. და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს უწოდა ღამე. და იყო საღამო და იყო დილა – ერთი დღე. და თქვა ღმერთმა: „იყოს მყარი წყლებს შორის მათ გამყოფად“.

დაბადება 1:1-6

სცენარი, რომელიც ადამსა და ევას შორის დატრიალდა, განმეორდა აბრამსა და სარას შორის. ისინი დაილაღნენ ღმერთისადმი ლოდინით თავისი ალთქმის აღსასრულებლად შვილთან დაკავშირებით, ამიტომ მათ ხორციით დაიწყეს მოქმედება და „თავიანთი საქმე გააკეთეს“. როცა ეს ცუდად შემოტრიალდა და პრობლემები წარმოქმნა, მათ ერთმანეთზე გადაბრალება დაიწყეს. წარსულში მე ასეთ სცენას უამრავჯერ შევხვედრე ვარ ჩემსა და დეივს შორის. გამოდიოდა, რომ ჩვენ გამუდმებით ვარიდებდით თავს პასუხისმგებლობას, ცხოვრებაში რეალური პრობლემების დროს, თითქოს არასოდეს გვინდოდა მათთან დაპირისპირება.

ბონება - ბრძოლის ველი

მკაფიოდ მახსოვს, როგორ ვლოცულობდი, რომ დეივი შეცვლილიყო. ვკითხულობდი ჩემს ბიბლიას და უფრო მეტად და მეტად ვხედავდი მის ნაკლს და რამდენად სჭირდებოდა მას, რომ შეცვლილიყო! როცა ვლოცულობდი უფალი დამელაპარაკა და მითხრა: „ჯოის, დეივი არ არის პრობლემა... შენ ხარ“.

განადგურებული ვიყავი. ვტიროდი და ვტიროდი. სამი დღის განმავლობაში ვგოდებდი, რადგან ღმერთი მანახებდა თუ როგორი იყო ჩემთან ერთად ერთ სახლში ცხოვრება. მან დამანახა, თუ როგორ ვცდილობდი ყველაფრის გაკონტროლებას რაც კი ხდებოდა, როგორ ვბუზღუნებდი და ვწუნუნებდი, რა რთული იყო ჩემი გულის მოგება, რა ნეგატიური ვიყავი – და ა.შ. ეს იყო საშინელი დარტყმა ჩემს სიამაყეზე, მაგრამ ეს ასევე უფალში აღდგენის დასაწყისი იყო.

როგორც ბევრი სხვა, ყველაფერში ვადანაშაულებდი სხვა ადამიანებს ან გარემოებებს, რომლებიც არ ექვემდებარებოდა ჩემს კონტროლს. ვფიქრობდი, ცუდად იმიტომ ვიქცეოდი, რომ შეურაცხყოფილი ვიყავი, მაგრამ ღმერთმა მითხრა: „შეურაცხოფა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რატომაც იქცევი ასე, მაგრამ ნუ აქცევ მას თავის მართლებად, რომ ასე დარჩე!“

ემშაკი ბევრს შრომობს ჩვენს გონებაზე – აშენებს სიმაგრეებს, რომლებიც ხელს შეგვიშლიან ჭეშმარიტების დანახვაში. ჭეშმარიტება გაგვათავისუფლებს და მან იცის ეს!

არ ვფიქრობ, რომ არის რაიმე ემოციურად უფრო მტკივნეული, ვიდრე სიმართლე ჩვენსა და ჩვენი საქციელის შესახებ. იმის გამო, რომ მტკივნეულია, ხალხის უმრავლესობა გაურბის მას. საკმაოდ ადვილია სიმართლის დანახვა ვინმე სხვაზე – მაგრამ, როცა საქმე გვეხება ჩვენ, უფრო მეტად გვიჭირს ამის ატანა.

ოუ...

„ლაპარაკობდა ხალხი ღმერთისა და მოსეს წინააღმდეგ: „რად გამოგვიყვანეთ ეგვიპტიდან, რომ დავიხოცოთ უდაბნოში? რადგან არაა პური და არც წყალი. და ჩვენს სულს შესძაგდა ეს უვარგისი საჭმელი.“

რიცხვთა 21:5

როგორც გახსოვთ, ისრაელიანელები წუნუნებდნენ, რომ ყველა მათი პრობლემა იყო ღმერთის და მოსეს ბრალი. მათ წარმატებით აირიდეს თავიდან ნებისმიერი პირადი პასუხისმგე-

ბლობა მიზეზებზე, რატომაც რჩებოდნენ უდაბნოში ასე დიდ ხანს. ღმერთმა მაჩვენა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი უდაბნოს აზროვნება, რომელმაც დატოვა ისინი იქ ორმოცი წლის მანძილზე.

ეს ასევე იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რატომაც მრავალი წელი გავატარე ერთი და იგივე მთის გარშემო ტრიალით ჩემს ცხოვრებაში. ჩემი თავის მართლების სია, რატომაც ვიქცეოდი ცუდად, იყო უსასრულო:

„თუ შეურაცხყოფილი არ ვიქნებოდი ბავშვობაში, არ მექნებოდა ცუდი ხასიათი“.

„თუ ჩემი შვილები მეტად დამეხმარებოდნენ, მე უკეთ მოვიქცეოდი“.

„თუ დეივი არ ითამაშებდა გოლფს, ასე გულდანყვეტილი არ ვიქნებოდი მისით“.

„თუ დეივი მეტს დამელაპარაკებოდა, ასე მარტო არ ვიქნებოდი“.

„თუ დეივი მიყიდიდა მეტ საჩუქარს, არ ვიქნებოდი ასე ნეგატიური“.

„თუ არ მომიწევდა მუშაობა, არ ვიქნებოდი ასე დაღლილი და დაქანცული“. (ამიტომ თავი დავანებე მუშაობას, და შემდეგ...)

„თუ სახლიდან უფრო ხშირად გამოვიდოდი, აღარ ვიქნებოდი ასე დაღლილი!“

„თუ ბევრი ფული გვექნება..“.

„თუ ჩვენი საკუთარი სახლი გვექნება..“. (ასე, რომ ვიყიდეთ სახლი და შემდეგ, იგი იყო...)

„თუ ამდენი გადასახადების ქვითრები არ მოგვივიდოდა..“.

„თუ უკეთესი მეზობლები გვეყოლება ან სხვა მეგობრები..“.

თუ! თუ! თუ! თუ! თუ! თუ! თუ! თუ! თუ!

მაგრაბ

„და უთხრა უფალმა მოსეს, ასე: „გაგზავნე კაცები და დაზვერონ ქანაანის ქვეყანა, რომელსაც მე ვაძლევ ისრაელის ძეთ. თითო კაცი თავისი მამის ტომიდან გაგზავნეთ. ყოველი მთავარი მათ შორის. და გაგზავნა ისინი მოსემ ფარანის უდაბნოდან უფლის სიტყვისამებრ. ესენი იყვნენ კაცნი, ისრაელის ძეთა მთავარნი. და დაბრუნდნენ ქვეყნის დაზვერვიდან ორმოცი დღის შემდეგ. და წამოვიდნენ, მივიდნენ მოსესთან და აარონთან, და ისრაელის მთელ თემთან ფარანის უდაბნოში, კადეშში, და მოუთხრეს მათ ამბავი მთელ თემს, და აჩვენეს მათ იმ ქვეყნის ნაყოფი“.

რიცხვთა 13:1-3,25-28

„თუ“ და „მაგრაბ“ არის ორი ყველაზე მაცდური სიტყვა, რომელთაც ეშმაკი ოდესმე თესავს ჩვენს გონებაში. თორმეტი მზვერავი, რომლებიც წარგზავნილნი იყვნენ ალექსანდრე მინაზე, როგორც ჯაშუშთა გუნდი, დაბრუნდნენ ყურძნის ერთი იმდენად დიდი მტევნით, რომ ორ კაცს მოჰქონდა ჯოხზე გადაკიდებული, მაგრაბ ანგარიში, რომელიც მათ მოსეს და ხალხს ჩააბარეს, იყო ნეგატიური.

სწორედ „მაგრაბ“-ი იყო, რომელმაც დაამარცხა ისინი! მათი თვალები ღმერთისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული და არა პოტენციური პრობლემისკენ.

ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაც გვამარცხებენ ჩვენი პრობლემები, არის ის, რომ ისინი ღმერთზე დიდია გვგონია. ეს ასევე შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, თუ რატომ გვიჭირს ჭეშმარიტების დანახვა. ჩვენ არ ვართ დარწმუნებულები, რომ ღმერთს შეუძლია ჩვენი შეცვლა, ამიტომ ვემალებით საკუთარ თავს, ნაცვლად იმისა, რომ დავინახოთ საკუთარი თავი, ისეთი როგორიც არის.

ახლა იმდენად აღარ მიჭირს ჩემს შესახებ ჭეშმარიტებისთვის თვალის გასწორება, როცა ღმერთი მუშაობს ჩემში, რადგან ვიცი, რომ მას შეუძლია ჩემი შეცვლა. უკვე მინახავს, თუ რისი გაკეთება შეუძლია მას და მეც ვენდობი. თუმცა, ჩემს მასთან ერთად სვლის დასაწყისში, ძნელი იყო. ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი იმაში გავატარე, რომ ვიმალებოდი ან ერთი ან მეორე რამისგან. მე ვცხოვრობდი სიბნელეში იმდენი ხნის განმავლობაში, რომ სინათლეზე გამოსვლა არ იყო ადვილი.

სიმაართლე შინაგანში

„გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი. რაჟამს მივიდა მას-თან ნათან წინასწარმეტყველი, მას შემდეგ, რაც ბათ-შებაყთან შევიდა. შემინყალე, ღმერთო, შენი წყალობისამებრ, შენი მრავალი შემბრალელობისამებრ ნაშალე ჩემი დანაშაული. მრავლად განმბანე ჩემი ბრალისაგან და ჩემი ცოდვისაგან განმწმიდე, რადგან ვიცი ჩემი დანაშაული, და ჩემი ცოდვა მუდამ თვალწინ მიდგას. შენ, მხოლოდ შენ შემოგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს სიტყვებში და სწორი - შენს სამართალში. აჰა, უკანონოდ ჩავისახე და ცოდვით დაორსულდა ჩემზე დედაჩემი. აჰა, შენ შეიყვარე ჭეშმარიტება გულით და გამაგებინე სიბრძნე ფარული.“ ფსალმუნი 50:1-8

50-ე ფსალმუნში, მეფე დავითი შეჰლაღადებდა ღმერთს წყალობისა და პატიებისათვის, რადგან უფალი ეუბნებოდა მას მის ცოდვაზე ბათ-შებაყთან და მისი ქმრის მკვლელობაზე.

გჯერათ თუ არა, დავითის ცოდვა ერთი სრული წლით ადრე მოხდა ამ ფსალმუნის დაწერამდე, მაგრამ იგი არასოდეს რეალურად არ დაპირისპირებია მას და არც გაუცნობიერებია. იგი არ ეძებდა სიმაართლეს და ამის გამო, არ შეეძლო გულწრფელად მოენანიებინა. და რადგანაც არ შეეძლო გულწრფელად მონანიება, ღმერთს არ შეეძლო მისი პატიება.

ამ ნაწყვეტი მე-6 მუხლი ძლიერი ადგილია. იგი ამბობს, რომ ღმერთს სურს სიმაართლე „შინაგანში“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ გვსურს ღმერთის კურთხევის მიღება, უნდა ვიყოთ წრფელები მასთან საკუთარ თავსა და ცოდვებთან დაკავშირებით.

აღიარება წინ უსწრებს პატიებას

„თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ, და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევენ ცოდვებს და განგვწმენდს ყოველგვარი უკეთურებისაგან. თუ ვამბობთ, რომ არ შეგვიცოდავს, ცრუდ ვსახავთ მას და მისი სიტყვა არ არის ჩვენში“.

1 იოანე 1:8-10

ბონება - ბრძოლის ველი

ღმერთი მზად არის გვაპატიოს, თუ ჩვენ ჭეშმარიტად მოვინანიებთ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ჭეშმარიტად მოვინანიოთ, თუ არ დავინახავთ და არ მივხვდებით სიმართლეს იმის შესახებ, რაც გავაკეთეთ.

ვალთართ, რომ არასწორად მოვიქეცით, მაგრამ შემდეგ თავი გავიმართლოთ, ეს არ არის სიმართლის წინაშე დადგომის ღვთიური გზა. ბუნებრივად, ჩვენ გვინდა, რომ გავამართლოთ ჩვენი თავები და ქმედებები, მაგრამ ბიბლია ამბობს, რომ ჩვენი გამართლება მოიძებნება მხოლოდ იესო ქრისტეში. (რომაელთა 3:20-24.) თქვენ და მე შეცოდებისგან ვმართლდებით ღმერთის წინაშე მხოლოდ იესოს სისხლით – არა ჩვენი თავის მართლებით.

მასხოვს, როცა ერთ დღეს მეზობელმა დამირეკა და მთხოვა, იგი ბანკში წამეყვანა, სანამ დაიკეტებოდა, რადგან მისი მანქანა ვერ იქოქებოდა. მე დაკავებული ვიყავი „ჩემი საქმით“ და არ მინდოდა შეწყვეტა, ამიტომაც უხეში და აუტანელი გამოვედი მასთან. დავკიდე თუ არა ყურმილი, მივხვდი თუ რა საშინლად მოვიქეცი და ვიგრძენი უნდა დამერეკა მისთვის, ბოდიში მომეხადა და წამეყვანა ბანკში. ჩემი გონება სავსე იყო თავის მართლებებით, რომლებიც უნდა მეთქვა მისთვის, რათა ამეხსნა თუ რატომ მოვიქეცი ასე ცუდად: „ცუდად ვგრძნობდი თავს..“. „დაკავებული ვიყავი..“. „თავად ძალიან მძიმე დღე მქონდა..“.

მაგრამ სულში ღრმად ვგრძნობდი, მეუბნებოდა სულიწმიდა, რომ თავი არ მემართლებინა!

„უბრალოდ დაურეკე მას და უთხარი, რომ შეცდი, და გაჩუმდი! მხოლოდ ეს უთხარი: „მე შევცდი, და არ არსებობს გამართლება იმისა, თუ რატომ მოვიქეცი ასე. გთხოვ მომიტევე და ნება მომეცი წაგიყვანო ბანკში“.

შემიძლია გითხრა, რომ ძნელი იყო ამის გაკეთება. ჩემი ხორცი გაოგნებული იყო! მე ვგრძნობდი, რომ პატარა რალაცა ტრიალებდა ჩემს სამშვიდველში და სასოწარკვეთილად ვცდილობდი ადგილის მოძებნას დასამალავად. მაგრამ არაფერია დამალული ჭეშმარიტებისგან, რადგან ჭეშმარიტება სინათლეა.

ჭეშმარიტება სინათლეა

„დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო დასაწყისში ღმერთთან. ყოვე-

ლივე მის მიერ შეიქმნა და უიმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“.

იოანე 1:1-5

ჭეშმარიტება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია სიბნელის სამეფოს წინააღმდეგ. ჭეშმარიტება სინათლეა და ბიბლია ამბობს, რომ სიბნელეს არასოდეს დაუძლევია სინათლე, და ვერც ვერასოდეს დაძლევს.

ემპაკს სურს რაღაცეების დამალვა სიბნელეში, მაგრამ სულიწმიდას სურს მათი სინათლეზე გამოტანა და მოგვარება, რათა თქვენ და მე ნამდვილად ვიყოთ თავისუფლები.

იესომ თქვა, რომ ჭეშმარიტება გაგვათავისუფლებდა. (იოანე 8:32.) ეს ჭეშმარიტება ცხადდება ჭეშმარიტების სულის მიერ.

ჭეშმარიტების სული

„კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ველარ იტვირთავთ. როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლევთ სრულ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყობთ თქვენ“.

იოანე 16:12,13

იესოს შეეძლო ეჩვენებინა მოწაფეებისთვის სრული ჭეშმარიტება, მაგრამ მან იცოდა, რომ ისინი არ იყვნენ მზად ამისათვის. მან უთხრა მათ დალოდებოდნენ სულიწმიდას, რომ გადმოვიდოდა მათზე ზეციდან და იქნებოდა მათთან და მათში დამკვიდრდებოდა.

იესოს ზეცაში ამაღლების შემდეგ, მან წარმოგზავნა სულიწმიდა, რომ ეშრომა ჩვენთან ერთად, ყოველთვის მოვემზადებინეთ და ჩვენგან მრავალმხრივ გამოვლენილიყო ღმერთის დიდება.

ბონება - ბრძოლის ველი

როგორ შეიძლება გვეყავდეს სულიწმიდა, რომელიც იმოქმედებდა ჩვენში, თუ ჭეშმარიტებას არ შევხედავდით? მას ეწოდება „ჭეშმარიტების სული“. მისი მსახურების მთავარი ასპექტი თქვენთვის და ჩემთვის არის, რომ დაგვეხმაროს შევხვედეთ ჭეშმარიტებას – მიგვიყვანოს ჭეშმარიტების ადგილამდე, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტება გაგვათავისუფლებს.

რაიმე თქვენს წარსულში – პიროვნება, მოვლენა ან გარემოება, რომელმაც გული გატკინათ – შეიძლება იყოს თქვენი არასწორი დამოკიდებულების და ქცევის წყარო, მაგრამ ნუ მისცემთ მას საშუალებას თავის მართლებისთვის, რომ იგივენაირი დარჩეთ.

ბევრი ჩემი ქცევის პრობლემა აშკარად იყო სექსუალური, სიტყვიერი და ემოციური შეურაცხყოფებისაგან მრავალი წლის განმავლობაში – მაგრამ მე გახვეული ვიყავი არასწორ ქცევებში იქამდე, სანამ შეურაცხყოფას მათი გამართლებისთვის ვიყენებდი. ეს იგივეა, რომ იცავდე შენს მტერს სიტყვებით: „მე მძულს ეს, მაგრამ სწორედ ამიტომ ვინახავ მას“.

თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ განიცადოთ ყოველი უღელისგან დიდებული თავისუფლება. არ გჭირდებათ გაატაროთ ორმოცი წელიწადი უდაბნოში ხეტიალით. ან შეიძლება უკვე გაგიტარებიათ იქ ორმოცი წელიწადი ან მეტი, რადგან არ იცოდით, რომ „უდაბნოს აზროვნებები“ გაბრკოლებდნენ თქვენ, შეიძლება დღეს იყოს თქვენი გადანყვეტილების დღე.

სთხოვეთ ღმერთს დაიწყოს თქვენს შესახებ სიმართლის თქვენთვის ჩვენება. როცა დაიწყებს, ჩაეჭიდეთ! არ იქნება ადვილი, მაგრამ გახსოვდეთ, იგი დაგვპირდა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ“. (ებრაელთა 13:5).

თქვენ უდაბნოდან გამოსასვლელ გზას ადგახართ; ისიამოვნეთ ალთქმული მიწით!

თავი

22

**„ჩემი ცხოვრება ქალიან უმნიშვნელოა;
მეცოდება საკუთარი თავი, რადგან ჩემი
ცხოვრება ქალიან საცოდავია!“**

უღახნოს აზროვნება №7

ოსრავლიანელებს ძალიან ეცოდებოდათ საკუთარი თავი. ყოველი გაჭირვება ახალ თავის მართლებად იქცეოდა საკუთარი თავის შესაცოდებლად.

მახსოვს, როცა უფალი დამელაპარაკა ჩემს ერთ-ერთ „საცოდაობის დღესასწაულზე“. მან მითხრა: „ჯოის, შეგიძლია იყო საცოდავი ან ძლიერი, მაგრამ ორივე ერთდროულად ვერ იქნები“.

ეს ის თავია, რომელსაც არ მინდა გაკვრით, სწრაფად გადავურბინო. არსებითად მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ვერ შევძლებთ თვით-შეცოდების დემონებს ვასიამოვნოთ და ასევე ღმერთის ძალაშიც ვიაროთ!

„და აღიმალა ხმა მთელმა თემმა და ტიროდა ხალხი იმ ღამეს. და დრტვინავდა ყოველი ისრელის ძე მოსეზე და აარონზე, და უთხრა მათ მთელმა თემმა: ნეტავ დავხოცილიყავით ეგვიპტის ქვეყანაში, ან ნეტავი ამ უდაბნოში დავხოცილიყავით!“

რიცხვთა 14:1,2

შეაგონეთ და აღაშენეთ ერთმანეთი

„ამიტომ შეაგონეთ ერთმანეთს და აღაშენეთ ერთმანეთი, როგორც იქცევით კიდევ“.

1 თესალონიკელთა 5:11

ძალიან მიჭირდა შეცოდებისთვის თავის დანებება; წლების განმავლობაში ვიყენებდი მას საკუთარი თავის ნუგემისცემისთვის, როცა გულნატკენი ვიყავი.

იმ წუთს, როცა ვინმე გულს გვტკენს, იმ წუთს, როცა იმედგაცრუებას განვიცდით, ეშმაკი ავალეებს დემონს, რომ ჩაგვჩურჩულებდეს ტყუილებს იმის შესახებ, თუ რა ბოროტად და უსამართლოდ მოგვექცენ.

ერთადერთი, რაც მოგეთხოვებათ, არის მოუსმინოთ ამ აზრებს, რომლებიც იჭრებიან თქვენს გონებაში ასეთ დროს და

ბონება - ბრძოლის ველი

სწრაფად გააცნობიერებთ, თუ როგორ იყენებს მტერი თვით-შეცოდებას, რათა შებოჭილობაში ვყავდეთ.

თუმცა, ბიბლია არ გვაძლევს თავისუფლებას, რომ თავს ვიცოდებდეთ. პირიქით, ჩვენ ერთმანეთს უნდა შევაგონებდეთ და ვაშენებდეთ უფალში.

არსებობს თანაგრძნობის ნამდვილი ნიჭი, რომელიც ნიშნავს ღვთისმოსავი შეცოდების გამოხატულებას სხვების მიმართ, ვისაც სტიკვა და ვატარებდეთ ჩვენს ცხოვრებას მათი ტანჯვების შესამსუბუქებლად. მაგრამ თვითშებრალება არასწორია, რადგან ეს ნიშნავს იმის აღებას, რაც ღმერთმა განიზრახა სხვებისთვის მისაცემად და საკუთარი თავისთვის გამოყენებას.

სიყვარულიც იგივენაირადაა. რომაელთა 5:5 ამბობს, რომ ღმერთის სიყვარული უხვად ჩაიღვარა ჩვენს გულებში სულიწმიდის მიერ. მან გააკეთა ეს საქმე, რათა ჩვენ გვცოდნოდა თუ რამდენად ვუყვარვართ ღმერთს და რომ შეგვეძლოს სხვების სიყვარული.

როცა სიყვარულს, რომელიც ღმერთმა გასაცემად განიზრახა, შემოვატრიალებთ საკუთარი თავებისკენ, იგი გადაიქცევა ეგოიზმად და ეგოცენტრიზმად, რომელიც ფაქტობრივად გვანადგურებს. თვითშებრალება კერპთაყვანისცემაა – შემობრუნება ჩვენსკენ, კონცენტრირება ჩვენზე და ჩვენს გრძნობებზე, იგი გვაფხიზლებს მხოლოდ საკუთარ თავებზე, ჩვენს საჭიროებებსა და საზრუნავზე – და ეს, რა თქმა უნდა, ვინროდ აზროვნების ცხოვრების წესია.

იწიქრეთ სხვებზე

„თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებთ, არამედ სხვებზეც“.

ფილიპელთა 2:4

ამას წინათ ჩვენი ერთ-ერთი გამოსვლა მოულოდნელად გადაიდო. მას მე სულმოუთმენლად ველოდებოდი და თავიდან, ცოტა გულდანყვეტილი ვიყავი. იყო დრო, როცა ამის მსგავსი შემთხვევა გადამადებდა თვითშებრალებაში, მეორე მხარეს კრიტიკაში, გასამართლებაში და ყოველგვარ სხვა ნეგატიურ ფიქრსა და ქმედებაში. მას შემდეგ ვისწავლე ამგვარ სიტუაციაში გაჩუმება; უკეთესია არაფერი თქვა, ვიდრე არასწორი თქვა.

როცა წყნარად ვიჯექი, ღმერთმა დაიწყო ჩემთვის მდგომარეობის ჩვენება სხვა მონაწილე ადამიანების თვალთახედვიდან. მათ ვერ შეძლეს შენობის მოძებნა, სადაც შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო, და ღმერთმა დამანახა, თუ რამდენად გულგასატეხი იყო ეს მათთვის. მათ ჰქონდათ შეხვედრის იმედი, დიდი მოლოდინი მის მიმართ და ახლა ვერ ატარებენ მას.

საოცარია, თუ რა ადვილია თვითშებრალებას მოსცილდე, თუ სხვა ადამიანს შეეხედავთ და არა მხოლოდ საკუთარ თავს. თვითშებრალება ნიშნავს მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრს და არა სხვაზე.

ხანდახან, თანაგრძნობის მიღების მცდელობით ვფიქვავთ საკუთარ თავებს. დიახ, თვითშებრალება დიდი მახეა და ეშმაკის ერთ-ერთი საყვარელი იარაღი, რომ უდაბნოში გვამყოფოს. თუ ფრთხილად არ ვიქნებით, ჩვენ ფაქტობრივად შეიძლება მიდრეკილები გავხდეთ მის მიმართ.

მიდრეკილება ავტომატური გამოხმაურებაა ზოგ სტიმულზე – ნასწავლი საქციელი, რომელიც ჩვევაში გადაიზარდა.

რამდენ დროს ხარჯავთ თქვენს თვით-შეცოდებაში? როგორ გამოეხმაურებით იმედგაცრუებებს?

ქრისტიანს გააჩნია იშვიათი პრივილეგია, როცა განიცდის იმედგაცრუებას – მას შეუძლია იმედი აღუდგეს. ღმერთთან ერთად ყოველთვის არის შესაძლებელი ახალი დასაწყისი. თუმცა, თვითშებრალება წარსულის მახეში გვამყოფებს.

ბაუშვი ხელი და ნება მიეცით ღმერთს!

„ნუ გაიხსენებთ პირვანდელს და წარსულზე ნუ იფიქრებთ. აჰა, მე შევექმნი ახალს, ახლა აღმოცენდება იგი, განა ვერ შეიტყობთ ამას? უდაბნოშიც გავიყვან გზას, ტრამალზე – მდინარეებს“.

ესაია 43:18,19

ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრი წელი დავკარგე საკუთარი თავის შეცოდებით. მე მიდრეკილების ერთ-ერთი შემთხვევა ვიყავი. ჩემი ავტომატური პასუხი ნებისმიერ იმედგაცრუებაზე იყო თვითშებრალება. ეშმაკი მყისვე აავსებდა ჩემს გონებას არასწორი ფიქრებით და არ ვიცოდი რა როგორ „მეფიქრა

იმაზე, რაზეც ვფიქრობდი,“ მე უბრალოდ ვფიქრობდი ნებისმიერ რამეზე, რაც ჩემს გონებაში მოვიდოდა. რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეტად საცოდავი ვხდებოდი.

ხშირად ვყვები ამბებს ქორწინების ადრეული წლების შესახებ. ყოველ კვირა შუადღეს, ფეხბურთის სეზონის განმავლობაში, დეივს სურდა თამაშების ყურება ტელევიზიით. თუ არ იყო ფეხბურთის სეზონი, სხვა „რალაც-ბურთის“ სეზონი იყო. დეივს მოსწონდა ყველაფერი, ხოლო მე არც ერთი არ მომწონდა. მას მოსწონდა ყველაფერი, სადაც ბურთი დახტუნაობდა და ადვილად აღმოჩნდებოდა ხოლმე რაიმე სპორტის მოვლენით დაკავებული, რომელიც მანამდე არც კი იცოდა, რომ არსებობდა.

ერთხელ მის წინ დავდექი და გასაგებად ვუთხარი: „დეივ, საერთოდ, არ ვგრძნობ თავს კარგად; ვგრძნობ, რომ მოვკვდები“.

ისე, რომ თვალებიც კი არ მოუწყვეტია ტელევიზორის ეკრანიდან მან თქვა: „ოჰ, მშვენიერია, ძვირფასო“.

ბევრი კვირა შუადღე გამიტარებია გაბრაზებულს და თვითშეცოდებაში. ყოველთვის ვალაგებდი სახლს, როცა დეივზე ვბრაზდებოდი. ვიცი, როგორ ვაგრძნობინო მას თავი დამნაშავედ იმის გამო, რომ თავისთვის ერთობა, როცა მე ასე საცოდავი ვიყავი. ქარიშხალივით დავდიოდი ხოლმე სახლში საათების განმავლობაში, ვაჯახუნებდი კარებებს და უჯრებს, ვმარშირებდი წინ და უკან ოთახში, სადაც იგი იყო, მტვერსასრუტით ხელში და ხმამაღლა ვაჩვენებდი, თუ რა ბევრს ვშრომობდი.

მე, რა თქმა უნდა, ვცდილობდი მისი ყურადღების მიპყრობას, მაგრამ იგი თითქმის საერთოდ არც კი მამჩნევდა. დავნებდებოდი, სახლის უკანა ნაწილში მივიდოდი, დავჯდებოდი აბაზანაში იატაკზე და დავიწყებდი ტირილს. რაც უფრო მეტს ვტიროდი, მით უფრო საცოდავად ვგრძნობდი თავს. მომდევნო წლებში ღმერთმა მომცა გამოცხადება იმის შესახებ, თუ რატომ მიდის ქალი აბაზანაში სატირლად. მან მითხრა, ეს ხდება იმიტომ, რომ იქ არის დიდი სარკე და მას შემდეგ, რაც დიდი ხნის განმავლობაში ტიროდა, შეუძლია წამოდგეს და დიდხანს უყუროს საკუთარ თავს და ნახოს, თუ მართლაც რა საცოდავად გამოიყურება იგი.

ხანდახან ისე საშინლად გამოვიყურებოდი, რომ როცა დავინახავდი ჩემს გამოსახულებას სარკეში ხელახლად ვინწყებდი ტირილს. ბოლოს, ჩემს უკანასკელ მწუხარე გასეირნებას მოვახდენდი საერთო ოთახში, სადაც დეივი იყო, გავივლიდი ნელა და საცოდავად. იგი ხანდახან გამომხედავდა იმდენად ხანგრძლივად, რომ ეთხოვა ჩემთვის ცივი ჩაის მოტანა, თუკი სამზარეულოსკენ მივემართებოდი.

ამის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ყველაფერი არ გამომდიოდა! ჩემი თავი ემოციურად გამოვფიტე – ხშირად იმით მთავრდებოდა ეს, რომ ფიზიკურადაც კი ცუდად ვხდებოდი ყველა არასწორი ემოციის გამო, რომელთაც დღის განმავლობაში განვიცდიდი.

ღმერთი არ გაგათავისუფლებს შენი საკუთარი ხელით, არამედ მისით. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ხალხის შეცვლა! არავის სხვას, გარდა ყოვლისშემძლე ღმერთისა. მას, ერთადერთს, შეეძლო დეივის იმედგაცრუებამდე მიყვანა, რომ არ ეყურებინა იმდენხანს სპორტისთვის, რამდენსაც უყურებდა. როცა ვისწავლე უფლის ნდობა და თვითშეზღუდვაში გორაობის შეწყვეტა, როცა რაიმე ჩემებურად არ ხდებოდა, დეივი უფრო მეტად მოვიდა ბალანსში ყოველი სპორტული თამაშის ყურებასთან დაკავშირებით.

მას კვლავ მოსწონს ეს თამაშები, მე კი – აღარ მანუხებს. დროს ვიყენებ, რომ ვაკეთო ის, რაც მსიამოვნებს. თუ მე ნამდვილად მინდა ან მჭირდება რაიმეს გაკეთება, დეივს ვთხოვ თავაზიანად (არა გაბრაზებულად) და უმეტეს შემთხვევებში იგი მზად არის შეცვალოს თავისი გეგმები. თუმცა, არის ისეთი მომენტები – და ყოველთვის იქნება – როცა როგორც მე მინდა ისე არ ხდება. ვგრძნობ თუ არა, რომ ჩემი ემოციები იწყებს ნამონევას, ვლოცულობ: „ო, ღმერთო, დამეხმარე ამ გამოცდის ჩაბარებაში. არ მინდა ამ მთას თუნდაც კიდევ ერთი წრე დავარტყა!“

თავი

23

**„არ ვიმსახურებ ღმერთის კურთხევას,
რადგან უღირსი ვარ“**

უდაბნოს აზროვნება №8

მას შემდეგ, რაც იესო ნავეს ძემ ისრაელიანელები იორდანეს გადალახვით აღთქმულ მიწაზე შეიყვანა, ღმერთს რალაცის გაკეთება სურდა, სანამ ისინი მზად იქნებოდნენ რომ დაეპყროთ და დაეკავებინათ თავიანთი პირველი ქალაქი, იერიხო.

„და უთხრა უფალმა იესოს: „დღეს მე მოგაშორეთ ეგვიპტის სირცხვილი.“ რის გამოც ეწოდა სახელი იმ ადგილს „გილგადი“ და ასე ეწოდება დღემდე“.

უფალმა ბრძანა, რომ ყველა ისრაელიანელი მამაკაცი წინადაცვეთილიყო, რადგან ეს არ გაკეთებულა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში, რაც უდაბნოში დადიოდნენ. ამის შესრულების შემდეგ, უფალმა უთხრა იესო ნავეს ძეს, რომ მან „ჩამოაშორა“ თავის ხალხს ეგვიპტის სირცხვილი.

იესო ნავეს ძე 5:9

რამდენიმე მუხლის შემდეგ მე-ნ თავში, მოთხრობა იწყება იმით, თუ როგორ უძღვებოდა ღმერთი ისრაელის ძეთ რომ დაეძლიათ და დაეპყროთ იერიხო. რატომ იყო საჭირო, რომ ჯერ ეს სირცხვილი ყოფილიყო მოშორებული მათგან? რა არის სირცხვილი?

სირცხვილის განსაზღვრება

სიტყვა „სირცხვილი“ ნიშნავს „დანაშაულს... დამცირებას: შერცხვენას“.¹ როცა ღმერთმა თქვა, რომ იგი „მოაშორებდა“ ეგვიპტის სირცხვილს ისრაელიანელებისგან, იგი წერტილს სვამდა. ეგვიპტე წარმოადგენს ქვეყნიერებას. ქვეყნიერებაზე რამდენიმე წლის ყოფნის და ამქვეყნიურ ქცევით ცხოვრების შემდეგ, ჩვენ ყველას გგჭირდება, რომ მისი სირცხვილი მოგვშორდეს.

იმის გამო, რაც გამიკეთებია და რაც გამიკეთეს, სირცხვილზე დაფუძნებული ბუნება მქონდა. მე საკუთარ თავს ვადანაშაულებდი იმის გამო, რაც დამემართა (მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი ნაწილი ჩემს ბავშვობაში მოხდა და ვერაფერს ვერ ვაკეთებდი, რომ შემეჩერებინა ეს.)

ჩვენ ვთქვით, რომ მაღლი არის ღმერთის ძალა, რომელიც გვეძლევა, როგორც საჩუქარი მისგან, რომ დაგვეხმაროს იმის ადვილად კეთებაში, რისი გაკეთებაც ჩვენი არ შეგვიძლია. ღმერთს სურს მოგვცეს მაღლი, ხოლო ეშმაკს სურს მოგვცეს დამცირება, რომელიც სიტყვა „სირცხვილის“ კიდევ ერთი განსაზღვრებაა.

დამცირებამ მითხრა, რომ არ ვიყავი კარგი – არ ვიმსახურებდი ღმერთის სიყვარულს ან დახმარებას. სირცხვილმა მოწამლა ჩემი შინაგანი კაცი. მე არა მხოლოდ მრცხვენოდა იმის, რაც დამემართა, არამედ საკუთარი თავისაც. ღრმად შინაგანში, არ მომწონდა ჩემი თავი.

ღმერთი გვაშორებს სირცხვილს ნიშნავს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მივიღოთ ჩვენთვის პატიება, რომელსაც იგი გვათავაზობს ყველა ჩვენი წარსული ცოდვის გამო.

თქვენ უნდა გააცნობიეროთ, რომ ვერასოდეს დაიმსახურებთ ღმერთის კურთხევებს- ვერასოდეს იქნებით მათი ღირსი. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ თავმდაბლობით მიიღოთ და დააფასოთ ისინი, და მოწინებებაში იმყოფებოდეთ იმის გამო, თუ რა კეთილია იგი და რამდენად უყვარხართ.

სიძულვილი საკუთარი თავის მიმართ, საკუთარი თავის უარყოფა, ღმერთის პატიების მიღებაზე უარის თქმა (საკუთარი თავის პატიებით), ვერ გააზრება სიმართლისა ქრისტეს სისხლის მეშვეობით და ყველა დაკავშირებული ცოდვა ნამდვილად დაგტოვებთ უდაბნოში. თქვენი გონება უნდა განახლდეს ღმერთის წინაშე სწორად დგომასთან დაკავშირებით – და არა თქვენი საქმეების მეშვეობით.

მსახურებაში ყოფნის მრავალი წლის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პრობლემების დაახლოებით 85 პროცენტი წარმოიშობა იქიდან, თუ როგორ ვუყურებთ საკუთარ თავს. ნებისმიერი პიროვნება, ვისაც იცნობთ, რომ დადის გამარჯვებაში, იგი ასევე სიმართლეშიც დადის.

ვიცი არ ვიმსახურებ ღმერთის კურთხევებს, მაგრამ მაინც ვლებულობ მათ, რადგან ქრისტეს თანამემკვიდრე ვარ. (რომაელთა 8:17.) მან დაიმსახურა ისინი და მე ვლებულობ მათ ჩემი რწმენის მასზე დადებით.

მეკვიდრე თუ მონა?

„ამიტომ შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე, მეკვიდრეცა ხარ ღვთის მიერ“.

გალატელთა 4:7

თქვენ ძე ხართ თუ მონა – მეკვიდრე თუ დაქირავებული მუშა? მეკვიდრე არის ის, ვინც ღებულობს რაღაცას არა დამსახურებით, არამედ როცა ქონება გადაეცემა ერთი პიროვნებისგან მეორეს ანდერძით. დაქირავებული მონა ან მსახური, ბიბლიური გაგებით, არის ის, ვინც დაღლილია რჯულის მიყოლის მცდელობით. ტერმინი ნიშნავს მძიმე შრომას და პრობლემას.

მე დავხეტილობდი უდაბნოში წლების მანძილზე როგორც მუშა. ვცდილობდი ვყოფილიყავი საკმარისად კარგი, რომ დამემსახურებინა ის, რისი მოცემაც ღმერთს უნდოდა თავისი მადლის მეშვეობით, უსასყიდლოდ ჩემთვის, მე არასწორი ბეხედულება მქონდა.

პირველი, ვფიქრობდი, რომ ყველაფერი გამომუშავებული და დამსახურებული უნდა ყოფილიყო:

„არავინ გაგიკეთებს რამეს უსასყიდლოდ“. მე ამ პრინციპს წლების განმავლობაში ვსწავლობდი. კვლავ და კვლავ მესმოდა ხოლმე ეს ფრაზა ზრდის პერიოდში. მითხრეს, რომ თუ ვინმე იქცეოდა ისე, თითქოს რამის გაკეთება სურდა ჩემთვის, იტყუებოდა და ბოლოში ისარგებლებდა ჩემით.

ქვეყნიერებაზე გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველაფერი, რასაც ვღებულობთ, უნდა დავიმსახუროთ. თუ გვსურს გვყავდეს მეგობრები, ჩვენ გვესმა, რომ ისინი გამუდმებით ბედნიერები უნდა ვამყოფოთ, თუ არადა, უარგვყოფენ ჩვენ. თუ გვსურს დანინაურება სამსახურში, ყველა ამბობს, რომ შესაბამის ადამიანებს უნდა ვიცნობდეთ, მოვექცეთ მათ გარკვეული გზით და შეიძლება ერთ დღეს მოგვეცეს შანსი დასაწინაურებლად. იმ დროისთვის, როცა ქვეყნიერება ამთავრებს ჩვენს ჩამოყალიბებას, მისი სირცხვილი მძიმედ დევს ჩვენზე და უეჭველად საჭიროებს მოშორებას.

როგორ უყურებ საკუთარ თავს?

**„და იქ ვიხილეთ გოლიათებიც, ყენაკის ძენი, გოლიათთა-
განნი, და ჩვენ გამოვჩნდით ჩვენს თვალში კალიებივით და
ასეთნაირად ვჩანდით მათ თვალშიც“.**

რიცხვთა 13:33

ისრაელიანელებს ამგვარი სირცხვილი ჰქონდათ. ფაქტი, რომ მათ უარყოფითი შეხედულება ჰქონდათ საკუთარ თავზე ჩანს ამ მუხლში. თორმეტიდან ათი მზვერავი, რომლებიც წარგზავნეს ალექმულ მიწაზე სანამ მთელი ერი გადალახავდა იორდანეს დაბრუნდნენ და ამბობდნენ, რომ იმ მიწაზე ცხოვრობდნენ გოლიათები, რომლებიც მათ როგორც კალიებს ისე უყურებდნენ – და ასეთები იყვნენ საკუთარ თვალშიც.

ეს ნათლად გვამცნობებს, რასაც ეს ხალხი თავიანთ თავზე ფიქრობდა.

გთხოვთ შეიგნეთ, რომ ეშმაკი აავსებს თქვენს გონებას (თუ მას მიეცემა ამის უფლება) ყოველგვარი ნეგატიური აზროვნებით თქვენს თავზე. მან დაიწყო ადრე სიმაგრეების აშენება თქვენს აზროვნებაში, მრავალი მათგანი უარყოფითი აზრია თქვენს თავზე და იმაზე, თუ რას ფიქრობენ სხვა ადამიანები თქვენზე. იგი ყოველთვის აწყობს გარკვეულ სიტუაციებს, სადაც თქვენ განიცდით უარყოფას, რათა მან შეძლოს ამ ტკივილის შეხსენება თქვენთვის იმ დროს, როცა ეცდებით გარკვეული პროგრესის მიღწევას.

შეცდომის შიში და უარყოფა ბევრ ადამიანს ამყოფებს უდაბნოში. ეგვიპტეში ამდენი წლის განმავლობაში მონებად ყოფნამ და სასტიკ შეურაცხყოფებში ცხოვრებამ ისრაელიანელებზე სირცხვილის გრძნობა დატოვა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ თითქმის ვერცერთი ადამიანი იმ თაობიდან, რომელიც თავდაპირველად გამოვიდა მოსესთან ერთად, ვერ შევიდა ალექმულ მიწაზე. მათი შვილები შევიდნენ. და მაინც, ღმერთმა უთხრა, რომ მას უნდა მოეშორებინა მათგან სირცხვილი.

მათი უმრავლესობა დაიბადა უდაბნოში მას შემდეგ, რაც მათი მშობლები გამოვიდნენ ეგვიპტიდან. როგორ შეიძლებოდა, რომ მათ ეგვიპტის სირცხვილი ჰქონოდათ, რომ მათ იქ არ უცხოვრიათ?

ის, რაც თქვენს მშობლებზე იყო შესაძლოა გადმოვიდეს თქვენზე. დამოკიდებულებები, ფიქრები და ქცევა შეიძლება დამკვიდრებული იყოს. არასწორი აზროვნება, რომელიც თქვენს მშობლებს ჰქონდათ, შეიძლება იქცეს თქვენს აზროვნებად. ის თუ როგორ ფიქრობთ გარკვეულ საკითხზე შეიძლება გადმოცემული იყო თქვენზე და არც კი იცოდით, თუ რატომ ფიქრობდით ასე.

მშობელმა, რომელსაც აქვს სუსტი თვითშეფასება, უღირსობის დამოკიდებულება და აზროვნება „მე არ ვიმსახურებ ღმერთის კურთხევებს“, შეიძლება უეჭველად გადასცეს შვილებს ეს აზროვნება.

მიუხედავად იმისა, რომ მილაპარაკია ამაზე ამ წიგნში აქამდეც მილაპარაკია, რადგან იგი დიდად მნიშვნელოვანი სფეროა, მოდით, კიდევ ერთხელ ვახსენებ, რომ თქვენ უნდა აკვირდებოდეთ იმას, თუ რა ხდება თქვენს გონებაში თქვენთან მიმართებაში. ღმერთს სურს წყალობა მოგცეთ თქვენი შეცდომების გამო, თუ მზად იქნებით მის მისაღებად. იგი არ აჯილდოვებს სულყოფილებს, რომელთაც არანაირი ნაკლი არ გააჩნიათ და არასოდეს ცდებიან, არამედ მათ, ვინც თავიანთ რწმენას და ნდობას მასზე დებენ.

თქვენი რწმენა ღმერთის მიმართ აამებს მას

„ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისათვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან, ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს“.

ებრაელთა 11:6

აღბათ შეამჩნიეთ, რომ რწმენის გარეშე ვერ აამებთ ღმერთს; შედეგად, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენ „კეთილ საქმეს“ შესთავაზებთ, ეს ვერ აამებს მას, თუ ისინი იმიტომ გაკეთდა, რომ პატივი მიგელოთ.

რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ღმერთისთვის უნდა იყოს იმის გამო, რომ გვიყვარს იგი და არა იმიტომ, რომ რამის მიღებას ვცდილობთ მისგან.

ბონება - ბრძოლის ველი

ეს ძლიერი მუხლი ამბობს, რომ ღმერთი აჯილდოვებს ვინც გულთ ეძებს მას. მე გავიხარე, როცა საბოლოოდ დავინახე ეს! ვიცი, ბევრი შეცდომა დამიშვია წარსულში, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მთელი ჩემი გულთ ვეძებდი უფალს. ეს იმას ნიშნავს, რომ შემძლია კურთხევის მიღება. დიდი ხნის წინ გადავწყვიტე, რომ მივიღებდი ნებისმიერ კურთხევას, რომლის მოცემაც ღმერთს სურდა ჩემთვის.

უფალს სურდა ისრაელიანელების შეყვანა აღთქმულ მიწაზე და ეკურთხებინა ისინი იმაზე მეტად, ვიდრე შეეძლოთ წარმოდგენა, მაგრამ მას ჯერ უნდა მოეშორებინა მათგან სირცხვილი. ისინი ვერ შეძლებდნენ მისგან სათანადოდ მიღებას, თუ დამძიმებულები იყვნენ სირცხვილით, დანაშაულის გრძნობითა და დამცირებით.

სირცხვილზე მაღლა

„როგორც ამოგვარჩია ჩვენ მასში სოფლის შექმნამდე, რათა წმინდანი და უბინონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით“.

ეფესელთა 1:4

ეს მშვენიერი მუხლია! მასში უფალი გვეუბნება, რომ ჩვენ მისი ვართ და მიგვითითებს თუ რა სურს ჩვენთვის – რათა ვიცოდეთ, რომ ჩვენ უწყვარვართ, განსაკუთრებულები, ფასეულები ვართ და რომ უნდა ვიყოთ წმიდები, უმნიკვლონი და შერცხვენილებზე უფრო მაღალნი.

ბუნებრივია, ჩვენ ის უნდა ვაკეთოთ რაც შეგვიძლია იმისათვის, რომ შევძლოთ წმიდა ცხოვრებით ცხოვრება. მაგრამ მადლობა ღმერთს, როცა შეცდომებს ვუშვებთ, შესაძლებელია, რომ ნაპატიებნი და აღდგენილნი ვიყოთ სინმიდისთვის, კიდევ ერთხელ უმნიკვლოდ ვიქცეთ და ავმალდეთ სირცხვილზე – და ეს ყველაფერი „მასშია“.

სირცხვილისა და შეცდომების მოქიბნის გარეშე
„თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა“.

იაკობი 1:5

ეს კიდევ ერთი კარგი მუხლია, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ მივიღოთ ღმერთისგან სირცხვილის გარეშე.

იაკობი მანამდე ელაპარაკებოდა იმ ხალხს, რომლებიც განსაცდელელებში იყვნენ და ახლა იგი ეუბნება მათ, რომ თუ მათ სჭირდებათ სიბრძნე, უნდა სთხოვონ ღმერთს. იგი არწმუნებს მათ, რომ იგი არ შეარცხვენს და არც შეცდომებს მოუძებნის მათ – უბრალოდ დაეხმარება.

თქვენ ვერასოდეს შეძლებთ უდაბნოდან გამოსვლას ღმერთის დიდი დახმარების გარეშე, მაგრამ თუ გექნებათ ნეგატიური დამოკიდებულება საკუთარ თავთან მიმართებაში, მან რომც სცადოს თქვენი დახმარება, არ მიიღებთ მას.

თუ გსურთ გქონდეთ გამარჯვებული, ძლიერი, პოზიტიური ცხოვრება, არ შეიძლება, რომ ნეგატიურები იყოთ საკუთარი თავის მიმართ. ნუ უყურებთ იმას, თუ რა შორი გზა გაქვთ გასავლელი, არამედ უყურეთ იმას, თუ რამდენი გაიარეთ უკვე. გაითვალისწინეთ პროგრესი და გახსოვდეთ ფილიპელთა 1:6: „დარწმუნებული ვარ, რომ დამწყები თქვენში კეთილი საქმისა შეასრულებს კიდევ მას იესო ქრისტეს ღლემდე“.

იფიქრეთ და ილაპარაკეთ საკუთარ თავზე პოზიტიურად!

ბანახლება: თუმცა ეს ნიგნი დაინერა მრავალი წლის წინ, მე ახლა უფრო მეტად ვარ დარწმუნებული, ვიდრე ოდესმე, რომ ის, თუ როგორ ვფიქრობთ საკუთარ თავზე – გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროზე. მტკიცედ მოგინოდებთ, რომ საკუთარ თავთან მიაღწიოთ მშვიდობას. შეიძლება ყველაფერი არ მოგწონდეთ, რასაც აკეთებთ, მაგრამ შეგიძლიათ და უნდა მოგწონდეთ კიდევ საკუთარი თავი. მე საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ რადგანაც იესომ იმდენად შემიყვარა, რომ მომკვდარიყო ჩემთვის, მცირედი, რაც მე შემეძლო გამეკეთებინა, იყო ის, მომწონდეს საკუთარი თავი. რატომ არ უნდა გაიხაროთ ახლა და თქვათ ხმამაღლა: „იმის გამო, რაც გააკეთა იესომ, მე მიყვარს და ვღებულობ საკუთარ თავს. მან მომცა მე ახალი ბუნება, და მზად ვარ ახალი სიცოცხლისთვის, რომლითაც მას სურს, რომ ვიცხოვრო.“

თავი

24

„რატომ არ უნდა ვიეჭვიანო და არ უნდა
გავპრაზდე, როცა ყველა ჩემზე
უკეთესად არის?“

უდაბნოს აზროვნება №9

იოანეს 21-ე თავში იესო პეტრეს სიძნელეებზე ელაპარაკებოდა, რომლის დათმენაც მას მოუწევდა, რათა მომსახურებოდა და განედიდებინა იგი. მას შემდეგ, რაც იესომ უთხრა ეს რაღაცეები, პეტრე მობრუნდა, დაინახა იოანე და მყისვე ჰკითხა იესოს, თუ რა იყო მისი ნება მასთან დაკავშირებით. პეტრეს უნდოდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ თუ მას მოუწევდა სიძნელეებში გავლა, იოანესაც გაეგლო.

„ეს რომ დაინახა პეტრემ, ეუბნება იესოს: „უფალო, ამას რა? ეუბნება მას იესო: „თუ მე მსურს, რომ დარჩეს ჩემს მოსვლამდე, შენ რა? შენ მე გამომყევი“.

იოანე 21:21,22

პასუხად, იესომ თავაზიანად უთხრა პეტრეს რომ თავის საქმეზე ეფიქრა.

სხვების საქმეებით დაინტერესება (გონების მომართვა), უდაბნოში დაგვტოვებს. ეჭვიანობა, შური და ჩვენი თავის, და გარემოებების სხვებთან შედარება არის უდაბნოს აზროვნება.

უფრთხილდით ეჭვიანობას და შურს

„ხორცის სიცოცხლეა მშვიდი გული და ძვალთა ხრწნა – შური“.

იგავები 14:30

შური აიძულებს პიროვნებას, მოიქცეს უხეშად და მკვახედ – ხანდახან არაადამიანურადაც კი. შურმა აიძულა იოსების ძმები იგი მონობაში გაეყიდათ. მათ სძულდათ იგი, რადგან მათ მამას ძალიან უყვარდა.

თუ თქვენს ოჯახში არის ვინმე, ვისაც თქვენზე მეტი ყურადღება ხვდება, ნუ შეიძულებთ მას. მიენდეთ ღმერთს! გააკეთეთ ის, რასაც იგი გთხოვთ – ირწმუნეთ მისი კეთილგანწყობა – და აღმოჩნდებით იოსების მსგავსი – უკიდურესად კურთხეული.

„ძველი და ახალი აღთქმის სიტყვების ვაინის განმარტებითი ლექსიკონი“ განსაზღვრავს ბერძნულ სიტყვას „შური“ როგორც „უსიამოვნო გრძნობას, რომელიც წარმოიშობა სხვების დანინაურებისა თუ წარმატების მოსმენის გამო“.1 „ექვიანობა“ განიმარტება ვებსტერის მიერ როგორც „შურის, საშიშროების ან სიმწარის გრძნობა“.2 მე განვმარტავ ამ განსაზღვრებას როგორც შიშს, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც რაიმეს სხვის სასარგებლოდ ვკარგავთ; ეს შესაძლოა იყოს ასევე სხვისი წარმატებით აღშფოთება, რომელიც შურის გრძნობიდან მოდის.

წუ შეედრებით და წუ შეეჯიბრებით

„ასევე იყო დავა მათ შორის: რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო დიდად. მან კი უთხრა მათ: „ხალხთა მეფეები ბატონობენ მათზე და მათი ხელმწიფენი მწყალობლებად იწოდებიან. თქვენ კი ასე როდი ხართ. თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს, ხოლო ვინც უფროსობს – მსახურივით“.
ლუკა 22:24-26

ადრეულ წლებში მე უხვად მქონდა ბრძოლები ექვიანობასთან, შურთან და შედარებებთან. ეს არის დაუცველების ხშირი დამახასიათებელი თვისება. თუ ჩვენ დარწმუნებულები არ ვართ ჩვენი, როგორც უნიკალური პიროვნების ღირსებასა და ფასეულობებში, ბუნებრივია აღმოვაჩინოთ, რომ ვეჯიბრებით ყველას, ვინ წარმატებულია და კარგად არის.

იმის გაცნობიერება, რომ მე ინდივიდი ვიყავი (რომ ღმერთს გააჩნია უნიკალური, პირადი გეგმა ჩემი ცხოვრებისთვის) მართლაც იყო ერთერთი ყველაზე ფასეული და ძვირფასი თავისუფლება, რომელიც უფალს მოუნიჭებია ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდა ვადარებდე საკუთარ თავს (არც ჩემს მსახურებას) არავისთან.

ყოველთვის ვმხნევედები, რომ იმედი არსებობს ჩემთვის, როცა ვუყურებ იესოს მონაფეებს და ვხვდები, რომ მათაც ბევრი იგივე რამეში ჩემს მსგავსად უჭირდათ. ლუკას 22-ში ჩვენ ვხედავთ მონაფეებს, რომლებიც კამათობენ იმაზე, თუ ვინ უფრო დიდი იყო. იესომ უთხრა, მათ, რომ უდიდესი სინამდვილეში ის არის, ვისაც სურვილი ექნებოდა მიჩნეულიყო უკანასკნელად ან ვისაც სურდა სხვების მომსახურე გამხდარიყო. ჩვენმა უფალმა

გაატარა თავისი დროის დიდი ნაწილი მცდელობებში, ესწავლებინა მონაფეებისთვის, რომ ცხოვრება ღმერთის სამეფოში, ჩვეულებისამებრ, საპირისპიროა ქვეყნიერების და ხორცის გზებისა.

იესომ მათ შემდეგი რამ ასწავლა: „ბევრი პირველნი უკანასკნელნი იქნებიან,“ (მარკოზი 10:31), „ჩემთან ერთად იხარეთ,“ (ლუკა 15:6,9), „დალოცეთ თქვენი მანყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით“. (მათე 5:44.) ქვეყნიერება იტყვის, რომ ეს უგუნურებაა – მაგრამ იესო ამბობს, რომ ეს ქეშმარიტი ძალაა.

ბაბრიღითი ძვეყნიურ მიტომიობას

„ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი, ერთმანეთის გამაღიზიანებელნი და ერთმანეთის მოშურნენი“.

გალატელთა 5:26

ქვეყნიერების სისტემის თანახმად, საუკეთესო ადგილი ყველაზე წინ ყოფნაა. პოპულარული აზროვნება იტყობდა, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ მწვერვალზე აღმოვჩნდეთ და მნიშვნელობა არა აქვს, გზაზე ვის ვატყენთ გულს. მაგრამ ბიბლია გვასწავლის, რომ არ არსებობს ნამდვილი მშვიდობა, სანამ არ გავთავისუფლდებით სხვებთან შეჯიბრების სურვილისგან.

იქაც კი, რაც „გართობის თამაშებად“ არის მიჩნეული, ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ მეტოქეობის ბალანსი იმდენად ირღვევა, რომ კამათით და სიძულვილით მთავრდება ყველაფერი, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ განტვირთულიყვნენ და კარგად გაეტარებინათ დრო ერთმანეთთან. ჩვეულებრივ, ადამიანები თამაშებს ნაგებისთვის არ თამაშობენ; ყველა ცდილობს თავის მაქსიმუმს. მაგრამ, როცა პიროვნებას არ შეუძლია თამაშით სიამოვნების მიღება, თუ არ მოიგებს, მას ნამდვილად აქვს პრობლემა – შესაძლოა ღრმად ფესვგადგმული, რომელიც სხვა პრობლემებსაც იწვევს ცხოვრების ბევრ სხვა სფეროში.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ ჩვენი მაქსიმუმი სამსახურში; არაფერი არ არის ცუდი იმაში, რომ გვინდოდეს საქმის კარგად შესრულება და დანიინაურება ჩვენს არჩეულ პროფ-

ბონება - ბრძოლის ველი

ესიაში. მაგრამ, მინდა მოგიწოდოთ, რათა დაიმახსოვროთ, რომ მორწმუნის დანიშნულება მოდის ღმერთისგან და არა ადამიანისგან. თქვენ და მე არ გვჭირდება ქვეყნიერების თამაშებით თამაში. ღმერთი მოგვანიჭებს თავის კეთილგანწყობას თავისსა და სხვების თვალში თუ ჩვენ მისი ნებისამებრ მოვიქცევით. (იგავები 3:3,4.)

ექვიანობა და შური ჯოჯოხეთიდან მოსული ნამებაა. მრავალი წელი გავატარე ექვიანობასა და შურში ყველას მიმართ, ვინც კი ჩემზე უკეთ გამოიყურებოდა ან ის ნიჭები ჰქონდა, რაც მე არ გამაჩნდა. მე საიდუმლოდ ვცხოვრობდი მეტოქეობაში სხვების მსახურებასთან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ „ჩემი“ მსახურება ყოფილიყო უფრო დიდი, მეტად დასწრებული, უფრო წარმატებული და ა.შ. ვიდრე სხვების. თუ სხვა ადამიანის მსახურება ჯობნიდა ჩემსას ნებისმიერი სახით, მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი იმ პიროვნებისათვის, რადგან ვიცოდი, რომ ეს იყო ღმერთის ნება და გზა, მაგრამ რალაც ჩემს სამშენიველში აქამდე არ მიშვებდა.

აღმოვაჩინე, რომ, როცა ვიზრდებოდი ცოდნაში თუ ვინ ვიყავი ქრისტეში, და არა ჩემი საქმეებით იმის მოვიპოვე თავისუფლება, რომ არ შემედარებინა საკუთარი თავი ან ჩემი გაკეთებული საქმეები სხვასთან. რაც უფრო მეტად ვსწავლობდი ღმერთისადმი მინდობას, მით მეტ თავისუფლებას ვგრძნობდი ამ მსფეროებში. აღმოვაჩინე, რომ ჩემს ზეციერ მამას ვუყვარვარ და გააკეთებს ჩემთვის იმას, რაც ჩემთვის საუკეთესო იქნება.

რასაც ღმერთი აკეთებს თქვენთვის ან ჩემთვის შეიძლება არ იყოს იგივე, რასაც იგი სხვისთვის აკეთებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს რა უთხრა იესომ პეტრეს: „ნუ ფიქრობ იმაზე, თუ რას ავირჩევ გავაკეთო სხვის ცხოვრებაში – შენ მე მომყევი!“

ჩემმა მეგობარმა ერთხელ მიიღო რალაც, როგორც საჩუქარი უფლისაგან, რაც დიდი ხანია მინდოდა და მჯეროდა, რომ მივიღებდი. იმ დროს არ მიმაჩნდა, რომ ეს მეგობარი ცოტათი მაინც იყო ისეთი „სულიერი“ როგორც მე და ამიტომაც ძალიან ვიეჭვიანე და შემშურდა, როცა იგი აღფრთოვანებით მოვიდა ჩემს კართან და მიზიარებდა იმას, რაც ღმერთმა მოიმოქმედა მის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, თავი მოვაჩვენე, რომ ვხარობდი მის გამო, მაგრამ გულში კი – ასე არ იყო.

როცა ის წავიდა, ისეთი დამოკიდებულებები ამოტივტივდა ჩემში, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ისინი ჩემში იქნებოდა! მე, ფაქტობრივად, მენყინა, რომ ღმერთმა აკურთხა იგი, რადგან

არ ვფიქრობდი, რომ ის იმსახურებდა ამას. ბოლოს და ბოლოს, მე სახლში ვრჩებოდი, ვმარხულობდი და ვლოცულობდი, როცა იგი დარბოდა აქეთ იქით თავის მეგობრებთან ერთად და კარგ დროს ატარებდა. ხედავთ, რომ მე რელიგიური „ფარისეველი“ ვიყავი და არც კი ვიცოდი ამის შესახებ.

ღმერთი ხშირად ისე ალაგებს მოვლენებს, როგორც ჩვენ არასოდეს ავირჩევდით, რადგან მან იცის სინამდვილეში რა გვჭირდება. მე უფრო მეტად მჭირდება რომ მოვიშორო ცუდი ჩვევები, ვიდრე ის, რასაც ვფიქრობდი რომ ჩემი რწმენის მიხედვით უნდა მიმეღო. მნიშვნელოვანია ღმერთმა ისე მოაწყოს ჩვენი გარემოება, რომ საბოლოოდ დავინახოთ საკუთარი თავები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერასოდეს განვიცდით მშვიდობას.

თუ მტერი შეძლებს ჩვენს სულში დამალვას, მას ყოველთვის ექნება გარკვეული კონტროლი ჩვენზე. მაგრამ, როცა ღმერთი ამხელს მას, ჩვენ ვუბრუნდებით თავისუფლების გზას, თუ ღმერთის ხელებს გადავცემთ საკუთარ თავებს და მივცემთ მას უფლებას სწრაფად გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას სურს.

ღმერთს, სინამდვილეში, უკვე განზრახული ჰქონდა ჩემი ცხოვრებისათვის, რომ მსახურება, რომლის მნედაც დამაყენებდა საკმაოდ დიდი ყოფილიყო და მიწვდომოდა მილიონობით ხალხს რადიოსა და ტელევიზიის, სემინარების, წიგნების და კასეტების მეშვეობით. მაგრამ ამას სისრულეში იმდენად მოიყვანდა, რამდენადაც მე „გავიზრდებოდი“ მასში.

შეიძინეთ ახალი აზროვნება!

„საყვარელო, ვლოცულობ, რომ კეთილი გზით გველოს და ჯანმრთელად იყო, როგორც შენი სული დადის კეთილად“.

3 იოანე 2

კარგად დაუკვირდით ამ მუხლს. ღმერთს სურს გვაკურთხოს ჩვენ იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენ გვსურს, რომ კურთხეულები ვიყოთ. მაგრამ მას ამავედროულად იმდენად ვუყვარვართ, რომ არ გვაკურთხებს იმაზე მეტად, ვიდრე შევძლებდით კურთხევების სწორად მართვას და გავავარძელებდით მისთვის დიდების მიძღვნას.

ბონება - ბრძოლის ველი

ექვიანობა, შური და საკუთარი თავის სხვებთან შედარება ბავშვურია. ეს სრულიად ეხება ხორცს და არანაირი კავშირი არ აქვს სულიერთან. მაგრამ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უდაბნოში ცხოვრებისა.

გაითვალისწინეთ თქვენი ფიქრები ამ სფეროში. როცა აღმოაჩენთ რომ არასწორი ფიქრები იწყებს თქვენს გონებაში შემოდინებას, დაელაპარაკეთ საკუთარ თავს და უთხარით: „კარგს რას მომიტანს, რომ შურიანი ვიყო სხვების მიმართ? ეს მე არ მაკურთხებს. ღმერთს გააჩნია ინდივიდუალური გეგმა თითოეული ჩვენთაგანისათვის, და მე მივენდობი მას, რომ საუკეთესოს გააკეთებს ჩემთვის. ჩემი საქმე არანაირად არ არის, რას აირჩევს იგი, რომ გაუკეთოს სხვებს“. შემდეგ გააზრებულად და მიზანმიმართულად ილოცეთ მათთვის, რომ უფრო მეტად იკურთხონ.

ნუ შეგეშინდებათ იყოთ წრფელი ღმერთთან თქვენი გრძნობების შესახებ. მან ისედაც იცის რას გრძნობთ, ასე, რომ შეგიძლიათ ამაზეც დაელაპარაკოთ მას.

მე უფალს ასეთ რამეებს ვეუბნებოდი: „ღმერთო, ვლოცულობ _____-თვის, რომ უფრო მეტად იყოს კურთხეული. დაეხმარე მას, რომ წარმატებული იყოს; აკურთხე იგი ყოველმხრივ. უფალო, ვლოცულობ ამაზე რწმენით. ჩემს სულში მე მშურს მისი და თავი მასზე უმნიშვნელო პიროვნებად მიმაჩნია, მაგრამ ვირჩევ გავაკეთო ეს შენებურად, მომწონს ეს თუ არა“.

ამას წინათ გავიგონე, ვილაცამ თქვა, რომ მნიშვნელობა არა აქვს თუ რამდენად კარგად შევძლებთ რამის გაკეთებას, ყოველთვის გამოჩნდება ვინმე, ვისაც შეუძლია ეს უკეთ გააკეთოს.

ამ სიტყვებმა იმოქმედეს ჩემზე, რადგან ვიცი, რომ ეს სიმართლეა. და თუ სიმართლეა, მაშინ რა მიზანი აქვს, რომ მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ვიტანჯებოდეთ ყველას გასწრებით? პირველები გავხდებით თუ არა, ვინმე დაიწყებს ჩვენთან შეჯიბრებას და ადრე თუ გვიან, გამოჩნდება, რომ ის ადამიანები ცოტა უკეთ ასრულებს იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

დააკვირდით სპორტს; მიუხედავად რეკორდებისა, რომელსაც ზოგი მძლეოსანი აღწევს, საბოლოოდ სხვა მძლეოსანი გამოჩნდება და გააუმჯობესებს მას. რალა ვთქვათ გასართობ სფეროზე? არსებული ვარსკვლავი მწვერვალზე იმყოფება მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შემდეგ

ვინმე ახალი გამოჩნდება და იკავებს მის ადგილს. რა საშინელი ტყუილია ვფიქრობდეთ, რომ ყოველთვის უნდა ვიბრძოლოთ, რათა სხვებს გავასწროთ - და შემდეგ ვიბრძოლოთ იქ დასარჩენად.

დიდი ხნის წინ ღმერთმა მითხრა გამეხსენებინა, რომ „მეტეორები“ ძალიან სწრაფად გამოჩნდებიან და მიიპყრობენ დიდ ყურადღებას, მაგრამ ჩვეულებისამებრ, ისინი ჩანან მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში. ხშირად ისინი ისევე სწრაფად ეცემიან, როგორც გამოჩნდნენ. მან მითხრა, რომ გაცილებით უკეთესია აქტიურად მუშაობა დიდი ხნის განმავლობაში - იქ გაჩერება - და იმის კეთება, რაც მან მთხოვა მეკეთებინა მთელი შეძლებით. მან დამარწმუნა, რომ იგი იზრუნებს ჩემს რეპუტაციაზე. ჩემის მხრივ, გადავწყვიტე, რომ რაც არ უნდა იყოს მისი ნება, მისაღები უნდა იყოს ჩემთვის. რატომ? რადგან მან ჩემზე უკეთ იცის, თუ რა გამომდის კარგად.

შესაძლოა ამ სფეროში თქვენ დიდი ხნის განმავლობაში გქონდათ გონებრივი სიმაგრე. ყოველთვის, როცა ვინმეს ხვდებით, ვინც თითქოსდა ცოტათი გისწრებთ, თქვენ ეჭვიანობთ, გშურთ ან გსურთ შეეჯიბროთ იმ პიროვნებას. თუ ასეა, გირჩევთ ახალი აზროვნება შეიძინოთ.

მომართეთ თქვენი გონება იმაზე, რომ გაიხაროთ სხვებისთვის და მიანდოთ საკუთარი თავი ღმერთს. ამას დასჭირდება გარკვეული დრო და სიმტკიცე, მაგრამ როცა ეს ძველი გონებრივი სიმაგრეები დანგრეული იქნება და შეიცვლება ღმერთის სიტყვით, თქვენ აღთქმულ მინაზე შესასვლელად უდაბნოდან გამომავალ გზას დაადგებით.

თავი

25

**ან ჩემი ურალ გავაკეთებ ან სანეროდ
არ გავაკეთებ**

უდაბნოს აზროვნება №10

ოსრელიანელებმა ბევრი სიჯიუტე და ურჩობა გამოავლინეს უღაბნოში. ზუსტად ამან გამოიწვია ის, რომ იქ მოუწიათ სიკვდილი. ისინი არ აკეთებდნენ იმას, რაც ღმერთმა უთხრა მათ! შეჰკლალადებდნენ ღმერთს, რათა გამოეყვანა ისინი პრობლემიდან როცა ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ისინი მის დარიგებებსაც კი გამოეხმაურებოდნენ მორჩილებით – სანამ პირობები უკეთესი იყო. შემდეგ, განმეორებით, ისინი ისევ ურჩობაში ვარდებოდნენ.

„და დაამყარონ ღმერთზე თავიანთი იმედი და არ დაივიწყონ ღმერთის საქმენი და დაიცვან მისი აღთქმანი და არ ემსგავსონ თავიანთ მამებს, გულარძნილთა და ურჩთა თაობას, თაობას, რომ არ ანაღმართა გული თავისი და ურწმუნოჰყო უფლის მიმართ თავისი სული“.

იგივე ციკლი იმდენჯერ განმეორდა და ჩანერილია ძველ აღთქმაში, რომ წარმოუდგენელიც კი არის. და მაინც, თუ ჩვენ არ დავდივართ სიბრძნეში, ჩვენს ცხოვრებას იგივენაირად გავატარებთ.

ფსალმუნი 77:7-8

ვფიქრობ, ზოგი ჩვენთაგანი ბუნებით ცოტა ჯიუტია და ურჩი, ვიდრე სხვები. და, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა შევხედოთ ჩვენს ფესვებს და იმას, თუ როგორ დავინწყეთ ცხოვრება, რადგან ესეც ახდენს ჩვენზე გავლენას.

მე დავიბადე ძლიერი ხასიათით და ალბათ მრავალ წელიწადს გავატარებდი მცდელობებში, რომ, მიუხედავად ყველაფრისა ყველაფერი „ჩემებურად“ გამეკეთებინა. მაგრამ წლებმა, რომლებიც მე გავატარე შეურაცყოფისა და კონტროლის ქვეშ – კიდევ გაამტკიცეს ისედაც ხისტი ხასიათი – და ჩამომიყალიბეს ისეთი აზროვნება, რომ ვერავინ ვერ მასწავლიდა, თუ რა უნდა მეკეთებინა.

ცხადია, ღმერთს ჯერ უნდა მოგეგვარებინა ჩემში ეს ცუდი დამოკიდებულება, სანამ ჩემს გამოყენებას შეძლებდა.

უფალი ითხოვს, რომ ვისწავლოთ ჩვენი გზების მიტოვება და ვიყოთ დრეკადები და ფორმირებადი მის ხელებში. თუ ჯიუტები

ბონება - ბრძოლის ველი

და ურჩები ვიქნებით, იგი ვერ შეძლებს ჩვენს გამოყენებას.

მე აღვწერ „ჯიუტს“ როგორც ძნელად კონტროლირებადს; რთულად სამართავს ან რომელთანაც ძნელია მუშაობა, ხოლო „ურჩს“ როგორც მმართველობის მონინაალმდეგე; შენიშვნის არ მომსმენი, თავაშვებული; რომელიც ენინაალმდეგება ჩვეულებრივ მითითებებს. ორივე ეს განმარტება აღმწერს მე, როგორიც ვიყავი!

შეურაცხყოფამ, რომელიც გადავიტანე ჩემს ადრეულ წლებში, გამოიწვია მრავალი ჩემი დაუბალანსებელი დამოკიდებულება ძალაუფლებისადმი. მაგრამ როგორც უკვე ვთქვი ადრე ამ წიგნში, ვერ მივცემდი ჩემს წარსულს უფლებას, რომ თავის მართლებად ქცეულიყო, რათა ურჩობის ან სხვა რამის მახეში დავრჩენილიყავი. გამარჯვებული ცხოვრება მოითხოვს დაუყონებლივ, ზუსტ მორჩილებას უფლისადმი. ჩვენ ვიზრდებით ჩვენს უნარსა და მზადყოფნაში, გადავდოთ გვერდზე ჩვენი ნება და აღვასრულოთ მისი. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ვაგრძელებდეთ პროგრესს ამ სფეროში.

არ არის საკმარისი გარკვეული ამაღლებული ნერტილის მიღწევა და ფიქრი: „იქამდე მოვედი, სადამდეც ვაპირებდი წასვლას“. ჩვენ უნდა ვიყოთ მორჩილები ყველაფერში – არ ვიხევედეთ უკან და არც არანაირი კარი არ უნდა გვექონდეს დახურული უფლის მიმართ ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ ყველას გაგვაჩნია ეს „კონკრეტული“ სფეროები, რომლებსაც ვეჭიდებით რამდენადაც შესაძლებელია, მაგრამ მე მოგიწოდებთ გაიხსენოთ, რომ მცირე საფუარი მთელს ცომს აფუებს. (1 კორინთელთა 5:6).

ღმერთს სურს მორჩილება და არა მსხვერპლი

„და თქვა სამუელმა: „განა ისევე ეამება უფალს სრულადდასანველნი და საკლავები, როგორც მოსმენა უფლის სიტყვისა? მოსმენა უკეთესია საკლავზე, მორჩილება – ცხვრების ლურთებზე. რადგან ერთი ცოდვაა ჯადოქრობა და ურჩობა. ერთი ცოდვაა კერპთაყვანისმცემლობა და სიჯიუტე. რაკილა მოიძულე უფლის სიტყვა, ისიც მოიძულეებს შენს მეფობას“.

1 მეფეთა 15:22,23

საულის ცხოვრების გამოკვლევა ნათლად გვანახებს, რომ მას მიეცა შესაძლებლობა მეფე გამხდარიყო. მან ვერ შეინარჩუნა ეს ადგილი დიდ ხანს სიჯიუტისა და ურჩობის გამო. მას თავისი აზრი ჰქონდა ყველაფერზე.

ერთხელ, როცა სამუელ წინასწარმეტყველი ამხელდა საულს იმის გამო, რომ მან არ შეასრულა ის, რაც უთხრეს, საულის პასუხი იყო: „მე ვიფიქრე“. შემდეგ მან გააგრძელა თავისი აზრების გამოხატვა, თუ მისი აზრით საქმე როგორ უნდა გაკეთებულიყო. (1 მეფეთა 10:6-8; 13:8-14.) სამუელის პასუხი მეფე საულისადმი იყო ის, რომ ღმერთს სურს მორჩილება და არა მსხვერპლი.

ხშირად, ჩვენ არ გვინდა იმის გაკეთება, რასაც ღმერთი გვთხოვს და მერე ვცდილობთ გავაკეთოთ რამე ჩვენი ურჩობის გამოსასყიდად.

რამდენი ღმერთის შვილი განიცდის მარცხს რომ „ცხოვრებაში იმეფოს მეფესავით“ (რომაელთა 5:17; გამოცხადება 1:6), თავიანთი სიჯიუტისა და ურჩობის გამო?

ეკლესიასტეს წიგნის შესავალში ინგლისური ბიბლიის გაძლიერებული ვერსიის თარგმანში ნათქვამია: „ამ წიგნის მიზანი არის ცხოვრების გამოკვლევა, როგორც მთლიანისა და შემდეგ სწავლება საბოლოო ანალიზის სახით, რომ ცხოვრება ამაოებაა ღმერთისადმი სათანადო პატივისცემისა და მოწინების გარეშე“.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მორჩილების გარეშე არ არის სათანადო პატივისცემა და მოწინება. მრავალი ბავშვის მიერ დღეს გამოვლენილი ურჩობა გამონევეულია სათანადო პატივისცემის ნაკლებობით თავიანთი მშობლებისადმი. ეს ხშირად მშობლების შეცდომაა, რადგან ისინი არ ცხოვრობდნენ თავიანთი შვილების წინაშე ისეთი ცხოვრებით, რომელიც პატივისცემას და მოწინებას აღძრავდა.

მკვლევარების უმრავლესობა თანხმდება, რომ ეკლესიასტეს წიგნი დაინერა მეფე სოლომონის მიერ, რომელსაც ღმერთისგან მიეცა უფრო მეტი სიბრძნე, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადამიანს. თუ სოლომონს ამდენი სიბრძნე ჰქონდა, როგორ დაუშვა ამდენი სამწუხარო შეცდომა ცხოვრებაში? პასუხი მარტივია: შესაძლებელია რამის ქონა და მისი არ გამოყენება. ჩვენ გვაქვს ქრისტეს გონება, მაგრამ ყოველთვის ვიყენებთ მას? იესო სიბრძნედ შეიქმნა ჩვენთვის ღმერთის მიერ, მაგრამ ყოველთვის ვიყენებთ სიბრძნეს?

ბონება - ბრძოლის ველი

სოლომონს სურდა თავისი გზით ევლო და თავისი ეკეთე-ბინა. მან თავისი განვლო ჯერ ერთის, შემდეგ მეორე რამის გამოცდაში. მას ნებისმიერი რამ გააჩნდა, რისი ფულით ყიდვა შეიძლებოდა – საუკეთესო მიწიერი სიამოვნებები – და მაინც, აი რა თქვა მან თავისი წიგნის დასკვნაში:

„და მოვისმინოთ დასკვნა ყველაფერი ამისა: გვეშინოდეს ღვთისა და ვიცავდეთ მის მცნებებს, რადგან სულ ეს არის ადამიანი“.

ეკლესიასტე 12:13

მოდით, ჩემი სიტყვებით გამოვხატავ იმას, რასაც ამ მუხლი-დან ვგებულობ:

„ადამიანის მოდგმის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პატივი მიაგოს და თავყვანი სცეს ღმერთს მისი მორჩილე-ბით. ყოველი ღვთისმოსავი ხასიათი უნდა იყოს დაფუძნებული მორჩილებაზე – ეს ყოველგვარი ბედნიერების საძირკველია. არავის შეუძლია იყოს ჭეშმარიტად ბედნიერი ღმერთისადმი მორჩილების გარეშე. ნებისმიერი რამ ჩვენს ცხოვრებაში, რაც წესრიგში არ არის, მორჩილებით შეიძლება იყოს გამოსწორე-ბული“.

მორჩილება არის ადამიანის მთელი მოვალეობა.

ჩემის აზრით, ეს არის დიდებული მუხლი და მოგიწოდებთ, რომ თქვენც გააგრძელოთ მისი შესწავლა თქვენით.

მორჩილება და ურჩობა: ორივეს მოყვება შედეგი

„ვინაიდან, როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მარ-თალი“.

რომაელთა 5:19

ჩვენი არჩევანი დავემორჩილოთ თუ არა, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ სხვებზეც. უბრალოდ წარმოიდგი-ნეთ: ისრაელიანელები მყისვე რომ დამორჩილებოდნენ ღმერთს, რამდენად უფრო დიდებული იქნებოდა მათი ცხოვრება. ბევრი

მათგანი და მათი შვილები მოკვდა უდაბნოში იმის გამო, რომ არ დაემორჩილნენ ღმერთის გზებს. მათმა გადანყვეტილებებმა გავლენა მოახდინეს მათ შვილებზე. ჩვენი გადანყვეტილებანიც ასევე მოქმედებენ სხვებზეც.

ახლახანს, ჩემმა უფროსმა ვაჟმა თქვა: „დედა, მინდა რალაც გითხრა და შეიძლება ავტირდე კიდევაც, მაგრამ მომისმინე“. შემდეგ მან გააგრძელა: „მე ვფიქრობდი შენზე და მამაზე და იმ წლებზე, რომლებიც ჩადეთ მსახურებაში. თქვენ ყოველთვის ირჩევდით დამორჩილებოდით ღმერთს. როგორ არ იყო ეს ყოველთვის ადვილი თქვენთვის. მე ვხვდები, დედა, რომ შენ და მამამ გაიარეთ ისეთი რალაცეები, რაც არავინ იცის, და მინდა იცოდე, რომ ამ დილას ღმერთმა მიმახვედრა, რომ მე დიდად ვლებულობ სარგებელს თქვენი მორჩილების გამო მე ვაფასებ ამას“.

მისი სიტყვები ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, და ამან შემახსენა რომაელთა 5:19. თქვენი გადანყვეტილება დაემორჩილოთ ღმერთს გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე, და როცა გადანყვეტილავთ ეურჩოთ ღმერთს, ესეც ახდენს სხვებზე გავლენას. თქვენ შეიძლება ეურჩოთ ღმერთს და აირჩიოთ უდაბნოში დარჩენა, მაგრამ გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ თუ ახლა გყავთ შვილები ან ოდესმე გეყოლებათ, თქვენი გადანყვეტილება მათაც დატოვებს თქვენთან ერთად უდაბნოში. მათ შეიძლება თავად მოახერხონ იქიდან გამოსვლა, როცა გაიზრდებიან, მაგრამ შემოიძლია დაგარწმუნოთ, რომ ისინი გადაიხდიან თქვენი ურჩობის ფასს.

თქვენი ცხოვრება ახლა შეიძლება უკეთეს მდგომარეობაში ყოფილიყო, თუ ოდესღაც ვინმე თქვენს წარსულში დაემორჩილებოდა ღმერთს.

მორჩილება შორს მავალი რამაა; იგი ხურავს ჯოჯოხეთის კარიბჭეს და ხსნის ცის საქანელს.

შემეძლო მთელი წიგნი დამეწერა მორჩილებაზე, მაგრამ უბრალოდ მინდა აღნიშვნა, რომ ურჩობაში ცხოვრება არასწორი აზროვნების ნაყოფია.

ყოველი აზრი დაატყვევეთ ქრისტესთვის
დასამორჩილებლად

„ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის,

არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად. იმით ვამხოვთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტესთვის დასამორჩილებლად“.

2 კორინთელთა 10:4,5

ჩვენი ფიქრებია ის, რაც საკმაოდ ხშირად გვაგდებს პრობლემებში.

ესაია 55:8-ში უფალი ამბობს „რადგან ჩემი ზრახვები თქვენი ზრახვები არ არის, და თქვენი გზები ჩემი გზები არ არის...“. რაც არ უნდა იფიქროთ თქვენ თუ მე, ღმერთმა უკვე დაწერა თავისი აზრები ჩვენთვის წიგნში, რომელსაც ეწოდება ბიბლია. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი აზრების შემოწმება ღმერთის სიტყვის სინათლეზე, ყოველთვის გვსურდეს ჩვენი ფიქრების დამორჩილება მისი აზრებისადმი, იმის ცოდნით, რომ მისი საუკეთესოა.

ზუსტად ეს აზრია ნაჩვენები 2 კორინთელთა 10:4,5-ში. გამოიკვლიეთ თუ რა არის თქვენს გონებაში. თუ იგი არ ეთანხმება ღმერთის ფიქრებს (ბიბლიას), მაშინ მოიშორეთ თქვენი ფიქრები და იფიქრეთ მისაზე.

ადამიანები, რომლებიც თავიანთი გონების ამაოებაში ცხოვრობენ, არა მხოლოდ საკუთარ თავებს ანგრევენ, არამედ ძალიან ხშირად, მათ გარშემო სხვებისთვისაც მოაქვთ ნგრევა.

გონება ბრძოლის ველია!

სწორედ გონების ამ ველზე თქვენ ან გაიმარჯვებთ ან დამარცხდებით ომში, რომელიც ეშმაკმა დაიწყო. ჩემი გულითადი ლოცვაა, რომ ეს წიგნი დაგეხმაროთ წარმოდგენების და ყოველი ამაღლებული ამპარტავანი ადგილის დანგრევაში, რომელიც საკუთარ თავს ამაღლებს ღმერთის ცოდნის წინააღმდეგ და ყოველი ფიქრის დატყვევებაში ქრისტესთვის დასამორჩილებლად.

ავტორის შესახებ

ჯოის მაიერი ასწავლის ღმერთის სიტყვას 1976 წლიდან და 1980 წლიდან სრული დროით მსახურებაში იმყოფება. იგი არის ნიუ იორკ თაიმსის №1 ბესტსელერი ავტორი. მან დაწერა 80-ზე მეტი წიგნი, რომელთაც მიეკუთვნება: „ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო“, „100 გზა ცხოვრების გასამარტივებლად“ და „გონება ბრძოლის ველი“. მან ასევე გამოსცა ათასობით სასწავლო კასეტა და სრული ვიდეო ბიბლიოთეკა. ჯოისის რადიო და ტელე პროგრამები „ყოველდღიური ცხოვრებით სიამოვნება“ გადაიცემა მთელს მსოფლიოში, და იგი ფართოდ მოგზაურობს კონფერენციების ჩატარებით. ჯოისი და მისი მეუღლე, დეივი, არიან ოთხი ზრდასრული შვილის მშობლები და ცხოვრობენ სენტ ლუისში, მისურის შტატში.

ომი ბაჩალეგულია

თქვენი გონება ბრძოლის ველია

დარდი, დაბნეულობა, დეპრესია, მრისხანება და მსჯავრდადების ფიქრები... ეს ყველაფერი შემოტევაა გონებაზე. თუ თქვენ იტანჯებით ნეგატიური ფიქრების გამო, გამაგრდით! ჯოის მაიერი დაეხმარა მილიონებს, რომ გაემარჯვათ ამ ყოველად მნიშვნელოვან ბრძოლებში – და მას შეუძლია თქვენი დახმარებაც. თავის ყველაზე დიდ ბესტსელერში, საყვარელი ავტორი და მსახური, გაჩვენებთ როგორ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება თქვენი გონების შეცვლით. იგი გასწავლით თუ როგორ მართოთ ათასობით ფიქრი, რომლებიც ყოველდღიურად გაქვთ და თქვენი გონების ფოკუსირება მოახდინოთ, რათა იფიქროთ ისე, როგორც ღმერთი ფიქრობს. და იგი გიზიარებთ თავის განსაცდელებს, ტრაგედიებს და საბოლოო გამარჯვებებს თავისი ქორწინებიდან, ოჯახიდან და მსახურებიდან, რამაც მიიყვანა იგი შესანიშნავ, ცხოვრების შემცვლელ ქემპარიტივამდე – და გვიცხადებს საკუთარ აზრებსა და გრძნობებს გზის ყოველ ნაბიჯზე.

ახლა თქვენი ჯარია:

- მოიპოვოთ კონტროლი თქვენს გონებაზე და იპოვოთ თავისუფლება და მშვიდობა
- აღმოაჩინოთ მავნე ფიქრები და შეაწყვეტინოთ მათ თქვენს ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა
- იყავით სულგრძელი საკუთარი თავის მიმართ მაშინაც კი, როცა შეცდომებს უშვებთ
- აღიჭურვეთ ღმერთის სიტყვით, ქებით, ლოცვით და სხვა ძლიერი სულიერი იარაღით
- მიყევით სინათლეს, რათა გამოხვიდეთ თქვენი გონებრივი „უდაბნოდან“ (ცუდი დამოკიდებულებები, თავის მართლება, რომლებსაც ადამიანები იყენებენ, რაც მათ ღმერთს აცილებს) და აღმოაჩინეთ არნახული ბედნიერება თქვენს ცხოვრებაში.

ალარ დანებდეთ თქვენს ტანჯვას არც ერთი დღე, იპოვეთ დღესვე, თუ როგორ მოიპოვოთ გამარჯვება **ბონების ბრძოლის ველზე!**